კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი

მაია წურწუმია

საქართველოში ქალთა არასამთავრობო ორგანიზაციების როლი სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბების პროცესში

წარმოდგენილია პოლიტიკის მეცნიერების დოქტორის

აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი

თბილისი, 0141, საქართველო

2020

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი

სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

პოლიტიკის მეცნიერების სადოქტორო პროგრამა

ჩვენ, ქვემორე ხელისმომწერნი ვადასტურებთ, რომ გავეცანით მაია წურწუმიას მიერ შესრულებულ სადისერტაციო ნაშრომს დასახელებით: „საქართველოში ქალთა არასამთავრობო ორგანიზაციების როლი სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბების პროცესში“ და ვაძლევთ რეკომენდაციას, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პოლიტიკის მეცნიერების სადოქტორო პროგრამის სადისერტაციო საბჭოში მის განხილვას დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად.

„----„ .....2020 წელი

სამეცნიერო ხელმძღვანელი: პოლიტიკის მეცნიერების დოქტორი, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი **თამარ კიკნაძე** ----------

რეცენზენტი: ფილოსოფიურ მეცნიერებათა დოქტორი, თბილისის სამხატვრო აკადემიის ასოცირებული პროფესორი **ლელა იაკობიშვილი-ფირალიშვილი** ----------

რეცენზენტი: ფილოსოფიურ მეცნიერებათა დოქტორი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი **მამია სურმავა** ----------

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი

2020 წელი

ავტორი: მაია წურწუმია

თემის დასახელება: **საქართველოში ქალთა არასამთავრობო ორგანიზაციების როლი სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბების პროცესში**

ფაკულტეტი: სოციალურ მეცნიერებათა

აკადემიური ხარისხი: დოქტორი

სხდომა ჩატარდა: „-------„ ---------- 2020 წელი

ინდივიდუალური პიროვნებების ან ინსტიტუტების მიერ ზემომოყვანილი დასახელების დისერტაციის გაცნობის მიზნით მოთხოვნის შემთხვევაში მისი არაკომერციული მიზნებით კოპირებისა და გავრცელების უფლება მინიჭებული აქვს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტს

ავტორის ხელმოწერა

ავტორი ინარჩუნებს დანარჩენ საგამომცემლო უფლებებს და არც მთლიანი ნაშრომის და არც მისი ცალკეული კომპონენტების გადაბეჭდვა ან სხვა რაიმე მეთოდით რეპროდუქცია დაუშვებელია ავტორის წერილობითი ნებართვის გარეშე. ავტორი ირწმუნება, რომ ნაშრომში გამოყენებული საავტორო უფლებებით დაცულ მასალებზე მიღებულია შესაბამისი ნებართვა (გარდა იმ მცირე ზომის ციტატებისა, რომლებიც მოითხოვენ მხოლოდ სპეციფიურ მიმართებას ლიტერატურის ციტირებაში, როგორც ეს მიღებულია სამეცნიერო ნაშრომების შესრულებისას) და ყველა მათგანზე იღებს პასუხისმგებლობას.

ანოტაცია

სადისერტაციო ნაშრომში წარმოდგენილია ქალთა არასამთავრობო ორგანიზაციების როლისა და საქმიანობის ეფექტურობის შეფასება სამოქალაქო საზოგადოების ფორმირების, ქალთა ინტერესების დაცვისა და გენდერული თანასწორობის დამკვიდრების პროცესში. ნაშრომში გაანალიზებულია ქალთა ორგანიზაციების აქტივობის ზეგავლენა ხელისუფლების მიერ გადაწყვეტილებების მიღების პროცესზე, ასევე გამოვლენილია ის ძირითადი ფაქტორები, რომლებიც ხელს უწყობენ ან ხელს უშლიან აღნიშნულ პროცესს.

ნაშრომი შედგება შესავლის, სამი თავის, 9 ქვეთავის და დასკვნისაგან. ნაშრომს თან ერთვის გამოყენებული ლიტერატურის სია.

პირველში თავში მოცემულია სამოქალაქო საზოგადოების ცნების კონცეპტუალური ანალიზი, ასევე სამოქალაქო საზოგადოების წარმოშობის თავისებურებები და ქცევის განსხვავებული ტიპი პოსტ-საბჭოთა საქართველოში. შეხედულებებმა და წარმოდგენამ სამოქალაქო საზოგადოების შესახებ ხანგრძლივი ევოლუცია განიცადა. თვით ტერმინ „სამოქალაქო საზოგადოებ-“ის ინტენსიური გამოყენება XVIII საუკუნიდან დაიწყო. მანამდე სამეცნიერო რიტორიკაში ეს ტერმინი არ იხმარებოდა, რადგანაც სახელმწიფო და საზოგადოება ერთიან, განუყოფელ ცნებად აღიქმებოდა.

ნაშრომში განხილულია სამოქალაქო საზოგადოების ძირითადი თეორიები და მიდგომები. ვინაიდან მოცემული კვლევა ორიენტირებულია ქალთა ორგანიზაციების როლისა და ფუნქციების განხორციელების შეფასებაზე, ამიტომ სამოქალაქო საზოგადოების მრავალრიცხოვანი კონცეფციებიდან აქცენტი გავაკეთეთ მაიკლ ედუარდსის სამოქალაქო საზოგადოების მოდელზე, რომელსაც საფუძვლად უდევს მის მიერ შემუშავებული სამოქალაქო საზოგადოების სამი როლი: სამოქალაქო საზოგადოება, როგორც ასოციაციური ცხოვრება, კარგი საზოგადოება და საჯარო სფერო. სამოქალაქო საზოგადოების აღნიშნული მოდელი შეიძლება ჩაითვალოს ყველაზე ოპტიმალურად, ვინაიდან ის ეყრდნობა თვალსაჩინო და გაზომვად პარამეტრებს. სამოქალაქო საზოგადოების ფუნქციების დიფერენციაცია და ანალიზი იძლევა მეტ შესაძლებლობას

და პოტენციალს სამოქალაქო ორგანიზაციების ინიციატივების, პროგრამების და საქმიანობის უკეთ შეფასებისათვის.

სამოქალაქო საზოგადოების თეორიების უმეტესობა თანხმდება იმაზე, რომ ეს არის ნებაყოფლობითი ავტონომიური თვითორგანიზებადი და თვითმართვადი ჯგუფებისაგან შემდგარი საზოგადოებრივი ცხოვრების სფერო, რომელიც წარმოადგენს შუალედურ რგოლს სახელმწიფოსა და ბიზნესის სფეროებს შორის. სამოქალაქო საზოგადოება თავის თავში მოიცავს სხვადასხვა ორგანიზაციებს, მოძრაობებს, კავშირებს, ფორმალურ და არაფორმალურ გაერთიანებებს. სამოქალაქო საზოგადოება ის არენაა, სადაც ადამიანები ნებაყოფლობით, სამოქალაქო ინიციატივის საფუძველზე ერთიანდებიან, მოქმედებენ სახელმწიფოსაგან ავტონომიურად და ახორციელებენ კოლექტიურ ძალისხმევას საერთო ინტერესების განსახორციელებლად. უკანასკნელ წლებში შეინიშნება სამოქალაქო საზოგადოების ერთერთი ინსტიტუტის არასამთავრობო ორგანიზაციების რიცხვისა და გავლენის მნიშვნელოვანი ზრდა.

მეორე თავში განხილულია სამოქალაქო საზოგადოების აქტივობის გენდერული განზომილება და ქართველ ქალთა სამოქალაქო მოღვაწეობის რეტროსპექტული ანალიზი.

სამოქალაქო საზოგადოების და გენდერის, როგორც ურთიერთდაკავშირებული კონცეპტების შესახებ დებატები სამეცნიერო წრეებში შედარებით ახალი მოვლენაა. თავად სამოქალაქო საზოგადოების თეორია და პრაქტიკა წარმოიშვა მკაცრად სტრუქტურირებულ პატრიარქალურ სისტემაში. სამოქალაქო საზოგადოება, ისევე როგორც საჯარო სივრცე მონოპოლიზებული იყო მამაკაცების მიერ, ამდენად მოქალაქეობა მთლიანად დაკავშირებული იყო მასკულინურ ფენომენთან. ქალების მოღვაწეობა შემოფარგლული იყო მხოლოდ კერძო სფეროს ელემენტებით.

1980-იანი წლების შემდეგ, ფემინისტურმა კვლევებმა ეჭვი შეიტანეს და პრეტენზია გამოთქვეს სამოქალაქო საზოგადოების არსებული განსაზღვრებების და თეორიების მიმართ. ფემინისტური მოძრაობის ისტორიული ანალიზის საფუძველზე, მოცემულ თავის ფარგლებში, დადგინდა მისი უდავო კავშირი სამოქალაქო საზოგადოებასთან. მე-

19 საუკუნის ბოლოს და მე-20 საუკუნის დასაწყისში ფემინისტური ჯგუფები არის სანიმუშო მაგალითი, თუ რამდენად წარმატებულად ახერხებენ ქალები ასოციაციური ჯგუფების (რომელიც სამოქალაქო საზოგადოების შემადგენელი ნაწილია) ფორმირებას, საკუთარი მოთხოვნების და ინტერესების არტიკულაციას, უფლებების შესახებ დეკლარირებას სამოქალაქო საზოგადოების სხვადასხვა არხების მეშვეობით.

მე-19 საუკუნის საქართველოში ქალთა საკითხების გააქტიურება და ქალის როლის და დანიშნულების შესახებ დისკუსიის გამართვა მაშინდელი პერიოდიკის ფურცლებზე ქართველი საზოგადო მოღვაწე ქალების ძალისხმევის შედეგი იყო. ამ თემის ისტორიული გზის აღსაწერად და დასახასიათებლად ნაშრომში გამოვყავით სამი მნიშვნელოვანი ქალი: ბარბარე ჯორჯაძე, ეკატერინე გაბაშვილი და კატო მიქელაძე.

მესამე თავში გადმოცემულია ნაშრომის კვლევითი ნაწილი. გაანალიზებულია ქალთა ორგანიზაციების ზეგავლენის სტრატეგიები და მექანიზმები ხელისუფლების მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცესზე, ადვოკატირების ცნობილი შემთხვევები და მათი შედეგები. ახსნილია ქალთა ორგანიზაციების მიერ ადვოკატირების პროცესში გამოყენებული ინსტიტუციონალური პროცედურები და კონსულტაციის სახეები. ამასთან განხილულია ის ძირითადი დაბრკოლებები, რაც ქალთა ორგანიზაციებს ძირითადად ტექნიკური ექსპერტიზის როლს მიაკუთვნებს, ვიდრე მონაწილის გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

კვლევის მიზნების განსახორციელებლად შერჩეულ იქნა ნახევრად სტრუქტურირებული ჩაღრმავებული ინტერვიუ, სამიზნე ჯგუფად კი - ექსპერტები ქალთა საკითხებში, რომლებიც პარალელურად ქალთა არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები, ხელმძღვანელები ან პროექტის მენეჯერები არიან. მათ აქვთ საკმაო თეორიული და პრაქტიკული გამოცდილება და მოპოვებული აქვთ მიზნობრივი გრანტები. მათი მოძიება მოხდა „ქალთა ფონდი საქართველოში“ მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე.

საკითხის შესწავლის და განხორციელებული კვლევის საფუძველზე, დადგინდა, რომ ძირითადი მიმართულებები, რომელზეც ქალთა არასამთავრობო ორგანიზაციები

მუშაობენ საქართველოში არის გენდერული თანასწორობის საკითხების წინ წამოწევა და აქტუალიზება, ქალთა უფლებების დაცვა, ქალთა პოლიტიკაში მონაწილეობის ხელშეწყობა, ქალთა დისკრიმინაციის და მათ მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლა, ქალთა ეკონომიკური უფლებების და დამოუკიდებლობის დაცვა. ძირითადი საშუალებები, რომლებსაც ქალთა ორგანიზაციები იყენებენ საკუთარი მიზნების განსახორციელებლად არის კვლევების ჩატარება, ქალებთან შეხვედრები, ტრენინგები, ტელე და რადიო გადაცემების ორგანიზება, იურიდიული კონსულტაცია, ინდივიდუალური მუშაობა ქალებთან, საკანონმდებლო ინიციატივების წამოყენება და კანონპროექტებზე მუშაობა, ექსპერტული ცოდნის გაზიარება, კონფერენციები და ა.შ.

ქალთა არასამთავრობო ორგანიზაციების ძალისხმევის შედეგად შეიძლება მივიჩნიოთ, ის ფაქტი, ქალები განსაკუთრებით გააქტიურდნენ ნებაყოფლობით სამოქალაქო სფეროში და წინ წამოწიეს მრავალფეროვან საკითხთა და პრობლემათა მთელი სპექტრი. გაუმჯობესდა კომუნიკაცია საკუთრივ არასამთავრობო ორგანიზაციებს შორის. ქალთა ორგანიზაციები ცდილობენ ითანამშრომლონ მედია საშუალებებთან. სხვადასხვა მეთოდებით და გზებით ხორციელდება საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლება გენდერული საკითხების მიმართ. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ ქალთა ორგანიზაციები ცდილობენ გავლენა მოახდინონ საჯარო პოლიტიკაზე. ამ თვალსაზრისით ისინი აქტიურად თანამშრომლობენ სახელმწიფო ორგანოებთან. მეორე მხრივ, საქართველოში ვერ მოხერხდა ქალთა მოძრაობის ჩამოყალიბება, რადგანაც ქვეყანაში ჯერ კიდევ ძლიერია ქალების მიმართ დისკრიმინაციული სოციალური და კულტურული ნორმები, არ არსებობს სამოქალაქო აქტიურობის ძლიერი ტრადიცია. დაძაბული ეკონომიკური პირობების ფონზე კი საკითხმა ვერ მოიპოვა საჭირო აქტუალობა. შეიძლება ითქვას, რომ ქალთა არასამთავრობო ორგანიზაციების ყველაზე მნიშვნელოვანი წვლილი სამოქალაქო საზოგადოების და დემოკრატიზაციის ხელშეწყობის პროცესში არის გენდერული ცნობიერების ამაღლება და გენდერული ინსტიტუციური მექანიზმების ჩამოყალიბება და გაძლიერება, რაც უნდა გახდეს გენდერული თანასწორობის დამკვიდრების წინაპირობა.

საქართველოში ქალთა არასამთავრობო ორგანიზაციებმა დააგროვეს გარკვეული პოტენციალი, ბაზა, იმისათვის რომ მოახდინონ პოზიტიური გავლენა სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბების პროცესზე თანასწორობის, სოლიდარობის და თვითორგანიზების პრინციპების და პრაქტიკის დანერგვით. ძლიერი ქსელების და ჯგუფების ჩამოყალიბება, სახელმწიფო და ბიზნეს სექტორთან სამართლებრივი და საქმიანი ურთიერთობების დამყარება ურთიერთსასარგებლო თანამშრომლობის მიღწევის მიზნით უდავოდ ხელს შეუწყობს ქალების გაძლიერებას, მათ სრულფასოვან და არა „მეორეხარისხოვან მოქალაქეებად“ ჩამოყალიბებას.

ნაშრომის ბოლოს მოცემულია დასკვნები და რეკომენდაციები, ასევე გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა.

კვლევის შედეგად გამოტანილი დასკვნები და რეკომენდაციები საშუალებას იძლევა გაგებული და გააზრებული იქნას ქალთა ორგანიზაციების როლი სამოქალაქო საზოგადოების ფორმირებისა და ქვეყნის დემოკრატიზაციის პროცესში.

საქართველოში არსებითად იცვლება სამოქალაქო საზოგადოების სტრუქტურა და გენდერული თანასწორობა მისი შემადგენელი კომპონენტი ხდება. ჩვენი ნაშრომის საფუძველზე შეიძლება ჩატარდეს ხსენებული პრობლემის უფრო ღრმა და სერიოზული შესწავლა, მომზადდეს სასწავლო და სპეციალური კურსები. კვლევის მასალები შეიძლება გამოყენებულ იქნას სამოქალაქო საზოგადოებასთან და გენდერულ საკითხებთან დაკავშირებით სახელმწიფო პოლიტიკის პრინციპების შემუშავებისას, შესაბამისი საკანონმდებლო აქტების მომზადებისას.

შეიძლება ითქვას, რომ ჩვენს დისერტაციაში არსებული მასალები და განზოგადებანი, სავარაუდოდ, შეავსებს ქართულ პოლიტიკურ მეცნიერულ ლიტერატურაში სამოქალაქო აქტივობასა და გენდერულ სფეროში არსებულ სიცარიელეს.

Resume

The thesis provides the assessment of effectiveness of the women NGO-s in the process of development of the civic society, protection of women's rights and interests and establishment of gender equality in the country. The opus deals with the analyses of the influence of the women NGO activities over the decision-making process of public entities and governing structures. Some major factors contributing to the successful implementation of those influences together with the circumstances that obscure their positive implications are highlighted herein as well.

The thesis contains the introduction, three chapters and nine sub-chapters. The bibliography is provided in the appendix.

The first chapter gives the conceptual analyses of the notion of the Civic Society in genital, followed with some insights of basic particularities related to the process of origin and development of civic society in the Post Soviet Georgia and of some intrinsic behavioral trends in the country. The understanding of the civic society has its history and evolution. More and more frequent referral to this term started in the XVIII c. Europe, while in earlier times this notion had not been given any considerable attention to, due to the generally accepted theory that the state and the society represented an undividable unity.

All important theoretical concepts about the civic society and approaches towards it are examined herein. Provided that the research is focused on the assessment of the role of women NGO-s and of the effectiveness of their activities throughout the country, the Civic Society Concept offered by Michael Edwards has been chosen as the model one out of the wide range of researches on the issue. According to this particular concept, which we consider as the most specific and relevant due to its foundation on the most visible and measurable parameters and indicators- the three functions and roles of any civic society are crucial. They are as follows: Civic Society as the way of associational life, good society and public sphere. The separation of civic society functions

and their analyses give much better possibilities for more true assessment of initiatives, programs and activities of civic organizations.

All theorists of civic society are unequivocal on its assessment that it is the sphere of community life made of various groups of people organized voluntarily and autonomously on the bases of self-organization and self –governance that represent the interim agent between the State and the Business. The civic society contains numerous organizations, movements, unions, formal and informal associations. The civil society is the field, where general public unite voluntarily under public initiatives, act independent of the state, and undertake collective measures and efforts to reach particular goals. The resent past has been marked out by the considerable increase of the number of NGO-s – on of the most effective instruments of the civil society and of their influence over the public sphere.

The second chapter of the thesis deals with the activities of civil society related to the issue of gender equality and gives the retrospect of public activities of Georgian women in the country in this particular area.

Though relatively new a topic throughout the academics, the issue that gender is directly intertwined within the context of civil society is widely debated view. The theory and practice of civic society itself originated within the strictly stratified patriarchal system. Both the civic society and public space were monopoly of their mail members, thus the understanding of citizenship was totally related to the masculine phenomenon. Activities of female members of the society were quite limited and basically focused on personal sphere of the negligible scale.

Following the 1980-es the feminist researches have casted doubts upon the existing theories on civil society and definitions given therein. Many claims and objections were put forward. Based on the analyses of the history of feminist movement that is one of the topics of this chapter, it has undoubtedly been established that the feminist movement is directly connected with the civic society. The history of feminist activist groups of the late XIX- early XX cc. provide good example of the very successful organization of associative groups (that are one of the basics of any civic society)

of women, well articulated expression of their requirements and interests, demands for their rights, all through the effective use of different tools and ways provided by the civic society.

In 19th Century in Georgia similar issues were put forward and gradually gained their significance. Thanks to the activities of the group of Georgian female public figures and their cooperation with the press the topics of the women's role and destination within the society became widely discussed. The three most famous celebrities of that woman activist group, Barbare Jorjadze, Ekaterine Gabashvili and Kato Mikeldze and their legacy is particularly highlighted in this chapter. This overview gives a good insight of the origin and early stages of women's movement in Georgia.

The third chapter provides the overview of the undertaken research. The strategies and mechanisms employed by the women organizations to influence the decision-making process of the public and government bodies are analyzed in details, examples of the most notable cases of public support and recommendations given are provided and the results of successful advocacy of female issues are delivered. Institutional procedures and means of provision of aid and consultation used by the women's organizations during the process of advocacy are explained. With this being said, some obstacles that diminish women's organizations to the level of technical expertise only, instead of them being the active participants in the decision-making are brought to light.

For the research purposes the methodology of the semi- structural in-depth interviews has been employed, with the target group made of the experts in the female issues, who, at the same time are the representatives of women NGO-s, their heads and/or the project managers in the respective field. All of them are well experienced and equipped with theoretical knowledge and practical know-how and have won several target-grants. They were connected through the information kindly provided by the organization "Women's Fund in Georgia."

Promotion of gender equality, general observation of female rights, facilitation of more direct engagement of women in political life of the country, campaigns against gender discrimination, harassment and domestic violence, protection of economic rights and independence of women are the basic issues that are on the agenda of women's NGO-s in Georgia.

The respective activities for the achievement of these aims include: various researches and polls, reach-outs, trainings, TV and radio talk shows, free legal advisory meetings, face to face meetings, legal initiatives and critical study of the related legislation, sharing expertise and experience, know-how, organization of conferences and workshops.

The considerable increase of activities of the women in the voluntarily organized public sphere and bringing to daylight of broad spectrum of female problems can be attributed to the activities of women's NGO-s. Intercommunication within the network of women's NGO-s has also been improved and many of them are now actively cooperating with media. Public awareness on gender issues has greatly been increased thanks to these quite diverse activities. The attempts of women's NGO-s to gain the influence over the public policy –making through various leverages is the most important trend of current times. For this purpose they closely cooperate with official entities. Despite some really important achievements, it hasn't yet been possible to launch a real public movement of female citizens of the country due to still persistent social and cultural norms, that quite frequently are discriminative towards women. Besides, the county lacks any longstanding tradition of mass public movements whatsoever. On the background of economic difficulties this issue has not yet won sufficient number of supporters. Increase of public awareness on gender issues and establishment and further development of Gender institutional leverages and tools can be regarded as the most valuable credit of women's NGO-s on the way of building of solid civic society with deep -rooted democratic institutions and culture. Generally the situation looks quite promising in terms of achieving gender equality throughout the country in the not very far prospect.

The research has revealed that women's NGO-s in Georgia have accumulated considerable knowledge and experience enabling them to positively influence the processes leading to the irreversible establishment of effective civic society on the principles of equality, cooperation and mutual respect. Establishment of new and the empowerment of already active strong networks of females, their cooperation with business and public sectors on the principles of mutual benefit will create a solid frame for the women of Georgia to be the respected and rightful citizens of the country, not the subordinates or secondary ones.

Some conclusions and recommendations based on the results of the research are provided in the final part of the thesis. Bibliography is given at the end.

Conclusions and recommendations based on the results of the research will enable the interested public to understand in details the role of the woman's NGO-s in the process of development and farther improvement of the civic society in the country as well as for her further democratization in general.

The civic society in the country has been undergoing considerable positive structural modifications towards the better state where the gender equality is coming to be its undividable component. Based on the results of this research more detailed and in-depth studies of the problematic issues related to gender equality can be undertaken in future. We also hope that its outcomes might be useful for training coerces and programs in related fields. Moreover, the results can be used during the process of elaboration of the state policy towards civic society improvement and gender equality as well as during the preparation of the relevant legislation.

In conclusion, let me express the sincere hope that the material obtained throughout the research together with conclusions and some of the generalizations provided in these theses will, at list to some extend narrow the gap that is still noticeable in Georgia in the field of political sciences in general and public activity and gender equality issues in particular.

სარჩევი

შესავალი ----------15

I. თავი. სამოქალაქო საზოგადოების თეორიულ-მეთოდოლოგიური ასპექტი და სამოქალაქო საზოგადოების საფუძველი საქართველოში

1.1. სამოქალაქო საზოგადოების განვითარების თეორიული საფუძვლები და ისტორიული ეტაპები ---------- 34

1.2. სამოქალაქო საზოგადოების თანამედროვე კონცეპტი ----------49

1.3. სამოქალაქო საზოგადოების ჩასახვის და განვითარების ძირითადი ეტაპები საქართველოში ----------61

II. თავი. საერთაშორისო სამოქალაქო აქტივობის გენდერული განზომილება და ქართველ ქალთა სამოქალაქო მოღვაწეობის რეტროსპექტული ანალიზი

2.1. სამოქალაქო საზოგადოების გენდერული განზომილება ----------82

2.2. ქალთა საერთაშორისო სამოქალაქო აქტივობის გავლენა ქალის სტატუსის ამაღლებაზე ----------90

2.3.საქართველოს ქალთა სამოქალაქო აქტივობის ისტორიული ეტაპები და თავისებურებები ----------108

III. ქალთა არასამთავრობო ორგანიზაციები პოსტსაბჭოთა საქართველოში და მათი როლი ქალთა აქტივობისა და უფლებების ამაღლებაში

3.1. გენდერული უთანასწორობა - პოსტსაბჭოთა საქართველოს სამოქალაქო საზოგადოების აქტუალური პრობლემა ----------122

3.2. ქალთა არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ განხორციელებული ადვოკატირება, როგორც ქალთა სამოქალაქო აქტივობის ხელშემწყობი მექანიზმი-135

3.3.გენდერული პოლიტიკის და ქალთა არასამთავრობო ორგანიზაციების აქტივობის შეფასება (ექსპერტული ანალიზი) ----------145

დასკვნა ----------165

გამოყენებული ლიტერატურა ----------171

შესავალი

საკითხის წინაპირობა და თემის აქტუალურობა. საყოველთაოდ აღიარებული ფაქტია, რომ სამოქალაქო საზოგადოება დემოკრატიის ხელისშემწყობი ძალაა. ცივილიზებული სამყაროს არა მარტო თეორეტიკოსები და მკვლევარები, არამედ ხელისუფლების წარმომადგენლების დიდი ნაწილი არასამთავრობო ორგანიზაციებს მოიაზრებენ, როგორც მნიშვნელოვან პარტნიორებს ქვეყნის სოციალური და პოლიტიკური განვითარების პროცესში. საერთაშორისო დონორები ყურადღებას ამახვილებენ სამოქალაქო საზოგადოების ისეთ მნიშვნელოვან ფუნქციებზე, როგორიცაა "სახელმწიფოს გადაწყვეტილებებზე ზეგავლენის მოხდენა, საჯარო პოლიტიკის შესახებ დებატების დაწყების ხელშეწყობა, სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური ცვლილებების სტიმულირება" და სხვ. [1]

საქართველოში სამოქალაქო საზოგადოების არსებობის აქტუალურობას განსაზღვრავს ჩვენი ქვეყნის მისწრაფება, შექმნას სტაბილური დემოკრატია, განვითარებული სამოქალაქო საზოგადოებით, სადაც დემოკრატიული ღირებულებები გადაიქცევა დამკვიდრებულ და გაზიარებულ წესებად და ნაკლებად იარსებებს სახელმწიფოს ავტორიტარიზმისაკენ გადახრის საფრთხე.

1990-იანი წლებიდან, მას შემდეგ რაც საქართველომ მოიპოვა დამოუკიდებლობა, დემოკრატიული სისტემის ჩამოყალიბება ქვეყნის განვითარების მთავარ პრიორიტეტად იქცა. ევროპისა და ამერიკის დემოკრატიული სახელმწიფოები დაინტერესდნენ საქართველოში, ისევე როგორც სხვა პოსტკომუნისტურ ქვეყნებში, სამოქალაქო საზოგადოების ფორმირების ხელშეწყობით, ვინაიდან აღნიშნული განიხილებოდა, როგორც დემოკრატიზაციის პროცესის წარმატების ინდიკატორი.

---

[1] Sprunk C; (2008), Understanding Civil Society - History, debates, and contemporary approaches, retrieved from file:///C:/Users/user/Downloads/Understanding_Civil_Society_-_History_debates_and_.pdf **p.18**

პოსტკომუნისტურ ქვეყნებში დემოკრატიზაციის პროცესი ინიცირებული ან მხარდაჭერილი იყო მოქალაქეთა კერძო ჯგუფებისა და საზოგადოებრივი მოძრაობების მიერ, შესაბამისად, აკადემიურ წრეებში არსებობდა დიდი იმედები იმის თაობაზე, რომ ეს ქვეყნები შეძლებდნენ ძლიერი სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებას, რომელიც, თავის მხრივ, მნიშვნელოვან წვლილს შეიტანდა დემოკრატიის კონსოლიდაციის საქმეში.[2] საერთაშორისო დონორები და ფონდები აქტიურად უწყობდნენ ხელს არასამთავრობო ორგანიზაციების ჩამოყალიბებას, რომლებიც სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუციონალურ საფუძველს ქმნიდნენ.

უკანასკნელ პერიოდში სამოქალაქო სექტორი საქართველოში მნიშვნელოვანწილად განვითარდა. 1990-იან წლებში, დონორთა მიერ მხარდაჭერილი პროგრამები მეტ-ნაკლებად სექტორს შიგნით ხორციელდებოდა. არასამთავრობო ორგანიზაციები მთავრობისგან იზოლირებულად ვითარდებოდა და არ ერეოდა მის საქმიანობაში. ამ პერიოდში არასამთავრობო ორგანიზაციათა რიცხვმა რამდენიმე ათასს მიაღწია, თუმცა მათი დიდი ნაწილი მხოლოდ ქაღალდზე არსებობდა. 1995 წლიდან სამოქალაქო სექტორში უკვე გარკვეულწილად ჩამოყალიბდა ერთიანი კორპორატიული აზროვნება. თანდათანობით პოლიტიკურ ძალთა ურთიერთქმედების პროცესში ის ერთ–ერთი ანგარიშგასაწევი ძალა გახდა. საზოგადოებრივი და არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობის შედეგების გაშუქება დაიწყო მასმედიამ, მათ ხშირად მოიხსენიებდნენ სხვადასხვა საინფორმაციო პროგრამებსა თუ ანალიტიკურ პუბლიკაციებში. „სხვადასხვა პროფილის NGO-თა ქსელებმა მოიცვა საქართველოს მთელი ტერიტორია (თვითგამოცხადებული აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკების გარდა).“[3] ხელისუფლება, უმეტესწილად, სამოქალაქო სექტორის ინსტიტუციონალური განვითარებისათვის ხელშემწყობ გარემოს ქმნიდა. არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები მონაწილეობდნენ სხვადასხვა სახელმწიფო სტრუქტურებთან არსებულ საკონსულტაციო საბჭოებსა თუ სადამკვირვებლო ორგანოებში,

[2] Kutter, A. & Trappman, V. Civil society in Central and Eastern Europe: The ambivalent legacy of accession. Acta Politica, 2010, p.22

[3] Khutsishvili G. (ed.) Civil Society and the Rose Revolution in Georgia, Publication of the International centre on Conflict and Negotiation. ICCN, 2008, p.24

ასევე მნიშვნელოვან სახელმწიფო თუ საერთაშორისო პროგრამებში. სახელმწიფომ მიიღო უამრავი ინიციატივა, რომელიც სამოქალაქო სექტორში აღმოცენდა.

მიუხედავად მიღწეული პროგრესისა, არასამთავრობო სექტორი საქართველოში ვერ გახდა საზოგადოებრივი და პოლიტიკური ცხოვრების მნიშვნელოვანი აქტორი. აშშ–ს განვითარების სააგენტოს (USAID) მიერ გამოქვეყნებული არასამთავრობო ორგანიზაციების მდგრადობის ყოველწლიური ინდექსის მიხედვით, "საქართველოს სამოქალაქო საზოგადოება ბოლო სამი წლის განმავლობაში უცვლელად იმყოფება მდგრადობის კატეგორიაში, რომელიც ,,წრეზე ბრუნავს", დადებითი თუ უარყოფითი მიმართულებით სვლის გარეშე."[4]

საქართველოში სამოქალაქო საზოგადოება, ექსპერტთა შეფასებით, არ შექმნილა „ქვემოდან", როგორც მრავალფეროვანი საზოგადოებრივი ინტერესების და მოთხოვნილებების არტიკულაციის და განხორციელების სფერო. არაფორმალური გაერთიანებები და კავშირები კომუნისტური რეჟიმის შესუსტების და შემდგომ დაშლის ფონზე სახელმწიფო აპარატის ძალაუფლების საწინააღმდეგოდ ჩამოყალიბდა. საზოგადოებაში დემოკრატიული უნარ-ჩვევებისა და ტრადიციების ნაკლებობის გამო, სამოქალაქო სექტორი ვერ იქცა მთლიანად საზოგადოების ინტერესების წარმომადგენლობის და გამოხატვის ასპარეზად. არასამთავრობო ორგანიზაციებს საქართველოში არ გააჩნიათ ფართო მასების მხარდაჭერა, ვინაიდან არასამთავრობო ორგანიზაციებში მუშაობა ხშირად დასაქმების ალტერნატიულ საშუალებად და პირადი კეთილდღეობის და ინტერესის წყაროდ მიიჩნევა,[5] ამასთან ვინაიდან რესურსების დიდი ნაწილი კონცენტრირებულია სახელმწიფოს ხელში, სამოქალაქო საზოგადოებისთვის ცვლილებების მიღწევის ერთადერთი გზა სახელმწიფო სტრუქტურებთან თანამშრომლობა და მათზე ზეწოლაა. ამდენად საქართველოში ერთ–ერთ მთავარ პარტნიორად და სამიზნე

[4] ევროკავშირის სტრატეგია საქართველოს სამოქალაქო საზოგადოებასთან თანამშრომლობისთვის. 2014-2017 წწ. ნანახია 23.06.2019 ვებგვერდზე: http://eeas.europa.eu/archives/delegations/georgia/documents/civil_society_library/roadmap_final_ka.pdf

[5] ნოდია გ. „სამოქალაქო საზოგადოების განვითარება საქართველოში: მიღწევები და გამოწვევები", თბილისი, 2005, მუსხელიშვილი მ, სამოქალაქო საზოგადოება შედარებითი ანალიზი, სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი, თბილისი, 2006,

ჯგუფად სამოქალაქო საზოგადოებისათვის რჩება არა მოქალაქეები, არამედ სახელმწიფო ხელისუფლება.

სამოქალაქო საზოგადოების თეორია და პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ მოქალაქეთა საჯარო პრობლემებისა და ინტერესების განხორციელების ერთ-ერთი მთავარი გზა სახელმწიფო ხელისუფლებაზე ზეგავლენის მოხდენა. სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტებს პოლიტიკური ინსტიტუტებისაგან განასხვავებს ის ფაქტი, რომ მის მიზანია არა ძალაუფლების მოპოვება და განხორციელება, არამედ მასზე ზეგავლენის მოხდენა. "სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტები გარკვეული გზით კავშირს ამყარებენ სახელმწიფოსთან, მაგრამ არ ესწრაფვიან მის ჩარჩოებში კონტროლის ან პოზიციის მოპოვებას."[6]

დემოკრატიული რეჟიმის პირობებში არსებობს პოლიტიკურ ძალაუფლებაზე ზეგავლენის მოხდენის მრავალი ოფიციალური არხი. აქტიურ მოქალაქებს და ზოგადად სამოქალაქო საზოგადობის სხვადასხვა გაერთიანებებსა და ინსტიტუტებს პოლიტიკური დღის წესრიგის ფორმირების და გადაწყვეტილების მიღების პროცესზე ზეგავლენის მოხდენა სხვადასხვა ხერხებით შეუძლიათ. ბოლო 15 წლის განმავლობაში საქართველოში არასამთავრობო ორგანზაციების მხრიდან პრიორიტეტი მიენიჭა პოლიტიკის ადვოკატირებას, რომელიც გადაწყვეტილების მიღების პროცესში ჩართულობის და გადაწყვეტილების მიმღებ პირებზე გავლენის საკმაოდ გავრცელებული ფორმაა. ამ ტიპის პროექტების ხელშეწყობამ მხოლოდ სერვისების მიწოდებასა და მოკლევადიან პერსპექტივებზე გათვლილი პროგრამების ფოკუსი გააფართოვა და მხოლოდ დონორებზე ორიენტირებული დონიდან საჯარო პოლიტიკის ზეგავლენის დონეზე გადაიყვანა. "2012 წლიდან საქართველოს საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა წარმატებით ჩაატარეს ადვოკატირების რამდენიმე ფართო მასშტაბიანი კამპანია დონორთა მონაწილეობის გარეშე."[7]

---

[6] Diamond L, Developing Democracy Toward Consolidation, The John Hopkins University Press 1999, P. 223.

[7] ევროკავშირის სტრატეგია საქართველოს სამოქალაქო საზოგადოებასთან თანამშრომლობისთვის. 2014 2017 წწ. , 23.06.2017 ვებ-

სამოქალაქო საზოგადოების შესახებ ლიტერატურაში დაფიქსირებულია არასამთავრობო ორგანიზაციების სამი როლი: ოპერაციონალური (ფანდრაიზინგი, სერვისების მიწოდება), საგანმანათლებლო (საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლება), ადვოკატირება.[8] ადვოკატირება - ეს არის ცალკეული მოქალაქეების ან ჯგუფების უფლებების და ინტერესების დაცვა, რომლებსაც გარკვეულ სოციალური პირობების ზეგავლენით არ შეუძლიათ თვითონ დაიცვან საკუთარი უფლებები. ამგვარი ჯგუფის მაგალითია ქალები, რომლებიც სხვადასხვა სტატისტიკური მონაცემებით განიცდიან დისკრიმინაციას საზოგადოებაში.

ქალთა დისკრიმინაციის აღმოფხვრის საკითხი საზოგადოების განვითარების თანამედროვე ეტაპზე უფრო და უფრო აქტუალური ხდება. გაერთიანებული ერების ორგანიზაცია გენდერული უთანასწორობას მიაკუთვნებს გლობალურ პრობლემათა რიცხვს და რეკომენდაციას უწევს წევრ სახელმწიფოებს შეცვალონ არსებული გენდერული მოდელები, რომლებიც პატრიარქალურ მიდგომებსა და ორმაგ სტანდარტებს ეყრდნობიან.

ქალთა ორგანიზაციების, როგორც სამოქალაქო საზოგადოების კონკრეტული სეგმენტის შერჩევა კვლევისათვის შემთხვევით არ მომხდარა. მიუხედავად იმისა, რომ საზოგადოება შედგება ქალებისა და მამაკაცებისაგან და მოსახლეობის ნახევარზე მეტს ქალები წარმოადგენენ, ისინი დღემდე ჩამოცილებულნი არიან პოლიტიკური ძალაუფლების განხორციელების შესაძლებლობას. როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, ქალების ძალიან დაბალი პროცენტული მაჩვენებელი არის წარმოდგენილი ქვეყნის საკანონმდებლო და აღმასრულებელ ხელისუფლებაში. ასეთ პირობებში ქალები ცდილობენ საკუთარი საჯარო ინტერესებისა და მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად ხელისუფლებაზე ზეგავლენის მოხდენის ალტერნატიული გზები და საშუალებები მოძებნონ. ლარი დაიმონდის მიხედვით, სწორედ სამოქალაქო საზოგადოება

გვერდზე:http://eeas.europa.eu/archives/delegations/georgia/documents/civil_society_library/roadmap_final_ka.pdf, გვ. 11

[8] Meyer, C. A step back as donors shift institutions building from the public to the private sector. World Development 20 (8): (1992). 11-15., Mathias, A. Non Governmental Organizations and Health in Developing Countries. New York. St. Martin"s Press Inc. Reviews. (1997). 120p.p.,) Weiss T; Gordenker L; (Eds) NGOs the UN and Global Governance. Boulder. (1996)

უზრუნველყოფს "დამატებით არხებს, პოლიტიკური პარტიების შემდეგ, ინტერესთა არტიკულაციის, აგრეგაციის და წარმომადგენლობის თვალსაზრისით. ეს ფუნქცია განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ტრადიციულად გათიშული ჯგუფებისათვის, როგორიცაა ქალები ან რასობრივი და ეთნიკური უმცირესობები, ძალაუფლების ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად, რომელიც მათთვის შეზღუდული იქნა ოფიციალური პოლიტიკის ზემდგომი ინსტიტუციონალური ეშელონებიდან.[9] ლარი დაიმონდი მიუთითებს, რომ იმ ადგილებშიც კი (მას მხედველობაში აქვს სამხრეთ ამერიკა და აღმოსავლეთ ევროპა), სადაც ქალებმა ითამაშეს მნიშვნელოვანი როლი სხვადასხვა მოძრაობებისა და ორგანიზაციების მეშვეობით, ავტორიტარული მმართველობის წინააღმდეგ მობილიზაციაში, დემოკრატიული ტრანზიციის შემდგომ, მთავრობა კვლავ დაუბრუნდა წინანდელ, ქალებისაგან ჩაკეტილი ტიპის მმართველობის მოდელს. "მხოლოდ სამოქალაქო საზოგადოების ხანგრძლივ, ორგანიზებულ ზეწოლას ქვემოდან, შეუძლია პოლიტიკური და სოციალური თანასწორობის პროგრესირება."[10]

საკითხის წინასწარი შესწავლის საფუძველზე, შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში ქალთა არასამთავრობო ორგანიზაციები არის პრაქტიკულად ერთადერთი ინსტიტუტი, რომელიც ხელს უწყობს პოლიტიკურ დისკურსში ისეთი საკითხების შემოტანას და გააქტიურებას, როგორიცაა ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აღმოფხვრა, ქალთა უფლებების დაცვა, ქალთა პოლიტიკური თანამონაწილეობის სტიმულირება და ა. შ. ასევე აღსანიშნავია, რომ გენდერულ პრობლემატიკაზე მომუშავე ორგანიზაციებში ძირითადად ქალები არიან წარმოდგენილი და მამაკაცები ნაკლებად ინტერესდებიან გენდერული პრობლემატიკის განხილვისა და გადაჭრის გზების მოძიებით.

ქალთა არასამთავრობო ორგანიზაციები საქართველოში სამოქალაქო საზოგადოების მნიშვნელოვან სეგმენტს წარმოადგენენ. მათში ვგულისხმობთ ორგანიზაციებს, რომელთა მუშაობის მთავარ მიზანს წარმოადგენს გენდერული თანასწორობის მიღწევა, ქალთა პრობლემატიკის წინ წამოწევა და მათი უფლებების დაცვა. დასავლეთის დემოკრატიული

[9] Diamond L, Developing Democracy Toward Consolidation, The John Hopkins University Press 1999 p. 243
[10] Diamond L, (1999), Developing Democracy Toward Consolidation, The John Hopkins University Press p. 244

ქვეყნების და ასევე არასამთავრობო დონორების მხრიდან გაწეული დახმარების ფონზე ქალთა ორგანიზებული ჯგუფები 90-იანი წლებიდან ქალთა არასამთავრობო ორგანიზაციების სახით აღმოცენდა და გამრავლდა. მათი ინტენსიური რაოდენობრივი ზრდის მიზეზი იყო მთელს მსოფლიოში ქალთა და გენდერის საკითხებისადმი გაზრდილი ინტერესი, ისევე როგორც საერთაშორისო დონორების მხარდაჭერა და გავლენა. ვინაიდან სოციალისტური სახელმწიფო გამორიცხავდა თუნდაც მინიმალური სივრცის არსებობას ავტონომიური მოქმედებისათვის და ნებისმიერი თვითინიციატივის საფუძველზე განხორციელებული საჯარო აქტივობა დაკავშირებული იყო მკაცრ სასჯელთან, მსგავსი ტიპის ორგანიზაციები ახალი და უჩვეულო მოვლენა იყო ჩვენი ქვეყნისათვის. ამდენად ის დაკავშირებული იყო მთელ რიგ სიძნელეებთან. ასეთი ტიპის ორგანიზაციების ჩამოყალიბება არ მომხდარა თავისთავად, ევოლუციური გზით, საზოგადოებრივი მოთხოვნის გაჩენის შესაბამისად, არამედ ძირითადად დასავლელი პარტნიორების და დონორების პირდაპირი დახმარებით. „საერთაშორისო ჩართულობამ ქალთა არასამთავრობო ორგანიზაციების განვითარებაზე იქონია პარადოქსული გავლენა პოსტკომუნისტურ ქვეყნებში“ [11] გენდერული თანასწორობის და ქალთა გაძლიერების მიზნით დასავლელი დონორების მიერ გაცემული მატერიალური დახმარების ფონზე ქალთა არასამთავრობო ორგანიზაციები ინსტიტუციური და ორგანიზაციული განვითარების თვალსაზრისით მნიშვნელოვან პროგრესს მიაღწიეს. გადაწყვეტილების მიღების პროცესზე ზეგავლენის მოხდენის მიზნით ისინი აქტიურად იყენებენ ისეთ მეთოდებს, როგორიცაა საზოგადოების ინფორმირება, ცნობიერების ამაღლება, ტრენინგები კონკრეტული სამიზნე ჯგუფებისათვის, კვლევების და ანგარიშების პრეზენტაცია, აქციების ორგანიზება, სატელევიზიო გადაცემების, საჯარო განხილვების მოწყობა, კონსულტაციები, შეხვედრების გამართვა, ხელისუფლების ორგანოებისადმი და თანამდებობის პირებისადმი წერილობითი მიმართვა.

ქალთა საჯარო გადაწყვეტილებებზე ზეგავლენას საკანონმდებლო პროცესში ჩართულობითაც ახორციელებენ. ქალთა ორგანიზაციების წარმომადგენლები

[11] Mendelson S. E, Glenn J.K editors, (2002), The power and limists of NGO, Columbia University Press 2002, p.. 29

პარლამენტში ახორციელებენ მათთვის საინტერესო პროექტებზე დასკვნების, შენიშვნების მომზადებას, ასევე საზოგადოების ინფორმირებას მათ შესახებ, უმეტესწილად თვითონვე ამზადებენ კანონპროეტებს, დაგროვილ ექსპერტულ ცოდნას უზიარებენ სახელმწიფო ხელისუფლების წარმომადგენლებს.

მიუხედავად ქალთა ორგანიზაციების მიერ გაწეული ძალისხმევისა ქალთა დისკრიმინაციის პრობლემა საზოგადოებაში კვლავ აქტუალურია. "საქართველოში არსებული არასამთავრობო ორგანიზაციების, დაახლოებით 12% გენდერის თემაზე მუშაობს. შეიძლება ითქვას, რომ ეს რიცხვი არცთუ ისე მცირე, თუმცა მათ ხელთ არსებული რესურსი და გადაწყვეტილების მიღების ბერკეტი, არასაკმარისია მნიშვნელოვანი სოციალური ძვრების დასაწყებად." [12]

ზემოთ თქმულიდან გამომდინარე მნიშვნელოვანი და აქტუალურია იმის გარკვევა, თუ რამდენად ეფექტურად ასრულებენ ქალთა არასამთავრობო ორგანიზაციები დასახულ მიზნებს, რა ფაქტორები ახდენს აღნიშნულ პროცესზე ზეგავლენას და რა არის ის ძირითადი მიზეზები და წინააღმდეგობები, რის გამოც ქალთა ორგანიზაციების მიერ გაწეული ძალისხმევის მიუხედავად, გენდერული უთანასწორობის პრობლემის ადეკვატური შეფასება და მისი მოგვარების პრიორიტეტულ მიმართულებად გადაქცევა სახელმწიფო დონეზე ვერ ხერხდება.

აღნიშნული პრობლემის აქტუალობამ, მისმა არასაკმარისმა გაშუქებამ ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში, განაპირობა სადისერტაციო თემის შერჩევა და კვლევის მიმართულება.

კვლევის მიზანი და ამოცანები

კვლევის ძირითადი მიზანია გავაანალიზოთ და შევაფასოთ ქალთა ორგანიზაციების როლი და საქმიანობის ეფექტურობა სამოქალაქო საზოგადოების ფორმირების, ქალთა

[12] გენდერი და პოლიტიკა ქართულ სინამდვილეში, ათასწლეულის განვითარების მიზნები, 23.04.2013 ნანახია 23.06.2017 ვებ-გვერდზე: https://developmentgoals.wordpress.com/2013/04/23/gender/

ინტერესების დაცვისა და გენდერული თანასწორობის დამკვიდრების პროცესში, აგრეთვე განვსაზღვროთ ხელისუფლებაზე მათი ზეგავლენის ხარისხი და მოვახდინოთ იმ ფაქტორების იდენტიფიცირება, რომლებიც ხელს უწყობენ ან ხელს უშლიან აღნიშნულ პროცესს.

სადისერტაციო ნაშრომის ამოცანებია:

- საქართველოში სამოქალაქო საზოგადოების, მათ შორის ქალთა არასამთავრობო ორგანიზაციების ფორმირების ძირითადი ეტაპების და ამ პროცესში ქალთა ორგანიზაციების როლის განსაზღვრა

- ძირითადი სტრატეგიების შესწავლა და იდენტიფიცირება, რომელსაც იყენებს არასამთავრობო სექტორი და კერძოდ ქალთა ორგანიზაციები გადაწყვეტილების მიღების პროცესზე ზეგავლენის მოსახდენად

- ქალთა ორგანიზაციების მიერ განხორციელებული აქტივობების, მათ შორის, ადვოკატირების შესწავლა და ანალიზი

- ქალთა არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობის გარემოს ანალიზი და სახელმწიფო ხელისუფლებასა და ქალთა არასამთავრობო ორგანიზაციებს შორის ურთიერთობის პროცესში არსებული ტენდენციების გამოვლენა

- იმ ძირითადი წინააღმდეგობების და დაბრკოლებების ანალიზი, როლებსაც აწყდებიან ქალთა ორგანიზაციები მოღვაწეობის პროცესში

- ორგანიზაციული აქტივობის ეფექტურობის შეფასება დასახული მიზნების მიღწევის თვალსაზრისით.

ნაშრომის ძირითადი საკვლევი კითხვებია:

რა პირობებში ვითარდებოდა სამოქალაქო საზოგადოება საქართველოში და რა იყო მისი ფორმირების ხელისშემშლელი და ხელისშემწყობი ფაქტორები?

რამდენად მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს სამოქალაქო სექტორი, მათ შორის ქალთა არასამთავრობო ორგანიზაციების მოღვაწეობა სამოქალაქო საზოგადოებისა და, შესაბამისად, დემოკრატიის განვითარებაზე?

რა ძირითად სტრატეგიებს იყენებენ ქალთა ორგანიზაციები სახელმწიფოზე ზეგავლენის მოსახდენად და რა ფაქტორები განსაზღვრავენ ქალთა არასამთავრობო ორგანიზაციების მოღვაწეობის ეფექტურობას და რა ძირითად წინააღმდეგობებსა და პრობლემებს აწყდებიან ისინი?

ნაშრომის ჰიპოთეზა შეიძლება შემდეგნაირად ჩამოყალიბდეს:

- ქალთა ორგანიზაციების როლი სამოქალაქო საზოგადების ჩამოყალიბების პროცესში მეტად მნიშვნელოვანია, ვინაიდან პოლიტიკური ძალაუფლების და რესურსების არათანაბარი ხელმისაწვდომობის პირობებში, ისინი უზრუნველყოფენ ქალთა მიზნებისა და ინტერესების არტიკულაციისათვის საჭირო განსხვავებულ არხებს, სახელმწიფო დონეზე გენდერული დღის წესრიგის ჩამოყალიბებას, ახორციელებენ ადვოკატირების კამპანიას, ხელს უწყობენ ისეთი სამოქალაქო ღირებულებების დამკვიდრებას, როგორიცაა ქალთა სამოქალაქო აქტივობა, გენდერული თანასწორობა და სამართლიანობა. მათი საქმიანობის ეფექტურობაზე ზეგავლენას ახდენს საერთაშორისო მხარდაჭერაც.
- ძირითადი წინააღმდეგობები, რომლებსაც არასამთავრობო სექტორი, მათ შორის ქალთა არასამთავრობო ორგანიზაციები აწყდებიან არის მოსახლეობის მხრიდან ნდობის და მხარდაჭერის ნაკლებობა, უცხოურ დონორებზე ფინანსური დამოკიდებულება, ქალთა არასამთავრობო ორგანიზაციებსა და სამთავრობო დაწესებულებებს შორის ურთიერთობის ამბივალენტური ხასიათი - ერთის მხრივ დეკლარირებული მხარდაჭერა და მეორე მხრივ, პოლიტიკურ დიალოგში

ხელისუფლების მხრიდან არასრულყოფილი მონაწილეობა და არასაკმარისი პოლიტიკურ ნება რეალური ცვლილებების განსახორციელებლად.

ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ ნაშრომი მეტწილად მიზნად ისახავს მოცემული ჰიპოთეზების დასაბუთებას და ახსნას, ვიდრე მათ შემოწმებას, რისთვისაც თეორიულთან ერთად, გამოვიყენეთ ნახევრად სტრუქტურირებული ჩაღრმავებული ინტერვიუს ემპირიული **კვლევის მეთოდი** და გამოვკითხეთ ქალთა არასამთავრობო ორგანიზაციების ხელმძღვანელები და ექსპერტები.

თეორიული ჩარჩო

მოცემული კვლევის ძირითად თეორიულ საფუძველს წარმოადგენს დემოკრატიის და სამოქალაქო საზოგადოების ფორმირების დისკურსული, აგრეთვე გენდერის შესახებ თეორიები. აღნიშნული თეორიული მოდელის პირობებში განსაკუთრებული როლი ეკისრება არასახელმწიფოებრივი აქტორების,- არასამთავრობო სექტორის, განსაკუთრებით კი ქალთა არასამთავრობო ორგანიზაციების როლს ქალთა სამოქალაქო აქტივობის ამაღლების და სახელმწიფო ხელისუფლებასთან კომუნიკაციური მოქმედების გააქტიურების თვალსაზრისით.

"დისკურსი - ეს არის არგუმენტირებული პოზიციების, შეხედულებების გაცვლა გარკვეული წესების შესაბამისად, რომლის შედეგადაც მიიღება ზომები სოციალურად მნიშვნელოვანი პრობლემების გადასაჭრელად."[13] იგი გულისხმობს არა მხოლოდ დიალოგს, არამედ თანამშრომლობას, ოპონირებას, დარწმუნებას, მოლაპარაკების სხვადასხვა ფორმის გამოყენებას მოქალაქეების და მათ მიერ შექმნილი ასოციაციების მიერ. დემოკრატიის დისკურსული თეორიიდან გამომდინარე, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს გააჩნიათ პოტენციალი წარმოქმნან დისკურსული ურთიერთქმედების სივრცე, სადაც მათ ექნებათ შესაძლებლობა მონიტორინგი გაუწიონ გადაწყვეტილების მიღების პროცესს, განსაჯონ მოქალაქეთა საჭირბოროტო საკითხები და ხელი შეუწყონ მარგინალიზებული

[13] Котова А., Денисенко В. Делиберативная демократия, обзор концепции Ю. Хабермаса, III международная конференция “Право: современные тенденции (Краснодар, февраль 2016) Дата публикации: 04.02.2016, с. 67

ჯგუფების გაძლიერებას ისე, რომ მათაც შეეძლოთ ეფექტური მონაწილეობა."[14]აღნიშული თეორია ლეგიტიმურობას ანიჭებს მოქალაქეთა შესაძლებლობას აწარმოონ დისკუსია ხელისუფლებასთან საჯარო პოლიტიკის გადაწყვეტილებებზე ზეგავლენის მოსახდენად. მოცემული ნაშრომი ეყრდნობა სხვადსხვა თეორეტიკოსების მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ ერთ-ერთი მთავარი ფაქტორი, რომელიც გავლენას ახდენს კერძო ასოციაციებსა და სახელმწიფოს შორის არსებული დისკურსის ხარისხზე, არის ლეგალურად ინსტიტუციონალიზებული პროცედურები. კვლევა ძირითადად ფოკუსირებულია სამოქალაქო საზოგადოების, მათ შორის ქალთა ორგანიზაციების ინსტიტუციონალიზებული მექანიზმების ეფექტურობის შეფასებაზე.

წინამდებარე კვლევა ასევე მიმოიხილავს მსოფლიო გამოცდილების სხვადასხვა თეორიულ მოსაზრებებს. ავტორთა დიდი უმრავლესობა თანხმდება იმაზე, რომ სამოქალაქო საზოგადოება მოიცავს მოქალაქეთა საზოგადოებრივ აქტივობას, რომელიც არსებობს ოჯახური და ნათესაური კავშირების, სახელმწიფო ძალაუფლების მქონე და მოგებაზე ორიენტირებული ბიზნეს ინსტიტუტების მიღმა. ნაშრომში ვეყრდნობით სამოქალაქო საზოგადოების ერთ–ერთი ყველაზე გავრცელებულ, ემპირიულად და ამავე დროს თეორიულადაც გამოყენებად განმარტებას, რომელიც ლონდონის ეკონომიკური სკოლის სამოქალაქო საზოგადოების ცენტრს ეკუთვნის. მასში ნათქვამია, რომ „სამოქალაქო საზოგადოება ეხება გაზიარებული ინტერესების, მიზნების და ღირებულებების გარშემო ნებაყოფლობითი კოლექტიური მოქმედების არენას. თეორიაში მისი ინსტიტუციონალური ფორმები გამოყოფილია სახელმწიფოს, ოჯახის და ბაზრის ინსტიტუტებისაგან, თუმცა პრაქტიკაში ხშირად სამოქალაქო საზოგადოებას, სახელმწიფოს და ოჯახს შორის საზღვრები რთული, გაურკვეველი და შესათანხმებელია.“[15]

---

[14] Nanz and Steffek, Global governance, participation and the public sphere 2004, p. 315

[15] London Scool of Economics and Political Science, Public Accountability and Charity Commission's Datebase, L.2012

სამოქალაქო საზოგადოების ტრადიცია, თანამედროვე თეორია და პრაქტიკა, ცნების განსაზღვრის კონცეფტუალიზაცია და განვითარება, სათავეს იღებს ჯერ კიდევ არისტოტელეს პერიოდიდან. სამოქალაქო საზოგადოება საუკუნეების განმავლობაში წარმოადგენდა თეორიული დებატების საგანს სხვადასხვა ფილოსოფოსებისა და მოაზროვნეების წრეში, რომლებიც ცდილობდნენ წარმოედგინათ უკეთესი საზოგადოების პროექტი, განიხილავდნენ თუ როგორი უნდა ყოფილიყო ასეთი საზოგადოებრივი მოწყობა, მისი ბუნება და მახასიათებლები, მოქალაქეების უფლებები და მოვალეობები და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, როგორ უნდა მომხდარიყო კერძო და საზოგადოებრივი ინტერესების დაბალანსება. თეორეტიკოსები ცდილობდნენ ეპოვათ პასუხი ისეთ კითხვებზე, თუ როგორ უნდა ეცხოვრათ მოქალაქეებს ერთობლივად ცივილიზებული და სამოქალაქო წესით, შეემუშავებინათ საერთო წესები და ნორმები და ამავე დროს დაეცვათ მოქალაქეთა ინდივიდუალური ავტონომია. აღნიშნული საკითხების სხვადასხვა ინტერპრეტაციამ სამოქალაქო საზოგადოების დეფინიციათა სიმრავლე განაპირობა. ამდენად სამოქალაქო საზოგადოების განსაზღვრება და მისი მახასიათებლები ხშირად მოცემული პერიოდის ან გეოგრაფიული არეალის მიხედვითაც განსხვავდება.

სამოქალაქო საზოგადოების თეორია აქცენტს აკეთებდა მამაკაც აქტორებზე. "სამოქალაქო საზოგადოების კონცეპტი არ არის გენდერულად ნეიტრალური. როგორც ჯუდ ჰოუელი აღნიშნავს სამოქალაქო საზოგადოება განხილულია ისე, თითქოს გენდერი იყოს ირელევანტური, ასეთი უყურადღებობა კი პოტენციურად აძლიერებს იდეას, რომლის მიხედვითაც, ბუნებრივად საჯარო სფერო განკუთვნილია მამაკაცებისათვის, ხოლო კერძო სფერო - ქალებისათვის."[16] ნაშრომში მოცემულია სამოქალაქო საზოგადოების უფრო სპეციფიკური ანალიზი, გენდერული პერსპექტივიდან გამომდინარე, რომელიც შეიძლება ითქვას, რომ სამოქალაქო საზოგადოების ხშირად იგნორირებულ განზომილებას წარმოადგენს.

[16] Krause W., (2008), Women in Civil Society, The State, Islamism, and Networks in the UAE, Plagrave Macmillan , p.3

სამოქალაქო საზოგადოება ისეთი ფორმალური სტრუქტურების გარდა, როგორიცაა არასამთავრობო ორგანიზაციები, თავის თავში მოიცავს არაფორმალური გაერთიანებებსა და სხვადასხვა საზოგადოებრივ ქსელებს, რომლებიც ხელს უწყობენ სოციალური ნდობის ჩაამოყალიბებას და მოქალაქეების საზოგადოებრივ დისკუსიაში ჩართვას. არასამთავრობო ორგანიზაციები წარმოდგენილია, როგორც დამოუკიდებელი და ალტერნატიული აქტორები, რომელთაც შეუძლიათ დააბალანსონ ბაზრისა და სახელმწიფოს ძალაუფლება.[17] უფრო მეტიც, ისინი წარმოჩენილი არიან, როგორც ინსტრუმენტი, რომელსაც შეუძლია გამოავლინოს მარგინალიზებული ხალხის ხმა.[18]

როგორც მკვლევართა უმრავლესობა აცხადებს,[19] არასამთავრობო ორგანიზაციებმა შესაძლოა მთავრობაზე უფრო ეფექტურად მოახერხონ საზოგადოებაში არსებული გარკვეული პრობლემების გადაწყვეტა. შესაბამისად, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და სახელმწიფო ხელისუფლების ურთიერთქმედების საკითხი მეტად მნიშვნელოვანია საზოგადოებრივი განვითარებისათვის. როდესაც ეს ურთიერთობა არაა სტაბილური და ურთიერთშემავსებელი, საზოგადოებრივი განვითარება ფერხდება.

ქალთა ორგანიზაციებისა და სახელმწიფოს ურთიერთქმედების ანალიზისას ვეყრდნობით მოსაზრებას, რომ ერთის მხრივ, "სახელმწიფო არის ბრძოლის მხარე, ამავე დროს ის არის ერთობა, რომელსაც აქვს უნარი წარმოადგინოს შესაძლებლობათა სივრცე ქალთა მოძრაობისათვის."[20] "შეუძლებელია ქალთა ჯგუფების გაანალიზება იმ სტრუქტურებისა გარეშე, რომლებიც მათ ზღუდავენ და იმ დაწესებულებების გარეშე, რომლებიც განსაზღვრავენ გენდერული ურთიერთობებისა და ქალთა მოღვაწეობის სახეს სპეციფიურ კონტექსტში".[21] ამ თვალსაზრისით, ყველაზე მნიშვნელოვნად შეიძლება მივიჩნიოთ სახელმწიფოს როლი, რომელსაც გაჩნია პოტენციალი, კონკრეტული

[17] Edwards M, Civil Society, polity press, 2009; Tvedt 2006.
[18] Jordan & Tuijl 2000, Tvedt , 2006, p.89
[19] Edwards M, CivilSociety, polity press, 2009, Ehrenberg J, Civil Society, The critical History of an Idea, New York University Press, 1999, p.89

[20] Bedford & Rai, 2010: *1-2*; Rai & *Waylen*, 2014: 7
[21] იქვე, Bedford & Rai, 2010: *1-2*; Rai & *Waylen*, 2014: 7

რეგულაციებისა და რეფორმების მეშვეობით შეცვალოს არსებული გენდერული წესრიგი, ისევე როგორც ხელი შეუწყოს მის შენარჩუნებას. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ ამ ურთიერთობის ხასიათი დიალექტიკური იმდენად, რამდენადაც ქალთა ორგანიზაციები, ერთის მხრივ, სახელმწიფოსთან თანამშრომლობის გზით ცდილობენ საკუთარი მიზნებისა და ინტერესების განხორციელებას, ხოლო მეორეს მხრივ, ისინი მოქმედებენ სახელწიფოს წინააღმდეგ, კონფლიქტში შედიან მასთან, ცდილობენ აიძულონ შეცვალონ არსებული გენდერული როლები და სოციალური წესრიგი.

მეცნიერული სიახლე

მოცემული კვლევა ორიენტირებულია ქალთა ორგანიზაციების როლისა და ფუნქციების განხორციელების შეფასებაზე, ამიტომ სამოქალაქო საზოგადოების მრავალრიცხოვანი კონცეფციებიდან აქცენტი გავაკეთეთ ედუარდსის სამოქალაქო საზოგადოების მოდელზე, რომელსაც საფუძვლად უდევს მის მიერ შემუშავებული სამოქალაქო საზოგადოების სამი როლი: სამოქალაქო საზოგადოება, როგორც ასოციაციური ცხოვრება, კარგი საზოგადოება და საჯარო სფერო.[22] სამოქალაქო საზოგადოების აღნიშნული მოდელი შეიძლება ჩაითვალოს ყველაზე ოპტიმალურად, ვინაიდან ის ეყრდნობა თვალსაჩინო და გაზომვად პარამეტრებს. სამოქალაქო საზოგადოების ფუნქციების დიფერენციაცია და ანალიზი იძლევა მეტ შესაძლებლობას და პოტენციალს სამოქალაქო ორგანიზაციების ინიციატივების, პროგრამების და საქმიანობის უკეთ შეფასებისათვის. ასეთი სახის კვლევა ნამდვილად წარმოადგენს სიახლეს საქართველოს პოლიტიკის მეცნიერებში.

ედუარდსის სამოქალაქო საზოგადოების მოდელი შეიძლება შემდეგნაირად განვსაზღვროთ: ასოციაციური ცხოვრება მოიცავს სოციალიზაციის ფუნქციის განხორციელებას, რომელსაც ტოკვილი "დემოკრატიის სკოლად" მოიხსენიებს. [23]კარგი

[22] Edwards M, Civil Society, polity press, 2009, p.67

[23]ტოკვილი ა. დემოკრატია ამერიკაში, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2011, gv.45

საზოგადოება - ტოლერანტობას და სამოქალაქო ნორმებს, ხოლო საჯარო სფერო გულისხმობს ჰაბერმასისეულ საჯარო კომუნიკაციის ფუნქციას.

ნაშრომში წამოწეულია სამოქალაქო საზოგადოების, როგორც საჯარო სფეროს როლი, ვინაიდან აღნიშნული როლი ხდება ცენტრალური, როდესაც საქმე ეხება ოპტიმალური გამოსავლის გზების ძიებას და კონკრეტული საკითხების შესახებ გადაწყვეტილების მიღების აუცილებლობას.[24] ნაშრომი ეფუძნება მოსაზრებას, რომ არასამთავრობო ორგანიზაციების ძირითადი მიზანია „უზრუნველყოს ის არხები, რომელის მეშვეობით მოსახლეობის უმეტესობა შეძლებს ხმა მიაწვდინოს ხელისუფლებას გადაწყვეტილების მიღების პროცესში, დაიცვას და განავითაროს თავიანთი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებები“[25] შესაბამისად, არასამთავრობო ორგანიზაციებისათვის საქმიანობის ძირითადი მიმართულება სახელმწიფოზე ზეგავლენის მოხდენაა, რომელსაც პოლიტიკის ადვოკატირების გზით ახორციელებს. არასამთავრობო ორგანიზაციებს შეუძლიათ ზეგავლენა მოახდინონ და გარკვეულ შემთხვევებში შეცვალონ კიდეც მთავრობის პოლიტიკა ადვოკატირებისა და ლობირების გზით.

ადვოკატირება მიმართულია გარკვეულ სფეროში დამკვიდრებული პრაქტიკის ან განსაზღვრული პოლიტიკის შესაცვლელად. მისი მიზანი არის სოციალური უსამართლობის და მარგინალიზაციის აღმოფხვრა. ადვოკატირება მოიცავს ასევე ლობირებას და გადაწყვეტილების მიმღებ რგოლზე ერთგვარი ზეწოლის მოხდენას. ის ასევე შესაძლოა უზრუნველ ყოფდეს სახელმწიფო ძალაუფლების კონტროლის ფუნქციას და სახელმწიფო ანგარიშვალდებულების მექანიზმს. "ადვოკატირების კონცეპტი NGO სექტორში შემოვიდა, როგორც სტრატეგია და ინსტრუმენტი პოლიტიკური და ინსტიტუციონალური, ასევე ხანგრძლივი სოციალური ცვლილებების ხელშესაწყობად."[26]

---

[24] Edwards M, Civil Society, polity press, 2009, გვ. 14

[25] Edwards M, Civil Society, polity press, 2009, p. 15

[26] Paudel, Meena. 2003. Violence Against Women (VAW) in the Bhutanese Refugee Camps in Nepal. M.A. Thesis, Sociololgy, TU, p.60

დისციპლინათაშორისი მიდგომის გათვალისწინებით, ჩვენს მიერ გამოყენებული ლიტერატურის ბაზას კომპლექსური ხასიათის ნაშრომები - პოლიტიკური, სოციოლოგიური კვლევები, სამართლებრივი, ფსიქოლოგიური და სხვ. ხასიათის ნაშრომები წარმოადგენს, რომლებშიც გაშუქებულია სამოქალაქო საზოგადოების ფორმირების და მასში გენდერული ასპექტის და ქალთა აქტივობის განვითარების ძირითადი ისტორიული ეტაპები და ქალთა ქცევის სოციალური და პოლიტიკური თავისებურებები.

საყურადღებო წყაროს წარმოადგენს, აგრეთვე სხვადასხვა კონფერენციების, „მრგვალი მაგიდები", კონვენციები, ნორმატიული აქტები, პარლამენტის დადგენილებები, პერიოდულ და სამეცნიერო გამოცემებში გამოქვეყნებული სტატიები, რომლებიც შეიცავენ ინფორმაციას სამოქალაქო საზოგადოების და ქალთა არასამთავრო ორგანიზაციების აქტივობისა და როლის შესახებ დემოკრატიზაციისა და გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის პროცესში, აგრეთვე საზოგადოებრივი განწყობების ანალიზის შესახებ.

წყაროთა მნიშვნელოვან ჯგუფს შეადგენს დასავლელი მეცნიერების - არისტოტელეს, ა. დე ტოკვილის, თ. ჰობსის, ჯ. ლოკის, დ. კოლას, ჟ.ჟ. რუსოს, თ. ფეინის, მ. ედვარდსის, კ. მარქსის, ლ. დაიმონდის, ჯ.ლინცის, ა. სტეფანის, მ. ჰოვარდი, ჯ. ერენბერგი და სხვ. ნაშრომები, რომლებიც რეტროსპექტულად გადმოგვცემენ სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბების ძირითად ეტაპებს, განსაკუთრებულად არის გამახვილებული ყურადღება იმ წყაროების დამუშავებაზე, სადაც გადმოცემულია სამოქალაქო საზოგადოების გენდერული ასპექტი. ეს გახლავთ ბ. ფრიდანის, ჯ. ლორბერის, ქ.მილეთის, ს.ალვარესის, რ. შირინის, კ.ჰაგემანის, ნ. ჩომსკის და სხვათა ნაშრომები.

თეორიული წყაროების შემდეგი ჯგუფი დაკავშირებული იყო ქართული პრობლემატიკის სპეციფიკასთან დაკავშირებულ ნაშრომებთან და მოიცავდა ისეთ ავტორებს როგორიც არიან, ი.ჭავჭავაძე, ნ. ნიკოლაძე, ი. გოგებაშვილი, თ. სახოკია, ნ. ჩიხლაძე, აგრეთვე მ. მუსხელიშვილის, თ. კიკნაძის, ნ, დონაძის, ლ. გაფრინდაშვილის, ე. რუსეცკის, ჩ. ჯაშის, თ. ბაგრატიას, ლ. ნადარაიას, დ. ხომერიკის, თ. ჯაფარიძის. და სხვ.

კვლევები, რომლებიც მიზნად ისახავდა ქალთა ორგანიზაციების საჭიროებების გამოვლენას და ორიენტირებული იყო ამ ორგანიზაციების უცხოურ ფონდებთან და დონორ ორგანიზაციებთან ურთიერთობებისა და მათი საქმიანობის ეფექტურობის შეფასებაზე

დისერტაციაში წარმოდგენილია, აგრეთვე სოციოლოგიური კვლევა, ჩაღრმავებული ინტერვიუების სახით, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ქართული სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებმა და გენდერის სფეროს ექსპერტებმა, გ. ხონელიძემ, ლ. ნადარაიამ, ნ. გოგოხიამ, ი. ალავიძემ, თ. ბაგრატიამ, ე. რუსეცკიმ.

დისერტაციის თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა ძალზე არსებითია, რადგანაც საზოგადოების დემოკრატიზაციის პროცესში სამოქალაქო საზოგადოების და კერძოდ, ქალთა არასამთავრობო ორგანიზაციების როლის განსაზღვრა და მათი აქტივობის შესწავლა გენდერული თანასწორობის მიღწევის ამოცანაში საკმაოდ მნიშვნელოვანია. ამ შესწავლისა და კვლევის შედეგად გამოტანილი დასკვნები და რეკომენდაციები საშუალებას იძლევა გაგებული და გააზრებული იქნას ქალთა ორგანიზაციების როლი სამოქალაქო საზოგადოების ფორმირებისა და შემდგომი დემოკრატიზაციისა პროცესში.

საქართველოში არსებითად იცვლება სამოქალაქო საზოგადოების სტრუქტურა და გენდერული თანასწორობა მისი შემადგენელი კომპონენტი ხდება. ჩვენი ნაშრომის საფუძველზე შეიძლება ჩატარდეს ხსენებული პრობლემის უფრო ღრმა და სერიოზული შესწავლა, მომზადდეს სასწავლო და სპეციალური კურსები. კვლევის მასალები შეიძლება გამოყენებულ იქნას სამოქალაქო საზოგადოებასთან და გენდერულ საკითხებთან დაკავშირებით სახელმწიფო პოლიტიკის პრინციპების შემუშავებისას, შესაბამისი საკანონმდებლო აქტების მომზადებისას.

შეიძლება ითქვას, რომ ჩვენს დისერტაციაში არსებული მასალები და განზოგადებანი, სავარაუდოდ, შეავსებს ქართულ პოლიტიკურ მეცნიერულ ლიტერატურაში სამოქალაქო აქტივობისა და გენდერულ სფეროში არსებულ სიცარიელეს.

დისერტაციის სტრუქტურა

წარმოდგენილი დისერტაცია შედგება შესავლის, სამი თავის, დასკვნის და გამოყენებული ლიტერატურის სიისაგან.

I. სამოქალაქო საზოგადოების და მისი გენდერული მახასიათებლის თეორიულ-მეთოდოლოგიური ასპექტი

1.1.სამოქალაქო საზოგადოების განვითარების თეორიული საფუძვლები და ისტორიული ეტაპები

დღეს სამოქალაქო საზოგადოება პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური განვითარების ინსტრუმენტად ითვლება, ამიტომაც საზოგადოების პრობლემებზე მსჯელობისას ეს სიტყვათშეთანხმება ყველაზე უფრო ხშირად გვხვდება. .ერთი მხრივ, სამოქალაქო საზოგადოება ფილოსოფიური კატეგორიაა, მაგრამ მას დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგანაც იგი სამართლებრივი სახელმწიფოს არსებობის საფუძველია. თანამედროვე საზოგადოების ბედი მეტწილად დამოკიდებულია ძლიერი სამოქალაქო საზოგადოების ფორმირებაზე. სწორედ ძლიერი სამოქალაქო საზოგადოების ფორმირება წარმოადგენს დემოკრატიული განვითარების ქვაკუთხედს.

შეხედულებებმა და წარმოდგენამ სამოქალაქო საზოგადოების შესახებ ხანგრძლივი ევოლუცია განიცადა. თვით ტერმინ „სამოქალაქო საზოგადოებ-“ის ინტენსიური გამოყენება XVIII საუკუნიდან დაიწყო. მანამდე სამეცნიერო რიტორიკაში ეს ტერმინი არ იხმარებოდა, რადგანაც სახელმწიფო და საზოგადოება ერთიან, განუყოფელ ცნებად აღიქმებოდა.

სამოქალაქო საზოგადოების ფორმირების ისტორიას ჯერ კიდევ ანტიკურ ხანამდე მივყავართ. ანტიკური ხანის მოაზროვნეებისთვის „სახელმწიფო“, „სამოქალაქო საზოგადოება“ ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებულ, სინონიმურ ცნებებად აღიქმებოდა. „პოლიტიკურში“, მოიაზრებოდა ცხოვრების ყველა მნიშვნელოვანი სფერო და ამიტომაც საზოგადოება სახელმწიფოს განუყოფელ ნაწილს წარმოადგენდა და მასთან ერთად პოლიტიკურ სივრცეს ქმნიდა. ამის აშკარა დადასტურებაა პლატონის თეორია ეიდოსის (სახელმწიფოს იდეა) შესახებ.

თუ დომინიკ კოლას „პოლიტიკურ სოციოლიგიას“ დავესესხებით, არისტოტელესთვის სამოქალაქო საზოგადოება იგივეა, რაც „პოლიტიკური ერთობა“ [27]

არისტოტელესთვის სამოქალაქო საზოგადოება, ქალაქი, ნებისმიერი სხვა სახის ასოციაციაზე მაღლა დგას, ვინაიდან მოიცავს ყველა სხვა ასოციაციას (ოჯახი, საძმო, სამუშაო ჯგუფი) და ისახავს არა განსაკუთრებულ, კერძო, არამედ ყველასათვის საერთო მიზანს. სამოქალაქო საზოგადოების მიზანი არის ყველას ინტერესი და ეს მიზანი მაღლა დგას ყველა დანარჩენ მიზანთან შედარებით. ამასთან ქალაქი, სამოქალაქო საზოგადოება არის ის ადგილი, სადაც ხდება სამართლიანობის გამიჯვნა უსამართლობისგან. ამგვარად, სწორედ აქ წარმოჩინდება ადამიანი ყველაზე დიდი სიმაღლით.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, დაწყებული არისტოტელედან და დამთავრებული რუსოთი, ორი ტერმინი, რომელიც დღეს ესოდენ ხშირადაა დაპირისპირებული - ,,სახელმწიფო“ და ,,სამოქალაქო საზოგადოება“ - დიდხანს სინონიმებს წარმოადგენდნენ, სანამ არ მოხდებოდა ამ ცნებების დაშორიშორება.[28]

აღსანიშნავია, რომ ტერმინი “socieas civilis”- სამოქალაქო საზოგადოება ჯერ კიდევ რომის სამართლის პერიოდიდან გვხვდება. მას იყენებდა რომის პოლიტიკური მოღვაწე, იურისტი და ცნობილი ორატორი ციცერონი. რომაელები თვლიდნენ რომ თვით სახელმწიფო იყო სამოქალაქო საზოგადოების წარმოშობის და მისი გარკვეული ფორმით არსებობის მიზეზი.

შუა საუკუნეებში სამოქალაქო საზოგადოების თეორიის განვითარებაში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ნეტარი ავგუსტინეს შეხედულებებმა. მან ერთმანეთს დაუპირისპირა ამქვეყნიური და ღვთის ქალაქის საზოგადოებები. ღვთის ქალაქს რომელსაც იგი წმინდა „რესპუბლიკად“ მიიჩნევდა და ფიქრობდა, რომ აქ ადამიანებს ეყვარებათ ერთმანეთი და ეყვარებათ ღმერთი. მაგრამ ავგუსტინე არ თვლის, რომ

[27] დომინიკ კოლა, პოლიტიკური სოციოლოგია. თბილისი, 1999, თავი X: სახელმწიფო და სამოქალაქო საზოგადოება, გვ. 205-228

[28] სამოქალაქო საზოგადოება: შედარებითი ანალიზი, ღია საზოგადოება, ფონდი საქართველო, 2007, გვ.6

ადამიანებმა უნდა მიატოვონ ამქვეყნიური ქალაქი. მიწიერ „რესპუბლიკაში“ მეტ-ნაკლებად შეიძლება არსებობდეს სამართლიანი წესრიგი. გარკვეულ პირობებში მიწის - ამქვეყნიური ქალაქი შეიძლება ღვთის ქალაქის არასრულყოფილი მსგავსება იყოს. ამქვეყნიურ საზოგადოებებს შორის ასეთებად შეიძლება ჩაითვალოს ის საზოგადოებები, რომლებიც უზრუნველყოფენ მშვიდობას და გააკონტროლებენ ძლევამოსილებისაკენ (libido dominandi) სწრაფვას. ამასთან ქრისტიანი შეიძლება იყოს აქტიური მოქალაქე - ჯარისკაცი, მოსამართლე ან იმპერატორი. ექვემდებარება რა ქალაქის ცხოვრებას, იგი რწმენას არ ღალატობს.[29] ბუნებრივია, რომ ავგუსტინეს აზრით, სახელმწიფო ეკლესიას უნდა ემსახურებოდეს.

საზოგადოებრივ-ეკონომიკური ურთიერთობების შემდგომმა განვითარებამ სამოქალაქო საზოგადოების შესახებ მეცნიერთა შეხედულებების ტრანსფორმაცია განაპირობა. სამოქალაქო საზოგადოების ანტიკური მოდელისაკენ დაბრუნება იწყება ახალ დროს, როდესაც იგი დიდი მოაზროვნეების კვლევის და გააზრების ობიექტი ხდება. XYI-XYII საუკუნეების მიჯნაზე ნ.მაკიაველის, უ. გროციუსის, თ. ჰობსის, ჯ. ლოკის, შ. მონტესკიეს, ჟ.ჟ. რუსოს შრომებში სამოქალაქო საზოგადოებაზე ლაპარაკი შეიძლებოდა ყოფილიყო მხოლოდ იმ სახელმწიფო მოწყობის ფარგლებში, რომელსაც ბუნებით-სამართლებრივი, ხელშეკრულებითი საფუძველი ქონდა. თ. ჰობსი და ჯ. ლოკი სამოქალაქო საზოგადოებას საზღვრავდნენ ბუნებით მდგომარეობასთან დაპირისპირების ჭრილში, სადაც ჰობსის აზრით, საზოგადოება არის „ყველას ომი ყველას წინააღმდეგ“ ბრძოლის არენა, რომელიც მოითხოვს სახელმწიფო-ლევიათანის ძლევამოსილებას, რათა მოთოკოს თავისი ქვეშემრდომების დაპირისპირება. მშვიდობიანი წესრიგი, რომელიც სახელმწიფოს მიერ არის უზრუნველყოფილი არის სწორედ სამოქალაქო საზოგადოება. ჰობსის მიხედვით, სამოქალაქო საზოგადოება ამ ომის დამთავრების და ყოვლისშემძლე პოლიტიკური ძალაუფლების დამყარების გზით,

[29] Saint Augustine of Hippo *The City of God*. Translation by William Babcock, notes by Boniface Ramsey. Hyde Park, NY: New City Press, 2012, pg. 57

ადამიანში ჰუმანურობის განვითარების საშუალებაა, რომელიც ყველაფერთან ერთად, არ იძლევა იმის საშუალებას, რომ ადამიანს შეეზღუდოს თავისუფლება.

თ. ჰობსი ხაზს უსვამს, რომ სახელმწიფოს ძალაუფლება შეუზღუდავია. ყველაფერი, რაც სახელმწიფოს მმართველობაში უწყობს ხელს სიკეთეა და სამართლიანი. ყველაფერი ის, რაც ქვეშევრდომებს აძლევს საშუალებას შეეცილოს სახელმწიფოს ძალაუფლებაში ან გაუწიოს წინააღმდეგობა, - ეს ბოროტება და უსამართლობაა. ქვეშევრდომებს არც ხელისუფლების შეცვლის და არც უმაღლესი ხელისუფალის არჩევის უფლება არა აქვთ. ჰობსისთვის მიუღებელია ხელშეკრულების საფუძველზე მიღებული ხელისუფლების შეზღუდვის ან ამ ხელშეკრულების გაუქმების საფუძველზე მიღებული პარლამენტარიზმის თეორია.

ჰობსის მოდელის მიხედვით, სამოქალაქო საზოგადოება და სახელმწიფო სინონიმებია. უმცირესობას განსხვავებული შეხედულებები არ შეიძლება ქონდეს, მაგრამ უმრავლესობასაც არა აქვს უფლება ბრალი დასდოს ხელისუფლებას არასამართლიან და არასწორ მოქმედებებში, რადგანაც მას ამის კანონიერ უფლება არა აქვს. საინტერესოა, რომ თ. ჰობსს მიაჩნია, რომ მართებულია მხოლოდ მოქალაქეთა ინდივიდუალური წინააღმდეგობა იმ შემთხვევაში, თუ სახელმწიფო მათ ბუნებით უფლებებს არღვევს ან თავისი მოქმედებებით ხელყოფს მის სიცოცხლეს. ყოველი კოლექტიური წინააღმდეგობა სახელმწიფო ძალადობის მიმართ მკაცრად აკრძალულია, რადგანაც პოტენციურად საფრთხეს უქმნის პოლიტიკური სხეულის არსებობას და მდგრადობას. [30] მხოლოდ იქ, სადაც უზენაესი ხელისუფალნი კარგავენ თავიანთი ქვეშევრდომების დაცვის უნარს, ამ უკანასკნელთ შეუძლიათ თვითგადარჩენის მიზნით, სახელმწიფოს საწინააღმდეგოდ გამოიყენონ კოლექტიური სამართალი[31]

სახელმწიფოს არსებითი თავისებურება, უსაფრთხოებას უზრუნველყოფისთვის, არის მისი უფლება გადაწყვიტოს თუ რა არის აუცილებელი მშვიდობის აღდგენისა და

[30] Гоббс, Т. Левиафан, или материя, форма и власть государства церковного или гражданского // Гоббс, Т. Соч.: в 2 т. – М., 1991
[31] (იქვე გვ.185)

შენარჩუნებისთვის როგორც ქვეყანაში, ისე მის ფარგლებს გარეთ. თ. ჰობსს მიაჩნია, რომ ეს არის მისი მონოპოლური უფლება და იგი არ შეიძლება იყოს გადაცემული ქვეშევრდომებზე, რამეთუ არცერთ სამოქალაქო საზოგადოებას არ შეუძლია იარსებოს სახელმწიფო ხელისუფლებაში არსებული განხეთქილების პირობებში, რადგანაც ბუნებრივ ვნებათაღელვებს აუცილებლად მივყავართ სამოქალაქო ომამდე. ჰობსი სულაც არ არის განუკითხავი ხელისუფლების მომხრე. მისი აზრით, უზენაესი ხელისუფლება ყოველთვის უნდა იყოს შეთანხმებული „ბუნებით კანონებთან“, რომლებიც კრძალავენ სიცოცხლის ხელყოფას და მისი მხარდაჭერის საშუალებებს [32]

აღსანიშნავია, რომ სამოქალაქო საზოგადოების პირობებში იგი მსჯელობს პირად სფეროზე, რომელშიც ქვეშევრდომები გარკვეული თავისუფლებებით სარგებლობენ. ეს არის საქმიანობის ის სფეროები, რომელსაც სუვერენი არ კრძალავს. მაგალითად, ინდივიდების თავისუფლება „გაყიდონ და იყიდონ და სხვა სახით დადონ ერთმანეთთან ხელშეკრულებები, აირჩიონ თავისი ცხოვრების ადგილი, საკვები, ცხოვრების წესი, აღზარდონ შვილები თავისი შეხედულებისამებრ და ა. შ.[33] ყველა ეს სფერო ქმნის პირადი თავისუფლების სფეროს, რომელიც სუვერენისთვის მიუწვდომელია. ე. წ. „კანონის უტყვობის“ გამო, ქვეშევრდომებს შეუძლიათ ხელშეკრულებების გაფორმება და გაერთიანებების შექმნა, რომელსაც ჰობსი უწოდებს „ლიგებს“, „პირად სხეულებს“, „კორპორაციებს“, „საზოგადოებებს“[34]ისიც აღსანიშნავია, რომ ეს დაშვება უფრო ფორმალურ ხასიათს ატარებს, ვიდრე რეალურს. ხელისუფლება აკვირდება ცხოვრების ყველა სფეროს, აკონტროლებს და მიმართავს თავის ქვეშევრდომებს.

ერთერთი პირველი, ვინც დაფიქრდა სახელმწიფო ხელისუფლების შეუზღუდავ ძალაუფლებაზე, იყო ჰობსის თანამემამულე ჯონ ლოკი. ნაშრომში „სამოქალაქო მმართველობის ჭეშმარიტი წარმოშობის, მოქმედების სფეროსა და მიზნების შესახებ“ (1689) მან გამოთქვა აზრი აბსოლუტური ძალაუფლებისა და პირადი თავისუფლების

[32] Гоббс, Т. Левиафан, или материя, форма и власть государства церковного или гражданского // Гоббс, Т. Соч.: в 2 т. – М., 1991 **გვ. 122**
[33] იქვე, გვ. 165
[34] იქვე, გვ.173.

შესახებ. მაგ. ლოკი თვლიდა, რომ არ შეიძლება მონარქიის და სამოქალაქო საზოგადოების შეთავსება და, შესაბამისად, მონარქიული წყობა არ შეიძლება წარმოადგენდეს სახალხო მმართველობას.

ჰობსისა და ლოკის შეხედულებებს შორის, უდავოდ, ბევრი მსგავსებაა, თუნდაც იმაში, რომ სახელმწიფოს მთავარი დანიშნულებად ისინი ადამიანებს შორის კონფლიქტის შეზღუდვას თვლიან. ორივე მათგანთან მდგომარეობა, რომელიც პოლიტიკური სიმშვიდეს უზრუნველყოფს, სამოქალაქო პოლიტიკურ მდგომარეობად იწოდება. სამოქალაქო საზოგადოება - ეს არის მდგრადი ურთიერთობების კომპლექსი „თავისუფალ, თანასწორ და დამოუკიდებელ“ ინდივიდებს შორის, რომელთა ქონებაც (ამ სიტყვის ფართო გაგებით) პოლიტიკურად არის დაცული, ანუ ამ ინდივიდების სახელმწიფოსადმი დაქვემდებარების გამო, რომელსაც მონოპოლიზებული აქვს კანონების შექმნის, გატარების და შესრულების პროცესი.[35] ამასთან ერთად, მოქალაქეების ინტერესებიდან გამომდინარე, სახელმწიფო ხელისუფლების შეზღუდვის შესახებ შეხედულებებში, ჰობსთან შედარებით, მას სულ ცოტა ორი განსხვავებული იდეა აქვს. უპირველეს ყოვლისა, ჯ. ლოკი არ თვლის რომ ომი საზოგადოების ბუნებრივი მდგომარეობაა. ადამიანებს აქვთ თანდაყოლილი მიდრეკილებები - შექმნან დიდი გაერთიანებები, რომელთაც საზოგადოებები ეწოდება. მისი აზრით, პატრიარქალური ოჯახი ბუნებითი სოლიდარობის საწყის და ყველაზე უფრო ფუნდამენტურ ფორმას წარმოადგენს.[36] ბუნებრივი მდგომარეობა არ არის განუკითხავი თავისუფლება და ძალადობა. ინდივიდებს აქვთ მიდრეკილება გარკვეული ბუნებრივი კანონების შესაბამისად მოიქცნენ, რომლებიც კრძალავენ ძალადობას, ნგრევას და მთლიანობაში მათ უბიძგებენ პატივი სცენ ერთმანეთის ქონებას და შეინარჩუნონ მშვიდობა. ასე, რომ სახელმწიფო განიხილება, არა როგორც ბუნებითი მდგომარეობის სრული უარმყოფი, არამედ როგორც საშუალება ბუნებითი, არასრული სოციალური ყოფის

[35]John Locke, Two Treatises of Government, from The Works of John Locke. A New Edition, Corrected. In Ten Volumes. Vol. V. London: Printed for Thomas Tegg; W. Sharpe and Son; G. Offor; G. and J. Robinson; J. Evans and Co.: Also R. Griffin and Co. Glasgow; and J. Gumming, Dublin. Prepared by Rod Hay for the McMaster University Archive of the History of EconomicThought. P.161

[36] იქვე, გვ. 163

გაუმჯობესებისთვის. სახელმწიფო მოწოდებულია დაიცვას, გამოასწოროს და, შესაბამისად, „სრულყოს“ ბუნებითი საზოგადოება.

მეორეს მხრივ, ლოკი უარყოფს უზენაესი ხელისუფლების აბსოლუტურობას. მისთვის მისაღებია კანონის უზენაესობა. სამოქალაქო საზოგადებაში ყველა უნდა ემორჩილებოდეს კანონს. ის ხაზს უსვამს იმას, რომ უნდა არსებობდეს „ერთი კანონი მდიდარის და ღარიბის, მეფის კარის ფავორიტისა და უბრალო გლეხისთვის“. [37] ამ შეხედულებების გამო, ლოკს სრულიად სამართლიანად თვლიან კონსტიტუციური სახელმწიფოს თეორიის ფუძემდებლად. ის დასაშვებად თვლის კანონმდებლების არჩევას, რომელსაც უზენაეს ხელისუფლებას უთანასწორებს. თუ ხელისუფლებაში მყოფმა ადამიანებმა, რომლებიც გადაწყვეტილებას იღებენ, დაკარგეს ადამიანების ნდობა, რომლებიც მოქალაქის უფლებებით სარგებლობენ, ეს უკანასკნელნი თავისუფლდებიან ვალდებულებებისაგან სახელმწიფოს ხელისუფლების წინაშე. მათ შეუძლიათ დაამყარონ ახალი პოლიტიკური ხელისუფლება, თუნდაც აჯანყების გზით.

ლოკი იცავს ადამიანების უფლებას სიცოცხლეზე, თავისუფლებაზე და საკუთრებაზე, რომელსაც ადამიანებს ვერ წაართმევ, თუ ამაზე არ არის მოქალაქეთა უმრავლესობის თანხმობა. და ბოლოს, იგი ოჯახს მიაკუთვნებს ბუნებით საზოგადოების ელემენტებს და, ამდენად თვლის, რომ სუვერენს ოჯახის საქმეებში ჩარევის უფლება არა აქვს. პატრიარქალურ ოჯახში მამაკაცს „ბუნებითი სამართალის მიხედვით“ , აქვს აბსოლუტური უფლება „თავის“ ცოლებზე, ბავშვებზე და მსახურებზე.[38]

---

[37] John Locke, Two Treatises of Government, from The Works of John Locke. A New Edition, Corrected. In Ten Volumes. Vol. V. London: Printed for Thomas Tegg; W. Sharpe and Son; G. Offor; G. and J. Robinson; J. Evans and Co.: Also R. Griffin and Co. Glasgow; and J. Gumming, Dublin. Prepared by Rod Hay for the McMaster University Archive of the History of EconomicThought. გვ. 168

[38] John Locke, Two Treatises of Government, from The Works of John Locke. A New Edition, Corrected. In Ten Volumes. Vol. V. London: Printed for Thomas Tegg; W. Sharpe and Son; G. Offor; G. and J. Robinson; J. Evans and Co.: Also R. Griffin and Co. Glasgow; and J. Gumming, Dublin. Prepared by Rod Hay for the McMaster University Archive of the History of EconomicThought. P.168

და, მაინც, თანამედროვე სამოქალაქო საზოგადოების ისტორია სათავეს XVIII საუკუნიდან იღებს. და ამას თავისი ახსნაც შეიძლება ქონდეს: თუ სამოქალაქო საზოგადოება ბურჟუაზიული ურთიერთობების ნაყოფია, მისი განვითარების ისტორიაში სწორედ XVIII საუკუნეში გადაიდგა მნიშვნელოვანი ნაბიჯები. ეს პროცესი განმანათლებლობის ეპოქაში ყველაზე ნათლად დაინახა და გაანალიზა დიდმა განმანათლებელმა და დემოკრატმა ჟან-ჟაკ რუსომ. სწორედ მან პირველმა წამოაყენა იდეა სამოქალაქო საზოგადოებისა და დემოკრატიის ერთიანობის შესახებ, როგორც მმართველობის ერთადერთ მართებულ ფორმაზე. თავის ნაშრომში „უთანასწორობის მიზეზების შესახებ“ (1754), იგი თვლის, რომ საკუთრება არის უთანასწორობის ძირითადი მიზეზი, და, ამავდროულად, სამოქალაქო საზოგადოების საფუძველი. „პირველი, ვისაც თავში მოუვიდა შემოეღობა მიწის ნაკვეთი ეთქვა „ეს ჩემია“ და იპოვნა გულუბრყვილო ადამიანები, რომლებმაც ეს დაიჯერეს, არის სამოქალაქო საზოგადოების ნამდვილი დამაარსებელი“.[39]

ისევე როგორც თ. ჰობსთან, რუსოსთანაც სამოქალაქო საზოგადოება ბუნებით მდგომარეობას უპირისპირდება. ეყრდნობა რა სახელშეკრულებო თეორიას, იგი ვარაუდობს, რომ სწორედ სამოქალაქო საზოგადოების პირობებში წარმოიშობა სახელმწიფო, რომლის საფუძველიც არის ხელშეკრულება მდიდრებსა და ღარიბებს შორის, და რომელიც კონფლიქტს კი არ ქმნის, არამედ საზოგადოების თვითორგანიზების დიალოგურ-დემოკრატიულ ფორმას წარმოადგენს. საზოგადოებრივი ხელშეკრულების ძირითადი მიზანია ადამიანთა გაერთიანების ისეთი ფორმის მოძებნა, რომელიც გაერთიანებული ძალით დაიცავს პიროვნებას და თითოეული ადამიანის საკუთრებას, ამასთან თითოეული მათგანი დარჩება თავისუფალი. ყველა ადამიანი, რომელიც ასეთი სახის გაერთიანებაში გაწევრიანდება, უნდა იყოს მოწოდებული დაიცვას

[39] Руссо, Ж.-Ж. О причинах неравенства. – М, 1907, გვ.68

საზოგადოებრივი მთლიანი. სამაგიეროდ თითოეული ადამიანი იძენს „სამოქალაქო თავისუფლებას და უფლებას კერძო საკუთრებაზე. [40]

ასხვავებდა რა მმართველობის სამ ძირითად ფორმას (დემოკრატიული, არისტოკრატიული და მონარქიული), რუსო მიიჩნევდა, რომ სწორედ მმართველობის დემოკრატიულ ფორმაში, მართველობითი ფუნქციები მთლიანად ხალხს, ან მის ნაწილს ეკისრება. სწორედ ხალხის მიერ არჩეული მცირე ჯგუფის და სუვერენი-ხალხის მიერ დაკისრებული აღმასრულებელი ფუნქციების შესრულების იდეამ შთააგონა საფრანგეთის დიდი ბურჟუაზიული რევოლუციის შემოქმედნი საზოგადოების ფეოდალური მოწყობიდან დემოკრატიულად გარდაქმნა. თუმცა თვით ამ რევოლუციამ, ისევე შემდგომმა ისტორიულმა პროცესებმა ვერ უზრუნველყო სამოქალაქო საზოგადოების პრინციპის „თავისუფლება, თანასწორობა, ძმობა“ ცხოვრებაში რეალიზება, მაგრამ არ შეიძლება არ დავეთანხმოთ უ. ჩერჩილს იმ მოსაზრებაში, რომ დემოკრატია შეიძლება კარგი რამ არ არის, მაგრამ კაცობრიობამ მასზე უკეთესი ვერაფერი მოიფიქრა.

საზოგადოების საყოველთაო სიკეთისთვის ხელისუფლების დელეგირების იდეას მხარს უჭერდა და ავითარებდა თავის შრომებში განმანათლებლობის ეპოქის ანგლო-ამერიკელი ფილოსოფოსი და მწერალი თომას ფეინი. ნაშრომში „ადამიანის უფლებები“ (1791-1792), იგი ამტკიცებს: რაც უფრო სრულყოფილია სამოქალაქო საზოგადოება, მით უფრო მეტად მართავს ის საკუთარ საქმეებს და მით უფრო ნაკლებ შესაძლებლობებს უტოვებს ხელისუფლებას. მისი დროის საზოგადოებაში სამწუხაროდ დესპოტიზმი იყო გამეფებული, რის შედეგადაც ადამიანები გახლართულნი იყვნენ პოლიტიკური ინსტიტუტების უამრავ ლაბირინთში და პოლიტიკური გაუცხოების ყოვლისმომცველ სისტემაში. დესპოტური სახელმწიფოების გამო, საზოგადოებაში გაჩნდა კლასობრივი დაყოფა, მდიდრები სულ უფრო დიდ პრივილეგიებს იღებენ, ღარიბები კი უკიდურეს სიღარიბემდე მიდიან. ეს კი უკმაყოფილებას და კლასობრივი ბრძოლის გამძაფრებას

[40] რუსო ჟან-ჟაკ, საზოგადოებრივი ხელშეკრულება, მშვიდობის, დემოკრატიის განვითა. კავკ. ინს.-ტი-თბ.:CIPDD, 1997 გვ. 12-13.

იწვევდა. ჰობსისა და ლოკის თეორიების საპირისპიროდ, ინდივიდები ერთმანეთის მტრები ხდებიან არა ბუნებრივი მიზეზების, არამედ გადამეტებული სახელმწიფო ძალაუფლების გამო.

ისევე, როგორც განმანათლებლების უმრავლესობა, თ. ფეინიც დარწმუნებულია, რომ დესპოტური სახელმწიფოები განწირულნი არიან დაღუპვისთვის თავიანთი „არაბუნებრიობის“ გამო. ცივილიზებული სახელმწიფოები დამყარებულია კონსტიტუციურ მმართველობაზე, რომელიც აღჭურვილია ძალაუფლებით ნამდვილად თავისუფალი და თანასწორი ხალხის თანხმობით. ხელისუფლების დელეგირება წარმოებს მხოლოდ მოქალაქეთა შეთანხმების საფუძველზე, რომლებსაც ნებისმიერ დროს, კანონიერ საფუძველზე შეუძლიათ უკან წაიღონ ეს ხელისუფლება და უარი თქვან თავის თანხმობაზე.

თ. ფეინის ეს მტკიცებულება ეყრდნობა ბუნებითი თანხმობის პრინციპს, რომლის თანახმადაც „არ შეიძლება ერთ ადამიანს ქონდეს მეორე ადამიანის ფლობის უფლება[41] თ. ჰობსისა და ჯ. ლოკისგან განსხვავებით, იგი თვლიდა, რომ ბუნებითი უფლებები ადამიანებს ერთმანეთის მიმართ პატივისცემით განაწყობს და უბიძგებს ადამიანებს მისდიონ ქრისტიანულ პოსტულატს: „მოექეცი სხვებს ისე, როგორც გინდა, რომ შენ მოგექცნენ“. ბუნებითი კანონების თანახმად, ადამიანებმა შეიძლება მოიქცნენ თავისუფლად და ჭკვიანურად. ეს უფლებები ღვთისგან არის ბოძებული და მათი გაუქმება, გადაცემა ან დაყოფა არ შეიძლება. ასე, რომ სახელმწიფო შეიძლება ჩაითვალოს ცივილიზებულად (ლეგიტიმურად) მხოლოდ მაშინ, თუ იგი იქმნება თანხმობის შედეგად, რომელიც გამყარებულია კონსტიტუციით და განუწყვეტლად მტკიცდება საპარლამენტო და წარმომადგენლობითი მექანიზმებით. ასეთი სახელმწიფოების მთავრობებს არა აქვთ უფლებები, მათ მხოლოდ მოვალეობები აქვთ მოქალაქეების წინაშე და ამიტომ ყველა სადავო საკითხი წყდება „სიცოცხლის, თავისუფლების და

[41] რუსო ჟან-ჟაკ საზოგადოებრივი ხელშეკრულება, მშვიდობის, დემოკრატიის განვითა. კავკ. ინს.-ტი-თბ.:CIPDD, 1997 გვ. 12-13,

უდანაშაულობის“ სასარგებლოდ. ასე, რომ ჩვენ ვხვდებით სამოქალაქო საზოგადოების და სახელმწიფოს მკაფიო გამიჯვნას. შემდეგ ფეინი ცდილობს ახსნას, თუ დედამიწაზე თავისუფალი და თანასწორი ადამიანები რატომ ილტვიან სხვადასხვა გაერთიანებებში მშვიდობიანი თანაცხოვრებისაკენ.

უპირველეს ყოვლისა, ფეინის აზრით, ადამიანების ბუნებრივი მოთხოვნილებები გაცილებით ჭარბობს მათ ინდივიდუალურ შესაძლებლობებს, ანუ ადამიანებს არ ძალუძთ საკუთარი ძალებით დაიკმაყოფილონ თავიანთი მოთხოვნები და სხვა ადამიანების დახმარებას საჭიროებენ. ეს კი მათ უბიძგებს ურთიერთობებისკენ, რომელიც ძირითადად ურთიერთსასარგებლოა. ადამიანების კომერციული ურთიერთდამოკიდებულება მყარდება „სოციალური გრძნობების სისტემით“.[42]

ამას ემატება ისიც, რომ ერთობლივი არსებობის გრძნობა გამყარებულია საბაზრო ურთიერთობებით, რომელიც დამატებით სტიმულს წარმოადგენს. გონებისა და გრძნობის ასეთ ერთობლიობას ადამიანთა ჰარმონიულ ურთიერთობებამდე მივყავართ. ადამიანები თავიანთ ბუნებით უფლებებს თავისუფლებაზე ახორციელებენ სამოქალაქო საზოგადოების ჩარჩოში, ამასთან, სახელმწიფო ინსტიტუტები არ ეწინააღმდეგებიან ადამიანების თავისუფლებისა და უსაფრთხოებისაკენ სწრაფვას. სწორედ ადამიანების სწრაფვაში ასეთი სოციალური გაერთიანებებისადმი ხედავს თ. ფეინი დესპოტური სახელმწიფოს დამარცხების გზას. მთავარი კი ის არის, რომ რაც უფრო მეტად ძალუძს სამოქალაქო საზოგადოებას იყოს თვითმართვადი, მით უფრო ნაკლებად ჭირდება მას სახელმწიფო ინსტიტუტები. თვითმართვად საზოგადოებას პოლიტიკური მექანიზმების მინიმუმი ჭირდება. ფეინის აზრით, „იდეალურ შემთხვევაში „მთავრობამ“ უნდა უზრუნველყოს მხოლოდ სამოქალაქო საზოგადოების სხვადასხვა შემადგენელი ნაწილების ურთიერთქმედება. სახელმწიფოს და საზოგადოებას უნდა აერთიანებდეს წესრიგისა და უსაფრთხოების დამყარების საერთო ინტერესი. თავისუფალი ინდივიდები წარმატებას აღწევენ ერთმანეთის და სამოქალაქო საზოგადოებების დახმარების შედეგად. საერთო ინტერესი და სტაბილურობა თ. ფეინისთვის - ეს არის

[42] Пейн, Т. Права человека // Американские просветители. Избр. произведения. – М., 1969. – Т. 2. – С. 64.

სამოქალაქო საზოგადოების მთავარი კანონი, რომელიც თავისი მნიშვნელობით გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე სახელმწიფო ინსტიტუტების მიერ მიღებული და ცხოვრებაში გატარებული კანონები. „როგორც კი ოფიციალური სახელმწიფო ამბობს უარს, საზოგადოება იწყებს მოქმედებას. ხდება გაერთიანება და საერთო ინტერესი აჩენს საერთო უსაფრთხოებას“. [43]

ადამიანები სტიქიურად მიილტვიან ურთიერთობებისადმი, რაც მათ უბიძგებს შექმნან თვითკმარი, კონფლიქტებისაგან თავისუფალი სოციალური სტრუქტურები. სახელმწიფოები რომ ბუნებრივ, სოციალურ საფუძველზე იყვნენ შექმნილი, ფუნქციონირებისას უფრო მშვიდობიანები, მარტივები იქნებოდნენ, ბოლო მოეღებოდა პოლიტიკურ დაპირისპირებებს - პოლიტიკას სამოქალაქო საზოგადოების თანხმობა ჩაანაცვლებდა. უდაოა, რომ თ. ფეინი - განმანათლებლობის ეპოქის შვილი, სიღარიბის, უმუშევრობისა და გაუნათლებლობის წინააღმდეგ მებრძოლი, თავისუფლებისა და თანასწორობის მომხრე თავის მსჯელობისას უტოპიურია, მაგრამ მიუხედავად ამისა მან მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა სამოქალაქო საზოგადოების თეორიის განვითარებაში. მან დააყენა საკითხი სამოქალაქო საზოგადოების სასარგებლოდ, სახელმწიფო ხელისუფლების შეზღუდვის შესახებ. გარდა ამისა, მან სამოქალაქო საზოგადოების ფორმირების საფუძვლად დაინახა როგორც ბუნებრივი, ისე სოციალური მიზეზები და დიალექტიკურად განსაზღვრა მათი კავშირი.

სამოქალაქო საზოგადოების შესახებ თეორიის განვითარებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა გ. ჰეგელმა. უპირველეს ყოვლისა, ჰეგელმა სამოქალაქო საზოგადოება განსაზღვრა, როგორც ადამიანის ცხოვრების ისტორიულად განპირობებული სფერო, რომელიც სახელმწიფოს შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს. მან უარყო სამოქალაქო საზოგადოების ნატურალისტური განსაზღვრა. სამოქალაქო საზოგადოებას იგი განიხილავს, როგორც ინსტიტუტს, რომელიც ინდივიდს აძლევს შესაძლებლობას მოახდინოს ინტეგრირება საზოგადოებრივი მოწყობის სისტემაში, ანუ სახელმწიფო

[43]რუსო ჟ. საზოგადოებრივი ხელშეკრულება, მშვიდობის, დემოკრატიის განვითა. კავკ. ინს.-ტი-თბ.:CIPDD, 1997 გვ. **186**

სისტემაში. ქრონოლოგიურად სახელმწიფო უფრო ადრე წარმოიშვა, ვიდრე სამოქალაქო საზოგადოება. მაგალითად, ანტიკურ ხანასა და შუა საუკუნეებში არ იყო სამოქალაქო საზოგადოება, მაგრამ არსებობდა სახელმწიფო, არსებობდა ოჯახიც. სამოქალაქო საზოგადოების წარმოშობას ჰეგელი უკავშირებს პატრიარქალური ოჯახის ნგრევას და ბურჟუაზიული ურთიერთობების ჩასახვას. მისი აზრით, „სამოქალაქო საზოგადოების შექმნა - ეს ახალი დროის დამსახურებაა“. [44]

თავისი იდეების დასაბუთებას ჰეგელი პოლიტიკური ეკონომიკის ფუძემდებლების ა. სმიტის და პ. რიკარდოს შრომებში ხედავს. სწორედ მათ ჩაუყარეს საფუძველი თეორიას საზოგადოების განვითარებაზე ეკონომიკური ფაქტორების გავლენის შესახებ. ეკონომიკური ურთიერთობების განვითარება პატრიარქალური ოჯახის წევრებს შორის იწვევს გაუცხოებას და ისინი ხვდებიან სისტემაში რომელიც მოთხოვნით და შრომით რეგულირდება. ოჯახის რღვევამ განაპირობა ის, რომ „ინდივიდი სამოქალაქო საზოგადოების შვილი გახდა“. [45] ასეთ სისტემაში ყველა კერძო პირს თავისი ინტერესი აქვს, მაგრამ ამ ინტერესის დასაკმაყოფილებლად მას სხვა პირების დახმარება ჭირდება. თავის მხრივ, იმ პირებსაც სხვა ადამიანები ჭირდებათ. მოთხოვნათა სიმრავლე და განსხვავებულობა სამოქალაქო საზოგადოებას კონკრეტულ შინაარს სძენს. ეს მრავალფეროვნება შრომის შემდგომ დანაწილებას იწვევს და სულ უფრო აშორებს ადამიანს „ბუნებით მდგომარეობას“.[46]

თუ პატრიარქალურ ოჯახში სიყვარული და ჰარმონია სუფევდა, სამოქალაქო საზოგადოება განუწყვეტელი ბრძოლის ადგილია. აქ ერთმანეთს ეჯახება კერძო ინტერესები. თუ სამოქალაქო საზოგადოების ერთ პოლუსზე სიმდიდრე გროვდება, მეორეზე იზრდება სიღარიბე, რომელსაც საზოგადოებაში ზედმეტი ადამიანების გაჩენამდე მივყავართ. ჰეგელი თვლის, რომ თვით სამოქალაქო საზოგადოებას არ ძალუძს

---

[44] ჰეგელი გ., ფილოსოფიის ისტორია, წიგნი II, , ღია საზოგადოება -ფონდი სქართველო, 2007, გვ. 34

[45] Hegel's Philosophy of Right, Oxford University Press; First Published: by Clarendon Press 1952, Translated: with Notes by T M Knox 1942. გვ.45

[46] იქვე, Hegel's Philosophy of Right, Oxford University Press; First Published: by Clarendon Press 1952, Translated: with Notes by T M Knox 1942, გვ.78

აღმოფხვრას ცალკეული კერძო გამოვლინებები. პლურალიზმი მნიშვნელოვნად ასუსტებს და ძირს უთხრის არსებულ ღირებულებებს. საზოგადოების ერთი ნაწილის მკვეთრი განვითარება აფერხებს და ართულებს მეორე ნაწილის განვითარებას. სამოქალაქო საზოგადოება - ეს არის სოციალური ანტაგონიზმის საზოგადოება, სადაც ერთმანეთს წინააღმდეგობრივი ინტერესები ეჯახება. [47]

როგორც ვხედავთ, ჰეგელის შეხედულებები მნიშვნელოვნად განსხვავდება ჰობსის და ლოკის ხელშეკრულებითი თეორიისა და განმანათლებლობის იდეისაგან ბუნებითი მდგომარეობის შესახებ. ჰეგელის თანახმად, სამოქალაქო საზოგადოება არ შეიძლება დარჩეს „სამოქალაქოდ“, თუ მასში არ მყარდება წესრიგი პოლიტიკური მეთოდებით. მხოლოდ უზენაეს სახელმწიფო ხელისუფლებას (ჰეგელთან ეს არის კონსტიტუციური სახელმწიფო, რომელიც მონარქიის საშუალებით იმართება) ძალუძს დაიფაროს სამოქალაქო საზოგადოება უსამართლობისაგან და კერძო ინტერესები გააერთიანოს საყოველთაო პოლიტიკურ თანამეგობრობაში. პოლიტიკა და სამართალი - ეს არის ის ორი კატეგორიული იმპერატივი, რომელიც საზოგადოების ერთიანობას უზრუნველყოფს.

ჰეგელი სამოქალაქო საზოგადოებას და სახელმწიფოს ერთმანეთისგან არ აცალკევებდა. მისი აზრით, როგორც უზენაესი ხელისუფლება, ისე სამოქალაქო საზოგადოება მოსახლეობის საყოველთაო ინტერესს ემსახურება, მაგრამ ჰეგელისეული მეტაფიზიკის თანახმად, სწორედ სახელმწიფო მიიჩნევა „აბსოლუტურად ჭკვიანად“ და წარმოადგენს ისტორიული განვითარების უმაღლეს მომენტს და ამ თვალსაზრისით იგი არის „ღმერთის სვლა სამყაროში“[48]

ერთერთმა პირველმა, ვინც ყურადღება მიაქცია საფრთხეებს, რომელიც შეიძლება მოიტანოს საყოველთაო სახელმწიფოს იდეამ, იყო ფრანგი სოციოლოგი, ისტორიკოსი და პოლიტიკური მოღვაწე ალექსის დე ტოკვილი. თავის წიგნში „დემოკრატია ამერიკაში“ (1835-1840) იგი გამოთქვამს აზრს, რომ პოლიტიკური ინსტიტუტები, რომლებიც

---

[47] იქვე, გვ. 56 Hegel's Philosophy of Right, Oxford University Press; First Published: by Clarendon Press 1952, Translated: with Notes by T M Knox 1942, გვ.90

[48] Hegel's Philosophy of Right, Oxford University Press; First Published: by Clarendon Press 1952, Translated: with Notes by T M Knox 1942. P..89

ცდილობენ დაიცვან საზოგადოება მისი ერთიანობის შესანარჩუნებლად, ყველაზე უფრო საშიშია საზოგადოებისთვის. დესპოტური რეჟიმები გაცილებით უფრო საშიშია, ვიდრე კერძო ინტერესების გამო გაჩენილი კონფლიქტები. ის, ვინც ხელს უწყობს სამოქალაქო საზოგადოების და სახელმწიფოს გაერთიანებას, გზას უხსნის დესპოტიზმს.

ტოკვილი ფიქრობდა, რომ მისი თანამედროვეები ნაკლებ ყურადღებას უთმობდნენ სახელმწიფოში შეკავების და დაპირისპირების პრობლემებს. მისი აზრით, ძალაუფლება, რომელსაც სამოქალაქო საზოგადოება აძლევს სახელმწიფოს თვით მის წინააღმდეგ მუშაობს. ის იწყებს პატერნალისტური პოლიტიკის განხორციელებას - არეგულირებს, აკონტროლებს, რჩევებს აძლევს, ცდილობს აღზარდოს და დასაჯოს იგი. „ხელისუფლების ცენტრალიზაცია ყოველდღიურ საქმიანობაში ქმნის წესრიგის განცდას; ამ ვითარებაში შესაძლებელია საზოგადოება მოხერხებულად ამყოფო რაიმე სახის სტატუს-კვოს მდგომარეობაში.[49]

ა. ტოკვილის პოლიტიკური ნააზრევის ღირებულება და სიახლე იმაში მდგომარეობს, რომ იგი შეეცადა შეეთავსებინა სამოქალაქო საზოგადოების და დემოკრატიის იდეა და ახალი კონტექსტით გაემდიდრებინა იგი.

ამერიკული დემოკრატიის წარმატებას ტოკვილი სწორედ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების არსებობით ხსნის. დემოკრატიულ ქვეყანაში ასოციაციის შექმნის ხელოვნება ფუძემდებლური მეცნიერებაა საზოგადოებისა; ყველა სხვა სფეროს პროგრესი მის პროგრესზეა დამოკიდებული[50]. ტოკვილის მიხედვით სამოქალაქო საზოგადოება, რომლის საფუძველია ასოციაციები და ასოციაციური ცხოვრება მოიცავს ნებაყოფლობით გაერთიანებებს, პრესას, სამოქალაქო ინსტიტუტებს, თვითმმართველობის ორგანოებს. [51] „ყველა ასაკის, მდგომარეობის, სწრაფვის მქონე ამერიკელი გამუდმებით ერთიანდება სხვადასხვა კავშირში. ისინი არა მხოლოდ

[49] Токвиль, А. Демократия в Америке. – М., 1994. – გვ. 86

[50] ტოკვილი ა. დემოკრატია ამერიკაში, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2011, გვ. 45

[51] ტოკვილი ა. დემოკრატია ამერიკაში, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2011, გვ.90

კომერციულ და სამრეწველო ასოციაციებში მონაწილეობენ, არამედ მრავალი სხვა სახის გაერთიანებებიც აქვთ: რელიგიური, მორალური სერიოზული, უმნიშვნელო, ძალზე ზოგადი თუ ძალზე კერძო ხასიათისა, მრავალრიცხოვანი თუ ძალზე ცოტა წევრებით.[52] ტოკვილი მიუთითებს, რომ სამოქალაქო საზოგადოების არსებობა აუცილებელია დემოკრატიის სტაბილურობისთვის, ვინაიდან ის უზრუნველყოფს მოქალაქეთა ჩართულობას საზოგადოებრივ ცხოვრებაში, მეტ ინფორმირებულობას, აკონტროლებს სახელმწიფო ხელისუფლებას ძალაუფლების გადამეტების საწინააღმდეგოდ, ამავე დროს გარკვეულ საკითხებში ის შეიძლება გახდეს სახელმწიფოს პარტნიორი და საკუთარ თავზე აიღოს მისი ფუნქციების შესრულება. [53]

მ. ედვარდსი აცხადებს, რომ „ნეო–ტოკვილიანური“ ტრადიცია დღესაც საკმაოდ ძლიერია შეერთებულ შტატებში, სადაც ის გამოიხატება ბუნებრივად მანამდე არსებულ თვითმმართველობის ტრადიციით, კრიტიკული დამოკიდებულებით სახელმწიფოს მიმართ, პოლიტიკასა და სამოქალაქო ცხოვრებაში საჯარო ჩართულობის არქონის წუხილით." [54]

1. 2. სამოქალაქო საზოგადოების თანამედროვე კონცეპტი

როგორც სამოქალაქო საზოგადოების ცნების კონცეპტუალურმა ანალიზმა გვიჩვენა, მან განვითარების სხვადასხვა ფაზები განვლო, დაწყებული სამოქალაქო საზოგადოების გაიგივებიდან სახელმწიფოსთან. შემდგომში მას მოყვა ცნების დაპირისპირება სახელმწიფოსთან. დღესდღეობით სამოქალაქო საზოგადოების ეკონომიკური გაგება დასრულებულ იქნა მისი არაეკონომიკური, არამომგებიანი ხასიათის ხაზგასმით.

---

[52] იქვე გვ. 387
[53] იქვე, გვ. 388
[54] Edwards M. Civil Society, Polity Press, 2009, p. 8

სამოქალაქო საზოგადოების თეორიული ინტერპრეტაცია მუდმივად იცვლებოდა ისტორიული კონტექსტის შესაბამისად. ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენ შეგნებულად ყურადღების მიღმა დავტოვეთ ფემინისტთა წვლილი ამ პროცესში, რათა მასზე მოგვიანებით, ცალკე მოგვეხდინა უფრო საფუძვლიანი ფოკუსირება.

დისკუსიამ სამოქალაქო საზოგადოების დანიშნულებისა და მისი სახელმწიფოსთან ურთიერთობების შესახებ XIX საუკუნეში კულმინაციას მიაღწია. სახელმწიფოს კერძო სფეროში ჩარევის საკითხის განხილვისას ყოველთვის ხაზი ესმეოდა სოციალური ორგანიზაციების მნიშვნელობას, რომლებიც შუამავლის როლს ასრულებდნენ პიროვნებასა და სახელმწიფოს შორის. საუკუნის XIX მეორე ნახევრიდან ევროპულ სოციალურ-პოლიტიკურ აზროვნებაში საბოლოოდ განმტკიცდა სოციალიზმის იდეა, როგორც საზოგადოებრივი ყოფის ფორმა საკუთრების კოლექტიური საკუთრებით, საზოგადოებრივი დაგეგმარებით და ადამიანების ურთიერთობების რაციონალური რეგულირებით.

სწორედ ამ პოზიციიდან გამოდიოდა კარლ მარქსი სამოქალაქო საზოგადოების თეორიაზე მსჯელობისას. აღიარებდა რა სამოქალაქო საზოგადოების და სახელმწიფოს გამიჯვნის აუცილებლობას, მარქსი განმანათლებლობის ეპოქის პოლიტიკურ ტრადიციებს უერთდება და სამოქალაქო საზოგადოებას განიხილავს არა როგორც ბუნებრივ მოცემულობას, არამედ როგორც ისტორიულ მოვლენას.

სამოქალაქო თანამეგობრობები ისტორიულ მოცემულობას წარმოადგენს მისთვის დამახასიათებელი წარმოების ფორმებით და საწარმოო ურთიერთობებით, კლასობრივი დაყოფით, კლასობრივი ბრძოლით და შესაბამისი დაცვის მექანიზმებით. მარქსი თვლიდა, რომ ახალი დროის სამოქალაქო თანამეგობრობებს, როგორც ისტორიულ მოვლენებს აქვთ თავისი დასაწყისი და თავისი დასასრული. ისინი შობენ პროლეტარიატს - კლასს, რომელიც მის წიაღშია შობილი, მაგრამ მას არ ეკუთვნის, კლასს, რომელიც ყველა სხვა კლასებს, და შესაბამისად, ბურჟუაზიულ სამოქალაქო თანამეგობრობას გაქრობამდე მიიყვანს.

მარქსის მიხედვით, ახალი დროის ბურჟუაზიული ეპოქის უნიკალურობა იმაში მდგომარეობს, რომ კაცობრიობა პირველად, გამომდინარე მათი ეკონომიკური როლიდან დაიყო საზოგადოებრივ კლასებად. ფეოდალური ცხოვრების ძირითადი ელემენტები (საკუთრება, ოჯახი, შრომის ფორმები) ლენდლორდიზმის, ფენების და კორპორაციების სახით მოგვევლინა. ფეოდალურ საზოგადოებაში პირადი სფერო არ არსებობდა. ცალკეული ინდივიდის ბედი დაკავშირებული იყო ორგანიზაციასთან, რომელსაც იგი ეკუთვნოდა. არაერთხელ უსვამდა რა ხაზს სამოქალაქო თანამეგობრობის ისტორიულ ხასიათს, მარქსი მასში ეკონომიკურ ფორმას ხედავდა, რომლის ფარგლებშიც ბურჟუაზია ქმნის თავისი წარმოსახვის შესაბამის სამყაროს. სახელმწიფო იქცევა წმინდა პოლიტიკურ, ხოლო სამოქალაქო საზოგადოება - წმინდა ეკონომიკურ წარმონაქმნად. ისიც აღსანიშნავია, რომ ჰეგელისაგან განსხვავებით, მარქსთან სახელმწიფოს მახასიათებლად არასოდეს არ არის ნახმარი სიტყვა „საყოველთაო“. სახელმწიფო ყოველთვის მმართველი კლასის ინტერესს გამოხატავდა. კაპიტალისტურ სამყაროში საზოგადოება ბურჟუაზიის სამსახურშია. ის წარმოადგენს ინსტრუმენტს, რომლის საშუალებითაც ბურჟუაზია თავს იცავს პროლეტარიატისგან წარმოქმნილი საფრთხისაგან. ჯარი და პოლიცია - მათი ინტერესების დაცვის საწინდარია. ასეთი ბურჟუაზიული სახელმწიფო მარტივად გადაიქცევა წარმომადგენლობითიდან სამხედრო დიქტატურად. ამის დამადასტურებლად კი მარქსს მოჰყავს 1848 წლის საფრანგეთი.[55]

კ. მარქსი თვლიდა, რომ მუშათა კლასის წარმატებული ბრძოლა სამოქალაქო საზოგადოების კონტროლისთვის შესაძლებელს გახდის, რონ სახელმწიფო გაუქმდეს. იმისთვის, რომ ინდივიდი იყოს თავისუფალი საჭიროა დაიმსხვრეს ბარიერები, რომლებიც ცხოვრების სხვადასხვა სფეროებს შორის არსებობს და გაიზარდოს თვითრეალიზაციის შესაძლებლობა.

მარქსი შესაძლებლად თვლიდა სახელწიფო აპარატის გაუქმებას და მის შეცვლას მართვის მარტივი საშუალებებით. კომუნის ყველა წევრი მიიღებს გადაწყვეტილებას ნებისმიერ საზოგადოებრივ საქმეში და არ იქნება საჭირო სპეციალური პოლიტიკური

[55] Маркс, К. Гражданская война во Франции // Там же. – Т. 2. – გვ. 219

ინსტიტუტების ჩართვა, რათა მიღწეულ იქნას შეთანხმებები და გადაიჭრას კონფლიქტები. მთავრობის ფუნქციები უბრალო ადმინისტრაციულ ფუნქციებად იქცევა. გაქრება მოქალაქის ცნებაც, რომელიც სხვებთან ერთად გარკვეული პოლიტიკური მიზნებისთვის ან ამ მიზნების წინააღმდეგ იბრძვის. მოკლედ რომ ვთქვათ, სოციალისტურ სამოქალაქო საზოგადოებას აღარ ჭირდება სახელმწიფო. როგორ უტოპიურადაც არ უნდა გვეჩვენებოდეს დღეს მარქსის ეს მსჯელობა მომავლის შესახებ, ერთი რამ ცხადია, რომ XVIII–XIX საუკუნეების სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტები არ არის ბუნებრივად გაჩენილი სტრუქტურები, რომელთა შეცვლაც დიდ რისკთან არ არის დაკავშირებული. ისინი კონკრეტულ ისტორიულ პერიოდში გარკვეული საზოგადოებრივი ურთიერთობების პირობებში ჩამოყალიბდა.

სამოქალაქო საზოგადოების ცნებისადმი ინტერესის ხელახალი გაღვივება დაკავშირებულია 1970–იან და 80-იან წლებში აღმოსავლეთ ევროპასა და ყოფილ საბჭოთა კავშირში განხორციელებულ ცვლილებებთან. როგორც ბ. რიჩელი აღნიშნავს „არის გარკვეული ირონია იმაში, რომ სამოქალაქო საზოგადოების კონცეფცია, რომლის გადამუშავებაში საკუთარი წვლილი შეიტანა ბევრმა მემარცხენე მოაზროვნემ, ეფექტურად იქნა გამოყენებული 70–იან და 80–იან წლებში სოციალისტურ სახელმწიფოსთან ბრძოლაში აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში.“[56]

სამოქალაქო საზოგადოება წარმოჩენილი იქნა როგორც ლოზუნგი კომუნისტური იდეოლოგიის წინააღმდეგ. დისიდენტი ინტელექტუალების წრეში სამოქალაქო საზოგადოება გაგებული იქნა, როგორც სახელმწიფოსაგან დამოუკიდებელი სფერო, რომელიც თავისი არსით ეწინააღმდეგებოდა კომუნისტურ სისტემას და ეფუძნებოდა ავტონომიისა და სოლიდარობის იდეებს.

1989 წელს ბერლინის კედელის დაცემას მოჰყვა დემოკრატიული ცვლილებები მთელს მსოფლიოში. ამ პერიოდიდან სამოქალაქო საზოგადოება, რომელიც, როგორც ჯ. კოენი და ლ. არატო აღნიშნავენ, "მე–19 საუკუნის მეორე ნახევრიდან მე–20 საუკუნის 80–

[56] Bernard Michael. Civil Society and Democratic Transitionin East Central Europe. Political Science Quarterly, Vol. 108, No 2, 1993, p. 307

იან წლებამდე მივიწყებულ იქნა"[57], კვლავ მოექცა ინტელექტუალური და პოლიტიკური დებატების ცენტრში. სამოქალაქო საზოგადოება განიხილებოდა დემოკრატიასთან კავშირში. ის წარმოდგენილი იქნა, როგორც გარკვეული წარმონაქმნი, რომელიც ხელს უწყობდა დემოკრატიზაციის პროცესებს ან აღრმავებდა და განამტკიცებდა დემოკრატიას. „ძლიერი სამოქალაქო საზოგადოება მიჩნეული იქნა დემოკრატიის, „კარგი მმართველობის“, პლურალიზმის და მნიშვნელოვანი სოციალური და ეკონომიკური მიზნების მიღწევის ერთერთ ქვაკუთხედად.“[58]

სამოქალაქო საზოგადოება აღიარებულ იქნა როგორც აუცილებელი პირობა დემოკრატიის განმტკიცების გზაზე. „სამოქალაქო საზოგადოება გახდა, საბრძოლო ლოზუნგი დისიდენტებისათვის, ასევე ახალი ტიპის საზოგადოება, რომელსაც ახასიათებდა ლიბერალურ-დემოკრატიული ნორმები, – ის გახდა წინამძღოლი, ...იმდენად ძლიერი, რომ დაამარცხა ავტორიტარული სახელმწიფოები.“[59]

როგორც უკვე აღვნიშნეთ 70–იანი წლებიდან კვლავ გააქტიურდა დებატები სამოქალაქო საზოგადოების შესახებ, თუმცა მისი ერთიანი განსაზღვრება ჯერაც არ ჩამოყალიბებულა. ოქსფორდის სამოქალაქო საზოგადოების სახელმძღვანელოში მოცემულია ერთ–ერთი გავლენიანი თანამედროვე თეორეტიკოსის მაიქლ უოლზერის განმარტება: „სამოქალაქო საზოგადოება არის ნებაყოფლობითი, ადამიანური გაერთიანების სფერო, რომელიც წარმოადგენს შუალედურ რგოლს სახელმწიფოსა და კერძო სექტორს შორის, რომელშიც ადამიანები ახორციელებენ კოლექტიურ მოქმედებას ნორმატიული და თვითმყოფადი მიზნების მისაღწევად, არის შედარებით დამოუკიდებელი მთავრობისა და ბაზრისაგან".[60] მოცემული განმარტება საკმაოდ ელასტიურია და მკვლევარებისათვის შემდგომი მსჯელობის საგანი ხდება, როგორი სახით შეიძლება არსებობდეს პრაქტიკაში მსგავსი ტიპის გაერთიანებები, რამდენად

---

[57] Коэн Дж. Л. Арато Э. Гражданское общество и политическая теория. Пер. с англ.\ Общ. ред. И.И. Мюрберг. – М.: Издательство «ВесьМир», 2003, с. 61

[58] Коэн Дж. Л. Арато Э. Гражданское общество и политическая теория. Пер. с англ.\ Общ. ред. И.И. Мюрберг. – М.: Издательство «ВесьМир», 2003, с. 61) (The Oxford Handbook of Civil Society, edited by Michael Edwards, Oxford University Press, 2011, p. 4

[59] Edwards M. Civil Society, Polity Press, 2009, p. 12

[60] The Oxford Handbook of Civil Society, edited by Michael Edwards, Oxford University Press, 2011, p. 4

მაღალია მათი დამოუკიდებლობის ხარისხი ან რა ტიპის მიზნებს შეიძლება ისახავდნენ ისინი. ტერი ნარდინი ამასთან დაკავშირებით აცხადებს, რომ სამოქალაქო საზოგადოებაში ურთიერთობების ხასიათი დამოკიდებულია გაზიარებულ ღირებულებებზე, რომელსაც ის ეფუძნება. აქედან გამომდინარე სამოქალაქო საზოგადოებას შეიძლება მიენიჭოს როგორც ლიბერალური ასევე კომუტარისტული ინტერპრეტაცია, რომელიც დამოკიდებულია იმაზე თუ რა იქნება აღებული სამოქალაქო საზოგადოების ცნების საფუძვლად ინდივიდის თავისუფლება თუ ასოციაციების სოლიდარობა. [61]

როგორც აღვნიშნეთ, სამოქალაქო საზოგადოების ცნება მრავალჯერ შეიცვალა მნიშვნელობა და თანამედროვე პირობებშიც არ არსებობს მისი ცალსახა გაგება. თეორეტიკოსები მის სხვადასხვა მახასიათებლებზე აკეთებენ აქცენტს და განსხავებულად განმარტავენ. მ. ზაკი სამოქალაქო საზოგადოებას განმარტავს, როგორც „საზოგადოებრივი ცხოვრების გარკვეულ ასპექტს, რომელიც განსხვავებული და გამოყოფილია სახელმწიფო სფეროსაგან – კოლექტიური წარმონაქმნს, რომელიც არსებობს სახელმწიფოსაგან გამოცალკევებით.“[62] ის აქცენტს აკეთებს სახელმწიფოს კონტროლისაგან თავისუფალი ინდივიდების გაერთიანებაზე, თუმცა ასევე მიუთითებს რომ მათი აქტოვობა რეგულირებული უნდა იქნას ქვეყანაში არსებული კანონმდებლობით.

ლ.კოენი და ე. არატო სამოქალაქო საზოგადოებას განსაზღვრავენ, როგორც „გაერთიანებებისა და ჯგუფების ქსელს, რომელიც არსებობს ერთის მხრივ ოჯახსა და კერძო ჯგუფებს და მეორეს მხრივ პირდაპირ სახელმწიფო ორგანიზაციებს შორის, რომლებიც ასრულებენ შუამავალ როლს ინდივიდებსა და სახელმწიფოს, კერძოსა და საჯაროს შორის. [63]

---

[61] Nardin, Terry. Private and Public Roles in Civil Society - In: Toward a Global CivilSociety / Michael Walzer, Ed. Providence, Oxfo rd:Berghahn Books, 1995, p. 29-34.

[62] Moheb Zaki, *Civil Society and DemocratizationinEgypt,*Cairo: TheIbnKhaldunCenter, 1994, p.4

[63] L. Jean Cohen, and Adrew Arato, *CivilSocietyandPoliticalTheory*. USA: MassachusettsInstituteofTechnology, 1992, p.48

ჯ. ერენბერგი სამოქალაქო საზოგადოებას „ყოველდღიური ცხოვრების ნაწილად“ თვლის, მისი ნებაყოფლობითი ასოციაციები, ინტერესთა ჯგუფები და საზოგადოებრივი მოძრაობები ყოველთვის ცდილობენ შეინარჩუნონ ავტონომიის გარკვეული ოდენობა, პოლიტიკის საჯარო საქმეებიდან და ეკონომიკის კერძო ინტერესებთან მიმართებაში. ამავე დროს, მათ ნაწილობრივ განსაზღვრავს სწორედ სახელმწიფო და ბაზარი.“ [64]

ტერმინი სამოქალაქო საზოგადოება შედარებით დავიწროვდა და უფრო კონკრეტული სახე მიიღო არასამთავრობო ორგანიზაციების, მესამე სექტორის განვითარებასთან დაკავშირებით. როგორც მაიკლ ედუარდსი აღნიშნავს, „კიდევ ერთი მიზეზი სამოქალაქო საზოგადოების მიმართ ინტერესის გაზრდისა ბოლო ათწლეულში იყო უტყუარი მტკიცებულებების ნაკრები, რომელიც მიუთითებდა, რომ ასოციაციური ცხოვრება თამაშობდა უფრო მეტად მნიშვნელოვან სოციალურ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ როლს, ვიდრე ეს იყო გააზრებული 1970–იან და 1980–იან წლებში.“[65]

დროთა განმავლობაში სამოქალაქო საზოგადოებას ხშირად ენაცვლებოდა „უფრო ვიწრო კონცეპტების წყება, რომელთა ოპერაციონალიზაციაც უფრო იოლი იყო, როგორებიც იყო „მესამე სექტორი,“ „არაკომერციული სექტორი,“ [66]

სამოქალაქო საზოგადოების სფეროში შემავალი ინსტიტუტების, მათი საქმიანობის და ნიშნების შესახებ დეტალური განხილვა მოცემულია გავლენიანი თეორეტიკოსის, „Journal of Democracy"-ის ერთ–ერთი რედაქტორის ლარი დაიმონდის ნაშრომში. სამოქალაქო საზოგადოება ლ. დაიმონდის მიხედვით, "არის ორგანიზებული საზოგადოებრივი ცხოვრების სფერო, რომელიც ნებაყოფლობითია, თვითწარმოქმნადი, (ფართოდ) თვითგანვითარებადი, სახელმწიფოსგან ავტონომიურია და შეკრულია საკანონმდებლო წესრიგით ან გაზიარებულ წესთა ერთობლიობით. [67]

[64] Ehrenberg J, Civil society, The Critical History of an Idea, New York University Press, 1999, p. 235
[65] Ehrenberg J, Civil society, The Critical History of an Idea, New York University Press, 1999, p. 235
[66] The Oxford Handbook of Civil Society, edited by Michael Edwards, Oxford University Press, 2011, p. 5
[67] Diamond L. Towards Democratic Consolidation. Journal of Democracy, v.5, N.3, 1996, p. 4

ჯ.ლინცი და ა. სტეფანი ფაქტიურად იზიარებენ ლარი დაიმონდის აზრს სამოქალაქო საზოგადოების არსის შესახებ. მათ შეხედულებით, სამოქალაქო საზოგადოება - ეს არის „სახელმწიფოებრივი მოწყობის არენა, სადაც თვითორგანიზებადი და შედარებით ავტონომიური ჯგუფები, მოძრაობები, და ინდივიდუალები ცდილობენ მოახდინონ ღირებულებების არტიკულაცია, შექმნან ასოციაციები და სოლიდარობა, და წინ წამოწიონ საკუთარი ინტერესები.“[68]

სამოქალაქო საზოგადოებას, როგორც არენას, გარკვეული ქმედებების განსახორციელებლად განსაზღვრავს ადამ სელიგმანიც. მისია აზრით, სამოქალაქო საზოგადოება არის „არენა, სადაც თავისუფალი, თვითმმართველი ინდივიდების ერთობლიობა აყალიბებს საკუთარ მოთხოვნებს, საკუთარი სურვილების და პერსონალური ავტონომიის დასაკმაყოფილებლად.“ [69]

სამოქალაქო საზოგადოების ერთ–ერთი ყველაზე გავრცელებული, ემპირიულად და ამავე დროს თეორიულადაც გამოყენებადი განმარტება ლონდონის ეკონომიკური სკოლის სამოქალაქო საზოგადოების ცენტრს ეკუთვნის. მასში ნათქვამია, რომ „სამოქალაქო საზოგადოება ეხება გაზიარებული ინტერესების, მიზნების და ღირებულებების გარშემო ნებაყოფლობითი კოლექტიური მოქმედების არენას. თეორიაში მისი ინსტიტუციონალური ფორმები გამოყოფილია სახელმწიფოს, ოჯახის და ბაზრის ინსტიტუტებისაგან, თუმცა პრაქტიკაში ხშირად სამოქალაქო საზოგადოებას, სახელმწიფოს და ოჯახს შორის საზღვრები რთული, გაურკვეველი და შესათანხმებელია.“[70] სამოქალაქო საზოგადოება თავის თავში მოიცავს სხვადასხვა ორგანიზაციებს, მოძრაობებს, კავშირებს, ფორმალურ და არაფორმალურ გაერთიანებებს. უკანასკნელ წლებში შეინიშნება სამოქალაქო საზოგადოების ერთერთი ინსტიტუტის არასამთავრობო ორგანიზაციების რიცხვისა და გავლენის მნიშვნელოვანი ზრდა.

---

[68] Juan J. Linz, and Alfred Stepan, “TowardConsolidatedDemocracies”, JournalofDemocracy, 7(2) 1996,p. 17.
[69] Adam D. Seligman, *The Idea of Civil Society.* NewYork: FreePress, 1992, p. 5
[70] The Centre for Cvil Society, London School of Economics, http://www.lse.ac.uk/CCS/home.aspx

სამოქალაქო საზოგადოების ცნების აქტუალიზაციასთან ერთად ხდება იმის გაცნობიერება, რომ მას შეუძლია ქვეყნისათვის, საზოგადოებისათვის პრაქტიკული სარგებლის მოტანა, როგორც პოლიტიკური, ასევე ეკონომიკური სისტემის წარმატებული ფუნქციონირების ხელშეწყობის გზით. „სამოქალაქო საზოგადოების მიმართ ბოლო ათწლეულის განმავლობაში ინტერესის სწრაფი ზრდის კიდევ ერთი მიზეზი არის მტკიცებულებათა მზარდი ერთობლიობა, რომელიც გვეუბნება, რომ ასოციაციური ცხოვრება ბევრად უფრო მნიშვნელოვან სოციალურ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ როლს თამაშობს, ვიდრე ეს იყო გააზრებული 1970–იან და 80–იან წლებში.“ [71]

სამოქალაქო საზოგადოების ცნების განსხვავებული აღქმისა და გაგების ფონზე მისი მნიშვნელობის სტრუქტურიზება განახორციელა მაიკლ ედუარდსმა. ის აღნიშნავს, რომ „სამოქალაქო საზოგადოება ნიშნავს განსხვავებულ რაიმეს სხვადასხვა ადამიანებისათვის.“[72] ამდენად მან გამოყო სამოქალაქო საზოგადოების გაგების სამი მიმდინარეობა, მისი გაგების განსხვავებული სკოლები. სამოქალაქო საზოგადოება, როგორც ასოციაციური ცხოვრება არის ყველაზე გავრცელებული მიდგომა. ის სათავეს იღებს ტოკვილის იდეებიდან მე–19 საუკუნის ამერიკის შესახებ. „სამოქალაქო საზოგადოება ამ გაგებით მოიცავს ყველა ასოციაციასა და ქსელებს, ოჯახსა და სახელმწიფოს შორის, რომელშიც წევრობა და მოღვაწეობა არის ნებაყოფლობითი – ფორმალურად რეგისტრირებული ბევრი სხვადასხვა სახის არასამთავრობო ორგანიზაციები, მშრომელთა კავშირები, პოლიტიკური პარტიები, ეკლესიები და სხვა რელიგიური ჯგუფები, პროფესიული და ბიზნეს ასოციაციები, თემი და ურთიერთდახმარების ჯგუფები, სოციალური მოძრაობები და დამოუკიდებელი მედია.“[73] უკანასკნელ წლებში უფრო და უფრო შესამჩნევი ხდება ამგვარი ასოციაციების სწრაფი ზრდა მთელ მსოფლიოში, რასაც ედუარდსი „ასოციაციურ რევოლუციას“

[71] Edwards M. Civil Society, Polity Press, 2009, p. 13
[72] იქვე, Edwards M. Civil Society, Polity Press, 2009, p. 3
[73] iibid, (ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განაჩენთა კრებული), გვ. .20, http://www.nplg.gov.ge/gsdl/cgi-bin/library.exe?e=d-01000-00---off-0samartal--00-1--0-10-0--0-0---0prompt-10--.%2E-4----4---0-0l--11-en-10---10-help-5

უწოდებს.[74] უნდა აღინიშნოს, რომ ნებისმიერი ასოციაცია არ მოიაზრება სამოქალაქო საზოგადოების სტრუქტურაში. არსებობენ ორგანიზაციები, რომლებიც შეიძლება ითქვას იმყოფებიან სასაზღვრო ზოლში სამოქალაქო საზოგადოებას და სახელმწიფოს შორის. ასეთია პოლიტიკური პარტიები და ორგანიზაციები. მათ ედუარდსი უწოდებს „ნაცრისფერ ზონას, რომელსაც ეწოდება "პოლიტიკური საზოგადოება .... და რომელიც ყოფს სამოქალაქო საზოგადოების თეორეტიკოსებს ორ მოწინააღმდეგე ბანაკად".[75]და რომელიც ყოფს სამოქალაქო საზოგადოების თეორეტიკოსებს ორ მოწინააღმდეგე ბანაკად".[76] თეორეტიკოსთა ნაწილი „პოლიტიკურ საზოგადოებას" სამოქალაქო საზოგადოების გადამწყვეტ კომპონენტად მიიჩნევს, ვინაიდან „ისინი ახდენენ გავლენის გენერირებას პოლიტიკაზე დემოკრატიული ასოციაციების და საჯარო სფეროში შეუზღუდავი დისკუსიის მეშვეობით"[77] ამის მაგალითად შეიძლება დასახელდეს მოძრაობა „სოლიდარობა" პოლონეთში. იგი იყო მშრომელთა უფლებების დამცველი გაერთიანება, ანტიკომუნისტური საზოგადოებრივი მოძრაობა, რომელიც შემდგომში გარდაიქმნა პოლიტიკურ პარტიად. ისეთი გაერთიანებები, რომლებიც მობილიზაციას უწევენ ადამიანთა შედარებით დიდ მასებს და ამავე დროს მათი მოღვაწეობა დაკავშირებულია ხელისუფლების სხვადასხვა შტოებთან, დამახასიათებელია დემოკრატიზაციის პროცესში მყოფი ქვეყნებისათვის. აღსანიშნავია, რომ ლარი დაიმონდი აკეთებს მნიშვნელოვან მინიშნებას აპოლიტიკურ და სამოქალაქო საზოგადოებას შორის ბუნდოვანი და არამკაფიო საზღვრის მეტნაკლებად გამოსახატავად. მთავარი განსხვავება მათ შორის უნდა დავინახოთ მათ მიზნებში. „მოქალაქეობრივი ორგანიზაციები და საზოგადოებრივი მოძრაობები, რომლებიც ცდილობენ სახელმწიფოს ბუნების შეცვლას, შეიძლება მაინც მივაკუთვნოთ სამოქალაქო საზოგადოებას, იმ შემთხვევაში, თუ მათ ძალისხმევას წარმართავს საზოგადოებრივი

---

[74] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განაჩენთა კრებული, გვ. .20, http://www.nplg.gov.ge/gsdl/cgi-bin/library.exe?e=d-01000-00---off-0samartal--00-1--0-10-0--0-0---0prompt-10--.%2E-4----4---0-0l--11-en-10---10-help-5 გვ..21

[75]იქვე, ibid (ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განაჩენთა კრებული), p.25

[76] იქვე გვ.25

[77] იქვე, გვ. 25

სარგებლის მოტანის სურვილი და არა თვით ჯგუფის სახელმწიფო ძალაუფლების მოპოვება.“ [78]

სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები ამყარებენ კავშირს სახელმწიფოსთან, თანამშრომლობენ მის ინსტიტუტებთან, მაგრამ ისინი არ ცდილობენ მის ჩარჩოებში ფორმალური თანამდებობის დაკავებას და ძალაუფლების განხორციელებას.

გაერთიანებები უნდა იყოს დამოუკიდებელი ნებისმიერი პარტიული პოლიტიკური ინტერესებისაგან. მთავარი განმასხვავებელი ნიშანი, რაც პოლიტიკურ პარტიებს გამოყოფს სამოქალაქო საზოგადოების ჯგუფებისაგან არის გავლენის მოხდენა საერთო მიზნების მისაღწევად და არა ძალაუფლების, მმართველობითი ფუნქციის განხორციელება. ედუარდსი მიიჩნევს, რომ აღნიშნულ დებატებში „ერთადერთი მისაღები კომპრომისი შეიძლება იყოს ის, რომ პოლიტიკური პარტიები მივაკუთვნოთ სამოქალაქო საზოგადოებას, როდესაც ისინი არ არიან სახელმწიფო სტრუქტურებში წარმოდგენილი და არ მივაკუთვნოთ, როდესაც იქ არიან.“ [79]

ასევე ხშირად საკმაოდ ელასტიური და ნაკლებად მკაფიო საზღვარია სამოქალაქო საზოგადოებას და ბაზარს შორის. ამ საკითხშიც მკვლევარებს შორის არ არსებობს ცალსახა მიდგომა. სამოქალაქო საზოგადოების გაგების ტრადიცია, რომელიც ჯერ კიდევ ჯონ ლოკის იდეებიდან გამომდინარეობდა, სამოქალაქო საზოგადოებას აღიქვამდა როგორც კერძო ეკონომიკურ მოღვაწეობას. დასავლეთ ევროპაში სამოქალაქო საზოგადოების წარმოშობა და განვითარება დაკავშირებული იყო საშუალო კლასის ეკონომიკური ინტერესების დაცვასთან, მაშინ როცა აღმოსავლეთ ევროპული ტრადიცია სამოქალაქო საზოგადოების ცენტრში ათავსებს დემოკრატიულ გარდაქმნებს, სახელმწიფო ძალაუფლების შეზღუდვის გზით მისი ბოროტად გამოყენების საწინააღმდეგოდ. მთავარი განსხვავება ეკონომიკურ და პოლიტიკურ საზოგადოებას

---

[78] მუსხელიშვილი მ, სამოქალაქო საზოგადოება შედარებითი ანალიზი, სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი, თბილისი, 2006, გვ. 7

[79] Ibid (ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განაჩენთა კრებული), გვ. .25, http://www.nplg.gov.ge/gsdl/cgi-bin/library.exe?e=d-01000-00---off-0samartal--00-1--0-10-0--0-0---0prompt-10--.%2E-4----4---0-0l--11-en-10---10-help-5

შორისაც დაკავშირებულია მათ მიზნებთან. სამოქალაქო საზოგადოება მიზნად მატერიალური მოგების მიღებას კი არ ისახავს, არამედ კოლექტიური ძალისხმევის გზით საერთო საზოგადოებრივი სიკეთის მიღწევას. მაიქლ უოლზერი, ლარი დაიმონდი, კოენი და არატო და სხვა სამოქალაქო საზოგადოების თეორეტიკოსები სამოქალაქო საზოგადოებას ბაზრისაგან, ეკონომიკური ინტერესებისაგან თავისუფალ ზონად წარმოგვიდგენენ.

სამოქალაქო საზოგადოების თეორიების უმეტესობა თანხმდება იმაზე, რომ ეს არის ნებაყოფლობითი ავტონომიური თვითორგანიზებადი და თვითმართვადი ჯგუფებისაგან შემდგარი საზოგადოებრივი ცხოვრების სფერო, რომელიც წარმოადგენს შუალედურ რგოლს სახელმწიფოსა და ბიზნესის სფეროებს შორის.

სამოქალაქო საზოგადოების ცნების არაერთგვაროვანი გაგება და ხანგრძლივი დებატები მის გარშემო განპირობებულია ასევე იმითაც, რომ სამოქალაქო საზოგადოების დისკურსების სხვადასხვა კონტექსტში და გეოგრაფიულ რეგიონში განსხვავებულია. მკვლევართა უმეტესობა აღიარებს, რომ სამოქალაქო საზოგადოება არის დასავლური კონცეპტი, რომელიც ისტორიულად მოქალაქეთა უფლებების დაცვასა და ემანსიპაციასთან არის დაკავშირებული.

სამოქალაქო საზოგადოება დასავლურ ლიბერალურ-დემოკრატიულ კონტექსტში მიჩნეულია უმნიშვნელოვანეს რგოლად ინდივიდუალური თავისუფლების, სოციალური პლურალიზმის და დემოკრატიული წყობის მისაღწევად და განსამტკიცებლად. სამოქალაქო საზოგადოების კონცეპტი, რომელსაც გააჩნია ლიბერალური წარმოშობის ფესვები თანამედროვე პირობებში სხვადასხვა კულტურებს შორის დიალოგის ერთ–ერთი მნიშვნელოვანი საფუძველი გახდა.

თუ შევაჯამებთ სამოქალაქო საზოგადოების გარშემო არსებულ მოსაზრებებს და იდეებს, შეიძლება ითქვას, რომ თანამედროვე სოციალურ და პოლიტიკურ თეორიაში გავრცელებულია სამოქალაქო საზოგადოების ფართო და შედარებით უფრო ვიწრო, ინსტიტუციონალური მიდგომა. გაფართოებული გაგებით, სამოქალაქო საზოგადოება არის საზოგადოების განსაზღვრული ტიპი, რომელიც საფუძვლად უდევს

დემოკრატიულ ინსტიტუციონალურ მოწყობას. ამ მოსაზრებას ავითარებს ფ. ფუკუიამა, ასევე ე. გელნერი. ეს უკანასკნელი თვლის, რომ სამოქალაქო საზოგადოება არსებობს მხოლოდ დასავლურ ინდივიდუალისტურ საზოგადოებებში და ისიც 1945 წლის შემდეგ.[80]

მეორე მხრივ, ავტორთა დიდი ნაწილი, მათ შორის როგორიცაა თანამედროვე მკვლევარები ლ. დაიმონდი, მ. ჰოვარდი, ჯ. ერენბერგი, სამოქალაქო საზოგადოებას, განსაზღვრავს როგორც ასოციაციურ ცხოვრებას და ასოციაციების ერთობლიობას, სადაც ინდივიდები მოქმედებენ კოლექტიურად საერთო საზოგადოებრივი სარგებლის მისაღწევად. სამოქალაქო საზოგადოების გაერთიანებებს ახასიათებს ნებაყოფლობითობა და სახელმწიფოსაგან ავტონომიურობა.

ჩვენი ანალიზი ადასტურებს, რომ გასული საუკუნეების დიდი მოაზროვნეები და თანამედროვე მეცნიერები სამოქალაქო საზოგადოების პრობლემებს დიდ ყურადღებას უთმობენ და ეს შემთხვევითი არა არის. საქმე იმაშია, რომ სამოქალაქო საზოგადოების არსის გარკვევის გარეშე, შეუძლებელია გაიგო სახელმწიფოს მართვის ფორმები, მთლიანად საზოგადოებრივი ცხოვრების პოლიტიკური და სოციალური სფერო, აგრეთვე სამოქალაქო საზოგადოების და გლობალიზაციის თანამედროვე პროცესები, მათ შორის ამ პროცესების გენდერული ასპექტი.

1.3. სამოქალაქო საზოგადოების ჩასახვის და განვითარების ძირითადი ეტაპები საქართველოში

თანამედროვე ტიპის სამოქალაქო საზოგადოების განვითარებაზე საქართველოში შეგვიძლია ვილაპარაკოთ მე-19 საუკუნის შუა ხანებიდან. თუმცა ზოგიერთი ავტორი თვლის, რომ ასეთი საზოგადოების ჩანასახს ხელოსანთა და ვაჭართა გილდია წარმოადგენდა. ისინი თბილისში შუა საუკუნეებიდან არსებობდნენ და ხელს უწყობდნენ იმ დროისთვის შედარებით მაღალ სამოქალაქო თანამონაწილეობას.

[80] *Conditions of Liberty: Civil Society and Its Rivals.* By Ernest Gellner. Allen Lane (Penguin), 1994. p. 212

აღსანიშნავია, რომ მე-19 საუკუნის საქართველოს სამოქალაქო საზოგადოებაში წამყვან როლს თამაშობდნენ არა ეკონომიკური ინტერესის გარშემო გაერთიანებული ჯგუფები (ან გილდიები), არამედ ისეთი ჯგუფები, როგორიცაა „ინტელიგენცია" ან „ინტელექტუალები", რომლებიც „პროგრესული" ლიბერალური იდეებით გამოირჩეოდნენ.

რუსეთის უნივერსიტეტებში განთლება მიღებულმა ახალგაზრდებმა, საქართველოში დაბრუნების შემდეგ, ძლიერი იმპულსი მისცეს ლიბერალური იდეების განვითარებას და სამოქალაქო ტიპის გაერთიანებების ჩამოყალიბებას. ახალგაზრდა ინტელექტუალებს შორის განსაკუთრებით გამოირჩეოდა ილია ჭავჭავაძე. 1883 წელს მის მიერ დაწერილ „შინაურ მიმოხილვაში" ჩვენ ვხედავთ, რომ ამ პერიოდისთვის საქართველოში შექმნილია მთელი რიგი საზოგადოებები: წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება, ქართული დრამატული საზოგადოება, ღარიბ მოსწავლეთა შემწეობის საზოგადოება, ბანკები, ქალთა ორგანიზაციები და სხვ. ილიას ნაშრომებში გადმოცემულია მისი განწყობა მაშინდელ საზოგადოებაში განხორციელებული ცვლილებების შესახებ. ეს ცვლილებები მას არ აკმაყოფილებს და საზოგადოებისგან იგი უფრო მეტს მოითხოვს.

მის ლიბერალურ კონცეფციებში გარკვეული ადგილი უჭირავს პიროვნების უფლებების, თავისუფლებების და მოვალეობის საკითხებს. ილია ეწინააღმდეგება ისეთ ცნობიერებას, რომელიც ამბობს: "თუ მე არ ვიქნები, ქვა ქვაზედაც ნუ იქნებაო. ეს ხომ საზოგადო ინტერესებიდან კერძო ინტერესებზე ჩამოხდომაა! ეს ხომ უკან გაბრუნებაა წინ მიმავალი კაცისა! ეს ხომ უკან დახევაა!" [81]

საინტერესოა მისი მოსაზრება, აგრეთვე, საზოგადოების არსის შესახებ: „რაკი ეგრეა, მრავალგვარი დამოკიდებულება ერთმანეთზედ აუცილებელია ადამიანისათვის. უმაგისოდ ადამიანთა ერთმანეთში მოთავსება შეუძლებელია და წარმოუდგენელი... აი, ამ დამოკიდებულების გამო, ყოველ ადამიანს თავის საკუთარი „შინას" გარდა სხვაგვარი

[81]ჭავჭავაძე ი. თხზულებანი, თბ.1938 ტ. YII, „ქართული წიგნის" გამოცემა, გვ. 262

„შინაც“ აქვს, როცა იგი ერთი მრავალთაგანია და საცა ამის გამო მისი „მე“ მოვალეა და „ჩვენ“ მბრძანებელი. ეგ „ჩვენ“ თვითონ საზოგადოებაა.“ [82]

საყურადღებოა გამოჩენილი პედაგოგის, საზოგადო მოღვაწის, განმანათლებლის, პუბლიცისტის იაკობ გოგებაშვილის შეხედულებები საქართველოში სამოქალაქო საზოგადოების გააქტიურების თაობაზე. გოგებაშვილი მიესალმება „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების საქმიანობას“ და აღნიშნავს: „ამისთანა მაღალ-მნიშვნელოვანი საზოგადოება ჩვენში ჯერად არ დაბადებულა. მას დანიშნულებად აქვს არა რაიმე დაბალი საგანი, არამედ იმისთანა უძვირფასესი საუნჯე ადამიანისათვის, როგორიც არის ერის განათლება. იგი ემსახურება არა ერთს რომელსამე წოდებას ქვეყნისა, არამედ ვალად იდებს ზრუნვას მთელ ერზედ, მისთვის არ არსებობენ არც თავადი, არც აზნაური. არც სამღვდელო, არც გლეხი. იგი ემსახურება საერთოდ მთელს საქართველოსა. მისი მოქმედება არ განისაზღვრება ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი რომელიმე კუნჭულით, - მის ასპარეზს, სარბიელს შეადგენს მთელი ჩვენი ქვეყანა, მთელი საქართველო. ამ გვარს საზოგადოებას ბევრი კეთილი წადილისათვის უნდა შეესხა ფრთები და დიდი იმედი დაიბადა ჩვენს საზოგადოებაში.[83]

აღსანიშნავია, რომ თუ თანამედროვე სამოქალაქო საზოგადოების მისიას, მიზნებსა და ამოცანებს გადავხედავთ, მივხვდებით რომ გოგებაშვილი ჯერ კიდევ მაშინ აცნობიერებდა სამოქალაქო საზოგადოების მნიშვნელობას, ქონდა მისი შემდგომი განვითარების საკუთარი ხედვა და ესმოდა, რომ ქვეყნის წინსვლისა და პროგრესის საქმეში საზოგადოების აქტიურ ჩართულობას უდიდესი როლი ეკისრება. ის ამბობდა, რომ საქართველოს ყველა კუთხეში საზოგადოებრივი საქმის საკეთებლად, ადგილებზე ლიდერების წარმოჩენაა მნიშვნელოვანი, რომ მათ საზოგადოების ნდობა მოიპოვონ. ასევე ის მიზანშეწონილად თვლიდა, რომ შეიქმნას ორგანიზაციული ქსელი „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისა“. ამასთან, მას უკვე წინასწარ ჰქონდა გათვლილი ამგვარი წამოწყებული საქმიანობის შედეგი: „როცა ეს მოხდება, როდესაც

[82] იქვე, გვ. 224
[83] გოგებაშვილი ი. რჩეული თხზულებანი, ტ.1, გვ. 311

ყოველ კუთხეში და ყოველ ქალაქში დაწესდება წერა-კითხვის საზოგადოების განყოფილებანი, ანუ აგენტურები. ჩარხი წერა-კითხვის საზოგადოებისა სწრაფად დატრიალდება, დაიბადება პატიოსანი გაჯიბრება საქართველოს კუთხეებს შორის ხალხის განათლების შესახებ და ერთი ოცად მეტი გაკეთდება ყოველ წლივ, ვიდრე ახლა კეთდება“.[84]

ამ პერიოდთან არის დაკავშირებული საქართველოში ბეჭდვითი მედიის წარმოშობაც, რომელიც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან და საჭირბოროტო პრობლემებზე სადისკუსიო ფორუმად იქცა. გამოჩდნენ პირველი საზოგადოებები და ასოციაციები, რომლებიც ძირითადად კულტურული და საგანმანათლებლო საქმიანობებითა და მიზნებით იყვნენ დაკავებული, თუმცა, მე-19 საუკუნის დასასრულისთვის პოლიტიკური ორგანიზაციებიც შეიქმნა. წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება შეგვიძლია ერთ-ერთ პირველ არასამთავრობო ორგანიზაციადაც ჩავთვალოთ. სხვა ფუნქციებთან ერთად, ამ საზოგადოებას უმნიშვნელოვანესი დანიშნულება ქონდა - მას უნდა გადაეჭრა განათლების და წერა-კითხვის უცოდინარობის პრობლემა.

იმ პერიოდის საქართველოს საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში ჩვენი სასიქადულო მამულიშვილები - ილია ჭავჭავაძე, იაკობ გოგებაშვილი, ნიკო ნიკოლაძე, დიმიტრი ყიფიანი, არჩილ ჯორჯაძე და სხვ. აქტიურად იყვნენ ჩაბმულნი სამოქალაქო საზოგადოების ფორმირების პროცესში და მათ დიდი როლი შეასრულეს მისი განვითარების საქმეში.

ნიკო ნიკოლაძე სამოქალაქო საზოგადოებას უფრო მეტი აქტივობისაკენ მოუწოდებდა, რათა მათ ფეხი აეწყოთ ევროპული გამოწვევებისთვის: „დღეს მთელი ევროპა გაღვიძებულია. ყველგან ისმის გაუმჯობესების სიტყვა, გაახლების სურვილი სჩანს, ცხოვრების წინ წამყვანი ძალა მოქმედებს და ახალი წესის დაარსება იწყება...ახალი თაობა სამკვიდრებლის მისაღებად ირაზმება, - მზადდება ახალი წესი და ვინ იცის

[84] გოგებაშვილი ი. რჩეული თხზულებანი, ტ.1, გვ. 312

როგორი პოლიტიკური მოვლენები, და ამისთანა დროს ყრუთ და ბრმათ დარჩენა შეცდომა კი არაა მარტო, მძიმე დანაშაულობაა შემდეგი თაობის და ხალხის წინ“. [85]

მეცხრამეტე საუკუნის 70-იან წლებში ნ. ნიკოლაძე მნიშვნელოვან როლს თამაშობდა საქართველოს საზოგადოებრივი აზრის ფორმირების პროცესში. თავისი მსოფლმხედველობიდან და საქმიანობიდან გამომდინარე, დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა საზოგადოებრივ ასპარეზზე ნიჭიერი და საქმიანი ახალგაზრდების ჩართულობას, რადგან მას მიაჩნდა, რომ სწორედ მათზეა დამოკიდებული ქართული საზოგადოების მომავალი. მან ყურადღება მიაქცია ქართული საზოგადოებრივი ცხოვრების ჩამორჩენილობას და ზრუნავდა მისი გარდაქმნისთვის. ნიკოლაძემ დაიწყო მაშინდელი ქართველი მოღვაწეების და მათი იდეური მრწამსის შესწავლა, მაგრამ ძველ მეგობრებთან შეხვედრას არცთუ ისე სახარბიელო შთაბეჭდილება მოუხდენია. გაზეთ დროებაში გამოქვეყნებულ სტატიაში „ძველი მეგობრები ახალ კანში“ იგი წერდა: „დიდკაცობასა და სიამოვნებას შეჩვევიან და შიგ ნიჭი და ახალგაზრდობა ჩაუღუპავთ. თვით საზოგადოებაც თითქოს შეცვლილია. ნაცვლად საერთო საქმისათვის თავდადებული ადამიანებისა, დღეს ის პირადი ცხოვრებით გატაცებული უღიმის“. [86]ვფიქრობთ საოცარია ზემოთ აღნიშნული სამოქალაქო ჩართულობის მაგალითები, რომლიდანაც შეიძლება გამოვიტანოთ დასკვნა, რომ სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის საქართველოს გამოცდილება ჯერ კიდევ 150 წლის წინათაც ჰქონია და ქვემოთ ცალკე თავში ჩვენ განიხილავთ ამ პროცესებში საქართველოს ქალების აქტიური მონაწილეობის მაგალითებს.

1918 - 1921 წლებში დამოუკიდებელი საქართველოს რესპუბლიკის არსებობის მოკლე პერიოდში, აღინიშნა ადრეული სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ბოლო სტადია. თუმცა, ამ სახელმწიფომ სამ წელიწადზე ნაკლები იარსება და ძირითადად არსებობისთვის ბრძოლით იყო დაკავებული. მისი პოლიტიკური ცხოვრება

[85] ნიკოლაძე ნ. თხზულებანი, ტ. 1,. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, გვ.36
[86] გაზეთი „დროება“ #23.1870

დემოკრატიულ პრინციპებს ემყარებოდა, რაც, ბუნებრივია, შეუძლებელი იქნებოდა სამოქალაქო საზოგადოების განვითარების გარკვეული დონის გარეშე. [87]

საქართველოს დემოკრატიულმა რესპუბლიკამ (1918-1921 წ.წ.), მიუხედავად თავისი არსებობის ხანმოკლე პერიოდისა, მნიშვნელოვანი ზეგავლენა მოახდინა შემდგომი პერიოდის ქართული პოლიტიკური აზრისა და, მასთან ერთად, ქართული სახელმწიფოს განვითარებაზე. საქართველო მსოფლიოში პირველი ქვეყანა აღმოჩნდა, სადაც ხელისუფლების სათავეში სოციალ-დემოკრატია მოვიდა. ამიტომ საქართველოს იმდროინდელი ლიდერები თავს მოვალედ მიიჩნევდნენ, ეპოვათ "მესამე გზა" - როგორც თვითონ ამბობდნენ, დასავლეთის "ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ შეზღუდულობასა" და საბჭოთა რუსეთის ბოლშევიკურ ექსპერიმენტს შორის. ქართველ სოციალ-დემოკრატებს, რომლებიც ბოლშევიზმის თეორიასა და პრაქტიკას ემიჯნებოდნენ, ნაადრევად და შეუძლებლად მიაჩნდათ სოციალისტური გარდაქმნების განხორციელება საქართველოში. საქართველოს კონკრეტულ პირობებში უმთავრეს ამოცანად დემოკრატიული საზოგადოების შექმნა იყო მიჩნეული. ხელისუფლების სათავეში კი სოციალ-დემოკრატიის ყოფნის გამო, სახელმწიფოს შესაძლებლის მაქსიმუმი უნდა გაეკეთებინა მშრომელთა ინტერესების დასაცავად. [88]

ამ ფაქტს ასე ეხმაურება მწერალი კონსტანტინე გამსახურდია: „სამი წელი დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობა უფრო ძლიერი იყო თავისი განცდის ინტენსიურობით, ვიდრე მონობის ასი წელი“.[89]

1921 წელს საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციას მოჰყვა კომუნისტური რეჟიმის დამყარება, რომელიც მალევე ტოტალიტარულ პოლიტიკურ სისტემაში გადაიზარდა. კომუნისტური სახელმწიფო შანსს არ აძლევდა ადამიანებს საზოგადოებრივი აქტივობისა და კერძო ინიციატივებისათვის. ამ პერიოდში არსებული

---

[87] საქართველოს სამოქალაქო საზოგადოების შეფასება, http://www.nplg.gov.ge/gsdl/cgi-bin/library.exe

[88] მაცაბერიძე მ. დემოკრატიის ქართული მოდელის ძიება საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მაგალითზე, #1(17), 2008, http://aaf.ge/index.php?menu=2&jurn=17&rubr=0&mas=632

[89] კვესელავა ი. საქართველო XX საუკუნის 70-80-იან წლებში (საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობა), თბ. 1999, გვ. 172

ე.წ. სამოქალაქო ორგანიზაციები დემოკრატიულ ქვეყნებში არსებული სამოქალაქო საზოგადოებების იმიტაციას წარმოადგენდნენ (მაგ.: სავაჭრო გაერთიანებები, ახალგაზრდული კომუნისტური კავშირი - კომკავშირი, მშვიდობის კომიტეტი, შემოქმედ ხელოვანთა ასოციაციები და სხვ.), მაგრამ ეს ორგანიზაციები არც ნებაყოფლობითი იყო და არც სახელმწიფოსგან დამოუკიდებელი. თუმცა, არაფორმალურ დონეზე არსებობდა სხვადასხვა ფორმის (არაპოლიტიკური) ნებაყოფლობითი სამოქალაქო აქტივობა, მაგ.: სამეზობლო და პროფესიული გაერთიანებები, თვითდახმარების ჯგუფები, ფილატელისტთა კავშირები და ა. შ. საბჭოთა რეჟიმის ბოლო პერიოდში, 1960-დან 1980-იან წლებამდე, რეჟიმის რეპრესიული პოლიტიკის შესუსტებამ შესაძლებელი გახადა დისიდენტური მოძრაობის წარმოშობა. აღმოსავლეთ ევროპაში დისიდენტური მოძრაობა თავის თავს ,,სამოქალაქო საზოგადოებად'' განიხილავდა და ამ იდეის პროპაგანდას აქტიურად ეწეოდა. დისიდენტური მოძრაობა საქართველოშიც გააქტიურდა. გაჩნდნენ მცირე დისიდენტური ჯგუფები, მაგრამ ისინი ძირითადად ეროვნული დამოუკიდებლობის იდეით იყვნენ ანთებულნი და ნაკლებ ყურადღებას უთმობდნენ ლიბერალურ იდეებს. ამავდროულად, ნებადართულ ნახევრად სამოქალაქო ინსტიტუტებში, განსაკუთრებით შემოქმედებით ინტელიგენციაში, ოფიციალური იდეოლოგიიდან მეტ-ნაკლები გადახვევები შეინიშნებოდა.

საქართველოში სამოქალაქო საზოგადოების გააქტიურება 1980-იან წლებში საბჭოთა კომუნისტური რეჟიმის ლიბერალიზაციასთან არის დაკავშირებული, რომელიც მიხეილ გორბაჩოვის მიერ განხორციელებულმა „პერესტროიკისა" და „გლასტნოსტის" (გარდაქმნა და საჯაროობა) პოლიტიკამ მოიტანა. ამ პოლიტიკის პირობებში შესაძლებელი გახდა საზოგადოებაზე და მასმედიაზე ტოტალური კონტროლის შემცირება და სხვადასხვა პოლიტიკური და საზოგადოებრივი ჯგუფების შექმნა. შეცვლილმა რეალობამ და ახალმა მოქმედმა პირებმა ახალი საჯარო დისკურსი შემოიტანეს, რომელიც ანტიკომუნისტურ და ნაციონალისტურ იდეებს ეფუძნებოდა, ძირითად მიზანს კი დამოუკიდებელი ქართული სახელმწიფო წარმოადგენდა, რომელიც დასავლურ ღირებულებებსა და წესებს დაეფუძნებოდა.

ამ პერიოდის ყველაზე უფრო მასობრივი და რეზონანსული საჯარო საპროტესტო კამპანია მიმართული იყო ტრანსკავკასიური რკინიგზისა და ხუდონის ელექტროსადგურის წინააღმდეგ. ფორმალურად ორივე დაწყებული იყო ეკოლოგიური მოტივებით. ამის შემდეგ იყო მესამე მასშტაბური საპროტესტო გამოსვლები საბჭოთა არმიის სამხედრო წვრთნების წინააღმდეგ. ეს წვრთნები მიმდინარეობდა დავით-გარეჯის უდაბნოში და ისტორიულ დავით-გარეჯის სამონასტრო კომპლექსს აზიანებდა. ამ საჯარო საპროტესტო კამპანიებს სხვადასხვა მოტივები ქონდათ, მაგრამ მათ ძირითად მიზანს საბჭოთა კომუნისტური რეჟიმის წინააღმდეგ მასობრივი საპროტესტო მოძრაობის ორგანიზება და მობილიზება წარმოადგენდა.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ამ პერიოდში დაფუძნებული სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების ძირითადი ღირებულება იყო ნაციონალიზმი და ანტიკომუნიზმი. ლიბერალური სამოქალაქო საზოგადოების შექმნა მხოლოდ რამდენიმე ორგანიზაციისთვის იყო პრიორიტეტული, თუმცა, გარკვეული წვლილი თითქმის ყველას შეჰქონდა. ახალშექმნილი ორგანიზაციები სტრუქტურულად გაუმართავი, ცუდად ორგანიზებული და შესაბამისად, მოხალისეთა მცირე ჯგუფზე იყვნენ დამოკიდებულნი. ისინი ზოგჯერ არასისტემურად იღებდნენ დახმარებას განვითარების ადრეულ საფეხურზე მდგომი კერძო ან ნახევრად კერძო ბიზნესისგან. მათ არ ქონდათ გამოცდილება, ამავდროულად პატრიოტიზმით, რომანტიზმით და არასტაბილურობით გამოირჩეოდნენ. ამ დროს წარმოიშვა კერძო შეიარაღებული დაჯგუფებები, როგორც სამოქალაქო საზოგადოების ფორმა და ნეგატიური გამოვლენა. ასეთი ორგანიზაციების ყველაზე თვალსაჩინო მაგალითი იყო მხედრიონი, რომელიც შეიქმნა როგორც პატრიოტული მოძრაობა, მაგრამ მალევე განიცადა კრიმინალიზაცია და ,,დაფინანსებას'' ძირითადად იარაღის მუქარით გამოძალვისა და ყაჩაღობის გზით მოიპოვებდა.[90]

დამოუკიდებლობის მიღების შემდეგ, დასავლეთის ქვეყნები დაინტერესდნენ საქართველოში სამოქალაქო საზოგადოების განვითარებით. მოქალაქეთა სხვადასხვა ჯგუფებისთვის, თავიანთი ახალი ინიციატივებით, მიეცათ აქტივობის შესაძლებლობა,

[90] საქართველოს სამოქალაქო საზოგადოების შეფასება, http://www.nplg.gov.ge/gsdl/cgi-bin/library.exe

რამაც ქვეყანაში მნიშვნელოვნად შეცვალა გარემო სამოქალაქო აქტივობისათვის. სამოქალაქო აქტივობები ძირითადად არასამთავრობო ორგანიზაციების ფორმით ვლინდებოდა, რომლებიც ძირითადად დასავლური ფონდების დახმარებაზე იყვნენ დამოკიდებულნი. სულ რამოდენიმე წელიწადში, 1992-დან 1995-მდე, საქართველოში არასამთავრობო ორგანიზაციების რიცხვმა რამდენიმე ათასს მიაღწია. ამ ეტაპზე ისეთმა ფონდებმა, როგორიცაა ღია საზოგადოება - საქართველო, ევრაზიის ფონდი, ISAR -საქართველო (მოგვიანებით ცნობილი, როგორც ფონდი - ჰორიზონტი და სხვ.) განსაკუთრებით მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს არასამთავრობო სექტორის განვითარებაში.

პოსტსაბჭოურ სივრცეზე სამოქალაქო საზოგადოების მშენებლობის პროექტი დასაწყისში ყველაზე უკეთ იყო წარმოდგენილი სოროსის ფონდის ინიციატივებითა და გრანტების სტრუქტურით. სამოქალაქო საზოგადოების მშენებლობის სოროსისეული პროექტი იყო წმინდა ინსტიტუციონალური, ანუ მიმართული გარკვეული ინსტიტუტების მხარდაჭერაზე და წახალისებაზე. ეს ინსტიტუტები თავიდან იყო მასობრივი ნებაყოფლობითი ორგანიზაციები, რომელთა მეშვეობით მათი წევრები, გარდა ძირითადი ეკონომიკური საქმიანობისა, (რომელსაც ისინი სადღაც სხვაგან გასწევდნენ), მიიღებდნენ მონაწილეობას საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ანუ, სამოქალაქო საზოგადოების სტრუქტურა (ინსტიტუტები), ანალოგიურად პოლიტიკური სისტემის სტრუქტურისა (ინსტიტუტებისა), უნდა ყოფილიყო შექმნილი დასავლური პრაქტიკის „copy-pasting"-ის გზით, ან, სხვა სიტყვებით, disembeding-reembeding - ის მეშვეობით. ამ სტრუქტურაში დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა ახლადქმნადი არასამთავრობო ორგანიზაციების მასობრიობას, ღიაობას („ღია საზოგადოების" მშენებლობა), არაპოლიტიზებულობას და მოქალაქეთა ნებაყოფლობით მონაწილეობას. მშენებარე ორგანიზაციები, ისევე როგორც ჩამოყალიბების პროცესში მყოფი დამოუკიდებელი მედია, უნდა გამხდარიყო სამოქალაქო საზოგადოების ჩონჩხი.[91] ამასთანავე სამოქალაქო

[91] მუსხელიშვილი მარინა, სამოქალაქო საზოგადოება: შედარებითი ანალიზი, თბილისი, სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი, 2006, გვ. 56

საზოგადოება საქართველოში თავისი სპეციფიური მახასიათებლებით გამოირჩევა. ამ პერიოდში მოხდა მკვეთრი გამიჯვნა პოლიტიკურ პარტიებსა და არასამთავრობო ორგანიზაციებს შორის, პრიორიტეტული გახდა დასავლური ტიპის ლიბერალური ღირებულებების მხარდაჭერა, მოხდა მათი საქმიანობის დივერსიფიცირება. ისინი აქტიურად მუშაობენ დემოკრატიის განვითარებისა და ადამიანის და ქალთა უფლებების, კონფლიქტების მშვიდობიანად მოგვარების, სამოქალაქო განათლების, გარემოს დაცვის და სხვ. სფეროებში. მნიშვნელოვნად გაიზარდა მათი პროფესიონალიზმი და ორგანიზაციული მდგრადობა, თუმცა იყო ისეთებიც, რომლებიც მხოლოდ ფურცელზე არსებობდა ან რამდენიმე პროექტის განხორციელების შემდეგ არსებობას წყვეტდა. მაგრამ იყვნენ ისეთებიც, რომლებმაც დასავლური ფინანსური დახმარება გონივრულად გამოიყენა და ჩამოაყალიბა მუდმივ თანამშრომელთა ბირთვი და მართვის თანამედროვე ფორმები. წარმატებულმა არასამთავრობო ორგანიზაციებმა საზოგადოებაში საზოგადოებრივი და პოლიტიკური გავლენა მოიპოვეს. საზოგადოებას შეექმნა გარკვეული წარმოდგენა მესამე სექტორზე და იგი გარკვეული ღირებულებების და უფლებების დაცვასთან გააიგივა.

ამასთანავე პირველ რიგში უნდა ხაზი გავუსვათ იმას, რომ საქართველოში (და მთლიანად, პოსტსაბჭოთა სივრცეში) ჩამოყალიბებულ არასამთავრობო ორგანიზაციებს აქვთ ერთი მახასიათებელი - ისინი არ არიან მასიურები. ეს მათი თვისება თვისებრივია, და არა უბრალოდ რაოდენობრივი. [92] ამავე დროს, მესამე სექტორი თითქმის მთლიანად დამოკიდებული იყო დასავლურ დახმარებაზე. ამან კი მისი ფინანსური მდგრადობა სერიოზული პრობლემების წინაშე დააყენა და მთლიანი სექტორის ლეგიტიმურობის პრობლემაც გააჩინა. საზოგადოების გარკვეული ნაწილი, განსაკუთრებით ისინი, ვინც სხვადასხვა პოლიტიკური თუ იდეოლოგიური მოტივებით დასავლური ღირებულებების გავლენის ზრდას აკრიტიკებენ, **NGO**-ებს ბრალს დებენ საქართველოსთვის უცხო

[92] მუსხელიშვილი მარინა, სამოქალაქო საზოგადოება: შედარებითი ანალიზი, თბილისი, სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი, 2006, გვ. 57

ინტერესებისა და ღირებულებების მხარდაჭერასა და დასავლური ფულის ანგარებიან გამოყენებაში, არასამთავრობო ორგანიზაციებს კი „გრანტიჭამიებად" მოიხსენიებენ.

ალბათ ეს ბრალდებები მთლად უსაფუძვლო არ არის, რადგან ეკონომიკური განუვითარებლობის და ადამიანთა მძიმე სოციალური ყოფის ფონზე დასავლური გრანტები **NGO**-ებში დასაქმებულთა შედარებით მაღალი შემოსავლით უზრუნველყოფდა. ამიტომაც ზოგიერთი ორგანიზაცია სამოქალაქო აქტივობას, როგორც გარკვეულ ბიზნესს, ისე უდგებოდა. ამავე დროს, ქართულ **NGO**-ებს დასავლური ფონდების პრიორიტეტებზე გავლენის მოხდენის მცირე შესაძლებლობა ჰქონდათ და მათი საქმიანობების მიმართულებაც ფონდების პრიორიტეტების ცვლასთან ერთად იცვლებოდა. თუმცა დასავლურმა ფინანსურმა დახმარებამ დიდად შეუწყო ხელი სამოქალაქო საზოგადების მდგრადობას და საზოგადოებაზე მათი გავლენის ზრდას. მაგრამ ამავდროულად საზოგადოებაში გაჩნდა კითხვები იმის თაობაზე, თუ რამდენად გავლენიანები იყვნენ ეს **NGO**-ები საკუთარ საზოგადოებაში და რამდენად გულწრფელნი იყვნენ ისინი მათ მიერ დეკლარირებული ღირებულებების დაცვაში.

ვარდების რევოლუციამ, მის წინამორბედ და მომდევნო პერიოდთან ერთად, ნათლად აჩვენა საქართველოში სამოქალაქო საზოგადოების ძლიერი და სუსტი მხარეები. 2000 წლის შემდგომ პერიოდში მთავრობის პოპულარობა მნიშვნელოვნად დაეცა, რასაც შიდა განხეთქილებაც დაემთხვა: მთავრობის ახალგაზრდა რეფორმატორული ფრთა, რომლის სათავეშიც ზურაბ ჟვანია და მიხეილ სააკაშვილი იყვნენ, გაემიჯნნენ პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძეს და სხვა ლიდერებს და ოპოზიციურ ძალად ჩამოყალიბდნენ. ამას მოჰყვა მესამე სექტორის დამოკიდებულების შეცვლა მთავრობასა და პოლიტიკური პარტიების მიმართ. ამ პერიოდამდე არასამთავრობო სექტორი პოლიტიკური პროცესებისგან დისტანცირებას ცდილობდა. მაგრამ ახალ ვითარებაში, როდესაც შევარდნაძის ხელისუფლება სულ უფრო იხრებოდა ავტორიტარიზმისკენ, ყველაზე გავლენიანმა ოპოზიციურმა პარტიებმა მყარად აიღეს ორიენტაცია დასავლური დემოკრატიული ღირებულებებისაკენ, ზოგიერთმა აქტიურმა ორგანიზაციამ კი, რომელთაგან თავისუფლების ინსტიტუტი გამოირჩეოდა, ხელისუფლებასთან ღია

დაპირისპირების პოლიტიკას დაუჭირა მხარი. ფორმალურად ეს არ გულისხმობდა არც ერთი ცალკეული ოპოზიციური პარტიის მხარდაჭერას, მაგრამ ფაქტობრივად მესამე სექტორის უდიდესმა ნაწილმა მხარი დაუჭირა მიხეილ სააკაშვილსა და ნაციონალურ მოძრაობას

.ფონდი ღია საზოგადოება - საქართველო-ს მხარდაჭერით სამოქალაქო საზოგადოების ამ მონაწილეებმა შექმნეს საკოორდინაციო საბჭო, რომლის მთავარი მიზანიც სამართლიანი არჩევნების ჩატარების უზრუნველყოფა და მთავრობის არადემოკრატიულ ქმედებებთან დაპირისპირება იყო. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი აღმოჩნდა ახალგაზრდული ორგანიზაცია „კმარას“ დაარსება, რომლის მიზანიც ანტისახელისუფლო მშვიდობიანი აქციების მოწყობა იყო. ზოგიერთმა არასამთავრობო ორგანიზაციამ (მაგ. ყოფილი პოლიტპატიმრები ადამიანის უფლებებისთვის,) მესამე სექტორის მიკერძოებული პოლიტიზირება არამართებულად მიიჩნია და მოუწოდა არასამთავრობო ორგანიზაციებს ნეიტრალური მსაჯულის როლი ეთამაშათ, რადგანაც მათ მიაჩნდათ, რომ პოლიტიზირებული **NGO**-ები პოლიტიკური პარტიების ინტერესების დამცველებად იქცეოდნენ, მაგრამ ამ იდეის მხარდამჭერები უმცირესობაში აღმოჩნდნენ.

2003 წლის ნოემბერში საქართველოში მოხდა ხელისუფლების მშვიდობიანი, მაგრამ არაკონსტიტუციური შეცვლა. მოქალაქეთა მასობრივი პროტესტი 3 კვირა გაგრძელდა, რომელიც 2003 წლის 23 ნოემბერს პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძის გადადგომით დასრულდა. პროტესტის მიზეზი 2 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნების მასიური გაყალბება იყო. გავრცელებული თვალსაზრისით, არჩევნების შედეგები მმართველი პარტიების, მოქალაქეთა კავშირისა და აღორძინების, სასარგებლოდ გაყალბდა. ასეთი აზრი გამყარდა მას შემდეგ, რაც გამოვლინდა მნიშვნელოვანი სხვაობა არჩევნების წინასწარ შედეგებსა და „ეგზით პოლებისა” და ხმების პარალელური დათვლის შედეგებს შორის. ხელისუფლების შეცვლის ეს ეპიზოდი ისტორიაში “ვარდების რევოლუციის” სახელით შევიდა. საქართველოს მოსახლეობის უდიდესმა ნაწილმა და საერთაშორისო

საზოგადოებრიობამ „ვარდების რევოლუცია” პროგრესულ ნაბიჯად და საქართველოს მიერ დემოკრატიული ღირებულებების ერთგულების დემონსტრირებად მიიჩნია.

სამოქალაქო საზოგადოებამ დიდწილად განაპირობა შევარდნაძის რეჟიმის დელეგიტიმიზაცია და წესრიგში დემოკრატიული რეფორმების გატარების აუცილებლობა დააყენა. არასამთავრობო სექტორში მოხდა მნიშვნელოვანი ინტელექტუალური რესურსის კონცენტრირება. სამოქალაქო საზოგადოების პოპულარულ და ცნობილ წარმომადგენლებს შეეძლოთ მნიშვნელოვანი გავლენა მოეხდინათ საზოგადოებრივი აზრის ფორმირებაზე. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტების მედიასთან ურთიერთობა. მესამე სექტორის წარმომადგენლებს მედიაში დამოუკიდებელი ექსპერტების სახით იწვევდნენ. ისინი რეგულარულად აკრიტიკებდნენ ხელისუფლებას და დემოკრატიული რეფორმების აუცილებლობის იდეას ავითარებდნენ.

ზემოთ თქმული რომ შევაჯამოთ, არასამთავრობო სექტორმა მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა იმ წინაპირობების და ატმოსფეროს შექმნაზე, რამაც შედეგად ვარდების რევოლუცია გამოიწვია.

ვარდების რევოლუციის შემდეგ სამოქალაქო საზოგადოების გარკვეული ნაწილი ხალხის თვალში ხელისუფლებასთან ასოცირდებოდა. ამის დასტურად ისიც გამოდგება, რომ ბევრმა ადამიანმა, რომელიც სამოქალაქო საზოგადოების წევრად ითვლებოდა ხელისუფლებაში გადაინაცვლა. მოვლენების ასეთმა განვითარებამ საფრთხე შეუქმნა არასამთავრობო სექტორს, როგორც საზოგადოებრივი მოვლენების ობიექტურ შემფასებელს, ამიტომაც პოსტრევოლუციურ პერიოდში მოსახლეობის თვალში მკვეთრად იკლო სამოქალაქო საზოგადოების მნიშვნელობამ. დონორებშიც იმძლავრა აზრმა იმის შესახებ, რომ დემოკრატიული განვითარებისათვის უფრო ეფექტური იქნებოდა ხელისუფლების დაფინანსება, რაც მესამე სექტორის დაფინანსების შემცირების ხარჯზე მოხდა. შემცირდა თვით სამოქალაქო საზოგადოების აქტიურობაც და მასმედიის მხრივ მათი საქმიანობის გამუქებამაც, რადგანაც იგი მიიჩნევდა, რომ საზოგადოებაში მათი როლი არცთუ ისე მნიშვნელოვანი იყო. ამავდროულად არასამთავრობო

ორგანიზაციები, რომლებიც მხარს არ უჭერდნენ რევოლუციას საზოგადოებისაგან გარიყულები აღმოჩდნენ. ისინი შიშობდნენ, რომ შეიძლებოდა რეპრესიების მსხვერპლიც გამხდარიყვნენ.

თავის მხრივ, ის ორგანიზაციები, რომლებიც მხარს არ უჭერდნენ რევოლუციას, შიშობდნენ, რომ საზოგადოებისგან გარიყულნი აღმოჩნდებოდნენ და შეიძლება ხელისუფლებისგან რეპრესიების ობიექტიც გამხდარიყვნენ. მაგრამ მიუხედავად ამისა, 2004 წლის საკონსტიტუციო ცვლილებები სამოქალაქო საზოგადოების სერიოზული კრიტიკის ობიექტი გახდა. ამის შემდეგ იყო ხელისუფლების მხრიდან ადამიანის უფლებების, სამართლებრივი ნორმების დარღვევის, სასამართლო სისტემასა და დამოუკიდებელ მედიაზე ზეწოლის შემთხვევები და ოპონენტების წინააღმდეგ მიმართული აგრესიული რიტორიკა. ყოველივე ამის წინააღმდეგ სამოქალაქო საზოგადოებამაც აიმაღლა ხმა. მათ თავიანთ საქმიანობაში ყურადღება ისევ იმ საკითხებზე გადაიტანეს, რომლებიც რევოლუციამდე იყო აქტუალური, მაგ.: ორგანიზაციული შესაძლებლობების განვითარება, მოქმედების პრიორიტეტების განსაზღვრა, გრძელვადიანი რესურსების მოძიება, სოციალური ბაზისა და სამოქალაქო თანამონაწილეობის გაძლიერება და სხვ. სამოქალაქო სექტორმა, საზოგადოებასთან ერთად მნიშვნელოვანი როლი ითამაშა 2012 წელს ხელისუფლების მშვიდობიანი გზით შეცვლის პროცესში.

მთლიანობაში უნდა აღინიშნოს, რომ პოსტსაბჭოთა პერიოდის არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობაში მკვეთრად აკლდა საზოგადოებასთან და მედიასთან ურთიერთობა. უცხოურ დაფინანსებაზე მყოფი არასამთავრობო სექტორი გარკვეულწილად მოწყვეტილი აღმოჩნდა საზოგადოებისაგან. მართალია ისინი ორიენტირებულები იყვნენ ქვეყნის უმწვავეს სოციალურ და სამართლებრივ პრობლემებზე და ამ პრობლემების წარმოჩენისთვის იღებდნენ სოლიდურ ფინანსურ დახმარებებს, მაგრამ ქართულმა საზოგადოებამ პრაქტიკულად ვერ იგრძნო მათი აქტიური ქმედების ძალა. მიუხედავად არასამთავრობო სექტორის საქმიანობისა და სწრაფვისა, ვერა და ვერ მოხერხდა საზოგადოების მატერიალური მდგომარეობის

გაუმჯობესება, მისი სოციალურად გააქტიურება და ჩართვა მნიშვნელოვანი სახელმწიფოებრივი გადაწყვეტილებების მიღების პროცესში, მისი მეშვეობით რეალური საზოგადოებრივი კონტროლის განხორციელება ხელისუფლების ქმედებებზე, სოციალურ-პოლიტიკურ პროცესებზე, საზოგადოებრივ ცხოვრებაზე. ჯერ კიდევ ძალიან სუსტია, მეტიც, პრაქტიკულად არ არსებობს ქართული ბიზნესსტრუქტურებისა და ეროვნული ეკონომიკის მონაწილეობის პრეცედენტი სამოქალაქო საზოგადოების განვითარებაში მაშინ, როდესაც ეს დასავლეთის ქვეყნებში კარგად აპრობირებული პრაქტიკაა. ჯერ კიდევ ძალიან სუსტი და არაორგანიზებულია არასამთავრობო ორგანიზაციების პასუხისმგებლობა და ანგარიშვალდებულება საზოგადოების წინაშე. არასაკმარისად მწვავეა არასამთავრობო სექტორის რეაგირება ქვეყნისთვის უმნიშვნელოვანეს პრობლემებზე, როგორიცაა: უმუშევრობა, ლოთობა, ნარკომანია, მზარდი სოციალური უთანასწორობა ხელისუფლებაში მყიფ ჩინოვნიკებსა და საზოგადოებას შორის, ქალთა მდგომარეობა და სხვ. საზოგადოება ელოდება არასამთავრობო ორგანიზაციებისაგან რეაგირებას ისეთ უმნიშვნელოვანეს საკითხებზე და მათ გაანალიზებას როგორიცაა: ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგია ციფრული ტექნოლოგიების პირობებში, საზოგადოების გათვითცნობიერება რისკებთან და საფრთხეებთან დაკავშირებით, ქართული ჯარი და ეროვნული თავდაცვის პოლიტიკა, ბიზნესის როლი სამოქალაქო საზოგადოების მშენებლობაში, საზოგადოებასთან, მედიასთან და ხელისუფლებასთან ურთიერთობის კულტურის დონის ამაღლება. საზოგადოებას აქვს სურვილი, რომ არასამთავრობო ორგანიზაციებმა ითამაშონ მნიშვნელოვანი როლი არა მარტო მოქალაქეთა უფლებების დაცვის კუთხით, არამედ მოქალაქეთა მოვალეობების გაცნობის და სამოქალაქო განათლების კუთხითაც. რა უნდა გაკეთდეს იმისთვის, რომ რეალურად შეიცვალოს სამოქალაქო საზოგადოების ხარისხობრივი საქმიანობა.[93]

[93] ჩარკვიანი ხ. PR-ის როლი პოსტ-საბჭოთა საქართველოს დემოკრატიული ინსტიტუტების ჩამოყალიბებაში (1995-2005ww.)

ნებისმიერ ქვეყანაში, მოქალაქეთა თავისუფალი ნების საფუძველზე შექმნილი ასოციაციებისათვის დამახასიათებელი უნდა იყოს:

- წევრობის ნებაყოფლობითობა;
- გაერთიანების თვითწარმოქმნა;
- თვითგანვითარება;
- ავტონომიურობა;
- საკანონმდებლო, ან გაზიარებულ წესთა ერთობლიობით მოქმედება.

სამოქალაქო საზოგადოების ერთ-ერთი მთავარი მახასიათებელია სახელმწიფოს წინააღმდეგ მოთხოვნების წამოყენება და საზოგადოების წინაშე მოხელეთა ანგარიშვალდებულების უზრუნველყოფა. ამ მახასიათებლებით ასოციაციები ზღუდავენ სახელმწიფოს თვითნებობას. მოქალაქეებს საშუალება აქვთ აქტიურად ჩაებან სახელმწიფოს მიერ პოლიტიკის წარმოების პროცესში, რაც ლეგიტიმაციისა და ნდობის ხარისხს ზრდის.[94]

დღეისთვის საქართველოში 10 ათასზე მეტი არასამთავრობო ორგანიზაციაა დარეგისტრირებული, თუმცა რეალურად ამ რაოდენობის მეათედი თუ ფუნქციონირებს. ყველაზე უფრო გავლენიან არასამთავრობო ორგანიზაციებად ითვლება ის ორგანიზაციები, რომლებიც ადამიანის და ქალის უფლებების დაცვის, სამოქალაქო საზოგადოების განვითარების, საარჩევნო პროცესების მონიტორინგის, მასმედიის დამოუკიდებლობის უზრუნველყოფის სფეროებში მოღვაწეობენ. საინტერესოა ის სამართლებრივი ბაზა, რომელიც სამოქალაქო საზოგადოების საქმიანობას და ხელისუფლებასთან მის ურთიერთობებს არეგულირებს.

საქართველოში კანონით გათვალისწინებულია არასამთავრობო ორგანიზაციების რეგისტრაციის მარტივი პროცედურა და მათი მოქმედების თავისუფლება. ამავდროულად, არ არსებობს კანონი საზოგადოებრივი გაერთიანებებისა და

[94] სამოქალაქო საზოგადოება და მონაწილეობა. იხ. https://www.civiceducation.ge/ka/lessons/1

არაკომერციული ორგანიზაციების შესახებ. სამოქალაქო კოდექსი ერთადერთი კანონია, რომელიც არეგულირებს საკითხებს ასოციაციების და ფონდების შექმნისა და საქმიანობის შესახებ. მასობრივი ინფორმაციის საშუალებები თავისუფალია და აქტიურია ქვეყანაში მოქმედებს კანონი სიტყვის თავისუფლებისა და აზრის გამოხატვის შესახებ,[95] რომელიც უზრუნველყოფს მოქალაქის უფლებებსა და თავისუფლებებს სახელისუფლო ჩარევისაგან დამოუკიდებელი საზოგადოებრივი მაუწყებლობის ფორმირებას, თუმცა კვლავ შეშფოთებას იწვევს ამ ორგანიზაციების ფინანსური უზრუნველყოფის არა გამჭირვალობა და მასმედიაზე პოლიტიკური გავლენები.[96] ამასთან ერთად, უნდა აღინიშნოს, რომ მიღებულ იქნა „ტოლერანტობის და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნული კონცეფცია და 2009-2014 წ. წ. მოქმედების გეგმა“[97] , რომლის მიზანიც იყო საქართველოში შექმნილიყო ტოლერანტული და ურთიერთპატივისცემის გარემო აქ მცხოვრები ყველა მოქალაქისთვის, აგრეთვე უზრუნველყოფილიყო აუცილებელი პირობები პოლიტიკურ, სოციალურ, ეკონომიკურ და კულტურულ ცხოვრებაში ეროვნული უმცირესობების ეფექტური მონაწილოებისათვის. საქართველოში მოქმედებს კანონი გენდერული თანასწორობის შესახებ,[98] რომელიც მოწოდებულია არ დაუშვას დისკრიმინაცია გენდერული ნიშნით, მაგრამ მიუხედავად ამისა, ბევრი ექსპერტი დღეს გამოყოფს, მათი თვალსაზრისით, აქტუალურ საკითხებს: მდგომარეობა ადამიანის უფლებების სფეროში, ქალთა ადვოკატირების; „გაყინული“ კონფლიქტების გადაჭრის, სამოქალაქო საზოგადოებისა და სახელმწიფოს ურთიერთქმედების საკითხებს.

კონფლიქტის ესკალაციამ 2008 წელს კიდევ ერთხელ აჩვენა, რომ ოკუპირებულ რეგიონებში გრძელდება ადამიანის უფლებების დარღვევა და დღემდე არ არსებობს სასიცოცხლო მექანიზმები ამ ადამიანების დასაცველად. ადგილობრივი და საერთაშორისო ადამიანის უფლებების დამცველი ორგანიზაციების ინფორმაციები ცხადყოფენ, რომ კონფლიქტში ჩართულმა ყველა მხარემ დაარღვია საერთაშორისო

---

[95] საქართველოს კანონი სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ იხ. https://matsne.gov.ge/ru/document/download/33208/1/ru/pdf

[96] GEORGIAThird Round Monitoring Report RUS.pdf, p..11, https://www.oecd.org

[97] www.smr.gov.ge/docs/doc189.pdf

[98] საქართველოს კანონი გენდერული თანასწორობის შესახებ, იხ. https://matsne.gov.ge/ru/document/view/91624

ჰუმანიტარული სამართლის ნორმები: უფლება სიცოცხლეზე, უფლება თავისუფლებაზე და პირად ხელშეუხებლობაზე, უფლება საკუთრებაზე და თავისუფალ გადაადგილებაზე. სააკაშვილის მართველობის წლებში ადამიანის უფლებების დარღვევის მასობრივი დარღვევა გამოვლენილ იქნა ძალის გადამეტებით გამოყენებაში ადამიანების დაპატიმრებისას და პატიმრებთან მიმართებაში, პოლიციის თანამშრომლების და მთავრობის ჩინოვნიკების დაუსჯელობაში.

ოჯახური და სექსუალური ძალადობა ქალებთან მიმართებაში დღევანდელი საქართველოსთვის სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს. ოჯახური ძალადობის ფაქტების რიცხვი განუხრელად იზრდება. ხშირად „მსხვერპლის სოციალური სტიგმატიზაციის“ გამო იმალება გაუპატიურების ფაქტები, ან იმის გამო, რომ პოლიცია ზოგჯერ ამ ფაქტებს არ იძიებს. არასამთავრობო ორგანიზაციების ცნობით, სამართალდამცავი ორგანოები სათანადოდ არ რეაგირებენ გამოძახების შემთხვევებზე ოჯახური ძალადობის გამოვლინებისას, დასხვეწია სამართლებრივი ბაზაც.

„გაყინული კონფლიქტები“ აფხაზეთსა და სამაჩაბლოში სერიოზულ გამოქვევას წარმოადგენენ რეგიონის და მთლიანად ევროპული სტაბილურობისათვის. ნათელია, რომ მათი გადაჭრა შეუძლებელია ძალის გამოყენებით. მათი დარეგულირება მოითხოვს კომპლექსურ მიდგომებს, რომელიც უნდა ითვალისწინებდეს არა მარტო პოლიტიკურ მოლაპარკებებს, არამედ სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობას, ნდობის აღდგენას, პარტნიორული ურთიერთობების დამყარებას და შერიგებას.

2008 წლის ომის შემდეგ დაიწყო გზების ძიების პროცესი ქართულ და ოსურ სამოქალაქო საზოგადოებებს შორის ნდობის აღსადგენად. 2010 წლის ივლისში ქ. ლეიდენში (ნიდერლანდები) შედგა ქართულ-ოსური სამოქალაქო ფორუმი, რომელზედაც მიღებულ იქნა მიმართვა ჟენევის კონსულტაციების მონაწილეებისადმი. ამ მიმართვაში გაჟღერებულ იქნა მოწოდება ჰუმანიტარული პრობლემების მოგვარების თაობაზე.[99]

[99] Обращение к участникам Женевских консультаций, http://www.apsny.ge/ order/1279759270.php

2010 წლის აგვისტოში გამოქვეყნდა დასკვნითი დოკუმენტი პროექტისა "ქართული სამოქალაქო საზოგადოების მხარდაჭერა მშვიდობის მშენებლობის პროცესში", რომელშიც უცხოელ ექსპერტებთან ერთად, საქართველოს სამოქალაქო სექტორის 20-ზე მეტმა (მათ შორის ქალთა ორგანიზაციების) წარმომადგენელმა მიიღო მონაწილეობა. დოკუმენტში გაანალიზებულია სამოქალაქო საზოგადოების როლი სამშვიდობო პროცესში და მშვიდობის კონსოლიდაციაში, ჩამოთვლილია ფუნქციები, რომელიც სამოქალაქო საზოგადოებამ შეიძლება შეასრულოს მშვიდობის მშენებლობის პროცესში: მოქალაქეების დაცვა ძალადობისაგან, ადამიანის უფლებების მონიტორინგი და მშვიდობის დამყარება, მშვიდობის ადვოკატირება და ადამიანის უფლებების დაცვა, დიალოგის ფასილიტაცია ადგილობრივ ეროვნულ დონეზე სხვადასხვა აქტორებს შორის.[100]

ქართველი მკვლევარები გამოყოფენ სამ ძირითად მიმართულებას, რომლის მიხედვითაც ინდა განვითარდეს ქართული და ოსური სამოქალაქო საზოგადოების ურთიერთქმედება საერთაშორისო დონორების მხარდაჭერით. პირველი - ცხოვრების ყოფითი და სოციალური პირობების გაუმჯობესება კონფლიქტისაგან ყველაზე უფრო დაზარალებული მოსახლეობის ჯგუფებისათვის ხაზგამყოფის ორივე მხარეს. მეორე - კონტაქტებისა და დისკუსიების დამყარება ქართულ და ოსურ სხვადასხვა საზოგადოებრივ ჯგუფებს შორის (NGO-ს აქტივისტები, ჟურნალისტები, სხვადასხვა პროფილის სპეციალისტები, ახალგაზრდები და ა.შ.). მესამე - მიმართულებები უნდა შეიცავდეს სტრატეგიულ მიზნებს: ერთმანეთის სახით მტრის ხატის დანგრევას, გამყარებული სტერეოტიპების დაძლევას, ურთიერთნდობის აღდგენას, და მხარეთა შერიგებას. შეავსებს რა ერთმანეთს, ეს მიმართულებები, თავისი არსით, გახდება კონფლიქტის ტრანსფორმაციის პროექტი.[101]

---

[100] Хаиндрава И. Гражданское общество и миротворческий процесс. // Грузиноосетинский конфликт: в поисках мира. – Грузинский фонд стратегических и
международных исследований. 2011. – გვ.67

[101] Хаиндрава И. Гражданское общество и миротворческий процесс. // Грузиноосетинский конфликт: в поисках мира. – Грузинский фонд стратегических и международных исследований. 2011, გვ.36

2010 წლის ნოემბერში შეიქმნა ქართული ეროვნული პლატფორმა, როგორც ადგილობრივი არაკომერციული და საერთაშორისო ორგანიზაციების სამოქალაქო საზოგადოების გაერთიანება. მის მიზანს წარმოადგენს აღმოსავლეთ პარტნიორობის მიზნების განხორციელება და ევროინტეგრაციის პროცესის ხელშეწყობა. პლატფორმაში სამოქალაქო საზოგადოების 95 ორგანიზაციაა გაერთიანებული, რომელთაც მიაჩნიათ, რომ ევროკავშირთან ინტეგრაცია საქართველოს ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური განვითარებისთვის საუკეთესო პერსპექტივაა.[102]

2015 წლის ნოემბერში თბილისში ხელმოწერილი იქნა შეთანხმება, რომლის თანახმადაც ქართული ეროვნული პლატფორმა, საქართველოს მთავრობასთან მჭიდრო თანამშრომლობაში იმოქმედებს, რათა მოხდეს ევროასოცირების შესახებ ხელშეკრულების ცხოვრებაში რეალიზაცია. მემორანდუმის ხელმოწერამ კიდევ ერთხელ ცხადყო, რომ სახელმწიფო მზად არის ქვეყნის საკეთილდღეოდ მხარი დაუჭიროს სამოქალაქო საზოგადოებას, რათა გარანტირებულ იქნას მისი მაქსიმალური და ეფექტური ჩართულობა იმ პრობლემების გადასაჭრელად, რომელიც წარმოიშობა ევროინტეგრაციის გზაზე და რომელთა მოგვარებაც შეუძლებელია სამოქალაქო საზოგადოების მხარდაჭერის გარეშე.[103]

დასკვნის სახით - დღეისთვის საქართველო იმყოფება იმ სტადიაში, როდესაც ქვეყნის ევროპული ინტეგრაციის შემდგომი განვითარება დამოკიდებულია სამოქალაქო საზოგადოების უნარზე და მზადყოფნაზე უზრუნველყოს დემოკრატიული მონაწილეობის პრინციპები. ამ პროცესში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ძლიერ სამოქალაქო საზოგადოებას. სამოქალაქო სექტორს ძალუძს განახორციელოს ხელისუფლებაზე ზეწოლა, რათა მმართველმა წრეებმა შეასრულონ აღებული ვალდებულებები და პოლიტიკური ინტერესებიდან გამომდინარე არ გადაუხვიონ

---

[102] National Platform, Georgia, http://eap-csf.eu/ru/countries/georgia/

[103] **Civil Society and Government Set to Work Together on pro-EU Reforms in Georgia, 17.11.2015 ob.**

http://eap-csf.eu/ru/news-events/news/civil-society-andgovernment-set-to-work-together-on-pro-eu-reforms-in-georgia/

აღებულ კურსს. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ ქვეყანაში დარეგისტრირებულია ორგანიზაციების დიდი რაოდენობა, მაგრამ რეალურად მისი დიდი ნაწილი არ ფუნქციონირებს. აღნიშნული ეხება ქალთა ორგანიზაციებსაც. სამოქალაქო ორგანიზაციების სტრუქტურაში ყველაზე უფრო აქტიურები და გავლენიანები არიან ორგანიზაციები, რომლებიც დაკავებული არიან უფლებადაცვით საქმიანობით, ხელისუფლების საქმიანობის მონიტორინგით, ელექტორატული პროცესით, საზოგადოებრივი აზრის შესწავლით და გენდერული პრობლემებით. მიუხედავად ამისა, ჯერ კიდევ არსებობს მთელი რიგი დარღვევები ადამიანის უფლებების და გენდერული თანასწორობის სფეროში.

II. საერთაშორისო სამოქალაქო აქტივობის გენდერული განზომილება და ქართველ ქალთა სამოქალაქო აქტივობის რეტროსპექტული ანალიზი

2.1.სამოქალაქო საზოგადოების გენდერული განზომილება

თანამედროვე მეცნიერებაში ტერმინი „გენდერი“ (gender), სქესის (sex) ბიოლოგიური გაგებისაგან განსხვავებით, სქესის სოციალური ფენომენისა და სოციოლოგიური დისკურსის აღსანიშნავად იხმარება. იგი საზოგადოების სოციალური სრტუქტურის ერთერთი საბაზისო განზომილებაა, რომელიც სხვა კულტურულ და სოციალურ-დემოგრაფიულ მონაცემებთან ერთად (რასა, ასაკი, ეთნოსი, სტრატა) აყალიბებს სოციალურ სისტემას. ეს არის გარკვეულ კულტურაზე დაფუძნებული, მამაკაცებსა და ქალებს შორის საზოგადოების ძირითად სოციალურ ინსტიტუტებში კონსტრუირებული სოციალური ურთიერთობების ფუნდამენტური მაჩვენებელი.[104]

სადღეისოდ გენდერული გამოკვლევები ერთერთი მნიშვნელოვანი მიმართულებაა საზოგადოების შესწავლის პროცესში. სოციოლოგიაში, პოლიტიკურ მეცნიერებასა და ისტორიაში ცნება „გენდერი“ მუშავდება, როგორც ბევრი რამით კლასის ანალოგიური, ფუნდამენტური მასტაბილიზებელი პრონციპი. გენდერული პოზიციიდან სოციალურ-პოლიტიკური პროცესების ინტერპრეტაციისთვის გამოიყენება სოციოლოგიური მოდელები, რომლებითაც აიხსნება სოციალური იდენტობის ჩამოყალიბების პროცესი და მისი დროითი ცვლილებები. სოციალური ჯგუფების კულტურული ჰეგემონიის დამყარება და შერევა. გენდერის პრობლემების შესახებ უფრო ზუსტი წარმოდგენის შექმნა შეიძლება ფრანსეს ვულის, ჯუდით ლორბერია, გიზელა ბოკის და სხვათა პუბლიკაციებით. [105]

---

[104] კიკნაძე თ., დონაძე ნ. გენდერი-სოციალური და პოლიტიკური სწავლებანი, ღია საზოგადოება-ფონდი საქართველო, თბ.2006.გვ.4

[105] კიკნაძე თ., დონაძე ნ. გენდერი-სოციალური და პოლიტიკური სწავლებანი, ღია საზოგადოება-ფონდი საქართველო, თბ.2006.გვ.6

თანამედროვე საზოგადოების კრიზისი აქტუალურს ხდის ქალების აქტიურობას - მონაწილეობას სოციალურ და და პოლიტიკურ პროცესებში. მხედველობაში გვაქვს მათი მაქსიმალურად ფართო მონაწილეობა და აქსიოლოგიურ ასპექტებთან დაკავშირებული კონკრეტული გამოვლინებები.

XX საუკუნის 60-იან წლებამდე გენდერულ განსხვავებებს იშვიათად მიიჩნევდნენ პოლიტიკური თვალსაზრისით საინტერესოდ ან მნიშვნელოვნად. გენდერის კონცეფციის ჩამოყალიბების წანამძღვრად შეიძლება ჩაითვალოს ფემინისტური მოძრაობა. მართალია „ფემინიზმი“ ახალგაზრდა ტერმინია, მაგრამ ფემინისტური შეხედულებები მრავალ განსხვავებულ კულტურაში ადრეც გამოთქმულა და მათი საწყისის მოძიება თვით საბერძნეთის და ჩინეთის უძველეს ცივილიზაციებში შეიძლება. ქრისტინე დე პიზანის „ქალთა ქალაქის წიგნში“, რომელიც იტალიაში 1405 წელს გამოიცა, განჭვრეტილი იყო თანამედროვე ფემინიზმის მრავალი იდეა; ავტორი აღწერდა წარსულის ცნობილ ქალთა საქმეებს და იცავდა ქალთა უფლებას, მიეღოთ განათლება და თანაც პოლიტიკური განათლება. ამის მიუხედავად, ქალთა ორგანიზებული მოძრაობა მეცხრამეტე საუკუნემდე არ განვითარებულა. თანამედროვე ფემინიზმის პირველ ტექსტად ხშირად მიიჩნევენ მერი ოულსთონქარფთის წიგნს „ქალთა უფლებების დაცვა“, რომელიც საფრანგეთის რევოლუციის ფონზე შეიქმნა. მეცხრამეტე საუკუნის შუა წლებში ქალთა მოძრაობის ცენტრალური ამოცანა გაუჩნდა: ბრძოლა ქალებისთვის საარჩევნო უფლებათა მისანიჭებლად, რომლის შთაგონების წყაროც მამაკაცებისთვის განკუთვნილი ანალოგიური პროგრესული სისტემა იყო. ამ პერიოდს მოიხსენიებენ როგორც ფემინიზმის „პირველ ტალღას’ და ის ხასიათდება მოთხოვნით, ქალებს მინიჭებოდათ იგივე იურიდიული და პოლიტიკური უფლებები, რაც მამაკაცებს. ქალებისთვის საარჩევნო უფლებების მინიჭება ამ პერიოდის ძირითად ამოცანას წარმოადგენდა, ვინაიდან მიიჩნევდნენ, რონ თუ ქალები ხმის მიცემის უფლებას მიიღებდნენ, მალე სქესობრივი დისკრიმინაციისა და ცრუმორწმუნეობის ყველა ფორმა გაქრებოდა.

ქალთა მოძრაობა უფრო მძლავრი იყო იმ ქვეყნებში, სადაც ყველაზე მეტად განვითარებული იყო პოლიტიკური დემოკრატია. ქალები მოითხოვდნენ იმ უფლებებს,

რომლებიც ხშირად უკვე ჰქონდათ მათ მეუღლეებსა და ვაჟებს. აშშ-ი ქალთა მოძრაობა 1840-იან წლეებში წარმოიშვა, რასაც გარკვეულწილად უბიძგა მონობის გაუქმებისთვის გაჩაღებულმა კამპანია. 1848 წელს ჩატარებულმა ცნობილმა თავყრილობამ სენეკა ფოლსში აშშ-ის ქალთა მოძრაობის დაბადება აღნიშნა. მასზე მიღებულ იქნა ელიზაბეტ სტენტონის მიერ დაწერილი „გრძნობათა დეკლარაცია“ ((Declaration of Sentiments), რომელიც განზრახ ბაძავდა დამოუკიდებლობის დეკლარაციის ენასა და პრინციპებს და სხვა საკითხებთან ერთად ქალებისთვის საარჩევნო უფლებების მინიჭებას მოითხოვდა. დიდ ბრიტანეთში ორგანიზებული მოძრაობა 1850-იან წლებში განვითარდა.

1867 წელს თემთა პალატამ უარო ქალებისთვის საარჩევნო ხმის უფლებების მინიჭების ტაობაზე წარდგენილი პირველი წინადადება - ჯორჯ სტუარტ მილის მიერ შემოთავაზებული მეორე რეფორმის აქტის დანართი. ქალთა საარჩევნო უფლებების მხარდამჭერი ბრიტანული მოძრაობის ტაქტიკამ სულ უფრო და უფრო სამხედრო ხასიათი მიიღო 1903 წელს ქალთა სოციალური და პოლიტიკური კავშირის ჩამოყალიბების შემდეგ, რომელსაც ემელინე პანჰურსტი და მისი ქალიშვილი ქრისტაბელი ხელმძღვანელობდნენ. პარიზში თავიანთი იატაკქვეშა ბაზიდან პანჰურსტები ხელმძღვანელობდნენ პირდაპირი მოქმედების კამპანიას, რომლის დროსაც „სუფრაჟისტი ქალები“ ახორციელებდნენ თავდასხმებს კეძო საკუთრბაზე და, რომელიც რიგ გახმაურებულ საზოგადოებრივ დემონსტრაციებს მოითვლიდა.[106]

ფემინიზმის „პირველი ტალღა“ დასრულდა ქალებისთვის საარჩევო ხმის უფლების მინიჭებით, რაც პირველად ახალ ზელანდიაში შემოიღეს 1893 წელს. აშშ-ის კონსტიტუციის მეცხრე შესწორებამ ამერიკელ ქალებს საარჩევნო უფლებები 1920 წელს მიანიჭა. იგივე კანონმდებლობა დიდ ბრიტანეთში 1918 წელს მიიღეს, მაგრამ ბრიტანელ ქალებს საარჩევნო უფლებებით კიდევ ერთი ათწლეულის განმავლობაში არ უსარგებლიათ. საქმე ის არის, რომ საარჩევნო უფლებებისათვის ბრძოლაში გამარჯვებამ მრავალი თვალსაზრისით დაასუსტა ქალთა მოძრაობა. ხმის უფლებისათვის ბრძოლა აერთიანებდა და შთაგონებას მატებდა მოძრაობას. მას მკაფიო მიზანსა და

[106] მეტრეველი ე. პოლიტიკური კულტურის გენდერული ასპექტი, თბ. 2014

თანმიმდევრულ სტრუქტურას ანიჭებდა. უფრო მეტიც, ბევრ აქტივისტს გულუბრყვილოდ სჯეროდა, რომ საარჩევნო უფლებების მოპოვებით ქალებმა სრულ ემანსიპაციას მიაღწიეს. ქალთა მოძრაობა აღდგა მხოლოდ XX საუკუნის 60-იან წლებში, ფემინიზმის „მეორე ტალღის“ წარმოშობასთან ერთად.

1962 ბეტი ფრიდანის “ქალის საიდუმლოს“(The Feminine Mistique) გამოქვეყნებამ დიდად შეუწყო ხელი ფემინისტური აზრის აღორძინებას. მან ამოცანად დაისახა შეესწავლა ის, რასაც იგი „უსახელო პრობლემას“ უწოდებდა - იმედგაცრუება და უბედურების გრძნობა, რასაც ბევრი ქალი განიცდიდა დიასიხლისი-ცოლისა და დედის ჩაკეტილობის გამო.

ფემინიზმის „მეორე ტალღა“ აღიარებდა, რომ პოლიტიკური და იურიდიული უფლებების მიღებას არ გადაუჭრია „ქალთა საკითხი“. მართლაც, ფემინისტური იდეები და არგუმენტები სულ უფრო და უფრო რადიკალური, ზოგჯერ კი რევოლუციურიც ხდებოდა. ისეთი წიგნები, როგორიც ქეით მილეთის „სექსუალური პოლიტიკა“ და ჟერმენ გრირის „ქალი-საჭურისი“ იყო, უკუაგდებგნენ საზღვრებს, რომლებიც ადრე „პოლიტიკურად“ ითვლებოდა და ყურადღებას ამახვილებდნენ ქალთა ჩაგვრის პირადულ, ფსიქოლოგიურ და სექსუალურ ასპექტებზე. ფემინიზმის „მეორე ტალღის“ მიზანი იყო არა უბრალოდ პოლიტიკური ემანსიპაცია, არამედ „ქალთა განთავისუფლება“, რაც აისახა ქალთა მზარდი განმანთავისუფლებელი მოძრაობის იდეებში. ასეთი მიზნის მიღწევა შეუძლებელი იყო მხოლოდ პოლიტიკური რეფორმებითა და იურიდიული ცვლილებებით. ის მოითხოვდა, როგორც ამას თანამედროვე ფემინისტები ამტკიცებდნენ, სოციალური ცვლილებების რადიკალურ და, შესაძლოა, რევოლუციურ პროცესს.[107]

სამოქალაქო საზოგადოების და გენდერის, როგორც ურთიერთდაკავშირებული კონცეპტების შესახებ დებატები სამეცნიერო წრეებში შედარებით ახალი მოვლენაა. თავად სამოქალაქო საზოგადოების თეორია და პრაქტიკა

[107] კიკნაძე თ., დონაძე ნ. გენდერი-სოციალური და პოლიტიკური სწავლებანი, ღია საზოგადოება-ფონდი საქართველო, თბ.2006.გვ.7

წარმოიშვა მკაცრად სტრუქტურირებულ პატრიარქალურ სისტემაში. 1980-იან და 1990-იან წლებიდან ფემინისტი ისტორიკოსები იწყებენ კამათს იმის თაობაზე, რომ "სამოქალაქო საზოგადოება არასოდეს ყოფილა ინკლუზიური და მხოლოდ სოციალური სფერო, რომელიც დამაბალანსებელ როლს თამაშობდა ბაზარს, სახელმწიფოსა და ოჯახს შორის, არამედ ის ყოველთვის მკაცრად ექსკლუზირებული იყო."[108]

სამოქალაქო საზოგადოება, ისევე როგორც საჯარო სივრცე მონოპოლიზებული იყო მამაკაცების მიერ, ამდენად მოქალაქეობა მთლიანად დაკავშირებული იყო მასკულინურ ფენომენთან. ქალების მოღვაწეობა შემოფარგლული იყო მხოლოდ კერძო სფეროს ელემენტებით. ქალების ჩამოშორება საჯარო სფეროდან, სახელმწიფოებრივი ინსტიტუციებიდან და პოლიტიკური უფლებამოსილებიდან შენიღბული იყო მამაკაცების საყოველთაო სამხედრო სამსახურში გაწვევით, რაც ხშირად პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობის წინაპირობას წარმოადგენდა. პოლიტიკის თეორეტიკოსი – ბირგიტ საუერმა ამასთან დაკავშირებით გვიზიარებს საკუთარ დაკვირვებას: “თანამედროვე სახელმწიფო დაფუძნებულია სამოქალაქო საზოგადოებაში არსებულ გენდერულ კომპრომისზე, რომელმაც განაცალკევა ოჯახი სხვა სოციალური ინსტიტუციებიდან, ორგანიზება გაუწია სამუშაოს იერარქიულ – გენდერულ დაყოფას და ამგვარი სოციალური დაყოფა ორმაგი გენდერული როლების საშუალებით გახადა ნორმალიზებული და ნატურალიზებული. თუმცა, მეოცე საუკუნის განმავლობაში უფრო გაფართოვდა სამოქალაქო საზოგადოების ცნება და თანდათანობით მეტი სოციალური ჯგუფი მოიცვა, კონცეფცია მაინც დარჩა იმ წარმომადგენლობითი რეჟიმის შემადგენელ ნაწილად, რომელიც განუყოფლადაა დაკავშირებული კაპიტალიზმის განვითარებასთან, ლიბერალურ მამრობითი სქესის დომინანტურ დემოკრატიასთან და პატრიარქალურ (საყოველთაო კეთილდღეობის) სახელმწიფოებრიობასთან.”[109]

---

[108] Civil Society and Gender Justice, Historical and Comparative Perspectives, Edited by Karen Hagemann, Sonya Michel and GunillaBudde,New York, oxford, 2008, p. 23-24

[109] Civil Society and Gender Justice, Historical and Comparative Perspectives, Edited by Karen Hagemann, Son7ya Michel and GunillaBudde,New York, oxford, 2008, p. 23-24

1980-იანი წლების შემდეგ, ფემინისტურმა კვლევებმა ეჭვი შეიტანეს და პრეტენზია გამოთქვეს სამოქალაქო საზოგადოების არსებული განსაზღვრებების და თეორიების მიმართ. სამოქალაქო საზოგადოების სფეროში არსებული მიდგომები თავიდანვე იხრებოდნენ ფემინისტური კვლევების იგნორირებისკენ. "უკეთეს შემთხვევაში რასაც აკეთებდნენ, იყო "ქალთა შეხედულებებისა და მოსაზრებების" თემაზე ესეებისა და პუბლიკაციების გამოქვეყნება, რომლის ავტორიც რა თქმა უნდა ისევ და ისევ ქალი იყო.

თუ გადავხედავთ ფემინისტური მოძრაობის ისტორიას დავინახავთ მის უდავო კავშირს სამოქალაქო საზოგადოებასთან. მე-19 საუკუნის ბოლოს და მე-20 საუკუნის დასაწყისში ფემინისტური ჯგუფები არის სანიმუშო მაგალითი, თუ რამდენად წარმატებულად ახერხებენ ქალები ასოციაციური ჯუფების (რომელიც სამოქალაქო საზოგადოების შემადგენელი ნაწილია) ფორმირებას, საკუთარი მოთხოვნების და ინტერესების არტიკულაციას, უფლებების შესახებ დეკლარირებას სამოქალაქო საზოგადოების სხვადასხვა არხების მეშვეობით.[110]

როგორც ჩეხეთის ყოფილი პრეზიდენტი ვაცლავ ჰაველი განმარტავს, სამოქალაქო საზოგადოება შეიძლება იყოს "ძალა უძალოთა".[111] ეს ასპექტი თვალსაჩინოდ გამოვლინდა სწორედ ქალებთან მიმართებაში, რომელთაც პოლიტიკური ბრძოლა დაიწყეს სწორედ იმგვარ ვითარებაში, როდესაც მათ არ ქონდათ პოლიტიკური და ეკონომიკური უფლებები, მათ შორის ხმის უფლება, გარკვეული რაოდენობის საკუთრებაზე მეტის ფლობის უფლება და ა. შ. ვინაიდან ქალებმა საბოლოო ჯამში მათი მოთხოვნების დიდი ნაწილის განხორიცელებას მიაღწიეს სახელმწოფოს მხრიდან თანასწორობისაკენ მიმართული პოლიტიკის და კანონების შემოღების გზით. მათ მიერ გაწეული კოლექტიური ძალისხმევის მეშვეობით თანამედროვე დემოკრატიული სახელმწიფოების უმრავლესობის მიერ მიღწეული იქნა ლეგალური თანასწორობის მაღალი დონე, თუმცა იურიდიულ თანასწორობას არ მოჰყოლია პრაქტიკული

[110] იგულისხმება შეკრებები, დემონსტრაციები, მანიფესტაციები, ორგანიზაციები სშექმნა, გამოხატვის და მონაწლეობის სხვადასხვა ფორმები, რომლებიც მიმართულია სახელმწიფო ხელისუფლებაზე და მეორეს მხრივ, საზოგადოებრივ აზრზე ზეგავლენის მოხდენისაკენ. - ავტორის შენიშვნა

[111] ჰაველი ვაცლავ ძალა უძალოთა; მშვიდობის, დემოკრ. და განვ. კავკ.ინს-ტი - თბ., 1995

თანასწორობა ძალიან ბევრ სფეროში. დაბრკოლებები, რომლებსაც აწყდებიან ქალები ეკონომიკურ, კულტურულ, სოციალურ სფეროებში, ქალთა წარმომადგენლობის უაღრესად დაბალი პროცენტული მაჩვენებელი გადაწყვეტილების მიმღებ ორგანოებში მიუთითებს უთანასწორობის გაცილებით ღრმა ფესვებზე. ჩვენ მივიჩნევთ, რომ აღნიშნული პრობლემების გადაჭრა, უთანასწორობის და დისკრიმინაციის, როგორც დემოკრატიზაციის პროცესის შემაფერხებელი ფაქტორების აღმოფხვრა, შესაძლებელია სამოქალაქო საზოგადოების მიერ წარმოდგენილი სივრცის ფარგლებში. თვალშისაცემი შეფერხება თანასწორობის მიღწევის საკითხში მიუთითებს, არა მხოლოდ კანონების არაეფექტურობაზე, არამედ ახალი სტრატეგიების საჭიროებაზეც, რომელიც უნდა დაუკავშირდეს სახელმწიფოსა და ლეგალური სისტემის მიღმა მყოფ სამოქალაქო საზოგადოების სფეროს.

მკვლევართა ნაწილი მიიჩნევს, რომ მიუხედავად გარკვეული წინგადადგმული ნაბიჯებისა სამოქალაქო საზოგადოება კვლავ რჩება "გენდერულად ნეიტრალურ“ ტერმინად. როგორც ა. ფილიპსი წერს: "სამოქალაქო საზოგადოება ხშირად წარმოდგენილია ისეთი ტერმინებით, რომელიც მას წარმოგვიჩენს ისეთ ადგილად, სადაც ქალები არც არსებობენ... საზოგადოებრივი ხელშეკრულების ადრეული თეორეტიკოსები სამოქალაქო საზოგადოების თეორიას იყენებდნენ, (ჩვეულებრივ გამოიყენებოდა "პოლიტიკური საზოგადოების "სინონიმად) როგორც საშუალებას, ბუნებრივი მდგომარეობიდან რეგულირებულ მდგომარეობაზე გადასვლისა ადამიანების მიერ შექმნილი კანონებისა და ვალდებულებების მეშვეობით და იმ კონტრასტის ფონზე, რომელსაც ისინი აღწერდნენ ბუნებრივ მდგომარეობასა და სამოქალაქო საზოგადოებას შორის, საბოლოოდ ქალები აღმოჩნდნენ ნაკლებშესამჩნევი და უფრო მეტად დაქვემდებარებული მამაკაცების მიმართ".[112]

თავდაპირველი კვლევები ქალების, სამოქალაქო საზოგადოების და დემოკრატიზაციის შესახებ ინიცირებული იქნა ლათინურ ამერიკაში, ასევე ცენტრალურ

[112] Civil Society and Gender Justice, Historical and Comparative Perspectives, Edited by Karen Hagemann, Sonya Michel and GunillaBudde,New York, oxford, 2008, p. 25

და აღმოსავლეთ ევროპაში 1980-იან წლებში. ორივე რეგიონში ქალები ძალიან აქტიურები იყვნენ ოპოზიციურ და დისიდენტურ მოძრაობებში, რომელთაც საბოლოო ჯამში საფუძველი შეურყიეს და გაანადგურეს ავტორიტარული რეჟიმები. გაეროს მიერ 1975-1985 წლების ქალთა ათწლეულად გამოცხადებამ, ხელი შეუწყო ქალთა საინიციატივო ჯგუფების ფორმირებას. ქალებმა დაიწყეს თავიანთი სტრატეგიული და პრაქტიკული მიზნების გარშემო მობილიზაცია. პირველი უფრო მეტად მიმართული იყო პატრიარქალური წესრიგის რღვევისაკენ, ხოლო მეორე არსებული სისტემის ფარგლებში კონკრეტული უფლებების მოპოვებისა და განხორციელებისაკენ. მაგალითად, ლათინურ ამერიკაში, ქალები უფრო მეტად იბრძოდნენ სიღარიბის, გაზრდილი ფასების წინააღმდეგ საჯარო სივრცეზე ზეგავლენის მოხდენის გზით. "მაშინაც კი, როდესაც ქალებმა დაიწყეს კამპანიების ორგანიზება ცხოვრების ღირებულების გაზრდის წინააღმდეგ ან ადამიანის უფლებების დასაცავად ბრაზილიაში, სამხედროები ქალთა ასოციაციებს აძლევდნენ უფრო მეტ პოლიტიკური მოქმედების თავისუფლებას, ვიდრე მებრძოლებს, სტუდენტებს, შრომის ორგანიზაციებს, რომლებსაც ეროვნული უსაფრთხოებისათვის საშიშად თვლიდნენ." [113]

ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში ქალებს არ ქონდათ ცალკე ორგანიზაციული სტრუქტურები, მაგრამ ისინი აქტიურად მონაწილეობდნენ რეჟიმის დამთრგუნველი ზეწოლის წინააღმდეგ ბრძოლაში, რამაც ქალთა ინტერესების საჯარო სფეროში გადასვლა განაპირობა. ქალები მონაწილეობას იღებდნენ მასობრივ დემონსტრაციებში, ორგანიზაციების საქმიანობაში, კერძო სფეროც გამოყენებული იქნა როგორც არენა რეჟიმის წინააღმდეგ საბრძოლველად, თუმცა "ლიდერის პოზიციები ქალებისთვის შეზღუდული იყო."[114] მაგალითად, პოლონეთში მოძრაობა

[113] Alvarez, Sonia E. "Women's Movements and Gender Politics in the Brazilian Transition." In The Women's Movement in Latin America: Feminism and the Transition to Democracy, pg. 18-71. Edited by Jane S. Jaquette. Winchester, MA: Unwin Hyman.1989 p. 25-26

[114] Galligan, Yvonne , Sara Clavero, and Marina Calloni.Gender Politics and Democracy in Post-Socialist Europe. Germany: Barbara Budrich 2007. p. 74

"სოლიდარობის" დაახლოებით 50%-ს ქალები წამოადგენდნენ, თუმცა პოლიტიკური იერარქიის მაღალ ეშელონებს მხოლოდ მცირე რაოდენობის ქალმა მიაღწია. [115]

უნდა აღინიშნოს, რომ როგორც სხვადასხვა თეორეტიკოსი აღნიშნავს, დემოკრატიზაციის პროცესმა საკმარისად ვერ გააფართოვა ქალთა უფლებები, მიუხედავად მათი აქტიური მონაწილეობისა. "როდესაც ინსტიტუციონალიზებული პოლიტიკა არ არის მოქმედი, ქალები მონაწილეობენ საჯარო არენაზე. ინსტიტუციებთან ერთად ან ფორმალური დემოკრატიის დაბრუნებისთანავე, საჯარო სფეროს უკან იბრუნებენ მამაკაცები, წარმომადგენლობითი დემოკრატიის "ბუნებრივი" აქტორები." [116]

1990-იანი წლებიდან, განსაკუთრებით ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებში (მათ შორის საქართველოშიც), ქალთა ჯგუფები და ორგანიზაციები სამოქალაქო საზოგადოების მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილი გახდა. ტრანზიციის პირობებში, ამ ქვეყნებისთვის დასავლური ფონდების და დონორების დახმარებას გადამწყვეტი მნიშვნელობა ქონდა ქალთა ორგანიზაციებისთვის. ქალთა არასამთავრობო ორგანიზაციები თითქმის მთლიანად არიან დამოკიდებული ამ დახმარებაზე აღნიშნულ რეგიონში, თუმცა ქალთა აქტივობის გაზრდაში განსაკუთრებული როლი ითამაშა სამოქალაქო განათლების დანერგვამ, გენდერული სწავლების კურსების შეტანამ სასწავლო-საგანმანათლებლო დაწესებულებებში და საკანონმდებლო ცვლილებებმა.

2.2. ქალთა საერთაშორისო სამოქალაქო აქტივობის გავლენა ქალის სტატუსის ამაღლებაზე

[115] Rai, Shirin. "Gender and Democratization: Ambiguity and Opportunity," In Democratization in the South: The Jagged Wave, Edited by Robin Luckham, and Gordon White. New York, NY: Manchester University Press.1996 p. 235

[116] Rai, Shirin. "Gender and Democratization: Ambiguity and Opportunity," In Democratization in the South: The Jagged Wave, Edited by Robin Luckham, and Gordon White. New York, NY: Manchester University Press.1996 p. 236

საუკუნეების განმავლობაში ქალის სოციალური როლი ცვლილებას განიცდიდა. მატრიარქატის დროს მას დომინირებული მნიშვნელობა ქონდა. რაინდობის ხანაში იგი თაყვანისცემის ობიექტი იყო, მაგრამ საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიურ როლს აღარ თამაშობდა. მამაკაცებს თანდათანობით ქალები მეორე პლანზე გადაყავდათ, ზღუდავდნენ მათი ინტერესების და გავლენის სფეროებს და ამ სფეროებს მხოლოდ ოჯახით და ბავშვების აღზრდით საზღვრავდნენ.

ას წელზე მეტი ხნის წინ დიდი ბრიტანეთის, რომლის სათავეშიც განსწავლული დედოფალი ვიქტორია იყო, მოსამართლეები სახაზავით ზომავდნენ ჯოხის სიგრძეს, რომლითაც ამ ქვეყნის მოქალაქეებს შეეძლოთ ეცემათ თავიანთი ცოლები. თუ ჯოხის სიგრძე და სიგანე არ შეესაბამებოდა დაშვებულ ნორმებს, დამნაშავე დაუსჯელი რჩებოდა. ბევრი ევროპელი ქალი ამერიკაში მიემგზავრებოდა იმ იმედით, რომ არა მარტო სამუშაოს იპოვნიდა იქ, არამედ უმაღლესი განათლების მიღებასაც შეძლებდა, რაც შეუძლებელი იყო ევროპაში. უნივერსიტეტებში ქალებს არ იღებდნენ. მაგრამ მათ ახალი მიწის სანაპიროზე გადასვლა მხოლოდ მშობლების ან ქმრის თანხლებით შეეძლოთ, ხოლო ამომრჩევლის სახით თავისი ნების გამოხატვის შემთხვევაში შეიძლებოდა ციხეში მომხდარიყვნენ. რთულია ილაპარაკო XIX საუკუნის აღმოსავლეთის ქვეყნების ქალთა მდგომარეობაზე, იმდენად შეუმჩნეველი იყო მათი ცხოვრება ოჯახის გარეთ. XX საუკუნის მეორე ნახევარმა მსოფლიოს ახალი საზოგადოებრივი და პოლიტიკური ფენომენი მოუტანა - ქალების გარღვევა ცხოვრების ამ სფეროების უმაღლეს ეშელონებში. დასავლეთ ევროპის, სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის, ლათინური ამერიკის მთელ რიგ ქვეყნებში მათ არნახული სოციალური და პოლიტიკური აქტივობა გამოავლინეს და აქამდე არსებული სტერეოტიპები შეარყიეს. მაგრამ მიუხედავად ამისა, აღმოჩნდა, რომ ქალების უფლებების პრობლემა არათუ შენარჩუნდა, არამედ ახალი მახასიათებლებით გამდიდრდა. ამ მახასიათებლებში გენდერული ფაქტორების ნაცვლად აქცენტი სამართლებრივ და სოციალურ ასპექტებზე კეთდებოდა. შესაძლოა სწორედ ამიტომ გაეროს გენერალური ასამბლეის სპეციალური სესიის „ქალები - 2000: თანასწორობა სქესებს შორის, განვითარება და მშვიდობა XXI საუკუნეში" მონაწილეებისათვის ყველაზე უფრო შთამბეჭდავი იყო თანასწორობის საკითხებში პორტუგალიის

მინისტრის მარია დე ბოლეემ როზერიის სიტყვები, რომელიც ევროპის საბჭოს სახელით გამოვიდა: "როდესაც ჩვენ სიღარიბის ფემინიზაციაზე ვლაპარაკობთ - ჩვენ ვლაპარაკობთ ადამიანის, სამოქალაქო და ეკონომიკურ უფლებებზე. როდესაც ჩვენ ვლაპარაკობთ ძალადობაზე ქალებთან მიმართებაში - ფსიქოლოგიურსა თუ სექსუალურზე, სახლში თუ ქუჩაში - ეს ისევ ადამიანის უფლებების საკითხია. როდესაც ჩვენ ვლაპარაკობთ ქალების ამოღებაზე პოლიტიკური ძალაუფლებიდან, ჩვენ იგივეზე ვლაპარაკობთ".[117]

ალბათ, ეს სასურველი შედეგი თუ არა, ქალთა საკითხის გადაჭრის სრულიად ახალი სტადია იყო. მრავალი საუკუნის განმავლობაში ქალთა უფლებებისათვის ბრძოლას ერთეულების პროტესტის ხასიათი ქონდა. უძველესი დროიდან ჩვენამდე მოაღწია ლეგენდებმა ცალკეული გმირი ქალების შესახებ, რომლებიც თავიანთ ღირსების, თავისუფლებისა და უფლებებისთვის იბრძოდნენ. შუა საუკუნეებში მათ კოცონზე წვავდნენ, ალქაჯებად და ბნელი ძალის მოციქულებად აცხადებდნენ. 1786 წელს მერი მერი უოლსტონკრაფტი - პედაგოგმა და ინგლისის რადიკალურ წრეებში კარგად ცნობილმა ქალების მიერ განათლების მიღებისათვის მებრძოლმა, გამოაქვეყნა „ქალთა უფლებების დაცვის მანიფესტი". ამ წიგნმა, სადაც ავტორი მხოლოდ იმას ამტკიცებდა, რომ ადამიანის უფლებები და ქალთა უფლებები - ერთი და იგივეა, ნამდვილი სკანდალი გამოიწვია. ერთი წლის შემდეგ კონვენტში ადამიანის უფლებების დეკლარაციის განხილვისას, ოლიმპია დე გუჟმა „ქალისა და მოქალაქის უფლებათა" 17 სტატია წარმოადგინა, რომელშიც დეკლარირებული იყო, რომ ქალი იბადება თავისუფალი და მამაკაცთან თანასწორი, რომ მას აქვს უფლება საჯაროდ გამოთქვას თავისი აზრი. მაგრამ ამ დეკლარაციამ მხარდაჭერა არ ჰპოვა, ხოლო ოლიმპია დე გუჟმა სიცოცხლე ეშაფოტზე დაასრულა. მიუხედავად ამისა, XVIII საუკუნიდან იდეები ქალთა თანასწორობის, სამოქალაქო უფლებების და თავისუფლებების შესახებ სულ უფრო ფართო გავრცელებას პოვებს. აღსანიშნავია, რომ ქალთა უფლებებისათვის უფრო ხშირად მამაკაცები იბრძოდნენ. 1775 წელს ცნობილი პანფლეტის „საღი აზრი" ავტორმა, ჩვენს მიერ პირველ თავში უკვე ნახსენებმა თომას ფეინმა დაგმო ქალთა არსებული

[117] Betty Friedan, The Feminine Mystique,W.W.Norton & Company,.INC, New York, 1993.P.129

მდგომარეობა: „ იმ ქვეყნებშიც კი, სადაც ითვლება, რომ ხალხი ყველაზე უფრო ბედნიერად ცხოვრობს, ისინი თავს იკავებენ თავიანთი სურვილებისგან, არ შეუძლიათ გამოამჟღავნონ თავიანთი ნიჭი; არსებული კანონების და, აგრეთვე, მონურად მორჩილი საზოგადოებრივი აზრის გამო, მათ მოპარეს თავისუფლება და უფლება“. [118]

მაგრამ ფეინის მსგავსი ბევრი არ იყო. აქვე გთავაზობთ, მაგალითად, ნაწყვეტს დედოფალ ვიქტორიას 1870 წელს პარლამენტისათვის მიწერილი გზავნილიდან, რომელიც ამ დროისათვის ტიპური იყო: „ ჩვენ ძლიერ შეშფოთებულები ვართ იმ ადამიანთა რიცხვის ზრდასთან დაკავშირებით, ვინც სიტყვიერად ან წერილობით იხრება ბინძური, გახრწნილი მოძრაობისაკენ, მასთან დაკავშირებული მთელი საშინელებებით, რომლისკენაც მიდრეკილია საწყალი სუსტი სქესი ივიწყებს რა ქალის გრძნობებისა და ბუნების არსს... ეს ვითარება ჩვენ აღშფოთებას იწვევს, რომელსაც უძლურები ვართ გავუმკლავდეთ. ღმერთმა მამაკაცი და ქალი განსხვავებულები შექმნა - დაე თითოეული მათგანი დარჩეს იმად, რადაც ღმერთმა გააჩინა“. [119]

XIX საუკუნის მეორე ნახევარში ჩნდება ქალთა პირველი ორგანიზაციები. ისინი მოქმედებდნენ ეკლესიის მფარველობით, ხდებოდნენ პოლიტიკური პარტიების სექციები, ან ატარებდნენ კულტურულ-საგანმანათლებლო, ქველმოქმედებით ხასიათს. მაგ., რუსეთში 1899 წელს გამოსვლა დაიწყო ერთერთი ასეთი ორგანიზაციის ბეჭდვითო ორგანოს ჟურნალმა „ქალის საქმე“. (ქვემოთ, ცალკე თავში ჩვენ ვიმსჯელებთ ქალთა ორგანიზაციების შესახებ საქართველოში). ასეთი ორგანიზაციები დღესაც განაგრძობენ არსებობას და საერთაშორისო სტატუსიც მიიღეს: საეთაშორისო ფედერაცია ქალები საუნივერსიტეტო განათლებით, ქალთა საერთაშორისო საბჭო, ოჯახის დაგეგმვის საერთაშორისო ფედერაცია, საქმიანი და თავისუფალი ქალების საერთაშორისო ფედერაცია და ა.შ.

გასული საუკუნის დასაწყისში ბრიტანელმა სოციოლოგმა ემილია პანჰერსტმა გადაწყვიტა უარი ეთქვა ქალთა უფლებებისათვის ბრძოლის არაძალადობრივ

[118] იქვე, Betty Friedan, The Feminine Mystique,W.W.Norton & Company,.INC, New York, 1993.P.129
[119] იქვე, Betty Friedan, The Feminine Mystique,W.W.Norton & Company,.INC, New York, 1993.P.189

მეთოდებზე. 1903 წელს მან შექმნა ქალთა სოციალური და პოლიტიკური კავშირი. დემონსტრაციებს, რომელსაც ეს კავშირი უკეთებდა ორგანიზებას ნამდვილ დარბევად იქცეოდა ხოლმე. გაჩნდა პირველი ფემინისტი პოლიტიკური პატიმრები. თვითონ ე. პანჰერსტი არაერთხელ დააპატიმრეს. საპატიმროში იგი პროტესტს აცხადებდა და შიმშილობდა. მაგრამ პირველ მსოფლიო ომის დაწყებისთანავე ამ ორგანიზაციამ პატრიოტული პოზიცია დაიკავა და ლოზუნგი „ქალთა უფლებებისათვის“ შეცვალა მოწოდებით - „მეფისთვის, სამშობლოსთვის, თავისუფლებისთვის“.

მუშათა მოძრაობის განვითარებასთან ერთად, ჩნდება ქალთა პროლეტარული ორგანიზაციები. მათ მოღვაწეობაში ქალთა საკითხი პროლეტარიატის კლასობრივ ბრძოლასთან ერთად განიხილება. პროლეტარულ რევოლუციური მოძრაობის წარმომადგენლები - რ. ლუქსენბურგი, კ. ცეტკინა, ა. კოლონტაი და სხვ. ქალთა ბრძოლას მუშათა საერთო მოძრაობის ნაწილად აღიქვამდნენ, რომლის საბოლოო მიზანიც კაპიტალისტური საზოგადოების საფუძვლების ლიკვიდაცია, პროლეტარიატის მიერ ხელისუფლების მოპოვება, კომუნიზმის მშენებლობა იყო.

1910 წელს კოპენჰაგენში სოციალისტ ქალთა მეორე საერთაშორისო კონფერენციაზე 8 მარტი გამოცხადდა ქალთა საერთაშორისო დღედ - ბურჟუაზიის ბატონობის წინააღმდეგ ქალთა ფართო მასების ბრძოლისათვის მობილიზაციის დღედ. 1911 წელს ეს დღე დასვლეთ ევროპის რიგ ქვეყნებში აღინიშნა. 1913 წლიდან იგი რუსეთის იმპერიაშიც აღინიშნებოდა. რევოლუციით შთაგონებული ალექსანდრა კოლონტაი თვლიდა, რომ შექმნილი იყო პრაქტიკული შესაძლებლობა ქალთა თანასწორობის საკითხის გადაჭრისთვის.

ფაშიზმის საშიშროებამ ქალთა ანტიფაშისტური მოძრაობის ჩამოყალიბება გამოიწვია, რომელიც ერთიანი სახალხო ფრონტის შემადგენელი ნაწილი იყო. 1934 წელს პარიზში ჩატარდა ფაშიზმისა და ომის საწინააღმდეგო ქალთა მსოფლიო კონგრესი, ხოლო 1938 წელს მარსელში - ომის საწინააღმდეგო ქალთა კონგრესი. მეორე მსოფლიო

ომის დროს ქალთა ბევრი ორგანიზაცია აქტიურად იბრძოდა ფაშიზმის წინააღმდეგ.[120]

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, ქალთა მოძრაობაში ახალი პროცესები იწყება. სულ უფრო თვალსაჩინოა ბრძოლა ქალთა უფლებების დაცვის, ბავშვთა კეთილდღეობის უზრუნველყოფისთვის, იზრდება ეროვნული, ზოგად სოციალური და საერთაშორისო საკითხების, მშვიდობის და უსაფრთხოების პრობლემების სპექტრი.

ქალთა მოძრაობის განვითარებაში უდიდესი როლი შეასრულა გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ. შექმნის დღიდან (1945 წლის 24 ოქტომბერი) იგი გვევლინება თანასწორი უფლებების გარანტად. გაერომ მიიღო კონვენცია ქალთა მიმართ ყველა სახის დისკრიმინაციის აღმოფხვრის შესახებ. მნიშვნელოვანია ამ საკითხში იუნესკოს წვლილიც, რომელიც 1946 წელს შეიქმნა. გარდა საერთაშორისო თანამშრომლობისა განვითარების განათლების და კულტურის დარგში, სამეცნიერო-ტექნიკური და კულტურული ინფორმაციის გავრცელებისა, იუნესკო გამოვიდა პროგრამით განათლების დარგში დისკრიმინაციის წინააღმდეგ და ეროვნული კულტურების დაცვისთვის.

1946 წელს შეიქმნა ქალთა მდგომარეობის სპეციალური კომისია, რომელიც გაეროს ეკონომიკური და სოციალური საბჭოს ჩარჩოში მოქმედებს. გაეროს შექმნისას 51 ქვეყნიდან, რომლებიც მისი წევრები გახდნენ, მხოლოდ 30 მათგანში ქალები, მამაკაცებთან თანაბრად, ფლობდნენ საარჩევნო და საჯარო სტრუქტურებში ხელმძღვანელობის უფლებას. და მაინც გაეროს ფუძემდებლურ დოკუმენტებში დეკლარირებულ იქნა თანაბარი უფლებები. ისინი დაფიქსირებულ იქნა ადამიანის უფლებათა დეკლარაციაში, რომლის მიღების ინიციატორიც ელეონორა რუზველტი გახდა. თითქმის 30 წლის განმავლობაში გაეროს სისტემის ჩარჩოში წარმოებდა ინფომრაციის შეგროვება და სტრატეგიის შემუშავება ქალთა საზოგადოებრივ და პოლიტიკურ პროცესებში ჩართვის მიზნით. სპეციალურმა კომისიამ შექმნა ადამიანის

[120] მეტრეველი ე., დისერტაცია „პოლიტიკური კულტურის გენდერული ასპექტი (პოსტსაბჭოთა საქართველოს მაგალითზე)“, 09.12.2010

უფლებათა დაცვის პირველი ინსტრუმენტის მონახაზი. დეკლარაციის პრონციპების იურიდიულად აღიარებულ ვალდებულებად ჩამოყალიბებისათვის იმ სახელმწიფოებისათვის, რომლებმაც მოახდინეს მისი რატიფიცირება,

გენერალურმა ასამბლეამ იგი დაყო ორ „პაქტად“. პირველი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ და მეორე - სოციალური, კულტურული, და ეკონომიკური უფლებების შესახებ.

1966 წელს გაერთიანებული ერების მესამე კომიტეტმა (ადამიანის უფლებათა დაცვის გენერალური ასამბლეა) საბოლოოდ მიიღო ორი დამოუკიდებელი საერთაშორისო პაქტი ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ **(ICCPR)**, და მეორე, საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა შესახებ (**(ICCPR)**, რომლებიც ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციასთან ერთიანობაში ცნობილია როგორც ბილი ადამიანის უფლებათა შესახებ და, რომელიც 1976 წლიდან ამოქმედდა. **ICCPR** წარმოადგენს ზოგად პროტოკოლს (ან შენიშვნებს პაქტის მიმართ), რომელიც შესაძლებელს ხდის, სახელმწიფოებმა თავის ერებს დართონ ნება, წარადგინონ პეტიციები და მოითხოვონ მათი ცალკე რატიფიცირება.

1972 წელს ქალთა დემოკრატიული ფედერაციის ინიციატივით გაეროს გენერალური ასამბლეის XXVII სესია იღებს გადაწყვეტილებას მსოფლიო თანამეგობრობის ეგიდით ქალთა საერთაშორისო წელიწადის ჩატარების შესახებ. ამ აქციის მიზანი იყო მსოფლიო საზოგადოებრიობის და სხვადასხვა ქვეყნების მმართველთა ყურადღება მიეპყროთ ქალთა მდგომარეობასთან დაკავშირებული პრობლემებისათვის.

გაეროს მიერ 1975 წელი გამოაცხადა ქალის წლად, დევიზით: „თანასწორობა. განვითარება. მშვიდობა“, ხოლო სპეციალურმა პროგრამამ მიზნად ქალთა თანასწორობის, თავიანთ ქვეყნების ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ ცხოვრებაში მათი მონაწილეობის უზრუნველყოფა წამოაყენა. გათვალისწინებული იყო აგრეთვე ქალის როლის ზრდა სახელმწიფოთა შორის მეგობრული ურთიერთობების

განვითარებისა და მშვიდობის განმტკიცების საქმეში. პირველი საერთაშორისო კონფერენცია ქალთა მდგომარეობის შესახებ ჩატარდა მექსიკაში 1975 წელს. მასზე განიხილებოდა ქალთა დისკრიმინაციის პრობლემები, საკითხები მათი მონაწილეობის შესახებ თავიანთი ქვეყნების განვითარებისა და სამშვიდობო პროცესებში. 1976-1985 წლები გაეროს მიერ ქალთა ათწლეულად გამოცხადდა.

ქალთა უფლებების შესახებ ფართო მსჯელობამ უცილობელი გახადა ქალთა მიმართ ყველა სახის დისკრიმინაციის აღმოფხვრის შესახებ საერთაშორისო კონვენციის შემუშავება და მიღება (1979), რომელიც გაეროს წინა დოკუმენტებთან შედარებით, ხელისუფლებებს გარკვეულ იურიდიულ ვალდებულებებს აკისრებდა. დღემდე ეს დოკუმენტი გენდერული თანასწორობის ერთერთ ძირითად დოკუმენტს წარმოადგენს. 1980 წელს კოპენჰაგენის ქალთა მეორე საერთაშორისო კონფერენციის ყურადღების ცენტრში იყო საკითხები, რომლებზეც აღნიშნულ კონვენციაში იყო ლაპარაკი, აქვე ამ პრობლემების აღმოფხვრის მიზნით, მოხდა მოქმედების პროგრამის შემუშავება მონაწილეები აღნიშნავდნენ მამაკაცების როლს გენდერული თანასწორობის მიღწევაში, სოციალური მხარდაჭერის ფორმების დახვეწის, ქალთა კოოპერაციის და ქალთა თვითშეგნების ამაღლებისა აუცილებლობის შესახებ. აქვე ისინი შეეხნენ ქალთა ეკონომიკური უფლებების შეზღუდვის საკითხებსაც.

ხუთი წლის შემდეგ ნაირობის კონფერენციაზე ქალთა მოძრაობამ ისეთი ფართო გაქანება დააფიქსირა, რომ ზოგიერთი ანალიტიკოსი მსოფლიო ფემინიზმის დაბადებაზე ალაპარაკდა. აღნიშნული, ალბათ, დაკავშირებული იყო განვითარებადი ქვეყნების ქალების აქტივობასთან, რამაც თავისი ასახვა პოვა ნაირობის კონფერენციაზე მიღებულ სტრატეგიებში. დოკუმენტში ლაპარაკი იყო ქალთა მონაწილეობაზე პოლიტიკური გადაწვეტილებების მიღებაში ყველა დონეზე.

პეკინის კონფერენციაზე 1995 წელს, რომელსაც უკვე 30 ათასი ადამიანი ესწრებოდა, დისკუსიები ორი კვირის მანძილზე გრძელდებოდა. ამ დისკუსიებზე განხილულ იქნა პრობლემების ფართო სპექტრი. მიღებულ იქნა მოქმედებების 12 პრიორიტეტული პოზიციისგან შემდგარი პეკინის პლატფორმა, რომელზედაც უნდა

მომხდარიყო ქალთა პრობლემებთან დაკავშირებული ყურადღების კონცენტრაცია, მათ შორის: სიღარიბე, ჯანმრთელობა, ძალადობა, შეიარაღებული კონფლიქტები, ეკონომიკა, ხელისუფლება, ქალთა მდგომარეობის გაუმჯობესების ეროვნული მექანიზმები, ქალთა უფლებები, როგორც ადამიანის უფლებების შემადგენელი ნაწილი, მასობრივი ინფორმაციის საშუალებები, გარემო და გოგონების პრობლემები. განსაკუთრებულ იმედებს კონფერენციის მონაწილეები ამყარებდნენ სამოქალაქო სექტორზე - არასამთავრობო ორგანიზაციებზე, დაარქვეს რა მათ ქალთა პრობლემების გადაჭრის ახალი მიდგომების „რუპორები“ და „სტიმულატორები“.

2000 წელს ნიუ-იორკში გაეროს გენერალური ასამბლეის სპეციალურ სესიაზე 170-ზე მეტი ქვეყნის წარმომადგენელი, 2 ათასი არასამთავრობო ორგანიზაცია შეიკრიბა. სესიის მთავარი გზავნილი იყო სამოქალაქო უფლებებსა და თავისუფლებების თაობაზე გამოსვლებში საერთო ტონალობის შეცვლა. ამ გამოსვლებში და მიღებულ საერთაშორისო სტრატეგიებში ლაპარაკია არა მარტო ქალთა უფლებებზე, არამედ რეალურ თანასწორობაზე ყველასათვის, სამყაროზე ახალი შეხედულებების ფორმირების, ერთიდაიგივე საკითხებისადმი განსხვავებული მიდგომების ფორმირების აუცილებლობაზე.

ქალები, ჩვეულებრივ, ადამინებით მოვაჭრეების მსხვერპლნი ხდებიან. ინტერპოლის მონაცემებით XX საუკუნის 90-იან წლებში ყოველწლიურად 15 ათასი გოგონა და ახალგაზრდა ქალი იკარგებოდა, რომელთაგანაც ბევრი მათგანი ჩრდილოეთ და სამხრეთ ამერიკის, ახლო და შუა აღმოსავლეთის ქვეყნების მეძავთა სახლებში აღმოაჩინეს. კვლავ სერიოზულ პრობლემად რჩება ოჯახში ძალადობა. ბევრ ქვეყანაში არ მოქმედებს (ისე, როგორც მაგ., აშშ-ში) კანონი ოჯახში ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ. შეერთებულ შტატებში იუსტიციის სამინისტროს ფარგლებში მოქმედებს მიზნობრივი კომპლექსური პროგრამა, რომელიც ითვალისწინებს მთელ რიგ ღონისძიებებს, მათ შორის, ფედერალური კანონების გამკაცრებას შტატების და ადგილობრივი ხელისუფალების დახმარების მიზნით, ოჯახში ქალების მიმართ ძალადობის და სხვა სახის დანაშაულებების წინააღმდეგ ბრძოლის ორგანიზებისათვის.

მსოფლიოში მილიარდამდე ქალია, რომელიც მუშაობს. განვითარებულ ქვეყნებში ქალები დასაქმებულთა ნახევარს წარმოადგენს. ამასთან ყველა დარეგისტრირებული დასაქმებული ქალი მსოფლიო შემოსავლის მხოლოდ მეათედს იღებენ. არ შეიძლება მხედველობაში არ მივიღოთ დიდი განსხვავება ქალთა მდგომარეობაში განვითარებულ და განვითარებად ქვეყნებში. ქალთა საკითხის გადაჭრაში განვითარებად სამყაროში ერთერთ ყველაზე უფრო აქტუალურ პრობლემად რჩება ოჯახური ურთიერთობები და ქორწინება. ქალისა და მამაკაცის ურთიერთობებს კვლავ მკაცრად არეგულირებს ტრადიციები და ჩვევები. განვითარებითი ქვეყნების უმრავლესობაში ახალგაზრდა ადამიანებს არ შეუძლიათ დაქორწინდნენ მშობლების ნებართვის გარეშე. ქორწინება უფრო ხშირად გარიგებაა, რომლის საფუძველსაც ქონებრივი და სოციალური საკითხი წარმოადგენს. დღემდე საცოლის არჩევისას მუსლიმანურ სამყაროში განათლებულ, დამოუკიდებელ, დასაქმებულ ქალსა და გაუნათლებელ, უმუშევარ ქალს შორის, არჩევანი მეორეს სასარგებლოდ კეთდება. როგორც წესი, ქალები უფრო აქტიურ ეკონომიკურ როლს თამაშობენ იმ ქვეყნებში, სადაც ისლამის გავლენა არ არის ან შესუსტებულია. მიუხედავად იმისა, რომ განვითარებადი ქვეყნების უმრავლესობაში ოფიციალურად მიღებულია კანონები ქალისა და მამაკაცისთვის შრომის თანაბარი ანაზღაურების შესახებ, გავრცელებულია სამუშაოს დაყოფა ქალურად და მამაკაცურად, აგრეთვე ქალების დისკრიმინაცია შრომის ანაზღაურებაში. ტრადიციული სტრუქტურების რღვევა, მათ შორის ტრადიციული ოჯახური ურთიერთობებისა, ძნელად მიმდინარეობს, ამიტომაც ქალთა მოძრაობის ძირითად საკითხად განვითარებად ქვეყნებში რჩება შრომის უფლების, პოლიტიკურ და სამოქალაქო ყოფაში ქალისა და მამაკაცის თანასწორობის და ქალების საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიური ჩართვის საკითხები.

დასავლეთის ქვეყნებში უმუშევრობა ქალთა შორის უფრო სწრაფად იზრდება ვიდრე მამაკაცებს შორის. განსაკუთრებით რთულ მდგომარეობაში არიან ქალები, რომელთაც 3 წლამდე მცირეწლოვანი ბავშვები ყავთ. განსხვავება ქალებისა და მამაკაცების ხელფასს შორის შეიძლება 50%-ს აღწევდეს. ქალებს კვლავ საერთო და პროფესიულ განათლების სფეროში დისკრიმინაციის გამო, როგორც წესი, უფრო დაბალი კვალიფიკაცია აქვთ, ვიდრე მამაკაცებს. მაგალითად, გერმანიაში ყოველი მეხუთე გოგონა

არავითარ კვალიფიკაციას არ იღებს. დანიაში 25 კვალიფიცირებული მუშაკიდან მხოლოდ ერთია ქალი.

მთელი მეოცე საუკუნის განმავლობაში ქალთა მოძრაობაში დიდი ცვლილებები მოხდა. სულ უფრო აქტიურად აყენებდნენ ქალები არა მარტო სოციალური განთავისუფლების, შრომის თანაბარი ანაზღაურების, არამედ ქალების პოლიტიკური უფლებების საკითხებს. ამ სახით ხდებოდა ფემინისტური მოძრაობის ევოლუცია და არსებითი ცვლილებები ქალთა ორგანიზაციებისადმი სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიდგომებში. ლიბერალური ხასიათის ნეოფემინისტურმა მოძრაობამ ქალთა დისკრიმინაცია არა სოციალური მიზეზებით ახსნა, არამედ ამ რთული პრობლემის მიზეზად სექსიზმი დაასახელა, ანუ სქესთა ურთიერთობებში მამაკაცების ბატონობა. ნეოფემინისტები თავიანთი ექსტრავაგანტული აქციებით ცდილობდნენ ქალთა პრობლემებისადმი ყურადღების მიქცევას. ხშირად შოკის მომგვრელი იყო თვით ორგანიზაციების სახელწოდებები - „წითელი წინდები“, „ქაჯები“, „პური და ვარდები“, „გადარეული ქალები“ და სხვ.

XX საუკუნის 60-იანი წლების დასაწყისში ამერიკელმა ჟურნალისტმა ბეტი ფრიდანმა გამოაქვეყნა თავისი წიგნი „ქალურობის საიდუმლო“, რომელმაც ფართო გამოხმაურება ჰპოვა დასავლეთის ქვეყნებში. სოციოლოგიური კვლევების და პრესის ანალიზის საფუძველზე ავტორი აკრიტიკებდა პრესის მიერ „ბურჟუაზიულ “ოჯახზე და ქალის შესაძლებლობებზე შექმნილ სტერეოტიპულ შეხედულებებს. წიგნი თავისებურ ენციკლოპედიად იქცა საშუალო ფენის ბევრი ქალისთვის.

რიგ ქვეყნებში ნეოფემინისტებმა ორგანიზაციების მთელი ქსელი შექმნეს. ისინი გამოსცემენ და ავრცელებენ ლიტერატურას, ხსნიან ბავშვთა სკოლამდელ და სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებებს, სახლებს ქმართან გაშორებული ქალებისთვის, იურიდიული დახმარების ცენტრებს, სამედიცინო კონსულტაციებს, ქალთა ძალადობასთან ბრძოლის ჯგუფებს, ხელსაქმის მაღაზიებს და სხვ. კონკრეტულმა ქმედებებმა, მუშაობის აქტიურმა მეთოდებმა და ორგანიზაციებში შექმნილმა

ურთიერთგაგების და მხარდაჭერის ატმოსფერომ, ნეოფემინისტური ორგანიზაციები მეტად გავლენიან ძალად აქცია.

XXI საუკუნის დასაწყისისთვის ქალთა პრობლემის გადაჭრის მიდგომებში რამდენიმე მიდგომა ჩამოყალიბდა. ყველაზე მეტი მხარდამჭერი ყავს პატრიარქალურ მიმართულებას. ამ მიმართულების არსი იმაში მდგომარეობს, რომ სამყარო, საზოგადოება, წესრიგი და ა.შ. დამყარებულია ტრადიციულ ღირებულებებზე, რომელთა დარღვევა საკმაო საფრთხის შემცველია. მათ რიცხვს მიეკუთვნება მამაკაცის და ქალის ფუნქციების დანაწილება ოჯახსა და საზოგადოებაში. ამ მიმართულების მიმდევრები თვლიან, რომ ბევრი პრობლემის წარმოშობა დაკავშირებულია ინდუსტრიალიზაციის შედეგად ქალების ეკონომიკურ და საზოგადოებრივ პროცესებში ჩართვასთან. მათ მიერ შემოთავაზებული ზომები ძირითადად ამკრძალავი და შემზღუდავი ხასიათისაა. მაგალითად, შეწყდეს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით ემანსიპირებული ქალის იდეალის პროპაგანდა როგორც დესტრუქციული მაგალითისა ოჯახისა და საზოგადოებისთვის. ეკონომიკურ მიმართულებას უპირატესად ეკონომისტები ავითარებენ, რომელთათვისაც მთავარ ინტერესს ეკონომიკაში ადამიანური ფაქტორი წარმოადგენს, ამიტომ ეკონომიკური პრობლემების გადაჭრისთვის ხდება ნაკლებად ეფექტური ქალთა შრომის განდევნა. ასე, რომ ხდება პატრიარქალური და ეკონომიკური ინტერესების გადაკვეთა.

დემოგრაფები ქალს განიხილავენ მისი რეპროდუქციული ფუნქციიდან გამომდინარე, რაც მას მონურ მდგომარეობაში აყენებს თავისი „ბუნებრივი“ სპეციფიკის გამო. ეგალიტარული მიმართულების წარმომადგენლები თვლიან, რომ საზოგადოების „ბუნებრივი“ წესები - ეს სოციალური ილუზიაა და არსებული პრობლემებიდან გამოსავალი თავისუფალი არჩევანის სივრცის გაფართოებაშია.

ქალების საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობის შესახებ ბევრი მითია შექმნილი. ყველაზე უფრო გავრცელებული დაკავშირებულია იმასთან, რომ სამრეწველო განვითარებასთან ერთად თითქოს ავტომატურად ხდება ქალთა განთავისუფლება არა იმდენად ფიზიკური, არამედ უფრო ფსიქოლოგიური, მძიმე

სახლის შრომისაგან. სინამდვილეში თანამედროვე საზოგადოებაში გართულებულია თვით სახლის მეურნეობის სტრუქტურა. ამერიკელი სოციოლოგ ჯოანა ვეინეკის დაკვირვებით, XX საუკუნის 70-იანი წლების დასაწყისში ამერიკელი დიასახლისი სახლის საქმეზე ხარჯავდა იმდენივე დროს, რამდენსაც მისი ბებია - დაახლოებით კვირაში 53 საათს. მსგავსი სიტუაცია იქნა დაფიქსირებული უნგრელი სოციოლოგის ალექსანდრე შალაის მიერ. გაანალიზა რა 12 ევროპული ქვეყნის მოქალაქეების დროის ბიუჯეტი, მან დაადგინა, რომ, მაგალითად, გერმანიაში დიასახლისი, რომელსაც ყველანაირი ტექნიკური მოწყობილობა ქონდა, დაახლოებით იმდენივე დროს ხარჯავდა, რამდენსაც იუგოსლაველი ქალი სოფლიდან, რომელსაც თანამედროვე სამზარეულოს ნაკრებიც კი არ ქონდა და წყალს ჭიდან იღებდა. [121]არანაირ სახლის საქმეებს არ შეუძლია შეაჩეროს ქალების ჩართვა არა მარტო საზოგადოებრივ სფეროში, არამედ იმ სფეროებშიც, რომლებიც დიდი ხნის განმავლობაში უპირატესად მამაკაცურად ითვლებოდა: პოლიტიკა, ბიზნესი, სამხედრო სამსახური. არის იმის საფუძველი ვიფიქროთ, რომ ამ სფეროების ფემინიზაციის საზღვრები ჯერჯერობით ძნელია ვიწინასწარმეტყველოთ. ეჭვგარეშეა, პატრიარქატი ბევრი ქვეყნის ეროვნული მენტალიტეტის შემადგენელი ნაწილია, და მეტიც, უფრო მყარდება იმ პროცესების შედეგად, რომელიც რელიგიურ ცხოვრებაში მიმდინარეობს.

ბევრი მკვლევარი და პოლიტიკოსი ამჯობინებს ქალების პრობლემები რეგიონული ჭრილში იქნას განხილული. მაგალითად, სკანდინავიის ქვეყნებმა სხვა დანარჩენ ქვეყნებს გაასწრეს ქალთა წარმომადგენლობით საკანონმდებლო ორგანოებში. მაგრამ სხვა ქვეყნებისთვის კვოტირებამ შეიძლება მოახდინოს პოლიტიკური სცენის დეკორირება და არა რეალურად ქალთა პრობლემების გადაჭრა, რომელიც უმთავრესად სოციალური ხასიათისაა. ამასთან, არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ მუდმივად იზრდება სახელმწიფო სამსახურში დაკავებულ ქალთა რაოდენობა. თუ საფრანგეთის მაგალითს ავიღებთ, XX საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისში ქალები სახელმწიფო სამსახურის შტატის ნახევარზე მეტს შეადგენს.[122] მოქმედებს იურიდიული მექანიზმი, რომელიც

[121] Воронина О. Загадка или мистификация? // Фридан Б. Загадка женственности. С. 9 — 10.
[122] Collection France de document d'information et de formation. 1997. № 27. P. 54

ყველა სახელმწიფო მოხელისადმი თანაბარ მიდგომას უზრუნველყოფს. მაგრამ ამავდროულად ქალები სარგებლობენ ეგრეთ წოდებული პოზიტიური დისკრიმინაციით, რომელიც მხედველობაში იღებს მათ მდგომარეობას საზოგადოებაში. თანაბარი მიდგომის პრინციპი გულისხმობს თანაბარ წვდომას სახელმწიფო თანამდებობებზე, თანაბარ შესაძლებლობებს სამსახურეობრივ წინსვლაზე, თანაბარ საპენსიო უფლებებს.

საფრანგეთის დებულებაში სახელმწიფო მოხელეების შესახებ, გათვალისწინებულია სამსახურეობრივი და ოჯახური ცხოვრების შეთავსების გზების ძიება მეუღლეების დაახლოების, შრომის რიტმის ხანგრძლივობის შეცვლის, არასრული სამუშაო დროის რეჟიმის, სამ წლამდე ასაკის ბავშვის მოვლისთვის შვებულების ორგანიზებით დედის ან მამის არჩევანით და სხვ.[123]

ფანი ჰერსტის მტკიცებით, „ქალი კაცზე ორჯერ უფრო უკეთესი უნდა იყოს, რომ მიაღწიოს ორჯერ უფრო ნაკლებს“. ალბათ, ამის გამო ქალები, რომლებიც პოლიტიკური იერარქიის მაღალ საფეხურზე ასვლას ახერხებენ, არა მარტო არაორდინალური პიროვნებები არიან, არამედ მათ შესწევთ უნარი სერიოზული შემობრუნება განახორციელონ ეროვნულ და მსოფლიო პოლიტიკაში. იზრდება ქალების - უფლებადამცველთა მოძრაობის აქტიური მონაწილეების რიცხვი. ისინი იცავენ არა მარტო ქალების უფლებებს, არამედ სამოქალაქო უფლებების მთელ კომპლექსს. ამის მაგალითია ირანელი უფლებადამცველი შირინ ებედი, პირველი მუსლიმანი ქალი - ნობელის პრემიის ლაურეატი, რომელმაც 2004 წელს აშშ-ს მთავრობას უჩივლა მისი მემუარების გამოქვეყნებაში ხელის შეშლის გამო. სარჩელი შეტანილ იქნა ებედის და გამომცემლობა Strothman Agency-ის სახელით, რომელის მისი წიგნის გამოცემას აპირებდა. ებედი ითხოვდა გაუქმებულიყო შეერთებული შტატების ფინანსთა სამინისტროს დადგენილება. აღნიშნული დადგენილება კრძალავდა ავტორების წიგნების გამოქვეყნებას იმ ქვეყნებიდან რომლების მიმართაც სანქციები მოქმედებდა, მაგალითად, ირანი, კუბა, სუდანი. სარჩელში აღნიშნული იყო, რომ ეს შეზღუდვა ეწინააღმდეგებოდა აშშ კონსტიტუციის პირველ შესწორებას, რომელიც უზრუნველყოფს

[123] Colection France de document d’information et de formation. 1997. № 27. P. 54

სიტყვის თავისუფლებას, აგრეთვე კონგრესის მოხსენებებს იმის შესახებ, რომ სავაჭრო ემბარგომ ამ ქვეყნების მიმართ არ უნდა შეუშალოს ხელი ინფორმაციის და იდეების თავისუფალ გავრცელებას. ებედი აცხადებდა, რომ მისი მემუარების დაბეჭდვის აკრძალვა არა მარტო არ აძლევს ამერიკელებს საშუალებას უკეთ გაიცნონ ირანი და მისი ხალხი, არამედ მთლიანობაში ხელს უშლის ქვეყნებს შორის ურთიერთგაგების განვითარებას. თვით ამერიკის შეერთებულ შტატებში ფუნქციონირებს საერთაშორისო განვითარების სააგენტო, რომელიც საზღვარგარეთ ქალთა პოლიტიკურ პროცესებში მონაწილეობის და მათი იურიდიული უფლებების მხარდაჭერის ინიციატივების რეალიზებას ახდენს. სააგენტოს მიერ განსახორციელებელ მიმართულებებში შედის პოლიტიკური პროგრამების, სამოქალაქო და საარჩევნო უფლებების სფეროში საგანმანათლებლო პროგრამები მომზადება და სხვ. უკანასკნელ პერიოდში ქალები პოლიტიკური კიბის უმაღლეს საფეხურზე ავიდნენ. ბევრ ქვეყანაში მათ დაიკავეს პრეზიდენტების და პრემიერ-მინისტრების პოსტები. ქალი პოლიტიკოსების ქცევა ხშირად მოულოდნელია. მათი გადაწყვეტილებების შესახებ მსჯელობა მამაკაცებისათვის მიუწვდომელი თავისებურებების გათვალისწინებით შეიძლება. ამ მხრივ ბრიტანელ „რკინის ლედის “ამერიკელმა „რკინის ლედიმ“ მადლენ ოლბრაიტმა აჯობა. როდესაც ირანულ პრესაში მას „ქალი-გველი“ უწოდეს, მან დემონსტრატიულად დაიბნია ბროში გველის გამოსახულებით. შემდგომშიც ოლბრაიტმა ბევრი პრობლემა შეუქმნა დიპლომატებსა და ჟურნალისტებს, რომლებიც ცდილობდნენ მისი ბროშების სიმბოლიკა განესაზღვრათ. თვით მადლენ ოლბრაიტის ფენომენი მსოფლიო მაღალი რანგის დიპლომატიაში ექსტრაორდინალური ქცევის საწინდარი იყო. ჯერ კიდევ გაეროში აშშ-ს მუდმივი წარმომადგენლის პოსტზე, ერთერთი მიღებისას ფეშენებელური სასტუმრო „უოლდორფ-ასტორიას“ სახურავზე, ქალბატონი ელჩი საერთო ხმაურის ფონზე ვერ ახერხებდა სადღეგრძელოს წარმოთქმას, მაშინ ბავშვებივით ხმაურიან მაღალი რანგის დიპლომატებს დასაწყნარებლად დაუყვირა: „ახლა გეყოთ, ახალგაზრდებო, წესიერად მოიქეცით“.[124]

[124] Воронина О. Загадка или мистификация? // Фридан Б. Загадка женственности. С.17

მადლენ ოლბრაიტი ისე კარგად „ყიდიდა“ აშშ-ს საგარეო პოლიტიკას, რომ მას კომივოიაჟორს ადარებდნენ. როგორც ამბობდნენ, მისი ქცევა შეიძლებოდა ამერიკის ფლოტილიის საფლაგმანო გემის მოქმედებისთვის შეგვედარებინა. შემთხვევითი არ იყო, რომ მის სამუშაო მაგიდაზე საზღვაო ოფიცრის ხანჯალი იდო. იმის თქმა, რომ მსოფლიო პოლიტიკა ან თუნდაც დიპლომატია სულ უფრო და უფრო ქალურ სახეს იღებს, გადაჭარბებული იქნებოდა, მაგრამ უმაღლეს სახელმწიფო თანამდებობებზე ქალების ყოფნა დღეს ჩვეულებრივი მივლენაა.

XXI საუკუნის დასაწყისში ქალი-პოლიტიკოსების რიცხვი ანა დე პაპასიომ შეავსო, რომელიც ესპანეთის საგარეო საქმეთა მინისტრად დაინიშნა. მისი უმცროსი და ლოიოლა ამ დროს ტრანსპორტის დარგში ევროკომისიის კომისარი იყო, ხოლო მანამდე ესპანეთის სოფლის მეურნეობის და თევზჭერის სამინისტროს ხელმძღვანელობდა. ანა პაპასიო (იგი ითხოვდა, რომ მისი გვარი არისტოკრატული დე-ს გარეშე დაეწერათ) არჩეული იყო ევროპარლამენტის დეპუტატად, ხოლო შემდეგ კომისიის თავმჯდომარედ სამართლებრივ საკითხებში და ევროპარლამენტის ვიცე-პრეზიდენტად. 2000 წელს „უოლ-სთრით ჯორნალმა“ იგი დაასახელა 12 ყველაზე უფრო გავლენიან ქალთა სიაში. მისდამი მიძღვნილ სტატიას „ევროპის ადვოკატი“ თან ახლდა სურათი, რომელშიც იგი თმების გარეშე იყო გამოსახული. კიბოს დაავადების და გადატანილი ოპერაციის შემდეგ ანა პაპასიუს მიაჩნდა, რომ ღირსეული არ იქნებოდა დაავადების დამალვა და პარიკის ტარება. საინტერესოა, რომ მიუხედავად ქალების უმაღლესი ორგანოების ხელმძღვანელ პოსტებზე მცირე წარმომადგენლობისა დასავლეთის ქვეყნებში, ისინი ნაკლებად ეხვეოდნენ სხვადასხვა სახის სკანდალებში. უკანასკნელ ხანებში, რაც მათი წარმომადგენლობა იერარქიის მაღალ საფეხურებზე გაიზარდა, ქალები უფრო ხშირად ხვდებიან სკანდალურ ქრონიკებში. აღნიშნული კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ არა მარტო ქალების გზაა ხელისუფლებისაკენ რთული, არამედ ხელისუფლებაში ყოფნაა საკმაოდ რთული გამოცდა. აქ საქმე ქალის სისუსტეში კი არა ქალთა ლიდერობის მოდელის არარსებობაშია. ქალ ლიდერს უნდა ქონდეს როგორც ქალური, ისე მამაკაცური თვისებები, რასაც ხშირად ქალურ თვისებებზე უარის თქმა მოსდევს. ქალურობამ კი შეიძლება სამსახურებრივი პრობლემები შექმნას, რასაც დასავლეთში სექსიზმს

უწოდებენ. აღმოსავლეთში დამნაშავე ყოველთვის ქალია, რომელსაც „ზინა“-ში, ანუ სექსუალურ-პროვოკაციულ მოქცევაში ადანაშაულებენ. სოციალური ლინგვისტიკის სპეციალისტები აღნიშნავენ, რომ ქალებს და მამაკაცებს განსხვავებული მეტყველება აქვთ: ქალების მეტყველება ნაკლებად მეცნიერული და ინფორმატიულია, მაგრამ უფრო ემოციურია, თანაც მნიშვნელოვანია პირად და არა საქმიან ურთიერთობებში. პოლიტიკური ლიდერობის არსებულ მოდელებში ქალური სპეციფიკა ნაკლებად არის გათვალისწინებული. დღესდღეობით სახეზე გვაქვს ქალთა ლიდერობის რეგიონული სპეციფიკა - დასავლური (მ.ტეტჩერი, მ. ოლბრაიტი, კ. რაისი, ა. მერკელი, ჰ. კლინტონი), აზიური (ი. განდი, თ. ჩილერი, ბ. ბხუტი), ლათინოამერიკული (ე. პერონი, ვ. ბარიოს დე ჩამორო, მ. ბაჩალეტი. იმის თქმაც შეიძლება, რომ ეს ისევ ლიდერობის მამაკაცური ვარიანტია, რადგანაც შემთხვევით არ არის, რომ ჩამოთვლილი ქალები პოლიტიკაში ქმრების ან მამების შემდეგ მოვიდნენ. აქ არ არის გათვალისწინებული ის, რომ ქალის პოპულარობა და ლიდერობა არ შეიძლება იყოს დამყარებული მხოლოდ ქალურ თვისებებზე. საკმარისია გავიხსენოთ დედა ტერეზას და პრინცესა დაიანას არა მარტო პოპულარობა, არამედ მათდამი სიყვარული. ამ შემთხვევაში ქალ-ლიდერის ქცევაზე სხვა არქეტიპები მოქმედებენ. რათქმა უნდა ქალებისთვის რეალიზაცია ტრადიციულ ქალურ სფეროებში უფრო ადვილია - განათლების მართვა, ჯანდაცვა, სოციალური სამსახური, შედარებით რთულია ტრადიციულ მამაკაცურ სფეროებში - თავდაცვის მართვა, საგარეო საქმეები, ფინანსები. ჯარში ქალების სამსახურის მიმართებაში პარადოქსული სიტუაციაა ზოგიერთ ქვეყანაში ქალები პროფესიული არმიის შექმნისთვის იბრძვიან, დასავლეთი ქვეყნებში კი ქალებმა მამაკაცების სამხედრო სამსახურთან გათანაბრებული უფლებები მოიპოვეს. მაგალითად, საფრანგეთში ქალებისთვის მოხსნილია ყოველგვარი პროფესიული შეზღუდვები. დღეს ქალებს საჰაერო დესანტის ყველა ქვეგანაყოფებში კი შეუძლიათ იმსახურონ. ადრე არსებული შეზღუდვები იმით აიხსნებოდა, რომ დესანტები უნდა ფლობდნენ დივერსიული ბრძოლის ილეთების მთელ არსენალს, მათ შორის ორთაბრძოლის. გარდა ამისა, მათ უნდა ემსახურათ ქვეყნის გარეთ: აფრიკაში, საუდის არაბეთში, ყოფილ იუგოსლავიის ქვეყნებში. უფრო ადრე გაუქმებულ იქნა ყველა კვოტა, რომელიც ქალთა უმაღლეს სამხედრო სასწავლებლებში იყო დაწესებული. თუმცა ისიც

უნდა აღინიშნოს, რომ საფრანგეთი მოწინავე ქვეყნების რიგს მიეკუთვნება - ჯერ კიდევ 1976 წელს სამხედრო ექიმმა და შემდგომში სამხედრო ვერტმფრენის პილოტმა ვალერი ანდრემ მიიღო ავიაციის გენერლის წოდება.

უკანასკნელი ასწლეულების განმავლობაში იზრდებოდა ქალის როლი, არა მარტო პოლიტიკაში, არამედ მისი, როგორც ელექტორატის როლი. ქალების ელექტორატი გამოირჩევა თავისი პრაგმატიზმით და პრობლემების საოჯახო ჭრილში განხილვით. ეს კი მათ პოლიტიკურ არჩევანზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს. ამბიციური გეოპოლიტიკური პროექტების საპირისპიროდ, ისინი სოციალურ პროგრამებს არჩევენ. ასე, მაგალითად, პრეზიდენტ ბუშის ადმინისტრაციის პოლიტიკაში, განსაკუთრებით 2001 წლის ტერაქტის შემდეგ სოციოლოგიურ კვლევებში უმალვე დაფიქსირდა ასეთი განწყობები, ხოლო ჰარვარდის უნივერსიტეტის ბაზაზე შეიქმნა ახალი ქალთა საერთაშორისო საზოგადოებრივი გაერთიანებები, რომლებიც „მშვიდობისათვის ქალთა ჯვაროსნულ ლაშქრობაზე“ აცხადებენ პრეტენზიას. როგორ აისახება ქალთა ბრძოლა თავიანთი უფლებებისთვის, ქალთა ელექტორატის წილის ცვლილება მთელ მსოფლიოში, ამის განსაზღვრა ძნელია, რადგანაც ხშირად ქალები უფრო კონსერვატიულები და მგრძნობიარენი არიან, მაგრამ მიუხედავად ამისა, ქალთა აქტიურობის გაზრდა უდავოდ დადებითი მოვლენაა კაცობრიობისთვის.

თანამედროვე პირობებში აშშ-სა და დასავლეთში ქალთა მოძრაობა - ეს არის ქალთა აქტიური გამოსვლები თანაბარი უფლებებისთვის პროფესიის ათვისების, სამუშაოზე მიღების, ხელმძღვანელ თანამდებობაზე დანიშვნის და პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობისას. დღეს აშშ-ში ათიათასობით ქალთა ორგანიზაციაა. ისინი აერთიანებენ სხვადასხვა რელიგიური და პოლიტიკური მრწამსის მილიონობით ქალს, არსებობს საუნივერსიტეტო განათლების მქონე ქალთა ამერიკული ორგანიზაცია - ფართო ეროვნული გაერთიანება, ფილიალებით მთელ ქვეყანაში. მისი პროგრამა ითვალისწინებს თანაბარ უფლებებს და შესაძლებლობებს ყველა ამერიკელი ქალისთვის, განსაკუთრებით პოლიტიკაში, საკანონმდებლო ბაზის დახვეწას, სამედიცინო და სოციალური მომსახურების გაუმჯობესებას და სხვ. დღეისთვის შვედეთში მოქმედებს

სოციალ-დემოკრატიული კავშირი, გერმანიაში - პარტიებსა და პროფკავშირებში ასეულობით ქალთა ორგანიზაცია და სექციაა და სხვ.

თანამედროვე ქალთა მოძრაობამ ახალი გააზრება, შინაარსი და პრიორიტეტები შეიძინა, ყალიბდება ღირებულებათა და იდეალთა ახალი სისტემა, ვითარდება და იხვეწება ფემინისტური თეორია, რომელიც მოქალაქეობრივ უფლებებზეა დამყარებული, იცვლება ურთიერთობები ოჯახში, ყალიბდება ქცევის ახალი მოდელი. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, თეორიისა და პრაქტიკის შერწყმის, პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური, სამეცნიერო, სულიერი პრობლემების გადაჭრისადმი კომპლექსური მიდგომის ხარჯზე ქალთა მოძრაობამ ახალი ხარისხი შეიძინა.

2.3. საქართველოს ქალთა სამოქალაქო აქტივობის ისტორიული ეტაპები და თავისებურებები

თუ საქართველოს ისტორიას გადავხედავთ, ქალი ყოველთვის დიდ როლს ასრულებდა ქვეყნის პოლიტიკურ და სოციალურ ცხოვრებაში. მისი სოციალური სტატუსი რთული პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური, აგრეთვე გეოგრაფიული ფაქტორების, კულტურული და ისტორიული განვითარების თავისებურებების ფონზე ყალიბდებოდა. შუა საუკუნეების საქართველოში მამაკაცის ძალაუფლებას ქალზე არასდროს ჰქონია ისეთი უკიდურესი ფორმები, როგორც აღმოსავლეთის მუსლიმანურ და დასავლეთის ქვენებში.[125] XIX საუკუნეში გაისმა ქალისადმი და მისი სოციალური როლისადმი კონსერვატული მიდგომის მძაფრი კრიტიკა. 1861 წელს „ცისკრის“ კონსერვატული ჯგუფის წარმომადგენელი ალექსანდრე სულხანიშვილი არ მიესალმებოდა ქალების საზოგადოებრივ აღზრდას. იგი წერდა: დედაკაცნი საზოგადოდ არიან უკეთესად აღზრდილნი ვიდრე მამაკაცნი იმიტომ, რომ დედაკაცები ხალხს ნაკლებად ხვდებიან და ამით ადვილად იცავენ თავის ზნეობრივ

[125] კიკნაძე თ., დონაძე ნ. გენდერი - სოციალური და პოლიტიკური სწავლებანი, თბ. 2006

სიწმინდეს“. ასეთი შეხედულებები მაშინდელ საზოგადოებაში წარსულის გადმონაშთად მიიჩნიეს. ქალთა აღზრდა-განათლების საქმე მამაკაცთა და ქალთა თანასწორობის პრინციპიდან მომდინარეობდა. ეს პრინციპი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ქართველებისთვის უცხო არ იყო, მაგრამ განსაკუთრებული ყურადღება და საზოგადოებრივი ბრძოლა 60-იან წლებში დაიწყო. [126]

1860 წელს ისტორიკოსი დიმიტრი ბაქრაძე აღნიშნავდა: ახლანდელი დრო მჭიდროდ არის შეკავშირებული წარსულ დროსთან, როგორითაც კაცი, ისე ქალი თითქმის ისეთნივე არიან საქართველოში, როგორც უწინ ყოფილან; ისევ ის სისხლი მომდინარეობს დედათ-სქესის ძარღვებში და ისევ ის თვისებები შეადგენენ იმის ხასიათს, - თვისებები, რომლებითაც მიიქცევენ თვით ევროპიულთ საზოგადო ყურადღებას, ესე იგი - სიტურფე, სასიამოვნო საუბარი და მიმზიდავი მანერები საზოგადოებაში და გონების ნიჭიერებანი, კითხვისა და წერის სურვილი, რომელსაც აღმოაჩენენ კნ. ჯორკაძისა და და სხვანი, დიაღ საქებარი არ არის. სასურველია, რომ ჩვენი ქალები უფრო და უფრო შეეჩვივნენ კითხვასა და წერას. კითხვა-წერა ადამიანის გონებას გაუხსნის და გონების გახსნა დაგვაყენებს ჭეშმარიტს გზაზედ“. [127](ბაქრაძე დიმიტრი, „ქართველი ქალები“ „საბჭოთა საქართველო, 1891, გვ. 14)

„ცისკრის“ პროგრესული ჯგუფის წარმომადგენელი პეტრე ჩარექიშვილი 1863 წელს წერდა: „იმ დროში, რომელშიაც კაცის აზრნი და იდეანი, სიჩქარით იცვლებიან და განიწმინდებიან ყოველთა საშუალო სუკუნეთა შეცდომილებისაგან, ამით გვაახლოებენ ჩვენ ჭეშმარიტებისადმი, რომელშიაც მეცნიერება და განათლება იქმონან დიდსა ნაბიჯსა წარმატებისა და განათლებისა გზაზედ, და უკანასკნელ, რომელშიც იბადებიან და დაბადებისთანვე თხოულობენ დაუყოვნებლივსა გარდაწყვეტასა მრავალნი სხვადასხვა გვარნი კითხვანი შესახებელ საზოგადოებით და სახელწიფოთ ცხოვრებით საგნებითა, ხოლო ამათ რიცხვში პირველი უჭირავს ქალის აღზრდასა“. [128]

პეტრე ჩარექიშვილს მიაჩნია, რომ მნიშვნელოვანია არა მარტო მამაკაცის

---

[126] მეტრეველი ე., ქალის როლისა და სტატუსის ევოლუცია თანამედროვე საზოგადოებაში. სამეცნიერო ჟურნალი „დემოგრაფია“, 2005, 1-2 (9-10)

[127] ბაქრაძე დიმიტრი, „ქართველი ქალები“ „საბჭოთა საქართველო, 1891, გვ. 14

[128] ჟურნალი „ცისკარი“, 1961 წ., #5. გვ.20

მეუღლეობა, ოჯახის დიასახლისობა და სახლის გონიერი მმართველობა, არამედ მას ქალი მიაჩნია: „გულმხურვალე დედად, აღმზრდელად ახალის შთამომავლობისა, რომელიც გონიერითა სიყვარულითა გახსნის და განამტკიცებს შვილებში ყოველსა უმაღლესთა სულიერთა ნიჭთა და თვისისა ცხოვრებისა მაგალითით წარუდგენს მათ მიმზიდველობითსა ყოველთა კეთილ მოქმედებათა, მოძრაობათა და რწმუნებითა“. [129]

პეტრე ჩარექიშვილის დასკვნა ასეთია: „აქედან ცხადად ჰჩანს თუ რა დიდნი და უაღრესნი არიან ზნეობითნი მოვალეობანი ქალისა და მაშასადამე აღსასრულებლად მათთა რაოდენად მოუცილებელი საჭირო არს მისთვის მიღება კანონონიერისა აღზრდისა, გინა განათლებისა, რომელიც აკმაყოფილებდეს ყოველთა მოთხოვნილებათა ამ ჩვენისა თანამედროულისა ცხოვრებისა“.[130] პეტრე ჩარექიშვილი ილაშქრებს იმ „ფერად-ფერადი“ რეგრესული აზრების წინააღმდეგ, რომლებიც ქალის დანიშნულებას მხოლოდ ოჯახის დიასახლისობით და ხელსაქმით ზღუდავენ, ეკლესიური წესების უგუნური აღსრულებით. ქმრის სურვილისა და ბრძანებისადმი მონური და ბრმა მორჩილებით. ის ილაშქრებს ყველა იმ „დაწინავებულ“ და „განათლებულ“ გვამთა წინააღმდეგ, რომლებიც „ფიქრობენ, თუ აღზრდა ქალისა მდგომარეობს ამაში, რომ იმას შეეძლოს ბრწყინვალედ გამოჩენა საზოგადოებაში.... ტარტარი ფრანციცულსა ენაზედ“. იგი თვლის, რომ ქალებისათვის საკმარისი არ არის „ტურფა მიხრა-მოხრა, კეკლუცად ტანცაობა, ალერსიანად შეხვედრა... და ცოდნა როგორმე ფორტეპიანოს დაკვრისა“. [131]

როგორც ვხედავთ, ქალებისთვის იგი მოითხოვდა ისეთ კანონიერ აღზრდა-განათლებას, რომელიც იმ ეპოქის განათლებულ ადამიანს შეეფერებოდა.

როგორც პროგრესული მოაზრივნე, პეტრე ჩარექიშვილი წერს: „გონებით გახსნა ქალისათვის საჭიროა მარტო იმისთვის კი არა, რომ გონიერად და საადვილოთ მარტოს და განაგოს თავისი ოჯახური მოვალეობა, არამედ იმისთვისაც, რათა პირველ დაწყებითს შვილის აღზრდაში გადასცეს იმათ ნამდვილი და უტყუარი ცნებანი სხვადასხვა ნივთებზედ; ამისთვის უსაჭიროესი არს, რომ თვითონ მან წინათვე იქონიოს კანონიერი და სწორი შეხედვა ყოველ ქვეყნის საგანზედ, რომ ყოველ ნივთს უწოდოს თავისი

[129] ჟურნალი „ცისკარი“, 1863 # 2, გვ. 302
[130] ჟურნალი „ცისკარი“, 1863 # 2 303-304.
[131] ჟურნალი „ცისკარი“, № 2, 1863, გვ. 302

საკუთარი სახელი და მაშასადამე ყოველს ნივთზედ იქონიოს სწორე და შეუცდომელი სჯა, ხოლო ამაების შეძენა არ შეიძლება, თუ კაცს არა აქვს გონება გახსნილი და ესრეთი გახსნა შეიძლება ხოლოთ სწავლისა და მეცნიერების გაცნობით და შესწავლით“. [132]

პეტრე ჩარექიშვილი აღნიშნავს, რომ ამიერკავკასიის ქალთა სასწავლებლები: ინსტიტუტი და „ზავედენიები“ სრულად ვერ ასრულებენ ქალთა რაციონალური აღზრდის საქმეს ვერც ფიზიკური, ვერც ზნეობრივი და ვერც გონებრივი აღზრდა-განათლების მხრივ. ეს გარემოება მას დიდ საზოგადოებრივ ბოროტებად მიაჩნია, განსაკუთრებით იმიტომ, რომ ფიზიკურად, ზნეობრივად და გონებრივად ჩამორჩენილი ქალი არ გამოდგება თავისი შვილების ანუ მომავალია თაობის წესიერად აღზრდისთვის. გარდა ამისა, იგი არ კმაყოფილდება ქალთა აღზრდა-განათლების ზოგადი მიზნებისა და ამოცანების დასახვით. მან იცის, რომ ამ მიზნების მიღწევა შეიძლება მხოლოდ მეცნიერული ცოდნის შეძენით, ყველა ძირითადი მეცნიერული დისციპლინის შესწავლით, სრული ენციკლოპედიური განათლებით“. იგი ჩამოთვლის იმ დისციპლინებს, რომლებიც, მისი აზრით, უნდა შედიოდეს ქალთა აღზრდის წრეში. ეს დისციპლინებია: ისტორია, როგორც მაჩვენებელი მრთელისა განვლილისა ცხოვრებისა. 2.გეოგრაფია, განუშორებელი თანაშემწე ისტორიისა...3. ბუნებითი სწავლანი (საგნები, ესე იგი ბიოლოგია, ბოტანიკა, მინერალოგია, ფიზიკა, ხიმია, და ფიზიოლოგია, როგორც მაჩვენებელნი რაოდენ სცნა კაცმან ბუნებაი და ყოველნი ძალნი მისნი).4. არითმეტიკა, ალგებრა და გეომეტრია, როგორც უადვილესად გამხსნელნი გონებითა ნიჭითა ჩვენთა. 5. სახალხო გიგიენა და ფიზიკური აღზრდა. 6. ხელსაქმე, ე.ი. ჭრა-კერვა და 5. საქრისტიანო მოძღვრება’. მხოლოდ ამ „სრული ენციკლოპედიური განათლების“ გზით მიაჩნია შესაძლოდ ქალთა საზოგადოებრივ-კულტურული გათავისუფლება იმ მონობიდან, რომელშიაც არიან ეხლა აზიულის ჩვეულებისაგან, და მაშინ მოიპოვიან თავის სრულს ღირსებას, სიმართლესა, პატივს თანასწორ მამაკაცთა, რომელსაც ეხლა სრულებით მოკლებულნი არიან...[133] აი, ასეთია პეტრე ჩარექიჩვლის პროგრესული აზრები და მეცნიერული სტატია ქალთა განთლებისა და სოციალური როლის შესახებ.

---

[132] ჟურნალი „ცისკარი“, № 2, 1863, გვ. 302.
[133] ჟურნალი „ცისკარი“, 1863 # 2, გვ. 308

აღსანიშნავია, რომ XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან დაიწყო ქალთა სასწავლებლების გახსნა კერძო ინიციატივით. სისტემატურად იბეჭდებოდა სტატიები ქალთა პრობლემების შესახებ ჟურნალებში - „ცისკარი“ და Кавказ”- ი.[134]

საუკუნის ბოლოსთვის ქალთა სასწავლებლები თბილისის გარდა არსებობდა ქუთაისშიც წმინდა ნინოს სასწავლებელი (ეს სასწავლებელი გიმნაზიის ტოლფასი იყო). აღნიშნულ სასწავლებლებში მხოლოდ გოგონები სწავლობდნენ.

1909 წელს დაარსდა კავკასიაში პირველი უმაღლესი სასწავლებელი - ქალთა უმაღლესი კურსები, ანუ ეს სასწავლებელი ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტზე 9 წლით ადრე დაარსდა.

აღნიშნული ფაქტები ნათლად ცხადყოფს, რომ საქართველოში ქალთა უფლებრივი მდგომარეობა არცთუ ისე ცუდი იყო. მეტიც, საქართველო ამ მხრივ გაცილებით პროგრესულად გამოიყურებოდა, რადგანაც ადამიანის ერთ-ერთი მთავარი უფლება - სწავლის უფლება ქალებს ბრძოლით არ ჰქონდათ მოსაპოვებელი, ისე, როგორც ეს ევროპის ბევრ ქვეყანაში იყო საჭირო.

„ქალთა საკითხი” ერთერთი იმ იდეათაგანი გახდა, რომელსაც გულმხურვალე „მასპინძლობა“ გაუწიეს ქართველმა ქალებმა და დაეჭვებულნი, მაგრამ არანაკლებად დაინტერესებულნი შეეგებნენ მამაკაცები. ამ თემის ისტორიული გზის აღსაწერად და დასახასიათებლად სამი მნიშვნელოვანი ქალი უნდა გამოვყოთ: ბარბარე ჯორჯაძეს, ეკატერინე გაბაშვილს და კატო მიქელაძეს. მათი ცხოვრება და მოღვაწეობა ზუსტად ასახავს იმ ძირითად ტენდენციებსა და ეტაპებს, რომელიც „ქალისა“ და „ქალურის“ შესახებ დისკუსიამ გაიარა საქართველოში. [135]

თავის საპროგრამო წერილში „ორიოდე სიტყვა ყმაწვილ კაცების საყურადღებოდ“, რომელიც 1893 წელს გამოვიდა და ქართული ფემინიზმის მანიფესტად არის აღიარებული,, ბარბარე ჯორჯაძე მსჯელობდა ქალთა განათლებაზე და იმ შესაძლებლობებზე, რომელსაც ადამიანი იძენს ცოდნასთან და ინფორმაციასთან ერთად.„...ახლა მაინც

[134] *Кавказ,* 1862, №№ 6, 22, 55, 56 da sxv.

[135] ლელა გაფრინდაშვილი, 08.05.2014, ფემინიზმი და ქალის უფლებები: მოძრაობა ნაპირიდან ცენტრისაკენ, იხ. http://feminism-boell.org/ka/2014/05/08/peminizmi-da-kalis-uplebebi-mozraoba-napiridan-centrisaken

ჩვენმა კაცებმა დაანებონ თავი ზვაობას და მეშურნეობას, მისცენ თავიანთ დებსაც თანასწორი სწავლა და მიმართულება, რომ შეეძლოთ კიდეც კვალში ჩადგომა და ანგარიშის მოთხოვნა თანამედროვე ქალებისა, თორემ ძველ დედაკაცებს სამარის მეტი ვეღარა გაგვასწორებს რა და ახალი თაობის ქალებიც ღვაწლსა და შრომას არ შეუდრკებიან თუკი საქმეს არ უშველიან რასმე." [136]

მეორე გამოჩენილი ქართველი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის ეკატერინე გაბაშვილის პოზიცია ქალის შესახებ ასეთია: - საზოგადოებრივი ასპარეზზე აქტიური მოქმედება, აშკარად კონფლიქტშია იმდროინდელი ყოფის რეალიებთან. ავტობიოგრაფიულ პიესაში „ფრთებდაგლეჯილი" აღწერილია მწერალი ქალის ცხოვრების ერთ დღე: შეურაცხყოფა, დამცირება, სასოწარკვეთა. გაზეთის რედაქტორი - აი, ქეთოს ერთადერთი გულშემატკივარი! სწორედ მას მიმართავს სანუგეშოდ: „... მე კი მგონია, ადამიანები ბოროტნი და შურიანნი რომ არ იყვნენ, შეიძლებოდა ოჯახის მოვლაც და საზოგადო საქმეც შეერთებინა დედაკაცს; აქ მხოლოდ საჭირო იქნებოდა ცოტაოდენი დათმობა, პატივისცემა..." [137]

ამ ავტობიოგრაფიულ ნაწარმოებში აღწერილი პრობლემა არაერთხელ გამხდარა XIX საუკუნის პერიოდიკაში გამართული პოლემიკის საგანი. ამ „პაექრობათა" ინიციატორები ყოველთვის მამაკაცები იყვნენ. ისინი ხედავდნენ საზოგადოებაში მიმდინარე არაჯანსაღ პროცესებს და რატომღაც ყოველთვის ქალებს ადანაშაულებდნენ. აღშფოთებული ადრესატების პასუხებს კი არასოდეს გამოხმაურებიან. გთავაზობთ ეკატერინეს პასუხს ერთ-ერთ ასეთ შეურაცხმყოფელ პუბლიკაციაზე: „რა იდეალი გაქვთ თქვენ (მამაკაცებს), რომ ჩვენ არ თანავუგრძნობთ? რომელ რაზმს გავუძღვეთ ან რომელს მივდიოთ? წადით თქვენ და თუ ვერ მოგყვეთ, მაშინ გვიკიჟინეთ! და თუ თქვენ თვითონ ტორტმანებთ, მაშასადამე, ორთავეს ერთად, თქვენც და ჩვენც ჯერ ჩანჩალი, უფერულობა, ძილმორეულობა გვხვდა წილად და ერთმანეთს ნურას ვსაყვედურებთ...

...დღეს თქვენ სძრახავთ დედა-კაცს რომ იმას თვალები შეძლებული საქმროს დასაჭერათა აქვს დაჭყეტილი. ეგ მართლაც საძრახისია და ზნეობით დაცემის ნიშანია,

[136] ჟურნალი "კვალი",N16,1893
[137] გაზ. „ივერია", N209

მაგრამ ის მხოლოდ მაგიერს გიხდით თქვენ! თქვენ, რომლებიც დედა-კაცის პატივს და ღირსებას მხოლოდ იმის მზითვის რაოდენობით ზომავთ“[138]

1882 წლიდან ეკატერინე ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობის წევრი გახდა, 1897-1922 წლებში ქალთა პროფესიული სკოლის ხელმძღვანელი, 1872-1905 - ქალთა წრის დაარსების და მისი რეგიონული ფილიალების შექმნის ინიციატორი. მთელი თავისი შემოქმედებით და ცხოვრებით იგი ცდილობდა გამოეწვია/დაერწმუნებინა მისი თანამედროვენი თანასწორობის იდეის საჭიროებასა და აუცილებლობაში. ამიტომაც იყო, რომ თანამედროვეთაგან უამრავ ქალს აუხილა თვალი და მისცა თვითგამორკვევისა და განვითარების ბიძგი.[139]

ქალთა უფლებებისათვის ბრძოლის საქმეში დიდი ღვაწლი მიუძღვის კატო მიქელაძეს. ბრიუსელის სოციალურ-პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ კატო პარიზში დასახლდა და საფუძვლიანად გაეცნო ქალთა მოძრაობის ევროპულ გამოცდილებას. 1916 წელს სამშობლოში დაბრუნებულმა კატომ დაიწყო თანამოაზრეთა შემოკრება და ქალის სამოქალაქო-პოლიტიკური უფლებებისათვის ბრძოლა. 1917-18 წლებში მან უკვე ჩამოყალიბა რეგიონული ქსელი „ქალთა ლიგა“, რომელიც დასავლეთ საქართველოს ყველა რაიონის წარმომადგენელ ქალს აერთიანებდა. ამავე პერიოდში იგი გამოსცემდა და რედაქტორობდა გაზეთს „ხმა ქართველი ქალისა“, სადაც კონსოლიდირებული იყო ქალთა განმათავისუფლებელი მოძრაობისათვის საჭირო დასავლური გამოცდილება და ქართული პრობლემების მთელი პალიტრა. “... არსებულ უსამართლობასთან საბრძოლველად საჭიროა ქალებისათვის არა მამაკაცების კუდში დევნა, არამედ თავიანთი ინდივიდუალურობის განვითარება, რომ პოულობდნენ სულიერ კმაყოფილებას თავიანთი პიროვნული სიმაღლით, რათა ორთავე სქესის აზროვნებისა და აქტიურობის განვითარებით შესაძლო იყოს იმ სიცარიელეს აღმოვსება, რომელიც ერთი სქესის გონებრივმა და სულიერმა მოქმედებამ წარმოშვა. და როდესაც ჩვენ უფლებებისათვის მებრძოლი ქალები მოვითხოვთ ეროვნულსა და მოქალაქეობრივ ყოველ უფლებას და ვებრძვით ქალთა

[138] გაზეთი “ხმა ქართველი ქალისა”, N32, 1918

[139] გაფრინდაშვილი ლ. ფემინიზმი და ქალის უფლებები: მოძრაობა ნაპირდან ცენტრისაკენ, http://www.feminismboell.org/ka/2014/05/08/peminizmi-da-kalis-uplebebi-mozraoba -napiridan-centrisaken

ადამიანური უფლების მტრებს, ჩვენ ვებრძვით არა ადამიანს მამაკაცის სახით, არამედ იმ ტრადიციულ უსამართლობას, რომელიც მამაკაცთა უმრავლესობას შეუთვისებია და რომელსაც მიყავს ერის ნახევარი ნაწილი გონებრივ და სულიერ გამოფიტულობამდე. ჩვენ არ გვსურს ამ დუხჭირ მდგომარეობაში კვლავ დარჩენა და რაც არ უნდა მოხდეს, თავი უნდა განვითავისუფლოთ მისგან.

ჩვენ მოვითხოვთ სამართალს და არა შურისძიებას. ამ შემთხვევაში ჩვენ გვჭირია თითეული პატიოსანი და სამართლიანი მამაკაცის გაგება და თანაგრძნობა და არა იმის ყიჟინი, ვითომ სუფრაჟისტ ქალებს მამაკაცები გვძულდეს და მათგან გათიშვას მოვითხოვდეთ, როგორც ამას გაიძახიან ანტისუფრაჟისტების ამყოლი ბრბო. სუფრაჟისტ ქალებში არსებობენ მრავალი დედები, ცოლები, შვილები და დები მამაკაცებისა, რომელთ გულშიაც ბუდობს უკეთესი გრძნობა-სურვილები უკანასკნელთადმი, მაგრამ რომელთაც ამავე დროს არ ავიწყდებათ თავიანთი ადამიანური პიროვნებაც და მოითხოვენ მისთვის შესაფერ უფლებასაც.

ჩვენ ვიცით, რისთვის ვიბრძვით და ვიცით აგრეთვე ფასი და მისწრაფება ჩვენი უფლების მტერთა, რომ მათმა ცილის წამებამ შეგვაკრთოს, რასთვისაც დაჟინებით მოვითხოვთ ქალთა კავშირის სიძლიერესა და სიმტკიცეს ქალთა თვით მოქმედებისა და აქტიურობის აღსადგენათ."[140]

სამწუხაროდ, პირველი რესპუბლიკის პერიოდში გაზეთი დაიხურა. ბოლშევიკური ტერორის ეპოქამ კი კატო მიქელაძე და თანასწორობის ერთგული სხვა ქალთა იდეები „ისტორიის ნაგავსაყრელზე" მოისროლა, როგორც „ბურჟუაზიული გარყვნილების" მაგალითი.

კატო მიქელაძე განსაკუთრებულ პატივს სცემდა ეკატერინე გაბაშვილის მოღვაწეობას, მის ამაგს ქალთა ემანსიპაციისა და მათი განათლების უფლების მოპოვების საქმეში. ამიტომ ხშირად სტუმრობდა მას და ეთათბირებოდა 10-იანი წლების საქართველოში ქალთა მოძრაობის გასაფართოებლად.[141]

---

[140] ნინო ჩიხლაძე, ქართველი მწერალი და საზოგადო მოღვაწე ქალები, თბილისი, 1990 , გვ. 123

[141] გაფრინდაშვილი ლ. ფემინიზმი და ქალის უფლებები: მოძრაობა ნაპირდან ცენტრისაკენ, http://www.feminismboell.org/ka/2014/05/08/peminizmi-da-kalis-uplebebi-mozraoba -napiridan-centrisaken

ილია ჭავჭავაძემ ქალთა საკითხი დაუკავშირა საზოგადოებრივ-მოქალაქეობრივ უფლებებს. ქალის პროფესიულ შრომას და თავისუფლებას იგი საზოგადოების ნორმალური განვითარების აუცილებელ პირობად თვლიდა. როგორც დიდი მოაზროვნე და პროგრესული ადამიანი, ილია ხედავდა ქალის დაქვემდებარებულ მდგომარეობას, რომ მას არ ეძლეოდა შესაფერისი უფლებები, განათლება, ადამიანური ღირსება, რითაც კაცობრიობის ერთი ნახევარი ძალით არის მოწყვეტილი მოძრაობისა და შემოქმედების პროცესისგან, რომ ქალს დაკარგული აქვს თავისი კუთვნილი ადგილი საზოგადოებასა და ცხოვრებაში.

ილია თავისუფლად შეიძლება ჩაითვალოს XIX საუკუნის მეორე ნახევრის ფემინისტური მოძრაობის ერთ-ერთ თვალსაჩინო წარმომადგენლად. იგი ქალის თანასწორ უფლებას ცნობდა საზოგადოებრივი და კულტურული მოღვაწეობის ყველა სფეროში. ქალთა განმანთავისუფლებელ მოძრაობაში ილია ნათლად ხედავდა იმ ჩანასახებს, რომლებსაც მოჰქონდა ქალის უფლებრივი გათანაბრება მამაკაცებთან: „შორს არ არის ის დრო, - წერდა იგი, - როდესაც დედეათა საქმე თავისას გაიტანს და ეს მთელი ნახევარი სქესი კაცობრიობისა მოწვეულ იქნება წუთისოფლის სუფრაზედ თავისი კუთვნილის ადგილის დასაჭერად“. [142]

ილიას აზრით, ქალთა მოძრაობამ ყველასათვის გახადა ცხადი, რომ ქალებს შეუძლიათ ჩაებან საზოგადოებრივ საქმიანობაში, შექმნან ღირებულება და ამიტომ ის „უსამართლობა, რომელიც დღეს - აქომამდე სქესს, ამ ნახევარს მთელის კაცობრიობისას საძიძაოდან და სამზარეულოდან გარედ არ უშვებდა და ამათ გარე არავითარს საქმეში მონაწილედ არა ხდიდა, ასე, რომ ლუკმა-პურის საშოვარის გზასაც არ აძლევდა, დიდხანს ვეღარ გაუძლებს ერთხელ ფეხადგმულ მოძრაობას.[143]

პირველ რიგში, ილიას საჭიროდ მიაჩნდა თვით ქალების ფართო მასების დაინტერესება თავიანთი განთავისუფლების საქმით. მას „უკბილო საყვედურად და უქმ ჩივილად“ მიაჩნდა ქალების წუწუნი მამაკაცებისადმი: „აი თქვე გულქვა კაცებო, რატომ

[142] ჭავჭავაძე ი. თხზულებანი, თბ.1928 ტ. YIII, „ქართული წიგნის“ გამოცემა, გვ. 278
[143] ჭავჭავაძე ი. თხზულებანი, თბ.1928 ტ. YIII, „ქართული წიგნის“ გამოცემა, გვ. 279

თქვენს უფლებას ჩვენც არ გაგვინაწილებთ“, და ქალთა გათავისუფლებას მთავარ პირობად ქალებისვე ინიციატივასა და თვითმოქმედებას აღიარებდა.

აქტიურობა ქალებს უნდა დაეწყოთ თავიანთი სწავლა-განათლების უზრუნველყოფით, ვინაიდან ამის გარეშე, ილიას აზრით, სულ უქმია ლაპარაკი მათ გათანასწორებაზე მამაკაცებთან. ქალებს მხოლოდ სათანადო სწავლა-განათლებით შეუძლიათ ჩაებან ღირებულების შემქმნელ შრომასა და საზოგადოებრივ-სახელმწიფოებრივ მოღვაწეობაში; ამ გზით შეუძლიათ მათ მოიპოვონ ადამიანური უფლება და ღირსება, ანუ გათავისუფლდნენ. სწორეს ამიტომ ილია ჭავჭავაძე დიდი სიხარულით შეეგება “ქართველი ქალის“ 1889 წლის 4 მარტის წერილს, რომელიც „ივერიაში“ გამოქვეყნდა სათაურით: „საზოგადოების საყურადღებოდ“. წერილში ქართველი ქალი მოუწოდებდა ქალებს თვითონ აეღოთ თავის თავზე ქალთა სასწავლებლის დაარსება და საკუთარი განათლების ხელმძღვანელობა. ამ გზით შეეძლოთ ქართველ ქალებს თავი დაეღწიათ იმ შეზღუდული დანიშნულებიდან როგორიცაა მხოლოდ ცოლობა, დობა, და ბავშვების აღზრდა. ეს მოვალეობები ილიას ქალის საპატიო მოვალეობად მიაჩნდა, მაგრამ მისი დანიშნულების მხოლოდ ამით ამოწურვა - დიდ უსამართლო, რეაქციულ და რეგრესულ საქმედ. „სწავლა-განათლების გზით ქალი დაამტკიცებს, რომ იგი სრულუფლებიანი ადამიანია და შეუძლია მამაკაცის მსგავსად შეასრულოს ყოველი საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი ფუნქცია და ამავე დროს განათლებულ ქალს შეუძლია იყოს საუკეთესო დედა, ცოლი, და და. ამ თემის დასამტკიცებლად ილია ქალთა ემანსიპაციის მოწინააღმდეგე გ. თუმანოვთან კამათის დროს კარლ მარქსს მიმართავს: „მოვიყვანთ მარქსის ნათქვამს“, - წერს ილია და მისი შემდეგი სიტყვები მოჰყავს: „როგორიც დედაკაცია, ისეთი ოჯახიცაა, როგორიც ოჯახია, ისეთი სახელმწიფოცაა“. [144]

ილია ეთანხმებოდა ამ სიტყვებს, როგორც უდავო ჭეშმარიტებას ქალის როლის ღირსეულად დაფასებისათვის და ენერგიულად იბრძოდა ქალის ფართო მეცნიერული

[144] ჭავჭავაძე ი. თხზულებანი, თბ.1928 ტ. YIII, „ქართული წიგნის“ გამოცემა, გვ. 289

და ტექნიკური განათლების უზრუნველყოფისა და საზოგადოებრივი აქტიურობისათვის.

ილია ქალებისთვის მოითხოვდა არა მარტო დაწყებით და საშუალო განათლებას, არამედ უმაღლესსაც. „დედათა სქესმა, - წერს იგი, - კაცობრიობის უკეთეს წარმომადგენელთა თაოსნობით, ღვაწლით და გარჯით უკვე დაამტკიცა უფლება უმაღლესის სწავლისა და განათლების მიღებისა და ახლა მარტო ბრმანო და თვალსნეულნი-ღა ეურჩებიან ამ უფლებას“.[145]

მართლაც, ადრეულ საზოგადოებაში ქალის უფლებას უმაღლეს განათლებაზე ათასი დაბრკოლება ეღობებოდა, უპირველეს ყოვლისა, მოუმზადებლობა უმაღლესი სკოლისთვის. Ілიას მოთხრობის დაუმთავრებელ ვარიანტში „იგი წავა და სხვა მოვა ტყრფასა საბაღნაროსა“ ვაწყდებით ასეთ დიალოგს ვაჟსა და ქალს შორის:

ქალი - უნივერსიტეტი ჩვენთვის დახურულია.

ვაჟი - გააღეთ კარი და შედით

- მოუმზადხებელნი?
- მოემზადეთ
- რომ არ მამზადებთ?

სწორედ ილია ჭავჭავაძის მოღვაწეობის პერიოდში აღინიშნა ქალთა აქტივობა და უფლებების ზრდა როგორც ოჯახში, ისე საზოგადოებრივ ცხოვრებაში, რასაც კაპიტალიზმის განვითარებამაც შეუწყო ხელი. ჩამოყალიბება იწყო მუშა ქალების ფენამ. როგორც ზემოთ ავღნიშნეთ, XX საუკუნის დასაწყისში კავკასიაში პირველი უმაღლესი სასწავლებელი - ქალთა უმაღლესი კურსები. გარკვეულ წარმატებას მიაღწია წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ თავის საქმიანობაში.

ერთ-ერთ პირველ ქალთა ფორმალურ ორგანიზაციას - „ქართველ ქალთა საქველმოქმედო ორგანიზაციას“, რომელმაც ფართო საგანმანათლებლო და

[145] ჭავჭავაძე ი. თხზულებანი, თბ.1928 ტ. YIII, „ქართული წიგნის“ გამოცემა, გვ. 277

საქველმოქმედო მუშაობა ჩაატარა, სწორედ ილიას მეუღლე - ოლღა გურამიშვილი ედგა სათავეში.

ქალთა ორგანიზაციების მასობრივი შექმნის ტენდენციები საქართველოში 1905 წლის რევოლუციის შემდეგ გაჩნდა. გამოკვეთილ საგანმანათლებლო და საქველმოქმედო სფეროს ქალთა უფლებათა დაცვა დაემატა.

ქალთა პირველი ფორმალიზებული, ხშირად დროებითი, გაერთიანებები სხვადასხვა წრის, კომისიის და კომიტეტის სახით ფუნქციონირებდნენ, მათგან აღსანიშნავია ზემოთ ხსენებული „ქართველ ქალთა საქველმოქმედო ორგანიზაცია“, „თბილისელ ქალთა წრის კომისია“, ქართველ ქალთა საზოგადოება და სხვ. მასში ჩაბმულნი იყვნენ ისეთი გამოჩენილი საზოგადო მოღვაწე ქალები, როგორებიც იყვნენ ოლღა გურამიშვილი, ნინო ტატიშვილი-ყიფიანი, ეკატერინე გაბაშვილი, ანასტასია თუმანიშვილი და სხვ.

„თბილისელ ქალთა წრემ“ 1902 წელს დაარსა სასწავლებელი ღარიბი გოგონებისთვის. ის მიზნად ისახავდა ქალთა ეროვნულ ტრადიციებზე აღზრდას. სკოლას აქტიურ დახმარებას უწევდა დავით სარაჯიშვილის მეუღლე - ეკატერინე ფორაქიშვილი.

. 1908 წელს ხელისუფლებამ სკოლა დახურა, მაგარმ ამან მძლავრი ბიძგი მისცა სხვადასხვა საზოგადოებების შექმნას. სწორედ ამ დროს გაიხსნა საზოგადოება „ცოდნა“. ქალთა წრის აქტიური მონაწილე იყო მარიამ ჯამბაკურ-ორბელიანი. მოგვიანებით მან თამარ ჭავჭავაძე-ბაგრატიონ-გრუზინსკისთან ერთად საქველმოქმედო ორგანიზაცია ე.წ. „დამწვრების კომიტეტი“, რომელმაც 1905 წლის მასობრივი გამოსვლის შემდეგ მნიშვნელოვანი მუშაობა ჩაატარა დაზარალებული მოსახლეობის ჩასატარებლად.

ერთ-ერთი პირველი ორგანიზაცია, რომელიც დაინტერესებული იყო ქალთა სამართლებრივი საკითხებით - „თბილისელ ქალთა საზოგადოება“ დაარსებულ იქნა ცნობილი ქართველი ჟურნალისტისა და მწერალი ქალის დომინიკა ერისთავის მიერ, რომელიც „განდეგილის“ ფსევდონიმით იყო ცნობილი. ორგანიზაცია აქცენტს ქალთა თავისუფლების იდეაზე აკეთებდა და რუსეთის ქალთა საზოგადოების პროგრამას

ეყრდნობოდა. ორგანიზაცია პროპაგანდას უწევდა ქალთა თავისუფლების იდეას და იმავდროულად ქველმოქმედებას ეწეოდა, მართავდა მუსიკალურ და ლიტერატურულ საღამოებს.

1907 წელს შეიქმნა „ტფილისის ქალთა წრის კომისია“. პირველი ნაბიჯები, რომელიც „ქალთა კომისიამ განახორციელა, იყო მოწოდების გავრცელება, რომელითაც ისინი მოუწოდებდნენ საზოგადოებას, ილიას მიერ დაფუძნებული „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ფონდის“ მხარდაჭერისაკენ. ანალოგიური ქალთა ჯგუფები დაარსდა ბათუმში, სოხუმში, თელავში, სიღნაღში, ახალციხეში, გორში და სხვ.

მიუხედავად „ქალთა კომისიების“ ხანმოკლე არსებობისა, (1907-1909წ.წ.) მათ საქმიანობას საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში, ქველმოქმედების გარდა, ეროვნული მნიშვნელობა ჰქონდა. თვითმოქმედმა კომისიებმა საზოგადოებრივი ცხოვრებისათვის გამოაღვიძეს ქალთა ფართო ფენები და გაუღვიძეს ინტერესი საერთო სახალხო საქმისადმი.[146]

თვალსაჩინო და მნიშვნელოვანი იყო საზოგადოება „განათლების“ მიერ წარმოებული საქმიანობა. საგანმანათლებლო სკოლას მწერალი ანასტასია თუმანიშვილი-წერეთელი ედგა სათავეში. გაჩნდა ქალთა უფლებადამცველი და საგანმანათლებლო ორგანიზაციები როგორც თბილისში, ისე პროვინციებში. მათზე საკმაოდ ძლიერი იყო სოციალ-დემოკრატიული იდეოლოგიის გავლენა.

ანასტასია გედევანიშვილმა 1905 წელს დაარსა „ქალთა თანასწორობის საქართველოს კავშირი’, რომელიც მიზნად ისახავდა ქალთა პოლიტიკურ განთავისუფლებას. აღსანიშნავია ქალთა რეგიონული ორგანიზაციები - „საქართველოს ქალთა ფოთის საზოგადოება“. მისი მიზანი იყო მუშა-ქალთა განათლება და გათვითცნობიერება. ორგანიზაციის დამაარსებელი იყო მწერალი, სოციალ-დემოკრატი

[146] გოდერიძე ლ. „კულტურულ-საგანმანათლებლო მოძრაობა საქართველოში მე-19 საუკუნის მეორე ნახევარსა და მე-20 საუკუნის დასაწყისში“, თბ. 2006, გვ.301

ლიდია მამულაშვილი-მეგრელიძე.

აღსანიშნავია, რომ რეგიონულ ორგანიზაციებს ფილიალები სოფლებშიც ჰქონდა. ასეთო ორგანიზაციების რიცხვს მიეკუთვნებოდა ორგანიზაცია „მანდილი“, რომელიც 1913 წელს გორში დაარსა მწერალმა ქალმა ანასტასია ხოშტარია-ერისთავმა.

თუ ამ პერიოდის ქალთა ორგანიზაციების საქმიანობას გავაანალიზებთ, დავინახავთ, რომ ქალთა ორგანიზაციები არა მარტო კულტურულ-საგანმანათლებლო არამედ, სასოფლო-სამეურნეო მიმართულებითაც მუშაობდნენ. შესაბამისად სოფელში მცხოვრები ქალებიც ჩაერთვნენ ამ მიმართულებით საქმიანობებში. ასეთი გახდა მაგ., ქალთა ორგანიზაცია „თამარი“, რომელიც გორის სოფლებში ძირითადად აბრეშუმის ჭიისა და თუთის ნერგის გავრცელებას ემსახურებოდა. ეს იყო ქალთა ამხანაგობა, რომელმაც ხელი შეუწყო სოფლებში ქალთა როლის გაზრდას და მათ აქტიურ ჩართულობას. [147]

სწორედ ამ აქტივობებმა მოამზადა საქართველოს ქალები იმისათვის, რომ სოციალურად და პოლიტიკურად აქტიურები გამხდარიყვნენ და 1918-1921 წლების დამოუკიდებელი საქართველოს საკანონმდებლო ორგანოში დეპუტატთა შორის ყოფილიყვნენ. აღნიშნული პრეცედენტი მაშინდელი დროისათვის უდავოდ მეტად პროგრესული მაჩვენებელი იყო.

[147] კოპალიანი ბ. სამოქალაქო საზოგადოება საქართველოში - რეალობა და პერსპექტივები, დისერტაცია სოციალურ მეცნიერებათა დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, თბ. 2016

III. თავი. ქალთა არასამთავრობო ორგანიზაციები პოსტსაბჭოთა საქართველოში და მათი როლი ქალთა უფლებების ამაღლებაში

3.1. გენდერული უთანასწორობა - პოსტსაბჭოთა საქართველოს სამოქალაქო საზოგადოების აქტუალური პრობლემა

საქართველოში, პოსტსაბჭოთა პერიოდის შემდეგ აქტიურად დაიწყეს საუბარი გენდერსა და გენდერულ თანასწორობაზე.[148]საზოგადოებაში ქალთა დისკრიმინაციის მიზეზებისადმი გენდერული მიდგომის ტრადიცია, რომელიც სქესის ბიოლოგიური და ანატომიური თავისებურებების გარდა, მოიცავს მის სოციოკულტურულ ასპექტებსაც, აქტუალური გახდა დემოკრატიული პროცედურების ინსტიტუციონალიზაციისა და მასობრივ ცნობიერებაში ლიბერალურ–დემოკრატიული ნორმებისა და ღირებულებების დამკვიდრების შედეგად. ქვეყანაში გენდერული თანასწორობის დამკვიდრება დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობის ერთ–ერთი აუცილებელი კომპონენტი და კეთილდღეობის მნიშვნელოვანი წინაპირობაა, ვინაიდან მოსახლეობის დაახლოებით ნახევარს წარმოადგენენ ქალები. სამართლიანობა მოითხოვს, რომ მოსახლეობის ამ ჯგუფს შესაბამისი წარმომადგენლობა ქონდეს გადაწყვეტილების მიმღებ ორგანოში.

გენდერული ურთიერთობები განსაზღვრავს იმას, თუ რამდენად თანაბრად სარგებლობენ, ხელი მიუწვდებათ და აკონტროლებენ ბუნებრივ რესურსებს კაცები და ქალები.[149] ხშირად, გენდერული როლის მიხედვით დაწესებული ქცევის მოდელებისა და მოლოდინების გამო მრავალ უთანასწორობისა და დისკრიმინაციის შემთხვევებს ვაწყდებით. გენდერის ნიშნით ადამიანების დაყოფა და გამორჩევა, რომელსაც გენდერული უთანასწორობისკენ მივყავართ, თითქმის ყველა საზოგადოებისთვისაა დამახასიათებელი.[150] მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს მთავრობამ განახორციელა

---

[148] Beer, C. "Democracy and Gender Equality, Studies in Comparative International Development (SCID)", *Business and Economics*, Volume 44, Issue 3, 2009, p.212-214

[149] Caucasus Barometer 2010. Available at: http://www.crrc.ge/oda/. Accessed: August, 10.2012

[150] *Chitashvili, M.*, *Javakhishvili, N.,* Arutiunov, L., Tsuladze, L., Chachanidze, S. (2010), *"National Research on Domestic Violence against Women in Georgia."* Available at: http://www.genderbasedviolence.ge/conimages/annual-eng.pdf. Accessed: July 5.2012

პოზიტიური ცვლილებები გენდერული თანასწორობის სტრატეგიის შემუშავებისა და განხორციელების უზრუნველსაყოფად, იკისრა საერთაშორისო ვალდებულებები, გენდერული თანასწორობის დამყარებისა და ქალთა მიმართ ყველა ფორმის დისკრიმინაციის აღმოსაფხვრელად, ამ პრობლემის გადაჭრას უფრო მეტი ძალისხმევა ჭირდება.

მსოფლიო ბანკის 2003 წლის ანგარიშში ნათქვამია, რომ, გენდერული უთანასწორობის საკითხები, რომლებიც, მაგალითად, განათლების, ეკონომიკის, ჯანდაცვისა და პოლიტიკის სფეროში ქალებისა და კაცების არათანაბარი მონაწილეობის მიხედვით ვლინდება, ზემოქმედებს მსოფლიოს განვითარებაზე.[151]

მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის 2016 წლის მონაცემებით საქართველო გლობალური გენდერული ინდექსით 90-ე ადგილზეა. რეიტინგში სულ შესულია 144 ქვეყანა. ქალები არ არიან თანაბრად წარმოდგენილი პოლიტიკურ და ეკონომიკურ ელიტაში, ნომინალურია ქალთა წარმომადგენლობა საქართველოს პარლამენტში. გასული ორი ათწლეულის მანძილზე პარლამენტის წევრი ქალების რაოდენობა 10 პროცენტს არ აღემატებოდა. 1992 წელს საქართველოს პარლამენტში წარმოდგენილ დეპუტატთა 6.22% იყო ქალი, 2015 წელს- 6.64%, 1999 წელს- 7.17%, 2004 წელს- 9.33%, 2008 წელს- 6.00%, 2012 წელს- 12.00%, ხოლო 2016 წელს- 16.00% , 150 დეპუტატიდან 24 არის ქალი.[152] პოლიტიკაში ქალთა ჩართულობისა და პარლამენტში მათი რაოდენობის მიხედვით, საქართველო 144 ქვეყნიდან 114-ე ადგილზეა.[153] საპარლამენტთაშორისო კავშირის 2016 წლის მონაცემებით, საქართველო მსოფლიოს 193 ქვეყნიდან 119-ე ადგილს იკავებს.[154] გაეროს მოსახლეობის ფონდის მიერ ქალთა მიმართ ოჯახში ძალადობის შესახებ ჩატარებული ეროვნული

---

[151] The Centre for Civil Society, London School of Economics, www.lse.ac.uk/CCS/home.aspx

[152] მონაცემები იხ. www.parliament.ge-ზე

[153] მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის 2016 წლის ანგარიში 23.06.2017 ვებ-გვერდზე: http://reports.weforum.org/global-gender-gap-report-2016/

[154] პარლამენტთაშორისო კავშირის მონაცემები. 23.06.2017 ვებ-გვერდზე: http://www.ipu.org/wmn-e/world.htm

კვლევის თანახმად, ქორწინებაში მყოფი ყოველი მე-11 ქალი საქართველოში აღიარებს, რომ გამხდარა მეუღლის მხრიდან ფიზიკური ძალადობის მსხვერპლი. ქალთა 34% ქმრის მიერ ცოლის ცემას გარკვეულ შეთხვევებში დასაშვებად მიიჩნევს.[155] ქალებს არ გააჩნიათ რესურსებზე თანაბარი ხელმისაწვდომობა. ამიტომ ისინი სახელმწიფოს მხრიდან დამატებით სამართლებრივ დაცვას საჭიროებენ.

ქალთა რეალიზებას და საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართულობას მრავალი ფაქტორი უშლის ხელს, პირველ რიგში კი ეს არის სტერეოტიპული აზროვნება, რომელიც საუკუნეების განმავლობაში ამკვიდრებდა ქალის, როგორც "სუსტი სქესის" გენდერულ როლსა და ადგილს საზოგადოებაში. რაც შეეხება პოლიტიკაში ქალთა ჩართულობას, სტატისტიკური მონაცემები ცხადყოფს, რომ ქალთა მონაწილეობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში დაბალია. „საზოგადოებრივი დამოკიდებულებები გენდერულ თანასწორობაზე პოლიტიკასა და ბიზნესში“ სხვადასხვა კვლევების შედეგებმა აჩვენეს, რომ საქართველოში საზოგადოებრივი აქტივობა უფრო მეტად მამაკაცთა საქმიანობის სფეროდ განიხილება. ქართული საზოგადოების აზრით, ქალის ადგილი კონკრეტული, ლიმიტირებული ნიშით უნდა შემოიფარგლოს. რაოდენობრივი კვლევის მონაწილეების უმრავლესობა მიიჩნევს, რომ "ზოგადად კაცს უფრო შეეფერება პოლიტიკური საქმიანობა ვიდრე ქალს (66%), ხოლო 61% მიიჩნევს, რომ კაცები ქალებთან შედარებით უკეთესი პოლიტიკური ლიდერები არიან."(საზოგადოებრივი დამოკიდებულებები გენდერულ თანასწორობაზე პოლიტიკასა და ბიზნესში, კვლევის ანგარიში. [156]

ქალთა დაბალი ჩართულობის საკითხი დამოკიდებულია წლობით დამკვიდრებულ გენდერული როლების აღქმაზე. ეს არის პირველ რიგში მენტალური პრობლემა. საზოგადოებრივი სტერეოტიპები ქალთა როლის შესახებ დაბრკოლებას წარმოადგენს ქალთა კარიერის დასაწყებად. ქართულ საზოგადოებაში ქალის ძირითად როლი ოჯახის მოვლა და შვილების აღზრდაა. საარჩევნო სისტემების საერთაშორისო

[155] "გენდერი და პოლიტიკა ქართულ სინამდვილეში", ათასწლეულის განვითარების მიზნები, 23.04.2013 ნანახია 23.06.2017 ვებ-გვერდზე: https://developmentgoals.wordpress.com/2013/04/23/gender/

[156] UNDP ,2017,. გვ.50

ფონდის (IFES) მიერ 2012 წლის ივლისში ჩატარებული კვლევის დასკვნაში აღნიშნულია, რომ "ქალის მთავარ ფუნქციაზე საუბრისას, მათი პოლიტიკურ-სოციალური როლი არც ერთ მონაწილეს არ დაუსახელებია ერთ-ერთ მთავარ ფუნქციად მონაწილეთა დიდი ნაწილი, ქალების არჩევასთან დაკავშირებით, რამდენიმე პრობლემას გამოყოფს, ესენია: საზოგადოების „ტრადიციული მენტალიტეტი“ ანუ მოსაზრება, რომლის მიხედვითაც ქალის მთავარი ფუნქცია ოჯახის მოვლაა; ასევე დამკვიდრებულია მოსაზრება, რომ ქალი პოლიტიკას თავს სათანადოდ ვერ გაართმევს და ეს კაცის საქმეა; ან მოსაზრება, თითქოს თავად ქალები არ არიან დაინტერესებულნი ჩაერთონ პოლიტიკაში და არჩევნებზე საკუთარი კანდიდატურა წამოაყენონ (რამდენიმე მიზეზის გამო, მათ შორის მოსაზრების, რომლის თანახმად, პოლიტიკა მისი ნებისმიერი მონაწილისთვის ბინძური თამაშია); გარდა ამისა, ზოგი მიიჩნევს, რომ ქალებს ნაკლებად აქვთ ის თვისებები, რომლებიც საარჩევნო კანდიდატისთვის არის აუცილებელი."[157] ამგვარი დამოკიდებულებების გავლენით, ქალები ხშირად თვითონვე ირჩევენ მოირგონ უფრო პასიური და თუნდაც დაბალ ანაზღაურებადი პროფესიული როლები, იმისათვის რომ ოჯახსა და შვილების აღზრდას მეტი დრო დაუთმონ.

საზოგადოების ცხოვრება სტრუქტურიზდება მასკულინური მოდელის საფუძველზე, სადაც მამაკაცები დომინირებენ და ადგენენ პოლიტიკური თამაშის წესებს. ისტორიულად ჩამოყალიბდა სოციალური წესრიგი, სადაც ხელისუფლების სათავეში მამაკაცები იმყოფებიან. პოლიტიკოსის და ასევე ზოგადად ლიდერის სტერეოტიპული მოდელი ყალიბდება მასკულინური სტანდარტის საფუძველზე, რაც ქალ ლიდერზე თავისებულ გავლენას ახდენს. იგი ყალიბდება "მამაკაცური" სტანდარტის საფუძველზე, რის გამოც ხელმძღვანელი ქალების ქცევის მანერა, ხშირად ჩაცმულობაც თავისებურ ცვლილებას განიცდის და ერთგვარად "მასკულინიზებული" ხდება. ქალების ეპიზოდური გამოჩენა ხელისუფლების მაღალ ეშელონებში რეალურ სურათს ვერ ცვლის,

[157] სერპი ლ; (2012). ქალი პოლიტიკაში, ფოკუს ჯგუფების კვლევის შედეგები, საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდი, (IFES). გვ. 7

ვინაიდან მსოფლმხედველობრივი კლიმატი და ღირებულებითი გარემო პატრიარქალურია.

ქართულ საზოგადოებაში არსებობს ფართოდ გავრცელებული სტერეოტიპი, რომ ქალებს პოლიტიკისათვის საჭირო უნარ-ჩვევები და კომპეტენცია ნაკლებად გააჩნიათ, ასევე უფრო დაბალია მათი ინტელექტუალური შესაძლებლობების დონე მამაკაცებთან შედარებით. საზოგადოების წევრებს შორის ხშირად საკამათოა და საკმაოდ ძნელად აღიქმება ქალის შესაბამისი კვალიფიკაცია და მანევრირების უნარი. რაც შემდგომში ქალების თვითშეფასებასა და აქტიურობაზე უარყოფითად აისახება. ამგვარი შეხედულებები ყალიბდება ოჯახში, სასწავლო დაწესებულებებში, შრომის ბაზარზე, პოლიტიკაში, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით. შესაბამისად, ასეთი მიდგომა ზეგავლენას ახდენს ქალთა თვითშეფასების დონეზე. სტერეოტიპული აზროვნების შედეგად ქალებს უჩნდებათ ეჭვი საკუთარი შესაძლებლობების, დამოუკიდებლობის შესახებ. საკუთარ თავში დაურწმუნებელი ქალები ვერ ბედავენ პოლიტიკური კარიერის დაწყებას. შედეგად არ ხდება ქალის შემოქმედებითი პოტენციალის გათვალისწინება და სრულყოფილი გამოყენება, რითაც საზოგადოება მნიშვნელოვან ადამიანურ რესურსს კარგავს.

ჩვენს საზოგადოებაში ქალების მიმართ უფრო მკაცრი მორალური სტანდარტები არსებობს, ვიდრე მამაკაცების მიმართ. როგორც წესი, მათ გაცილებით უფრო მაღალ მოთხოვნებს უყენებენ, ვიდრე მამაკაც პოლიტიკოსებს. ამიტომ ქალებს არ ყოფნით სითამამე აკეთონ ის, რაც სურთ. "მამაკაცმა რომელიმე პოლიტიკურ ფორუმზე ან შეხვედრაზე შეიძლება გააკეთოს სკანდალური განცხადება - ყვირილით, ისტორიულობით, შეურაცხყოფებით, ზოგჯერ სულელურიც კი. ასეთი ქმედება ჩვეულებრივ მოვლენად აღიქმება. მაგრამ თუ ამგვარად მოიქცევა ქალი, უმეტეს შემთხვევაში მასზე იტყვიან: "ქალია და მეტს რას უნდა მოელოდე მისგან." [158]ზემოთ აღნიშნული, საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდის (IFES) მიერ ჩატარებული კვლევის მიხედვით, „მონაწილეთა დიდი ნაწილისათვის პოლიტიკა ბინძური თამაშია,

[158] ხომერიკი ლ; (2006). გენდერი და პოლიტიკა. სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი, თბილისი. გვ. 71

რომელიც მასში ჩართული ნებისმიერი ადამიანის რეპუტაციას ლახავს. ზოგი ფიქრობს, რომ ეს სარისკო პროფესიაა და მამაკაცები უფრო ხშირად არიან მზად ასეთი რისკის გასაწევად.“ [159]2010 წლის კავკასიის ბარომეტრის კვლევის მონაცემი ცხადყოფს საზოგადოების პატრიარქალურ დამოკიდებულებას ქალის ქცევის მიმართ. მსგავსები შეფასებები გამოვლინდა, როგორც კაც, ასევე ქალ რესპოდენტების პასუხებში.[160]

ქალების სოციალურ აქტივობას ხელს უშლის ასევე ოჯახისა და ახლობლების მხარდაჭერის ნაკლებობა, რათა მან გადადგას მნიშვნელოვანი ნაბიჯი. დაბალია მათი თავისუფლების ხარისხი საკუთარი ოჯახის მხრიდან, არსებობს დროის დეფიციტი. “ისეთი გენდერული როლები, როგორიცაა ქალების მიერ ბავშვებზე ზრუნვა და საშინაო საქმეების მოწესრიგება, ხშირად ზღუდავს ქალს გამოიყენოს დარჩენილი, თავისუფალი, მცირე დრო და ჩაერთოს სხვადსხვა სახის აქტივობებში."[161] ქალები ორმაგად არიან დატვირთულები: ოჯახში და საზოგადოებრივ ასპარეზზე, ამიტომ მათ არ რჩებათ საკმარისი დრო კარიერის გასაკეთებლად. 2012 წელს ჩატარებული ფოკუს ჯგუფების კვლევის შედეგების მიხედვით, მონაწილეთა დიდმა ნაწილმა დააფიქსირა, რომ ისინი არ წაახალისებენ, ან საერთოდ ხელს შეუშლიან მათი ახლობელი ქალის ჩართვას მაგ. პოლიტიკაში. "იმ მცირერიცხოვან მონაწილეთა შორის, ვინც აღნიშნა რომ წაახალისებს და მხარს დაუჭერს ახლობელი ქალის პოლიტიკაში ჩართვას, განსხვავებული დამოკიდებულება გამოიკვეთა. როგორც გაირკვა, ისინი წაახალისებენ მათი დის, მეგობრის, ან ქალიშვილის აქტივობას, თუმცა არა ცოლისას, რადგან მიიჩნევენ, რომ ამით ოჯახს მნიშვნელოვანი ყურადღება და ზრუნვა მოაკლდება."[162] ამდენად ქალების ჩართვას პოლიტიკაში ხელს უშლის ოჯახის მიმართ მისი მოვალეობები, ვინაიდან საქართველოში არსებული საზოგადოებრივი მენტალიტეტი, განსაზღვრავს, რომ ქალებმა მეტად უნდა

---

[159] სერპი ლ; (2012). ქალი პოლიტიკაში, ფოკუს ჯგუფების კვლევის შედეგები. საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდი, (IFES). გვ. 14

[160] კავკასიის ბარომეტრი, ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: http://www.crrc.ge/ge/caucasusbarometer/online/

[161] გენდერული თანასწორობა და საარჩევნო ადმინისტრაცია: საუკეთესო გამოცდილების სახელმძღვანელო. (2014). საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდი, (IFES). გვ.9

[162] სერპი ლ; (2012). ქალი პოლიტიკაში, ფოკუს ჯგუფების კვლევის შედეგები. საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდი, (IFES). გვ. 16

იზრუნონ ოჯახის მოვლაზე, შვილების აღზრდაზე, მიუხედავად იმისა, არიან თუ არა ისინი დასაქმებული.

ქალთა წინსვლისათვის დაბრკოლებას წარმოადგენს ასევე ქალთა ფინანსური შემოსავლის დაბალი დონე, შესაბამისად მათ არ აქვთ შესაძლებლობა საზოგადოებას მიაწოდონ საკუთარი იდეები და დაპირებები, განახორციელონ ეფექტური კომუნიკაცია. "მსოფლიოში ქალები ნაკლებ ეკონომიკურ რესურსებს განაგებენ, ვიდრე კაცები, რომლებსაც აქვთ უკეთესი წვდომა რესურსებისადმი, ქალთა ჩართულობა, და ქალების წარმომადგენლობითობა უმცირესობათა ჯგუფებიდან შეზღუდულია, რესურსების ნაკლებობის გამო." [163]

მიუხედავად იმისა, რომ ბოლო პერიოდში მთავრობამ გადადგა ნაბიჯები ქვეყანაში გენდერული თანასწორობის დამკვიდრების ხელშეწყობისთვის საკანონმდებლო ბაზის შექმნით, როგორც ექსპერტები, ასევე საზოგადოების ნაწილი მიიჩნევს, რომ საჭიროა ქალთა ხელშემწყობი კანონმდებლობის ჩამოყალიბება და რეალიზაცია. როგორც "ქეა საერთაშორისოს მიერ სამხრეთ კავკასიის მასშტაბით ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რესპოდენტების 67% ქალების ჩართულობის გაზრდის მიზნით, კანონების შემოღების მომხრეა."[164]

საჭიროა სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება, გენდერულად მგრძნობიარე კანონმდებლობის, ინსტიტუციონალური მექანიზმების შექმნა, ასევე სპეციალური მხარდამჭერი ზომები, მაგალითად კვოტირების პრინციპის გამოყენება, დაფინასება ქალთა წასახალისებლად, რაც შექმნის შესაძლებლობას, ქალებმა უფრო აქტიურად იმონაწილეონ გადაწყვეტილებების მიღების პროცესში.

გენდერის სპეციალისტები, ასევე არასამთავრობო სექტორის ზოგიერთი წარმომადგენელი, ყველა დონეზე გენდერული ბალანსის მისაღწევად მოითხოვს უფრო

---

[163] გენდერული თანასწორობა და საარჩევნო ადმინისტრაცია: საუკეთესო გამოცდილების სახელმძღვანელო. (2014). საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდი, (IFES). გვ.27

[164] ჩხეიძე თ; . სამხრეთ კავკასია პოლიტიკაში ქალთა მეტი ჩართულობისათვის მზადაა. ნანახია 06.01.2017 ვებ-გვერდზე: http://netgazeti.ge/GE/32/News/3083/

ეფექტური მექანიზმების დანერგვას, კერძოდ კი კვოტების სისტემის შემოღებას. ქალთა პოლიტიკური რესურს ცენტრის წარმომადგენელი ნანა მჟავანაძე აცხადებს, რომ „ეს ცვლილებები აუცილებელია იმისთვის, რომ მოსახლეობის 53 პროცენტის უფლებები რეალიზებული და დაცული იყოს, ... სხვა შემთხვევაში თანასწორობა ვერ მიიღწევა, რადგანაც სქესები განსხვავებულ სასტარტო პირობებში იმყოფებიან.“[165] საარჩევნო კონტექსტში სპეციალური ზომები შეიძლება სხვადასხვა ტიპის იყოს. მათი სათანადოდ დანერგვის და განხორციელების შემთხვევაში, შესაძლოა სპეციალური ზომა აღმოჩნდეს ძალიან ეფექტური საშუალება სხვადასხვა პროცესებში ქალთა ჩართულობის წასახალისებლად." [166]

მართალია ქალთა წარმომადგენლობის კოეფიციენტის ზრდის მიზნით ასეთი გამოცდილება უკვე რამდენიმე ათეულ ქვეყანას აქვს, მაგრამ კვოტირების სისტემის გარშემო დებატები დღემდე გრძელდება. მას აქვს დადებითი მხარეები, კერძოდ იძლევა საშუალებას მომენტალურად გავზარდოთ აქტიურ ქალთა რიცხვი. ამავე დროს გააჩნია უარყოფითი მხარეები. ყველაზე გავრცელებული არგუმენტია ის, რომ „ასეთი სისტემა აფერხებს ქალთა რიცხვის ზრდას, მას შემდეგ რაც მოთხოვნა შესრულებულია“. [167] მოწინააღმდეგეები ასევე მიიჩნევენ, რომ კვოტირება ეწინააღმდეგება თანაბარი შესაძლებლობების პრინციპს, და ამ შემთხვევაში, კაცებთან შედარებით, ქალებს ენიჭებათ უპირატესობა. გარდა ამისა, კვოტირების მოწინააღმდეგეები მას არადემოკრატიულად მიიჩნევენ, ვინაიდან ზღუდავს უფლებას ადამიანებმა თავისუფლად გააკეთონ არჩევანი. მაგ., ქალი კანდიდატების საკანონმდებლო ორგანოში სავალდებულო რაოდენობის არჩევის შემთხვევაში შესაძლოა მოხვდნენ ნაკლებ კვალიფიციური კადრები, ხოლო უფრო კომპეტენტურ პირებს პარლამენტში მოხვედრის შანსი არ მიეცეთ. ბევრი კვოტირების სისტემას ღირსების შემლახველად მიიჩნევს, რომელიც მიანიშნებს იმაზე, რომ ქალს ეპყრობიან, როგორც არასრულფასოვან არსებას, რომელსაც დახმარება და შეღავათი უნდა გაუწიო. ბევრ ქალს არ სურს, მხოლოდ იმიტომ აირჩიონ, რომ ქალია.

---

[165] ქალები პოლიტიკაში, (2010). *ტაბულა, N3*

[166] გაერო, (2005). ქალი და არჩევნები.

[167] ხომერიკი ლ; (2006). გენდერი და პოლიტიკა. სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი, თბილისი. გვ. 13

კვოტირების წინააღმდეგია "საქართველოს რეფორმების ასოციაციის" თანადამფუძნებელი და საქართველოს პარლამენტის წევრი ელენე ხოშტარია, რომელიც მიიჩნევს, რომ გენდერული კვოტირების შემოღება ნიშნავს იმას, რომ ქალებს თავად არ შესწევთ უნარი, დაიკავონ ღირსეული პოზიციები ამა თუ იმ საფეხურზე და ამისთვის ხელოვნურად შექმნილი, განსაკუთრებული პირობები სჭირდებათ: "მგონია, რომ მივიღებთ არა უფრო მეტ მართლაც ღირსეულ ქალს სახელმწიფო სტრუქტურებში, არამედ ვიღაცის ნათესავებსა და ახლობლებს, რომლებიც ბუნებრივად არ გამოირჩევიან იმ თვისებებით, რომ დაიკავონ შესაბამისი ადგილი სხვადასხვა თანამდებობაზე. ჩემთვის, პიროვნულად, როგორც ქალისთვის, შეურაცხმყოფელი იქნება იმის ცოდნა, რომ მე კვოტით უნდა დავიკავო ესა თუ ის პოზიცია და არა თავისუფალი კონკურენციის პირობებში",[168]– აცხადებს იგი.

ამავე დროს კვოტირებას ყავს ბევრი მომხრე. 2015 წლის 16 მარტს რედისონში გამართულ კონფერენციაზე, რომელიც ქალთა სამოქალაქო და პოლიტიკური მონაწილეობის გაზრდას ეხებოდა, სიტყვით გამოსვლისას საქართველოს პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა კვოტირების შემოღების აუცილებლობაზე ისაუბრა: "მოვუწოდებ ჩვენს პოლიტიკურ სპექტრს, საზოგადოებას, აქტიურად ვიმუშაოთ ამ მიმართულებით. მე იმისიც მჯერა, რომ საქართველოს მეხუთე პრეზიდენტი კარგი იქნება, რომ ქალი იყოს და ამ მიმართულებითაც კარგი იქნება, რომ ერთად გადავდგათ ნაბიჯები"[169],– თქვა გიორგი მარგველაშვილმა. მისი ინიციტივით 2015 წელი საქართველოში ქალთა წლად გამოცხადდა.

ამავე კონფერენციაზე სიტყვით გამოსვლისას კი პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილი გენდერული კვოტირების თემას ასე გამოეხმაურა: "მე ვარ კვოტირების წინააღმდეგი, მაგრამ ამასთანავე ვარ თანასწორობის მომხრე და თუ თანასწორობის

---

[168] ჭანიშვილი მ; (22.05.2015). ქალები პოლიტიკაში. კვოტით თუ მის გარეშე. Forbes Woman, თბილისი. ნანახია 06.01.2017 ვებ-გვერდზე: http://forbes.ge/news/706/qalebi-politikaSi

[169] გ. მარგველაშვილი: კარგი იქნება საქართველოს მე-5 პრეზიდენტი ქალი იყოს, (16.04.2015). *ტაბულა*, ნანახია 09.01.2017 ვებ-გვერდზე: http://www.tabula.ge/ge/story/93856-margvelashvili-kargi-iqneba-saqartvelos-me-5-prezidenti-qali-ikos

მიღწევა კვოტირების გარეშე შეუძლებელია, მაშინ მე ვარ კვოტირების მომხრე".[170] მან მოუწოდა საკანონმდებლო ორგანოს წევრებს, ასევე არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებს, დაიწყონ კანონპროექტზე მუშაობა, რათა შესაძლებელი გახდეს ამ მიმართულებით უფრო ქმედითი ნაბიჯების გადადგმა.

პარტიულ სიებსა და ზოგადად ხელისუფლებაში ქალთა წარმომადგენლობის და მათი აქტიურობის გაზრდის მომხრეა საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილი. საერთაშორისო საქმეთა ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI) მიერ 2014 წლის ოქტომბერში ჩატარებული კვლევის მიხედვით, " საქართველოს ამომრჩეველთა 70%-ზე მეტს სურს, რომ უფრო მეტი ქალი იხილოს პოლიტიკაში, ხოლო პარლამენტში ქალთა რაოდენობის გაზრდის მიზნით სავალდებულო კვოტების შემოღებას გამოკითხულთა 45% სრულად ემხრობა, 25% კი ნაწილობრივ."[171]

აღნიშნული მხარდაჭერისა და პროგრესის მიუხედავად ამ მიმართულებით, 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებში არც სახელისუფლებო და არც ყველაზე დიდ საპარლამენტო ოპოზიციურ პარტიას არ გამოუყენებია მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთანების შესახებ კანონის ის ნორმა, რომელიც ითვალისწინებს პოლიტიკური პარტიის სახელმწიფო დაფინანსების გაზრდას, თუ სიის ყოველ ათეულში 30% მაინც იქნება განსხვავებული სქესის წარმომადგენელი. ეს ე. წ. ფინანსური წახალისების ფორმა 2016 წლის არჩევნებისთვის გამოიყენა მხოლოდ რესპუბლიკურმა პარტიამ და თავისუფალმა დემოკრატებმა. 2016 წლის და ასევე წინა არჩევნების პრაქტიკა ცხადყოფს, რომ ფინანსური წახალისების ეს მექანიზმი არ არის ეფექტური და საბოლოო ჯამში ვერ აღწევს დასახულ მიზანს: ვერ უზრუნველყოფს ქალების წარმომადგენლობის გაზრდას არჩევით საკანონმდებლო ორგანოში. მაჟორიტარ კანდიდატებად წარმოდგენილი ქალების რაოდენობა საკმაოდ მცირე იყო: 11, 9 %. ამ არჩევნებზეც შენარჩუნებული იყო სამწუხარო ტრადიცია, როდესაც ქალები არ არიან წარმოდგენილი სიის მოწინავე

---

[170] მაღალი დონის კონფერენცია "საკანონმდებლო ცვლილებები და ქალთა პოლიტიკური მონაწილეობა" გაიმართა. (16.04.2017). *ედიტორი.* ნანახია 09.01.2017 ვებ-გვერდზე: http://editori.ge/?p=16166

[171] ქალთა პოლიტიკური მონაწილეობა საქართველოში. 2014 წლის ოქტომბრის საზოგადოებრივი აზრის კვლევის შედეგები, კვლევა ჩატარდა NDI-ის დაკვეთით CRRC-საქართველოს მიერ ნანახია 09.01.2017 ვებ-გვერდზე:
ttps://www.ndi.org/files/NDI%20Georgia_October%202014_Gender%20poll_Public%20GEO_Final_0.pdf

პოზიციებზე. ისინი ძირითადად კვლავაც არგამსვლელ პოზიციებზე რჩებიან. მოცემული მდგომარეობა ცხადყოფს სავალდებულო გენდერული კვოტის საჭიროებას, რომელიც სავარაუდოდ ხელს შეუწყობს მოკლევადიან პერსპექტივაში ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის ზრდას. სამუშაო ჯგუფი - "ქალთა პოლიტიკური მონაწილეობა საქართველოში" ახორციელებს გენდერული კვოტის ლობირებას და ადვოკატირებას. იგი შეიქმნა 2014 წლის თებერვალში და მის ერთ-ერთ მიზანს წარმოადგენს ერთობლივი პლატფორმის შექმნა, დაინტერესებული მხარეების კოორდინაცია გადაწყვეტილების მიმღებ დონეზე ქალთა მონაწილეობის გაზრდის მიზნით. "სამუშაო ჯგუფს ეკუთვნის სავალდებულო გენდერული კვოტის ინიციატივა, რომელიც, მიღების შემთხვევაში, უზრუნველყოფდა 2016 წლის მოწვევის პარლამენტში ქალების მინიმუმ 25 პროცენტიან წარმომადგენლობითობას." [172]

მიუხედავად მრავალი სასიკეთო ცვლილებისა, ქართულ საზოგადოებას ალბათ უფრო ხანგრძლივი გზა აქვს გასავლელი რეალური თანასწორობის მისაღწევად. როგორც ექსპერტები მიიჩნევენ, „არსებული კანონები საკმარისად დახვეწილი და ქართულ რეალობას მორგებული არ არის და რაც მთავარია, კანონთა აღსრულება ხშირ შემთხვევაში არ ხდება.“ [173]

ქალის მიმართ ტრადიციული დამოკიდებულების გადალახვას, რომელიც ყველაზე მკაფიოდ ვლინდება მმართველობით სფეროში, გადაწყვეტილების მიღების დონეზე, სჭირდება უფრო კომპლექსური მიდგომა: ერთი მხრივ რეალური პოლიტიკური ნება სახელმწიფოს მხრიდან, უფრო მეტი რესურსების და ძალისხმევის დახარჯვა, იმისათვის, რომ ქალთა კრიტიკული მასა მოვიდეს პოლიტიკაში. მეორე მხრივ, გენდერული თანასწორობის მისაღწევად საზოგადოებრივი მოთხოვნილების არსებობა, გენდერული თანასწორობის მხარდამჭერი სულისკვეთების გაძლიერება. ამ პროცესში ხელისუფლებასთან და საზოგადოებასთან ერთად მნიშვნელოვანი როლის შესრულება

---

[172] 2016 წლის მოწვევის პარლამენტში ქალთა პოლიტიკური მონაწილეობა კვლავ დაბალი იქნება, (12.09.2016). სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება, ISFED. ნანახია 09.01.2017 ვებ-გვერდზე: ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: http://www.isfed.ge/main/1132/geo/

[173] ჯაფარიძე ე; (2012, აგვისტო). გენდერული თანასწორობის პოლიტიკის შეფასება საქართველოში ქალთა ორგანიზაციების მიერ. სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი, თბილისი. გვ.9

შეუძლიათ სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტებს: არასამთავრობო ორგანიზაციებს და მასმედიას.

როგორც ცნობილია, მასობრივი ინფორმაციის საშუალებები დიდ როლს ასრულებენ საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბების საქმეში, მას ხშირად მეოთხე ხელისუფლებასთანაც აიგივებენ. ამიტომ კარგი იქნება ჟურნალისტების ჩართვა გენდერული თანასწორობის დამყარების პროცესში, ჰუმანური იდეების გავრცელება, მასმედიის საშუალებებით გენდერული სტერეოტიპების მსხვრევის ხელშეწყობა, გენდერული პრობლემატიკის განხილვის სტიმულირება და საზოგადოების ყურადღების მიპყრობა. მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს შეუძლიათ ქალის როლისა და დანიშნულების შესახებ ახლებური დამოკიდებულების ჩამოყალიბების ხელშეწყობა. საქართველოში, როგორც ექსპერტები აღიარებენ, მედია ნაკლებად სენსიტიურია გენდერული თვალსაზრისით. „მედიის განვითარების ფონდის“ მიერ 2012 წელს ჩატარებულმა მედია მონიტორინგის დასკვნაში ნათქვამია, რომ „ქართული მედიის ერთ-ერთ პრობლემად გენდერული სტერეოტიპებით აზროვნება რჩება. ნაცვლად იმისა, რომ აზროვნების ლიბერალიზებას შეუწყოს ხელი, მედია ხშირად, თავად ქმნის და ამყარებს სტერეოტიპებს.“[174]კარგი იქნება თუ გაიზრდება მედიის ინტერესი გენდერული პრობლემებისადმი, სისტემატურად გაშუქდება ქალთა პრობლემატიკა, მოხდება სხვადასხვა ქვეყნის ქალთა გამოცდილების გაზიარება.

ფულადი სახსრების ნაკლებობა, როგორც უკვე აღინიშნა, მნიშვნელოვანი ბარიერია ქალთა აქტივობისთვის. კარგი იქნება თუ შემუშავდება სპეციალური მხარდამჭერი პროგრამები, რომლებიც გასცემენ გრანტებს. მსგავსი ფონდები არსებობენ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში. ერთ–ერთ საუკეთესო მაგალითად შეიძლება ვახსენოთ „ემილის ლისთი“, რომელიც დაარსდა ამერიკის შეერთებულ შტატებში 1985 წელს. მისი

[174] მსხილაძე ქ; (2012). გენდერული სტერეოტიპები ქართულ მედიაში. მედიის განვითარების ფონდი. თბილისი. გვ. 9

მიზანია ქალი კანდიდატების რეკრუტირება, მათთვის ფინანსური დახმარების გაწევა, ქალი ამომრჩევლების მხარდაჭერის მობილიზება მთელი ქვეყნის მასშტაბით. [175]

ვინაიდან გენდერული შეხედულებები და წარმოდგენები ყალიბდება ადრეულ ასაკში, აუცილებელია განათლების სისტემაში განხორციელდეს რეფორმა ამ მიმართულებით. მნიშვნელოვანია გენდერული მიდგომების დანერგვა განათლების სფეროში. 2006 წელს საქართველოს ქალთა ორგანიზაციების კოალიციის სამუშაო ჯგუფის – „ქალი და განათლება" ეუთოს დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების დაცვის ბიუროს პროექტის ფარგლებში განხორციელებულმა კვლევამ დაადასტურა, დაწყებითი კლასების სახელმძღვანელოებში საკმარისად ძლიერი გენდერული სტერეოტიპების შემცველობა. [176]მიზანშეწონილია მოხდეს მასწავლებლების გადამზადება გენდერული საკითხებისა და პრობლემატიკის გააზრების მიზნით.

მნიშვნელოვანია შემუშავდეს კარიერული წინსვლის გამჭვირვალე და მკაფიოდ გაწერილი პროცედურები. ისეთ პირობებში, როდესაც გარემო არ არის დემოკრატიული, ქალისათვის უფრო მეტად ძნელდება წინსვლა საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ასპარეზზე. თანამდებობებზე დანიშვნა უნდა მოხდეს არა პირადი სიმპათიების, მეგობრობის ან კლანურობის გათვალისწინებით, არამედ კომპეტენციის და გამოცდილებისა მიხედვით.

ქალთა ლიდერული უნარ–ჩვევების ჩამოსაყალიბებლად და გასავითარებლად მსოფლიოში ფართოდ გავრცელებული სტრატეგიაა – ტრენინგების ჩატარება. ტრენინგები შესაძლოა ფოკუსირებულ იქნას საჯარო გამოსვლის უნარ–ჩვევებზე, ეფექტური კომუნიკაციის დამყარების ხერხებზე, საარჩევნო კამპანიის წარმართვის, ფინანსური სახსრების მოპოვების შესახებ. მსგავს აქტივობებში მონაწილეობა ხელს უწყობს ქალების თავდაჯერებულობის მომატებას.

---

[175] ვებ-გვერდზე: http://emilyslist.org/who/mission, 28.12.20016

[176] ხომერიკი ი, ჯავახიშვილი მ; აბრამია თ; (2012). გენდერული თანასწორობის საკითხი საზოგადოებრივი მეცნიერებების სწავლებისას, სახელმძღვანელოების გენდერული ანალიზი, CCIIR, თბილისი.გვ.5

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გენდერული თანასწორობა ხშირ შემთხვევაში დეკლარაციულ ხასიათს ატარებს და არ ხდება კანონების პრაქტიკაში განხორციელება. მიუხედავად იმისა, რომ ქართულ კანონმდებლობაში ვერ ნახავთ სქესის ნიშნით დისკრიმინაციულ ხარვეზებს, რეალობაში სახეზეა გენდერული ასიმეტრია, რაც განსაკუთრებით მკაფიოდაა გამოხატული პოლიტიკაში და ზოგადად ყველა სფეროს გადაწყვეტილების მიმღებ რგოლში. ამიტომ ალბათ უნდა გავიზიაროთ მსოფლიო გამოცდილება გავამკაცროთ კანონმდებლობა და კანონის პრაქტიკაში რეალიზაციის მიზნით, ჩავდოთ იძულების კონკრეტული მექანიზმები, არსებული სიტუაციის და ბარიერების გადალახვის მიზნით, საჭიროა გავცდეთ საერთო დებატების ჩარჩოებს და მოვახდინოთ ეფექტური პოლიტიკური მექანიზმების გენერირება, რომლებიც ხელს შეუწყობს ქალთა მონაწილეობის და წარმომადგენლობის გაზრდას. აღნიშნული პროცესი უნდა დაეფუძნოს სამოქალაქო საზოგადოების ჯგუფების და სახელისუფლებო ინსტიტუტების ერთობლივ ძალისხმევას.

3.2. ქალთა არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ განხორციელებული ადვოკატირება, როგორც ქალთა სამოქალაქო აქტივობის ხელშემწყობი მექანიზმი

"ადვოკატირება არის კამპანია, რომელსაც ახორციელებს სამოქალაქო საზოგადოების აქტორები და რომელიც მიზნად ისახავს საჯარო გადაწყვეტილების მიღების პროცესზე ზეგავლენის მოხდენას საზოგადოების შედარებით მარგინალიზებული ფენის სასარგებლოდ."[177] ადვოკატირება მიმართულია გარკვეულ სფეროში დამკვიდრებული პრაქტიკის ან განსაზღვრული პოლიტიკის შესაცვლელად. მისი მიზანი არის სოციალური უსამართლობის და მარგინალიზაციის აღმოფხვრა. ადვოკატირება მოიცავს ასევე ლობირებას და გადაწყვეტილების მიმღებ რგოლზე

[177] Poudel M; Luintel Y; (2003). Strategies and practices of advocacy: Gender advocacy against trafficking in women in Nepal. *Occasional Papers in Sociology and Anthropology* Vol.8 2003 p.59-76 retrieved from http://dx.doi.org/10.3126/opsa.v8i0.1121 P.75

ერთგვარი ზეწოლის მოხდენას. ის ასევე შესაძლოა მოიცავდეს სახელმწიფო ძალაუფლების კონტროლის ფუნქციას და სახელმწიფო ანგარიშვალდებულებას უზრუნველყოფას. "ადვოკატირების კონცეფტი NGO სექტორში შემოვიდა, როგორც სტრატეგია და ინსტრუმენტი პოლიტიკური და ინსტიტუციონალური, ასევე ხანგრძლივი სოციალური ცვლილებების ხელშესაწყობად."[178]

სამეცნიერო ლიტერატურაში ვხვდებით ადვოკატირების სხვადასხვა ტიპოლოგიას. ნაშრომში გამოყენებულია ლანგის მიერ შემოთავაზებულ დაყოფა, რომელიც გამოყოფს საჯარო და ინსტიტუციონალურ ადვოკატირებას.[179] ისინი ერთმანეთისაგან განსხვავდებიან კომუნიკაციური პრაქტიკითა და ზეგავლენის მოხდენის მეთოდებით. ინსტიტუციონალური ადვოკატირების პრაქტიკა და ინსტრუმენტები მოიცავს ექსპერტული ცოდნის გაზიარებას, შიდა დებატებს და ლობირებას. მისი მიზანია ხელისუფლების ორგანოებთან კონსტრუქციული მუშაობა კონსულტაციებისა და თანამშრომლობის გზით წარმატების მისაღწევად. [180] ინსტიტუციურ ადვოკატირებას ლანგი განსაზღვრავს, როგორც "მცდელობას, გავლენა მოახდინოს გადაწყვეტილების მიღების პროცესზე გარკვეული ხარისხის შიდა სტატუსის მოპოვებით დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში, რომლებიც ინიცირებას უწევენ, ამზადებენ, ქმნიან კანონმდებლობას ან აღასრულებენ პოლიტიკურ ცვლილებებს; [181]

ქალთა ორგანიზაციების მიერ ინსტიტუციონალური ადვოკატირების გამოყენების შემთხვევების შესწავლის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ. ქალთა ორგანიზაციები საქართველოში აქტიურად ამყარებენ ურთიერთობას მთავრობასთან და სახელმწიფო ხელისუფლების სხვა ორგანოებთან კონკრეტული საკითხების წინ წამოწევისა და ლობირების მიზნით, მათ შეიმუშავეს გარკვეული სტრატეგიები, ტექნიკა და ძირითადად მუშაობენ თანამშრომლობით პრინციპებზე. ზოგიერთ შემთხვევაში ქალთა ორგანიზაციები

---

[178]Ibid, p. 60

1. [179] Linz J., Stepan, A. Problems of Democratic Transition and Consolidation: Southern Europe, South America, and Post-Communist Europe. Baltimore, MD/London: John Hopkins University Press, 2013, P.23

[180] იქვე, p.22

[181] იქვე, p. 22

ცდილობენ დაამყარონ ერთმანეთთან კავშირი, შექმნან ქსელები, რათა მიიპყრონ მთავრობის ყურადღება და ზეგავლენა მოახდინონ გადაწყვეტილების მიღების პროცესზე სხვადასხვა მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ.

ქალთა ორგანიზაციების მიერ განხორციელებული ადვოკატირების შემთხვევების ანალიზისთვის, მნიშვნელოვანია ის გარემო და ზოგადი კონტექსტი, რომელშიც მოღვაწეობენ ქალთა ორგანიზაციები, მითუმეტეს, რომ ადვოკატირების პროცესის სრულყოფილად გასაგებად აუცილებელია გავითვალისწინოთ კონტექსტი, რომელშიც ის ხორციელდება, მისი ისტორიული და საზოგადოებრივი ფესვები. [182]

ადვოკატირების პროცესის ეფექტურობის და წარმატების შეფასება მეთოდოლოგიურად საკმაოდ რთული პროცედურაა და სხვადასხვა განზომილებას მოიცავს. კვლევის ფარგლებში შესწავლილი და გაანალიზებული იქნა ადვოკატირების შეფასების სხვადასხვა მეთოდოლოგია. ერთ-ერთი მიდგომის მიხედვით[183] გამოვყავით ცვლილებები შემდეგი მიმართულებით:

სოციალური ნორმების ცვლილებები და პრობლემისადმი საზოგადოებრივი დამოკიდებულების ცვლილება - მოიაზრება ცვლილებები საზოგადოებრივი ცოდნის, ღირებულებების, განწყობების, ქცევის სტრუქტურაში ორგანიზაციული პოტენციალის გაძლიერება - ორგანიზაციის მენეჯმენტის, სტაბილურობის, მასში ჩართული პერსონალის უნარ-ჩვევების, სტრატეგიული დაგეგმვის, დაფინანსების, პარტნიორების რაოდენობის, მხარდაჭერის გაუმჯობესება. პოლიტიკის ცვლილება (improved policies) - არსებული პოლიტიკური კურსის გაუმჯობესება ან ახალი პოლიტიკის შემუშავება, პოლიტიკური დღის წესრიგის შეცვლა, ახალი კანონმდებლობის მიღება.

---

[182] Wilks T, Advocasy and Social work Practice, Open University Press, 2012

[183] Reisman J; Gienapp A; (2007). A Guide to measuring advocacy and policy retrieved from: http://www.hfrp.org/evaluation/the-evaluation-exchange/issue-archive/advocacy-and-policy-change/a-guide-to-measuring-advocacy-and-policy, 2007

ადვოკატირების კამპანიის ეფექტურობის შესაფასებლად ჩვენ აქცენტი გავაკეთეთ პოლიტიკური ორგანიზაციების კურსის ცვლილების მიღწევაზე. როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, საინტერესო იქნებოდა საზოგადოებრივ დამოკიდებულებების ცვლილებს შესწავლა, თუმცა აღნიშნული კვლევის მასშტაბი და რესურსები არ გვაძლევს ამის საშუალებას. ეს საკითხი შეიძლება გახდეს ახალი კვლევის საგანი. რაც შეეხება სტრატეგიული პოტენციალის გაძლიერებას, ის შეიძლება განვიხილოთ როგორც ფაქტორი, რომელიც შემდგომში ხელს შეუწყობს ადვოკატირების კამპანიის წარმატებას. ჩვენ ემპირიულ კვლევაში კი მიზნად დავისახეთ შეგვესწავლა ზოგადად გენდერული პოლიტიკა და ამ მიმართულებით სამოქალაქო საზოგადოების აქტიურობა.

საქართველოში არსებული ქალთა ორგანიზაციების საქმიანობის და პროექტების შესახებ ინფორმაციის გაცნობის საფუძველზე შეიძლება ითქვას,184 რომ ქალთა ორგანიზაციების და გენდერთან დაკავშირებული პროექტების დაფინანსება ფაქტიურად ხორციელდება უცხოელი დონორების მხრიდან. ეს ტენდენცია დამახასიათებელია ზოგადად სამოქალაქო სექტორისათის საქართველოში. „საქართველოს სტრატეგიული კვლევების და განვითარების ცენტრის“ მიერ 2010 წელს განხორციელებული კვლევის მიხედვით, “გამოკითხული ორგანიზაციების აბსოლუტური უმრავლესობისათის საერთაშორისო გრანტები ისევ რჩება შემოსავლის ძირითად წყაროდ“.185

ამ დახმარების პოზიტიური მხარე არის ის, რომ ამ მისი მეშვეობით მოხდა ქალთა ორგანიზაციების ინსტიტუციონალური განვითარება, საჭირო რესურსების მოპოვება, საზოგადოების გარკვეულ სეგმენტზე მიმართული სასარგებლო მომსახურების განხორციელება და ა.შ. თუმცა ქალთა ორგანიზაციების ცალმხრივად უცხოურ დაფინანსებაზე დამოკიდებულებამ შექმნა მთელი რიგი სიძნელეები. პოზიტიურ

---

[184] ძირითადად გამოყენებული იქნა მათი საიტები პროექტების და დამფინანსებლების გაცნობის პროცესში

[185] საზოგადოებრივი ორგანიზაციები საქართველოში – განვითარების დინამიკა და ტენდენციები, კვლევის ანგარიში, საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი, თბილისი. 2010. გვ.5

ტენდენციებთან ერთად ქალთა ორგანიზაციებს გააჩნიათ ნაკლოვანებები და პრობლემები. დონორთა პრიორიტეტებზე მიბმულობა და ფინანსური დამოკიდებულება ზღუდავს მათ ავტონომიურობას. ქალთა არასამთავრობო ორგანიზაციები ხშირად უფრო მეტად ორიენტირებულნი არიან დონორთა ინტერესებზე, მათ მიერ შემოთავაზებულ საკითხებზე, ამდენად ბევრი მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი პრობლემა ყურადღების მიღმა შეიძლება დარჩეს, ამასთან მოკლევადიან პერსპექტივებზე გათვლილი პროექტები ვერ უზრუნველყოფს საზოგადოებაში არსებული პრობლემების აღმოფხვრას. „დონორის დღის წესრიგზე მორგების მიზნით, ხშირად ორგანიზაციის ძირითადი დანიშნულებიდან გადახვევა უწევთ. ეს ზიანს აყენებს ურთიერთობებსა და კავშირებს საზოგადოებრივ ორგანიზაციებსა და იმ ჯგუფებს შორის, რომელთანაც ისინი მუშაობენ."186 ხშირად ქალთა ორგანიზაციები ფოკუსირებას ახდენენ თემატიკათა შეზღუდულ რაოდენობაზე, რამდენიმე მწვავე და აქტუალურ პრობლემაზე, როდესაც სინამდვილეში საქართველოში მრავალ სფეროში ხდება გენდერული ნიშნით დისკრიმინაცია. 2014 წლის Gender Gap Index-ის მიხედვით საქართველო 142 ქვეყნიდან 85 ადგილზეა. 187

ხშირად ერთი და იგივე დონორები აფინანსებენ შედარებით გამოცდილ არასამთავრობო ორგანიზაციებს, რომელთანაც ხანგრძლივი ურთიერთობა და ნდობა აკავშირებთ. ამ თვალსაზრისით ახალ ორგანიზაციებს ან ჯგუფებს უჭირთ განვითარება ფინანსური რესურსების უქონლობის გამო. "დონორი ორგანიზაციების მიერ გამოცხადებულ საპროექტო კონკურსებში საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან ერთად მონაწილეობენ ადგილობრივი საერთაშორისო ორგანიზაციები. აღნიშნული ფაქტორი ხელს უშლის საზოგადოებრივ ორგანიზაციებს და არათანაბარ საკონკურსო პირობებში აყენებს

---

186 ევროკავშირის სტრატეგია საქართველოს სამოქალაქო საზოგადოებასთან თანამშრომლობისთვის, (2014–2017წწ.), ინფორმაცია ხელმისაწვდომია: http://eeas.europa.eu/delegations/georgia/documents/civil_society_library/roadmap_final_ka.pdf

187 World Economic Forum, Gender Gap 2014. იხ. http://reports.weforum.org/global-gender-gap-report-2014/economies/#economy=GEO

მათ, ვინაიდან, საერთაშორისო ორგანიზაციებს აქვთ კარგად განვითარებული ორგანიზაციული რესურსი ადგილობრივ ქალთა ორგანიზაციებისაგან განსხვავებით."188

ქალთა არასამთავრობო ორგანიზაციების ერთ–ერთი მთავარი სისუსტე არის ის, რომ ის ჩამოშორებული და იზოლირებულია ქალთა დიდი რაოდენობით მასისგან. მათ მიერ განხორცილებული პროექტებისაგან მიღებული სარგებელი მხოლოდ მცირე რაოდენობით ადამიანებისათვის არის ხელმისაწვდომი. საქართველოში საჯარო პოლიტიკის, ადვოკატირების და სამოქალაქო საზოგადოების განვითარების (G-PAC) პროგრამის მიერ 2014 წელს ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ საზოგადოებას აქვს არასამთავრობო ორგანიზაციების შესახებ მეტად მწირი ინფორმაცია.189 არასამთავრობო ორგანიზაციები საზოგადოებაში აღიქმება უფრო მეტად პირადი ინტერესების და კეთილდღეობის რეალიზაციის წყაროდ, ვიდრე საერთო საზოგადოებრივი სიკეთის მისაღწევად მოქმედ სუბიექტად. ამასთან ქალთა არასამთავრობო ორგანიზაციებს, ისევე როგორც სხვა არასამთავრობო ორგანიზაციებს არ გააჩნიათ მთავრობასთან დიალოგის ეფექტური მექანიზმები, სუსტია მათი კომუნიკაციის დონე საზოგადოებასთან, რის შედეგადაც საზოგადოებრივ აზრზე მათი გავლენა დაბალია. ზემოთ აღნიშნულ ფაქტორებთან ერთად დემოკრატიული ჩვევების და გამოცდილების ნაკლებობა უარყოფით გავლენას ახდენს საზოგადოებრივი ჩართულობის და მხარდაჭერის არსებობაზე. ზოგადად მოქალაქეთა მონაწილეობის და ჩართულობის დონე სამოქალაქო ცხოვრებაში დაბალია საქართველოში. 2007 წლის გამოკითხვების მიხედვით საქართველოს მოქალაქეთა 96% არ დასწრებია კლუბის ან სამოქალაქო ორგანიზაციის კრებას ბოლო 6 თვის მანძილზე, 92% კი

---

188 რუსეცკი ე, გოგოლაძე თ. (2011), საქართველოში ქალთა და გენდერულ საკითხებზე მომუშავე საზოგადოებრივი ორგანიზაციების შეფასება, კვლევის ანგარიში, ქალთა საინფორმაციო ცენტრი, გვ. 40

189 საჯარო პოლიტიკის, ადვოკატირებისა და სამოქალაქო საზოგადოების განვითარება საქართველოში (G-PAC), 2014 წლის ანგარიში სამოქალაქო ჩართულობის შესახებ, გვ. 11 ინფორმაცია ხელმისაწვდომია:http://www.crrc.ge/uploads/files/reports/FINAL_GPAC_2014_Civic_Engagement_Report_04.08.2014_GEO.pdf

არ ყოფილა ჩაბმული საზოგადოებრივ სამუშაოში იმავე პერიოდის განმავლობაში. 90% არ გაუღია საქველმოქმედო შემოწირულობა. 190 ტენდეცია მნიშვნელოვანწილად შემდგომშიც არ შეცვლილა. 2011 წელს ჩატარებული კვლევის მიხედვით „საქართველოს მოსახლეობის მხოლოდ 4,5% დაესწრო არასამთავრობო ორგანიზაციის მიერ ორგანიზებულ შეხვედრას, 3.5% –მა მონაწილეობა მიიღო NGO-ს მიერ სპონსორირებულ ტრენინგში, ... მოსახლეობის 9.6% დაესწრო საჯარო შეხვედრას, 3.3%–მა დარეკა ან მისწერა გაზეთს, ტელე ან რადიო გადაცემას, 1,7% დაესწრო პოლიტიკურ შეკრებას, ბოლო ორი წლის განმავლობაში 5,7%–მა მოაწერა ხელი კოლექტიურ წერილს რაიმე კონკრეტული საკითხის შესახებ.“191

სხვადასხვა სტატისტიკური მონაცემების მიხედვით საქართველოში მესამე სექტორის საქმიანობაში ძირითადად ქალები არიან ჩართულები. ეს ეხება არა მხოლოდ ქალთა და გენდერის საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციებს არამედ, სხვა ფართო სპექტრის არასამთავრობო ორგანიზაციებსაც. აღნიშნული მოვლენა შესაძლოა განპირობებული იყოს იმითაც, რომ საქართველოში დაბალია ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის დონე და მათი პროცენტული მაჩვენებელი ხელმძღვანელ თანამდებობებზე. ფონდ ტასოს მიერ 2011 წელს ჩატარებულ კვლევაში ნათქვამია, ქალების რაოდენობა პარტიაში არ ჩამორჩება მამაკაცების რაოდენობას, თუმცა მათი ძირთიადი მოვალეობა არის კარ და კარ სიარული და მოქალაქეებისათვის პარტიის ხედვის გაცნობა. „პარტიაში ქალთა როლი „შავი სამუშაოს“ შესრულებით გამოიხატება. ... ქალები ყველა სფეროში ასრულებენ „გამწევი ძალის“ როლს, ხოლო ხელმძღვანელ თანამდებობებზე მამაკაცები არიან“192 ამდენად, შეიძლება ითქვას,

---

[190]მოქალაქეთა მონაწილეობის შედარება: კავკასიის 2007 წლის მონაცემები, კავკასიის საზოგადოებრივი მეცნიერებანი. ინფორმაცია ხელმისაწვდომია: http://crrc-caucasus.blogspot.com/2008/10/ comparing-civic-participation-caucasus.html

[191] Hough L. (2011), Civil Engagement in Georgia: The Challenge of Formalizing the Informal, Irex, Georgia p.3 ინფორმაცია ხელმისაწვდომია https://www.irex.org/sites/default/files/IREX%20Final%20Report_Hough_Georgia_FINAL.pdf

[192] ფონდი ტასო, გადაწყვეტილების მიღების დონეზე ქალთა წარმომადგენლობის ზრდა პოლიტიკურ პარტიებთან დიალოგის გზით, კვლევის ანგარიში, 2010 გვ.11 ინფორმაცია ხელმისაწვდომია: http://taso.org.ge/data/file/837/%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%92%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A8%E1%83%98.pdf

რომ სამოქალაქო საზოგადოება გახდა მათთვის ალტერნატიული არხი და საშუალება საკუთარი ინტერესების არტიკულაციის და დაცვისათვის. ამასთან თვითორგანიზება და არასამთავრობო ორგანიზაციებში გაწევრიანება არის შესაძლოა ერთადერთი ლეგიტიმური გზა დისკრიმინაციის, უთანასწორობის, გაბატონებული პატრიარქალური შეხედულებების წინააღმდეგ საბრძოლველად, საკუთარი მოთხოვნებისა და მოსაზრებების ერთის მხრივ პოლიტიკური ხელისუფლებისათვის და მეორეს მხრივ საზოგადოების დანარჩენი წევრებისათვის გაცნობა და ამ გზით სოციალური ცვლილებების მიღწევა. არსებული რეალობის კომპლექსური შეცვლა, ქალების გაძლიერება, რეალური და არა მხოლოდ იურიდიული თანაბარი უფლებების და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია თანაბარი შესაძლებლობების მოპოვება არის ქალთა ორგანიზაციების გრძელვადიანი მიზნები.

ძირითადი საკითხები, რომელზეც ქალთა არასამთავრობო ორგანიზაციები მუშაობენ საქართველოში არის გენდერული თანასწორობის საკითხების წინ წამოწევა და აქტუალიზება, ქალთა უფლებების დაცვა, ქალთა პოლიტიკაში მონაწილეობის ხელშეწყობა, ქალთა დისკრიმინაციის და მათ მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლა, ქალთა ეკონომიკური უფლებების და დამოუკიდებლობის დაცვა. ძირითადი საშუალებები რომლებსაც ქალთა ორგანიზაციები იყენებენ საკუთარი მიზნების განსახორციელებლად არის კვლევების ჩატარება, ქალებთან შეხვედრები, ტრენინგები, ტელე და რადიო გადაცემების ორგანიზება, იურიდიული კონსულტაცია, ინდივიდუალური მუშაობა ქალებთან, საკანონმდებლო ინიციატივების წამოყენება და კანონპროექტებზე მუშაობა, ექსპერტული ცოდნის გაზიარება, კონფერენციები და ა.შ. ქალთა ორგანიზაციები შედარებით ნაკლებად მიმართავენ ისეთ საშუალებებს როგორიცაა დემონსტრაციები, აქციები და პროტესტის სხვა აქტიური ფორმები. თუმცა ამ მიმართულებითაც შეინიშნება ცვლილებები. გენდერული საკითხების შესახებ ცოდნის ზრდასთან ერთად გაიზარდა ქალთა შორის სოლიდარობა. მაგალითად, უკანასკნელ პერიოდში ქალთა გახმაურებული მკვლელობის ფაქტების გასაპროტესტებლად ქალთა არასამთავრობო ორგანიზაციების ორგანიზებით 2014 წლის 25 ნოემბერს ჩატარდა საპროტესტო აქციები ერთდროულად

თბილისსა და საქართველოს 20–ზე მეტ სხვა ქალაქში. 193 2015 წლის 8 მარტს გაიმართა საპროტესტო გამოსვლა საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაში ქალთა მონაწილეობის გაზრდის მოთხოვნით. „მეტი ქალი პარლამენტში“ – ამ ლოზუნგით აქცია იმავე დღეს საქართველოს 24 ქალაქში ჩატარდა. 194

ქალთა არასამთავრობო ორგანიზაციების ძალისხმევის შედეგად შეიძლება მივიჩნიოთ, ის ფაქტი, რომ გაიზარდა ქალთა დამოუკიდებელი თვითინიციატივის საფუძველზე წარმოქმნილი ჯგუფები, რაც ნიშნავს იმას, რომ უფრო და უფრო მეტი მოქალაქე ინტერესდება საჯარო ცხოვრებაში მონაწილეობით და სამოქალაქო ჩართულობის გაძლიერებით. ქალები განსაკუთრებით გააქტიურდნენ ნებაყოფლობით სამოქალაქო სფეროში და წინ წამოწიეს მრავალფეროვან საკითხთა და პრობლემათა მთელი სპექტრი. გაუმჯობესდა კომუნიკაცია საკუთრივ არასამთავრობო ორგანიზაციებს შორის. ქალთა ორგანიზაციები ცდილობენ ითანამშრომლონ მედია საშუალებებთან. სხვადასხვა მეთოდებით და გზებით ხორციელდება საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლება გენდერული საკითხების მიმართ. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ ქალთა ორგანიზაციები ცდილობენ გავლენა მოახდინონ საჯარო პოლიტიკაზე. ამ თვალსაზრისით ისინი აქტიურად თანამშრომლობენ სახელმწიფო ორგანოებთან. მათ ძალისხმევას უნდა დავუკავშიროთ საქართველოში 2006 წელს „ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ“ და 2011 წელს „გენდერული თანასწორობის შესახებ“ კანონების მიღება. 195

---

[193] რადიო თავისუფლება, (25.11.2014), აქციები ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ. ინფორმაცია ხელმისაწვდომია: http://www.radiotavisupleba.ge/media/photogallery/akciebi-kalta-mimart-dzaladobis-tsinaaghmdeg/26709747.html

[194] ექსპრესნიუსი, (2015.03.08), საქართველოს ქალაქებში აქცია „მეტი ქალი პარლამენტში“ იმართება. ინფორმაცია ხელმისაწვდომია: http://epn.ge/?id=2920

[195] ინფორმაცია ხელმისაწვდომია: www.parliament.ge

თუმცა მიუხედავად იმისა, რომ ქალთა უფლებებსა და გენდერული თანასწორობის პრობლემაზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციების რიცხვი გაიზარდა, მათი რაოდენობრივი სიმრავლე არ ემთხვევა მათი მხრიდან გამოვლენილი აქტიურობის ხარისხს. როგორც ქალთა საინფორმაციო ცენტრის მიერ 2014 წელს ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, „მიუხედავად ორგანიზაციების სიმრავლისა მხოლოდ მათი ნაწილია აქტიური. ... ორგანიზაციები თანაბრად არიან წარმოდგენილი, როგორც დედაქალაქში, ისე რეგიონებში, თუმცა, მათ მიერ განხორციელებული პროექტები ვერ ფარავს საქართველოს ყველა რაიონულ ცენტრს.“ 196

მეორე მხრივ, საქართველოში ვერ მოხერხდა ქალთა მოძრაობის ჩამოყალიბება, რადგანაც ქვეყანაში ჯერ კიდევ ძლიერია ქალების მიმართ დისკრიმინაციული სოციალური და კულტურული ნორმები, არ არსებობს სამოქალაქო აქტიურობის ძლიერი ტრადიცია. დაძაბული ეკონომიკური პირობების ფონზე კი საკითხმა ვერ მოიპოვა საჭირო აქტუალობა. შეიძლება ითქვას, რომ ქალთა არასამთავრობო ორგანიზაციების ყველაზე მნიშვნელოვანი წვლილი სამოქალაქო საზოგადოების და დემოკრატიზაციის ხეშეწყობის პროცესში არის გენდერული ცნობიერების ამაღლება და გენდერული ინსტიტუციური მექანიზმების ჩამოყალიბება და გაძლიერება, რაც უნდა გახდეს გენდერული თანასწორობის დამკვიდრების წინაპირობა.

შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში ქალთა არასამთავრობო ორგანიზაციებმა დააგროვეს გარკვეული პოტენციალი, ბაზა, იმისათვის რომ მოახდინონ პოზიტიური გავლენა სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბების პროცესზე თანასწორობის, სოლიდარობის და თვითორგანიზების პრინციპების და პრაქტიკის დანერგვით. ძლიერი ქსელების და ჯგუფების ჩამოყალიბება, სახელმწიფო და ბიზნეს სექტორთან სამართლებრივი და საქმიანი ურთიერთობების დამყარება ურთიერთსასარგებლო

---

[196] რუსეცკი ე, გოგოლაძე თ. (2011), საქართველოში ქალთა და გენდერულ საკითხებზე მომუშავე საზოგადოებრივი ორგანიზაციების შეფასება, კვლევის ანგარიში, ქალთა საინფორმაციო ცენტრი, გვ. 39

თანამშრომლობის მიღწევის მიზნით უდავოდ ხელს შეუწყობს ქალების გაძლიერებას, მათ სრულფასოვან და არა „მეორეხარისხოვან მოქალაქეებად“ ჩამოყალიბებას.

3.3.**გენდერული პოლიტიკის და ქალთა არასამთავრობო ორგანიზაციების აქტივობის შეფასება სამოქალაქო საზოგადოების (ექსპერტული ანალიზი)**

გენდერული დისბალანსით თითქმის ყველა საზოგადოება გამოირჩევა. მსოფლიო ბანკის ერთ-ერთ ანგარიშში ნათქვამის, რომ გენდერული უთანასწორობა, რომელიც განათლების, ეკონომიკის, ჯანდაცვის და პოლიტიკის სფეროში ქალებისა და მამაკაცების არათანაბარი მონაწილეობის გამო ვლინდება, მთლიანად მსოფლიოს განვითარებაზე ზემოქმედებს.

საქართველო ტრადიციული ღირებულებებისა და კულტურული ნორმების ქვეყანაა. ეს ღირებულებები ძირითადად პატრიარქალურია და მისი გენდერული რომლის მიხედვით, ქალის ძირითადი მოვალეობა ოჯახის საქმე და ბავშვების აღზრდაა, ხოლო სოციალური და პოლიტიკური აქტივობა აუცილებელია არ არის. ოჯახშიც მისგან მამაკაცთან შედარებით პასიურ მოქცევას და მორჩილებას მოითხოვენ. ამის დასტურია ჩატარებული კვლევა „ქალთა მიმართ ოჯახში ძალადობის საკითხების ეროვნული კვლევა“. [197]გამოკითხულ ქალთა 57%-ს მიაჩნია, რომ ცოლმა ქმარს უნდა დაუჯეროს იმ შემთხვევაშიც კი, თუ იგი მის გადაწყვეტილებას არ ეთანხმება. 45% ფიქრობს, რომ ოჯახში უნდა ჩანდეს, თუ ვინ არის მისი უფროსი. მამაკაცის უპირატესობას ადასტურებს გამოკითხვაც, რომელიც კავკასიის ბარომეტრმა ჩაატარა. ამ კვლევის მიხედვით, გამოკითხულთა 63%-ს მიაჩნია, რომ ოჯახში გადაწყვეტილებებს, ძირითადად მამაკაცი

[197] Chitashvili, M.. Javakhishvili, N., Arutiunov, L., Tsuladze, L., Chachanidze, S. (2010), “National Research on Domestic Violence against Women in Georgia.” Available at: http://www.genderbasedviolence.ge/conimages/annual-eng.pdf Accessed: July 5.2012

უნდა იღებდეს, 83% კი თვლის, რომ შემომტანი ოჯახში აუცილებლად კაცი უნდა იყოს. [198]

შედეგები ნათლად მიგვითითებს იმაზე, რომ საქართველოში გავრცელებული სტერეოტიპების მიხედვით, მამაკაცები დომინირებულ მდგომარეობაში არიან. საზოგადოებაში მიღებულია, რომ ისინი არა მარტო სოციალურად აქტიურები და გადაწყვეტილების მიმღებნი უნდა იყვნენ, არამედ მათ ეს მოეთხოვებათ კიდევაც.

თუ სურათს რეალურად გავაანალიზებთ, ბევრ ქალს მოცემული მდგომარეობა სრულიად აკმაყოფილებს, არ სურს ოჯახში მეტი ძალაუფლება და არც სოციალური და პოლიტიკური აქტივობა აინტერესებს და შეგუებულია თავის გენდერულ როლს, მაგრამ ამ შემთხვევაში ჩვენ არ ვითვალისწინებთ იმას, რომ სინამდვილეში, ქალები ტრადიციული პატრიარქალური აღზრდის გამო, ვერ აცნობიერებენ თავის შესაძლებლობებს, რადგანაც არ აქვთ სათანადო ინფორმაცია ამის შესახებ და, შესაბამისად, არც არჩევანის გაკეთება არ ძალუძთ. მთელი რიგი კვლევები კი იმას ადასტურებენ, რომ გენდერული უთანასწორობა სოციალურ და ეკონომიკურ პროცესებს აფერხებს და მჭიდრო კავშირშია სიღარიბის დაძლევის შესაძლებლობებთან, რომ ქალთა ჩართულობას პოლიტიკაში ერთ-ერთი გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. [199]

საქართველოში უახლოეს წარსულამდე სახეზე იყო ქალთა სამოქალაქო და პოლიტიკური პასიურობა, რაც სამოქალაქო საზოგადოებაში, პოლიტიკაში - საკანონმდებლო და აღმასრულებელ ორგანოებში გენდერული დისბალანსით გამოიხატებოდა.

გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მხარდაჭერით 2017 წელს ჩატარებული კვლევის მიხედვით, ქართველები პოლიტიკას „ბინძურ“ და „უხეშ“ საქმედ მიიჩნევენ, ქალს კი სუსტ არსებად, რომელიც ასეთ გარემოს ვერ გაუძლებს. ეს

[198] Caucasus Barometer 2010. Available at: http://www.crrc.ge/oda/ Accessed: August, 10.2012
[199] Beer,C. (2009), “Democracy and Gender Equality, Studies in Comparative International Development (SCID)”, *Business and Economics*, Volume 44, Issue 3, p.212-214

შედეგები ეხმიანება 2013 წელს ასევე გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მიერ ჩატარებულ სხვა კვლევას, რომელიც გენდერული თანასწორობის მიმართ საზოგადოებრივ დამოკიდებულებას სწავლობდა. ორივე კვლევის დასკვნები მოწმობს, რომ საზოგადოებრივი მენტალიტეტი წლებია არ შეცვლილა და თავად ქალებიც კი ეჭვქვეშ აყენებენ ქალი პოლიტიკოსების ძალასა და შესაძლებლობებს. [200]"ამ პრობლემის გარშემო ერთსულოვნების ნაკლებობაა", - ამბობს მაკა მეშველიანი, გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) გენდერული თანასწორობის პროექტის ხელმძღვანელი. [201]

ქალთა არასათანადო სამოქალაქო აქტივობა, დაბალი წარმომადგენლობა გადაწყვეტილებების მიმღებ პოზიციებზე და პოლიტიკის სფეროში არათანაბარი გადანაწილება, პირდაპირ კავშირშია ქვეყანაში გენდერული უთანასწორობის პრობლემის სიმწვავესთან. ამ პრობლემის მოგვარებაზე საქართველოში მუშაობა და მსჯელობა 1994 წელს დაიწყეს და შედეგად საქართველომ ქალთა ყველა დისკრიმინაციის საწინააღმდეგო კონვენციის (CEDAW) რატიფიკაცია მოახდინა . [202]უკანასკნელ ხანს როგორც ხელისუფლება, ისე ქალთა ორგანიზაციები აქტიურად მუშაობენ გენდერული თანასწორობის დამკვიდრებისა და შემდგომი განვითარებისთვის , თუმცა საერთაშორისო ინდექსის მიხედვით, ქვეყანას ჯერ კიდევ არცთუ ისე სახარბიელო მდგომარეობა აქვს. ეს კი ბუნებრივად აღძრავს კითხვას, თუ რას ფიქრობენ ამ საკითხზე

---

[200]ქალთა ხმა საქართველოს პარლამენტში, https://www.ge.undp.org/content/georgia/ka/home/ourperspective/ourperspectivearticles/2017/0/19/raising-women-s-voices-in-the-parliament.html

[201] იქვე

[202] Gaprindashvili, L.,Samnidze, Kh. (2011),"The Convention on the Elimination of All Forms of Discrimination against Women (CEDAW): Equality, Legislation and Reality". Available at: http://georgien.boellnet.de/downloads/CEDAW_final_publication.pdf. Accessed: August, 3.2012

ქალთა ორგანიზაციები, რომლებიც ერთ-ერთ ყველაზე უფრო გავლენიან სოციალურ აქტორებს წარმოადგენენ.

კვლევის მიზანი

ჩვენი კვლევის მიზანია დავადგინოთ და გავაანალიზოთ, თუ რას ფიქრობენ ქალთა საკითხებზე მომუშავე ექსპერტები და ორგანიზაციების ლიდერები საქართველოში გენდერული თანასწორობასა და ქალთა პრობლემებზე, სამოქალაქო საზოგადოების - ქალთა არასამთავრობო ორგანიზაციების როლზე ამ პრობლემების დაძლევაში? რომელ ხელისშემშლელ ფაქტორებს გამოყოფენ, როგორ აფასებენ საკანონმდებლო დონეზე განხორციელებულ ინიციატივებს და რას თვლიან ყველაზე უფრო ეფექტურ მექანიზმად გენდერული თანასწორობის მიზნის მიღწევის გზაზე.

მეთოდოლოგია

კვლევის მიზნების განსახორციელებლად შერჩეულ იქნა ნახევრად სტრუქტურირებული ჩაღრმავებული ინტერვიუ, სამიზნე ჯგუფად კი - ექსპერტები ქალთა საკითხებში, რომლებიც პარალელურად ქალთა არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები, ხელმძღვანელები ან პროექტის მენეჯერები არიან. მათ აქვთ საკმაო თეორიული და პრაქტიკული გამოცდილება და მოპოვებული აქვთ მიზნობრივი გრანტები. მათი მოძიება მოხდა „ქალთა ფონდი საქართველოში“ მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე.

ინტერვიუ ინგა ალავიძესთან, ჩაწერილია 2018 წლის სექტემბერში

ინგა ალავიძე- “ჟურნალისტთა ქსელი გენდერული თანასწორობისთვის” წარმომადგენელი, გენდერის საკითხების ექსპერტი

ინტერვიუ გვანცა ხონელიძესთან, ჩაწერილია 2018 წლის ნოემბერში

გვანცა ხონელიძე - ფემინისტური ჯგუფის "ქალთა მზერას" დამფუძნებელი, გენდერის საკითხების ექსპერტი, აქტივისტი

ინტერვიუ ნანა გოგოხიათან, ჩაწერილია 2018 წლის ნოემბერში,

ნანა გოგოხია - იძულებით გადაადგილებულ ქალთა ასოციაცია "თანხმობა" წარმომადგენელი, პროექტების მენეჯერი

ინტერვიუ ლიკა ნადარაიასთან, ჩაწერილია 2018 წლის დეკემბერში

ლიკა ნადარაია - "ფემინისტური კლუბის" დამფუძნებელი, გენდერის საკითხების ექსპერტი, ქალთა უფლებების დამცველი

ინტერვიუ თამარ ბაგრატიასთან ჩაწერილია 2019 წლის აპრილში,

თამარ ბაგრატია - გენდერის საკითხების ექსპერტი, ქალთა უფლებების დამცველი

ინტერვიუ ელენე რუსეცკისთან ჩაწერილია 2019 წლის აპრილში

ელენე რუსეცკი - "ქალთა საინფორმაციო ცენტრის" ხელმძღვანელი, გენდერის საკითხების ექსპერტი

ნახევრად სტრუქტურირებული ინტერვიუ მოიცავდა საქართველოში გენდერული თანასწორობისათვის განხორციელებული პოლიტიკის და სამოქალაქო საზოგადოების - ქალთა არასამთავრობო ორგანიზაციების როლის შესახებ გენდერული თანასწორობის მიღწევის საქმეში, არსებულ მექანიზმების ეფექტურობაზე და იმ პრობლემებზე, რაც ხელს უშლის გენდერული თანასწორობის მიღწევას მათი დაძლევის გზებზე.

თითოეული ინტერვიუ დაახლოებით 50-60 წუთი გაგრძელდა. ისინი ჩავწერეთ აუდიო დიქტოფონზე. მიღებული ინფორმაცია ცალ-ცალკე დავამუშავეთ ჩანაწერების დეტალური გაშიფვრისა და ტრანსკრიპტების მომზადების საფუძველზე.

საქართველოში ქალთა არასამთავრობო ორგანიზაციების როლი სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებასა და გენდერული თანასწორობის დამკვიდრებაში

ექვსივე ექსპერტი, რომელიც გამოკითხვაში მონაწილეობდა, აღნიშნავს, რომ უკანასკნელ დროს საკმაოდ გააქტიურებულია ძალისხმევა გენდერული თანასწორობის მიღწევისათვის, რათა ქალებს, მამაკაცებთან ერთად ქონდეთ თანაბარი შესაძლებლობები სოციალური და პოლიტიკური აქტივობისათვის და რესურსების თანაბარი წვდომისათვის, რაც სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ერთერთი ძირითადი მაჩვენებელია. თუ 90-იან წლებში სიტყვა „გენდერის“ შესახებ ცოტა ვინმემ თუ იცოდა, დღეს გენდერული თანასწორობის პრობლემა ჩვენი საზოგადოების ერთ-ერთ ყველაზე უფრო აქტუალურ საკითხს წარმოადგენს, დემოკრატიულობის ხარისხის მაჩვენებელია და ქვეყანას დასახული პოლიტიკური მიზნების მიღწევაში დაეხმარება.

გენდერული დისკრიმინაციის და ოჯახში ძალადობის აღმოფხვრის მიზნით ინიცირებულ და მიღებული იქნა 2006 წელს კანონი ძალადობის წინააღმდეგ, 2010 წელს კი კანონი გენდერული თანასწორობის შესახებ, რომელის ეხება პოლიტიკურ გაერთიანებებს და პოლიტიკასა და გადაწყვეტილებების მიღების პროცესში ქალთა მონაწილეობის გაზრდის ხელისშეწყობიკენ არის მიმართული. გარკვეულ წარმატებად შეიძლება ჩაითვალოს პარლამენტის თავმჯდომარესთან არსებული გენდერული თანასწორობის საკონსულტაციო საბჭოს მუდმივმოქმედ სტრუქტურად გადაკეთება, რომელიც აქტიურად მონაწილეობს გენდერული პოლიტიკის დაგეგმვისა და გატარების პროცესში.

გვანცა ხონელიძემ აღნიშნა, რომ ქალთა ორგანიზაციები სამოქალაქო საზოგადოების ფორმირებაში დიდ როლს თამაშობენ. ამ მხრივ დიდი მნიშვნელობა აქვს ქალთა სამოქალაქო აქტივობას. ქალები მოსახლეობის ნახევარზე მეტს შეადგენენ, შესაბამისად, გენდერული თანასწორობის პრობლემა დემოკრატიის უმნიშვნელოვანეს მაჩვენებელს წარმოადგენს. მან ილაპარაკა სახელმწიფოს პასუხისმგებლობაზე ქალთა ეკონომიკური გაძლიერების საქმეში და მის მნიშვნელობაზე. მან აგრეთვე აღნიშნა, რომ იგი მიესალმება წარმომადგენლობით ორგანოში ქალების არჩევისთვის კვოტების დაწესებას. ადრე მას ეს საკითხი არ მიაჩნდა პრიორიტეტულად, მაგრამ დღეს იგი ფიქრობს, რომ კვოტები

დაკავშირებულია ქალების სოციალურად გაძლიერებასთან და სახელმწიფოს პასუხისმგებლობის გაზრდასთან.

ხონელიძეს მიაჩნია, რომ ეკონომიკური გაძლიერება ძირითადად სამ მდგენელს მოიცავს: 1. წვდომა საკუთრებაზე, განსაკუთრებით მიწაზე; 2. საცხოვრისის უფლების რეალიზებას; 3. დანაზოგის შექმნის შესაძლებლობას მისი აზრით, ქალთა სამოქალაქო საზოგადოებამ სახელმწიფოს უნდა მოსთხოვოს აქტიური სოციალური პოლიტიკის გატარება და ამ თვალსაზრისით, ქალთა გაძლიერება. მისი აზრით, ქართულ სახელმწიფოს არ აქვს სამართლიანი გადანაწილების პოლიტიკა, ეს კი მძიმედ აისახება პირველ რიგში ქალებზე. მაგალითისთვის,, დღეს ძალადობის მსხვერპლი ქალები თავს ხშირად მხოლოდ დროებითი თავშესაფრის დაწესებულებებში აფარებენ თავს. საკმაოდ ძნელია მათთვის ეკონომიკური დამოუკიდებლობის მოპოვება, სახელმწიფო კი მათ სოციალურ პირობებზე და ეკონომიკურ გაძლიერებაზე პასუხისმგებლობას არ იღებს.

ექსპერტის აზრით, თქმით, „სამოქალაქო აქტივისტების და ქალთა ორგანიზაციების დაკვეთა უნდა იყოს არა მარტო კვოტები ქალებისთვის, არამედ სოციალური კეთილდღეობის, ჯანდაცვის, და განაწილების სხვა მექანიზმების გენდერული პერსპექტივის გათვალისწინებით შეთავაზება. აქ ასევე შესაძლებელია კეთილდღეობის სახელმწიფოების უკვე აპრობირებული მოდელების გამოყენება“.(გ.ხ.)

ელენე რუსეცკი თვლის რომ, ყველა ის მიღწევა, რაც დღეს გენდერული თანასწორობის თვალსაზრისით არის მიღწეული სამოქალაქო საზოგადოების, კერძოდ, ქალთა არასამთავრობო ორგანიზაციების დამსახურებაა. განსაკუთრებით დიდია მათი დამსახურება საზოგადოების გათვითცნობიერების და იმ პრობლემების აღიარების საქმეში, რომელიც საზოგადოებაში რეალურად არსებობს. სახელმწიფომ აღიარა ოჯახური ძალადობის პრობლემა, არასამთავრობო ორგანიზაციებმა კი ადვოკატირების მიზნით, გამოიყენეს სხვადასხვა პლატფორმები, საკანონმდებლო ორგანოსთან ურთიერთობა, მასმედია, უფლებადამცველი ორგანიზაციები და სხვ.

„ქალი გაცილებით უფრო დაცული გახდა არა მარტო ოჯახში, არამედ საჯარო სივრცეში, მეტი პირობები შეექმნა სოციალურ და პოლიტიკურ პროცესებში მონაწილეობისთვის. ქალების აქტივობა კიდევ უფრო იზრდება, თუ ამისათვის მათ აქვთ პოზიტიური მაგალითი. შესაძლებელი ხდება მათი ადამიანური და ინტელექტუალური რესურსის ქვეყნისთვის და თვითონ ქალებისთვის მეტად გამოყენება. ამას მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი იმ საკანონმდებლო ბაზის და ინსტიტუციების შექმნამ, რომელიც უშუალოდ ქალთა არასამთავრობო ორგანიზაციების და აქტივისტების მიერ იქნა ინიცირებული“.(ე.რ.)

ინგა ალავიძის აზრით, ქალთა ორგანიზაციებს მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვით ქალთა საკითხების პოლიტიკურ დღის წესრიგში მოხვედრაში. ის ძირითადი კანონები, რომლებიც იქნა მიღებული ბოლო წლებში ქალთა ორგანიზაციების მიერ ან მათი მნიშვნელოვანი ძალისხმევით იყო ინიცირებული, მნიშვნელოვანი იყო დონორთა აქტიურობაც. ქალთა ორგანიზაციები ერთი მხრივ, სახელმწიფო დონეზე ახორციელებენ ზეგავლენას, მეორე მხრივ, მნიშვნელოვანია საზოგადოებრივი მხარდაჭერის მოპოვება. ეს კი საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლებით არის შესაძლებელი.

„ძირითადი აქტივობები, რასაც ჩვენ ვახორციელებთ, არის აქციები, რომლის დროსაც ხდება საინფორმაციო გზამკვლევების დარიგება, ვაწყობთ მინი საინფორმაციო შეხვედრების ორგანიზება. ძირითადი სამიზნეა საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილები, ბაზრობები. ეს ყველაფერი კი ემსახურება გენდერული ცნობიერების ამაღლებას და გენდერული მგრძნობიარობის გაზრდას“. (ი.ა.)

ნანა გოგოხიამ აღნიშნა, რომ მათი ორგანიზაცია დევნილ ქალებთან მუშაობს. ამ ფარგლებში ისინი ყველა დონეზე ახორციელებენ, მათ შორის სახელმწიფო სტრუქტურებთან.

ექსპერტების შეფასებით წინა წლებთან შედარებით სიტუაცია იცვლება უკეთესობისაკენ, იგრძნობა ხელშეწყობა სახელმწიფოსაგან. აქტიურად წარმართული გენდერული თანასწორობის შედეგად, გაზრდილია იმ ადამიანების რიცხვიც, რომლებიც მიიჩნევენ, რომ ქალებს უნდა ქონდეთ დამოუკიდებელი ეკონომიკური შემოსავალი, რაც

უზრუნველყოფს მათ თავისუფლებას. პოლიტიკურ პროცესებში ქალების მონაწილეობის მცირედი, თუმცა ზრდის დადებითი ტენდენცია შეიმჩნევა. თუ ადრე ოჯახური ძალადობის თემას არასერიოზულად უყურებდნენ, დღეს საზოგადოებაში ეს თემა აქტუალურია და მოძალადეები გაკიცხვის საგანია, ხოლო ძალადობის მსხვერპლი ქალები უფრო თამამად ლაპარაკობენ ძალადობაზე და დისკრიმინაციაზე. ამ მონაცემებს მთელი რიგი კვლევებიც ადასტურებს, მაგრამ საჭიროა მუშაობის გამრავალფეროვნება და უფრო დახვეწილი და ეფექტური მიდგომების დანერგვა.

ლიკა ნადარაიას აზრით, დღეს საქართველოში ბევრი ექსპერტია, რომელიც იცავს ადამიანის უფლებებს. რასაც ვერ იტყვი კონკრეტულად ქალთა უფლებების დაცვაზე და, რომ საერთაშორისო დონის ექსპერტი მხოლოდ თავად არის. ეს კი მნიშვნელოვანია, რომ აქტუალურ საკითხებზე და სამოქალაქო აქტივობაზე შეძლო საერთაშორისო პლატფორმიდან ლაპარაკი, თუმცა ხშირად მას არავინ არაფერს არ ეკითხება. ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლა ჯერ კიდევ 1997 წელს დაიწყო. მასაც მიაჩნია, რომ ის მიღწევები რაც საქართველოს აქვს გენდერულ სფეროში ქალთა ორგანიზაციების დამსახურებაა. მაგრამ ამისთვის მადლობა არავის არ გადაუხდია არც საერთაშორისო და არც ადგილობრივ დონეზე. არც ამის აღიარება არ მომხდარა. ეს წარმატებები საერთაშორისო ორგანიზაციებმა და სახელმწიფო სტრუქტურებმა მიიწერეს. უკეთესი იქნებოდა სამოქალაქო საზოგადოების წიაღში უფრო აქტიურად ისმოდეს ქალთა ორგანიზაციების აქტიობის და როლის შესახებ. ამ მხრივ ჯერ კიდევ ბევრია გასაკეთებელი, რადგანაც, როდესაც ქალებზე და ბავშვებზე ვლაპარაკობთ - ეს ქვეყნის მოსახლეობის 2/3-დია და მათ კეთილდღეობაზე მთლიანად არის დამოკიდებული ქვეყნის კეთილდღეობა. მნიშვნელოვანია პროცესებში ახალი სოციალური ტექნოლოგიების ჩართვაც.

თამარ ბაგრატიას მიაჩნია, რომ გარკვეულ ეტაპზე ქალთა ორგანიზაციებმა დიდი როლი შეასრულეს ქალთა პრობლემების წამოწევასა და საზოგადოებრივი ცნობიერების გაზრდის მიმართულებით. მაგრამ დღეს აქტივობის ეს ფორმები საკმარისი აღარ არის. საჭიროა ალბათ ამ პრობლემისადმი მიდგომის გამრავალფეროვნება და დახვეწა. კარგი იქნებოდა სეგმენტური მიდგომის განვითარება.

„მე მიმაჩნია, რომ დღეს გენდერის პრობლემატიკაზე მომუშავე ადამიანების რაღაცნაირი ჩაკეტილი წრეა. ჩვენ ყველა ერთმანეთს ვიცნობთ და საკუთარ წვენში ვიხარშებით. ამ წრეს თუ ახალი ადამიანები შემოუერთდებიან ახალი იდეებით, ძალიან კარგი იქნება. არიან ადამიანები, რომლებიც მხოლოდ გენდერის თემატიკაზე მუშაობენ. ზოგიერთს სხვა პროფესია აქვს და პარალელურად გენდერულ საკითხებზე მუშაობს. მე პრიორიტეტს მეორე ტიპის ადამიანებს ვანიჭებ, რადგანაც მათი ხედვა უფრო ფართო და საინტერესოა. დღეს, მხოლოდ იმის მტკიცება, რომ ქალები დისკრიმინირებულები არიან, საკმარისი არ არის და, უბრალოდ მოსაწყენია“.(თ.ბ.)

ექსპერტების უმრავლესობამ აღნიშნა, რომ გენდერულ პრობლემებზე მუშაობა და გენდერული თანასწორობის რეალიზება არ უნდა იყოს მხოლოდ საერთაშორისო დონორებზე დამოკიდებული, რომლებიც თავიანთი სამოქმედო გეგმის შესაბამისად მოქმედებენ. ინიციატივა ქართული მხარიდან უნდა მოდიოდეს, რადგანაც ადგილობრივმა ორგანიზაციებმა უკეთესად იციან რა პრობლემებია და როგორ შეიძლება ამ პრობლემების გამოსწორება. გარდა ამისა გენდერული სტრუქტურები არა მხოლოდ პარლამენტში უნდა შეიქმნას, არამედ ყველა ორგანიზაციაში, რადგან საჭიროა უფრო ეფექტურად გატარდეს ცხოვრებაში გენდერული თანასწორობა.

მათი აზრით, მნიშვნელოვანი პრობლემაა ისიც, რომ ქალთა არასამთავრობო ორგანიზაციებს არა აქვთ კავშირი ქალთა ფართო მასებთან, ხოლო ხშირ შემთხვევაში დონორი ორგანიზაციების მიერ გამოყოფილი თანხების განაწილებაზე მონოპოლური ვითარებაა. თანხებს ერთი და იგივე ორგანიზაციების შეზღუდული რაოდენობა იღებს.

პრობლემაა ფინანსირების საკითხი. ქალთა ორგანიზაციები, რომლებიც გენდერული თანასწორობის პრობლემებზე მუშაობენ პირდაპირ არ ფინანსდებიან. არსებობს შუალედური რგოლი საერთაშორისო ფონდების და ორგანიზაციების სახით, რომლის გავლითაც ხდება ქალთა ორგანიზაციების დაფინანსება და საბოლოოდ ამ ფინანსების რაოდენობა ძალიან მწირია. (ე.რ.)

„ფინანსურ საკითხებზე ხანდახან გაუგებრობაც კი ყოფილა. ჩვენ იმდენი დრო გვჭირდება ფინანსებამდე მისასვლელად, რომ ეს საკითხი რთულ პრობლემად იქცევა ხოლმე“ (თ.ბ.).

„ქალთა ორგანიზაციებს გენდერული თანასწორობის საკითხების წინ წამოწევაში ლომის წვლილი აქვთ, მაგრამ ამის აღიარება არ მომხდარა და მადლობა არავის უთქვია არც სართაშორისო და არც საქართველოს დონეზე. სად დაიწერა, მაგალითად, რომ IRI-ს პროგრამა არის ჩემი შექმნილი? არის ეს სადმე აღნიშნული? არცერთმა საერთაშორისო ორგანიზაციამ არ გაითვალისწინა, რომ ადგილზე არსებობდა გარკვეული გამოცდილება და ქსელი. ეხლა გამოჩნდა რაღაც შვედური ორგანიზაცია და ჩვენთან შეუთანხმებლად შეაქვს პროექტი. ამ ყველაფერს კოლონიური ხასიათი აქვს, უხეში ჩარევით და ჩვენი ინტერესის და კულტურული თავისებურებების არგათვალისწინებით ამან გამოიწვია ჩვენი სტრუქტურის დანგრევა და სექსიზმი ეიჯიზმით შეცვალა. შენ ყოველმხრივ შევიწროვებული ხარ და გრძნობ იმას, რომ შეიძლება მეტი იცი, მაგრამ ისინი არ გაღიარებენ ექსპერტად. ვერაფრით ვერ შევდექი“.(ლ.ნ.)

„არასწორია ფინანსების განაწილება. ეს ფინანსები ნაწილდება დონორის შეხედულების მიხედვით და რა რეალური საჭიროებისამებრ“ . (ე.რ.)

ექსპერტებს მიაჩნიათ, რომ ქალთა პოლიტიკური აქტივობის ხელშეწყობისთვის ქალთა ორგანიზაციების უფრო მეტი მუშაობაა საჭირო. თამარ ბაგრატიას აზრით, ევროპულ ქვეყნებში მნიშვნელოვან როლს ასრულებენ პროფკავშირული ორგანიზაციები. ამის კარგი მაგალითია პარიზის მერის- ქალის არჩევნები.

ინგა ალავიძეს თვლის, რომ გენდერული თანასწორობის საკითხში საჭიროა უფრო აქტიურად იყოს ჩართული მედია და უფრო მგძნობიარე იყოს, უფრო აქტიურად გააშუქოს სოციალური საკითხები. ამ მხრივ, შედარებით აქტიურია ინტერნეტ გამოცემები. ისინი მეტი ინტერესით აშუქებენ გენდერულ საკითხებს. აქტუალურია, აგრეთვე, გენდერული ადვოკატირება, რადგან ქალები მოწყვლად ჯგუფად ითვლება. ბოლო პერიოდში ქალთა ორგანიზაცია „საფარიმ“ გააშუქა ქალთა სექსუალური

შევიწროების ფაქტები, რაც ადრე ნაკლებად ხდებოდა და მსხვერპლი ქალები ერიდებოდნენ ამაზე ლაპარაკს.

ექსპერტების უმრავლესობას მიაჩნია, რომ არასაკმარისია სახელმწიფოს მხრიდან განხორციელებული ღონისძიებები და გამოყოფილი ფინანსები, რომ წარმატებული გენდერული პოლიტიკის განსახორციელებლად გაცილებით უფრო მეტი ფინანსური, ადამიანური და სამართლებრივი რესურსია საჭირო.

მათი აზრით, ამ ეტაპზე საქართველოში გენდერული პოლიტიკის განსახორციელებლად ბევრად მეტი ფიზიკური, ადამიანური და ფინანსური რესურსია საჭირო, რომ ხშირად სახელმწიფო გენდერულ საკითხებზე რეაგირებას ახდენს იმის გამო, რომ საერთაშორისო თანამეგობრობის ზეწოლას განიცდის. მიუხედავად ამისა, მთლიანობაში შეიძლება ჩაითვალოს, რომ უკანასკნელ ხანებში მკვეთრად არის გაზრდილი ქალთა სამოქალაქო აქტივობა, რასაც სამოქალაქო საზოგადოება განვითარების ახალ ეტაპზე გადაყავს.

ზოგიერთმა ექსპერტმა აღნიშნა აგრეთვე იმის შესახებ, რომ არასამთავრობო ორგანიზაციებს და ხელისუფლებას კარგი ურთიერთობები უნდა ქონდეთ. რა თქმა უნდა ხელისუფლება კრიტიკის საგანი უნდა იყოს, როდესაც იგი ამას იმსახურებს, მაგრამ ეს უნდა იყოს კონსტრუქციული და ზრდილობის ნორმებში და არა ისე, როგორც ზოგიერთი არასამთავრობო ორგანიზაციის ლიდერი იქცევა.

„ხელისუფლებასთან ურთიერთობა აუცილებელია სწორი პოლიტიკის ჩამოყალიბებისა და ადვოკატირებისათვის. ჩემი კრიტიკა ჯანსაღი უნდა იყოს და არა მიკერძოებული. ხანდახან ჩემი კოლეგები ხელისუფლებას აკრიტიკებენ უხეში და უზრდელი ფორმებით.“ (ე.რ.)

„ ექსპერტების მოსაზრება თუ რატომ უნდა იყვნენ ქალები პოლიტიკურად აქტიურები და რატომ უნდა შეუწყოს არასამთავრობო სექტორმა ხელი მათ აქტიურობას

ჩვენს კვლევაში მონაწილე ექვსივე ექსპერტმა აღნიშნა, რომ გენდერული პოლიტიკის გატარება მიზნად ისახავს იმას, რომ თითოეულ მოქალაქეს, განურჩევლად სქესისა, რწმენისა, რასის და ეთნიკური კუთვნილებისა ქვეყანაში არსებული რესურსებისადმი თანაბარი ხელმისაწვდომობა ქონდეს, რომ გენდერული თანასწორობის მაჩვენებელი დემოკრატიის ხარისხის მაჩვენებელია. თითოეულს მიაჩნია, რომ გენდერული თანასწორობა ხელს შეუწყობს ქვეყნის მიერ დასახული დემოკრატიული პოლიტიკური მიზნების მიღწევას და სამოქალაქო საზოგადოების ვალია ამ პროცესს შეუწყოს ხელი.

„ის საზოგადოება, რომელშიც გენდერული თანასწორობა მაქსიმალურადაა დამკვიდრებული გაცილებით ჯანსაღია და უფრო მეტ ბედნიერ ადამიანს შეიცავს.“(ლ.ნ.)

ექსპერტების აზრით, ქალების მონაწილეობა პოლიტიკაში თვით პოლიტიკას აკეთილშობილებს. გადაწყვეტილების პროცესში მათი მონაწილეობა კი უზრუნველყოფს პოლიტიკური და სოციალური პრობლემების გადაჭრას.

„არაერთი კვლევით დადასტურებულია, რომ ქალთა მონაწილეობა უშუალოდ გადაწყვეტილების მიღების პროცესში მნიშვნელოვნად აუმჯობესებს მიღებული გადაწყვეტილების ხარისხს, რაც ცხოვრების ყველა სფეროზე თავისებურ გავლენას ახდენს, რადგანაც ქალმა უკეთესად იცის, თუ რა ჭირდება თავად ქალს, ბავშვს. იგი უფრო მეტად არის ჩართული ოჯახის საქმეში. შესაბამისად, მისი გადაწყვეტილება უფრო გააზრებულია და ის უფრო სწორ გადაწყვეტილებას იღებს. ზოგიერთ საკითხებში კაცები უფრო კომპეტენტურები არიან, ზოგიერთში კი ქალები, ამიტომ მათი მოტივაციები ნამდვილად გასათვალისწინებელია.“(ე.რ.)

„ჩვენ ვასრულებთ ხიდის როლს ქალებსა და გადაწყვეტილების მიმღებ ორგანიზაციებს შორის, რათა ქალების ხმა მათამდე მივიტანოთ და ხელისუფლებას შეუწყოთ ხელი სწორი გადაწყვეტილებების მისაღებელად, რათა ხელი შეეწყოთ ქალთა პოლიტიკური და საზოგადოებრივი აქტივობის გაზრდას.“

ექსპერტები თვლიან, რომ პოლიტიკაში ქალების სიმრავლე ნებისმიერი დემოკრატიული ქვეყნის სიძლიერეს წარმოადგენს და გენდერული თანასწორობის პოლიტიკის წარმატების მაჩვენებელია.

„ქალთა პოლიტიკაში ჩართულობა ნამდვილად სასურველი მოვლენაა ყველა დემოკრატიული ქვეყნისთვის. ასეთი ქვეყნების ხელისუფლების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები უფრო დაბალანსებულია და უფრო მეტი ადამიანის კეთილდღეობას ითვალისწინებს“.(ნ.გ.)

საქართველოში ჯერ კიდევ არ არის მიღწეული ქალთა სასურველი აქტიურობა პოლიტიკის სფეროში, თუმცა გარკვეული წინსვლა შეინიშნება საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო შტოებში ქალთა რაოდენობის ზრდის მაჩვენებლებით. საქართველოს პრეზიდენტად არჩეულ იქნა ქალი. ქალთა ჩართულობა პოლიტიკაში ამ მეტად რთულ მოღვაწეობის სფეროში პრობლემების გადაჭრის ახლებურ, განსხვავებულ შეხედულებებს და ეფექტურ გადაწყვეტილებებს შემოიტანს.

დღეს ბევრი სახელმწიფო აღიარებს, რომ ქალების მონაწილეობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში აუცილებელია. არაერთი კვლევით არის დადასტურებული, რომ გენდერული თანასწორობა წარმომადგენლობით ორგანოებში აუმჯობესებს გადაწყვეტილების ხარისხს და ქვეყანაში მიმდინარე პროცესებს. ეს გავლენას ახდენს ყველა სფეროზე. ქალმა უკეთ იცის ქალის და ბავშვის საჭიროება. ისინი მეტად არიან ჩართული ოჯახის საკითხებში, ამიტომაც საზოგადოების მეტ სეგმენტს მოიცავს და უფრო სწორე გადაწყვეტილებებს იღებს. (თ.ბ.)

„რა თქმა უნდა, ქალები უფრო კარგად ერკვევიან სოციალურ პრობლემებში. ქალები მათ თავიანთ პოლიტიკურ პროგრამებში რთავენ. ეს კი ქვეყანას ძალიან ადგება. დღეს ჩვენ ძალიან ბევრი სოციალურად დაუცველი და მოწყვლადი ჯგუფი გვყავს, ეფექტური პროგრამებით კი ვერ დავიკვეხნით“.(გ.ხ.)

საქართველოს პარლამენტის 2016 წლის 8 ოქტომბრის არჩევნებისთვის ამომრჩეველთა ერთიან სიაში რეგისტრირებული ამომრჩევლის უმრავლესობას ქალები შეადგენენ. ცენტრალური საარჩევნო კომისიის მონაცემებით, ამომრჩეველთა 53, 76 პროცენტი ქალი იყო. როგორც ცენტრალური საარჩევნო კომისიის გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარემ ზურაბ ხრიკაძემ აღნიშნა, ქალთა წარმომადგენლობის მაჩვენებელი, 2012 წლის საარჩევნო სიასთან შედარებით, მინიმუმ 2 პროცენტითაა გაუმჯობესებული, თუმცა ეს ვითარება, თავის მხრივ, ვერ აისახა საარჩევნო სიებსა და მაჟორიტარ კანდიდატებს შორის სქესთა ბალანსის დაცვაზე: "ტრადიციული დისბალანსი: პროპორციული სისტემით წარდგენილ კანდიდატებს შორის ჭარბობენ, რა თქმა უნდა, კაცები - 63 პროცენტი. შესაბამისად, 37 პროცენტი არის ქალი. ეს - ყველა პარტიის მიხედვით. მაჟორიტარულ სისტემაში, ტრადიციულად, კიდევ უფრო დიდი დისბალანსია: 82, 48 პროცენტი არის კაცი, 17, 52 პროცენტი - ქალი. დაახლოებით ასეთივე დისბალანსია იმ კანდიდატებს შორის, რომლებიც საინიციატივო ჯგუფების მიერ არიან წარდგენილნი: 85 პროცენტი - კაცი და 15 პროცენტი - ქალი, შესაბამისად".

ქალთა ორგანიზაციები, საარჩევნო სიებისა და მაჟორიტარული კანდიდატების გენდერული ანალიზის საფუძველზე, ვარაუდობდნენ, რომ 2016 წლის მოწვევის პარლამენტში ქალთა წარმომადგენლობა ვერ გაუმჯობესდებოდა. „ქალთა საინფორმაციო ცენტრის" დირექტორი ელენე რუსეცკის აზრით, ქალთა რაოდენობა არათუ გაიზრდებოდა, შესაძლოა შემცირებულიყო კიდეც და *2012 წლის 12-პროცენტიან* მაჩვენებელზე უარესი ყოფილიყო:

"დიახ, ჩვენ გვგონია, რომ უკეთესი პარლამენტი, ქალთა მონაწილეობის რაოდენობის მხრივ, ალბათ, არ იქნება, მაგრამ ჩვენ იმედს ვიტოვებთ, რომ იქიდან გამომდინარე, რომ ბევრი სახე ქალების გამოჩნდა, რომელიც კენჭს იყრის, აქვს გარკვეული გამოცდილება გენდერული თანასწორობის კუთხით, აქვს გარკვეული ცოდნა, უკეთეს ამინდს შექმნის პარლამენტში ამ თვალსაზრისით".

ელენე რუსეცკი ფიქრობს, რომ ციფრებისა და სტატისტიკის მიღმა უკეთესი განწყობაა ზოგადად საზოგადოებაშიც, სადაც გენდერული თანასწორობისა და გენდერული კვოტირების საკითხზე მკვეთრად შეცვლილია საზოგადოების რიტორიკა. მისი აზრით, ეს თემები საზოგადოებისთვის უცხო აღარ არის, მიუხედავად იმისა, რომ მიდგომები და პოლიტიკოსთა დაპირებები ფორმალობას ვერ გასცდა. შესაბამისად, აშკარაა, რომ ქვეყნის არჩევით ორგანოებში წარმომადგენლობითი დემოკრატია არ არსებობს. ნიდერლანდების მრავალპარტიული დემოკრატიის ინსტიტუტის წარმომადგენელი აღმოსავლეთ ევროპის სამეზობლოში ლევან ცუცქირიძე აღნიშნავს, რომ ეს დამაზიანებელია საზოგადოებისთვის: “მოცულობა, მიჩნეულია საერთაშორისო ლიტერატურაში, რომ ეს უნდა იყოს მინიმუმ 30-35 პროცენტი იმისათვის, რომ ქალთა პერსპექტივა, ქალთა თვალსაზრისი წარმოჩენილ იქნეს მუშაობაში, პოლიტიკაში და ამან მეტ-ნაკლები გავლენა მოახდინოს, თორემ სხვა შემთხვევაში საზოგადოება დარჩება ან, ყოველ შემთხვევაში, მისი ნაწილი ერთგვარი ცინიკური პოზიციით იმის მიმართ, რომ, აი, ვინც არიან, ისინი რას აკეთებენ“.

ქალთა პოლიტიკაში ჩართულობის საჭიროებას დეკლარირებულად თითქმის ყველა პოლიტიკური პარტია აღიარებს, თუმცა ეს საკითხი რომ მათთვის პრიორიტეტად არ იქცა, გამოვლინდა როგორც საკანონმდებლო დონეზე, ისე უშუალოდ წინასაარჩევნოდ, როდესაც აქტიურ პოლიტიკაში მხოლოდ ერთეული ქალებისთვის აღმოჩნდა ადგილი. კერძოდ, „ქართულმა ოცნებამ“ მაჟორიტარობის კანდიდატად მხოლოდ 4 ქალი წარადგინა, პარტიული სიის პირველ ოცეულში კი - 6. „ქართული ოცნების“ სრულ სიაში 155 კანდიდატიდან მხოლოდ 18-ია ქალი. „ნაციონალური მოძრაობის“ 200 კანდიდატიდან 48 ქალია. ამ მხრივ შედარებით უკეთ წარმოაჩინეს თავი თავისუფალმა დემოკრატებმა და რესპუბლიკელებმა, რომლებმაც პარტიულ სიაში 30-პროცენტიანი კვოტა დაიცვეს და, შესაბამისად, პარლამენტში შესვლის შემთხვევაში ბიუჯეტიდან კანონმდებლობით გათვალისწინებულ ფინანსურ დანამატს მიიღებენ. მათ მაჟორიტარებად 9-9 ქალი წარადგინეს, პარტიული სიის პირველ ოცეულებში კი - 7-7.

ქალთა პოლიტიკური გაძლიერებისა და ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის გაზრდის მთავარ საშუალებად საქართველოში ქალთა მოძრაობის აქტივისტები გენდერული კვოტირების შემოღებას მიიჩნევდნენ. 2014-2016 წლებში საქართველოს პარლამენტმა ორჯერ ჩააგდო საკანონმდებლო დონეზე კვოტირების, როგორც გენდერული თანასწორობის, დროებითი ნორმის, განხილვის საკითხი, თუმცა 2016 წლის 8 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებისთვის წარდგენილი პარტიული სიებისა და მაჟორიტარი კანდიდატების რაოდენობრივი და გენდერული ანალიზის საფუძველზე კიდევ უფრო გამყარდა აზრი იმის შესახებ, რომ გენდერული თანასწორობის მიღწევა პოლიტიკაში შესაძლებელია კანონის ძალით და არა პოლიტიკოსების დაპირებებით. გაეროს განვითარების პროგრამის პროექტის ხელმძღვანელი მაკა მეშველიანი ფიქრობს, რომ ქალთა ორგანიზაციები ბრძოლას კვოტების მხარდასაჭერად საპარლამენტო არჩევნების შემდგომაც აქტიურად გააგრძელებენ:

“ჩემთვის რამდენადაც ცნობილია, მათი სტრატეგია უნდა იყოს 2017 წლის არჩევნებისთვის განაგრძონ, ასე ვთქვათ, აქტიური ადვოკატირება კვოტებისა, თუმცა აქ განიხილება, არ არის გადაწყვეტილი, მაგრამ განიხილება ისიც, რომ მოხდეს ფოკუსირება ადგილობრივი თვითმმართველობის სისტემაზე მორგებული კვოტირების მექანიზმისა, მით უმეტეს იმის ფონზე, როდესაც სრულიად ბურუსითაა მოცული 2020 წლის მოწვევის პარლამენტი როგორ დაკომპლექტდება საარჩევნო სისტემასთან მიმართებაში - ეს მაჟორიტარული ოლქები გაუქმდება, არ გაუქმდება თუ როგორ იქნება“. (მ.მ.)

რაც შეეხება გენდერულ ბალანსს, ზოგადად, 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებისას საქართველოს ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ არჩევნების გენდერული სტატისტიკის ფარგლებში შეკრიბა და გამოაქვეყნა როგორც ამომრჩევლისა და საარჩევნო სიების გენდერული ბალანსის სტატისტიკა, ასევე დამკვირვებლების, მედია და საარჩევნო სუბიექტებისა და საარჩევნო ადმინისტრაციების სტატისტიკაც. ამ მონაცემების თანახმად, 76 პროცენტით მამაკაცები ჭარბობენ ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში, ძირითად და დროებით ოლქებში კი უმრავლესობაში ქალები არიან. საარჩევნო სუბიექტების წარმომადგენელთა შორისაც 54 პროცენტით უპირატესობა

ქალებს აქვთ, მედიის წარმომადგენლებს შორის 61 პროცენტით კაცები ლიდერობენ, 67 პროცენტია ქალთა წარმომადგენლობა ადგილობრივ სადამკვირვებლო ორგანიზაციებში, საერთაშორისო ორგანიზაციებში კი ქალებისა და მამაკაცების ბალანსი იდეალურად, 50-50-ზე პროცენტითაა დაცული.[203]

2017 წლის 21 დეკემბერს საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ კვლევის - „2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა არჩევნების გენდერული ანალიზი, ძირითადი მიგნებები და გამოწვევები“ შუალედური შედეგების პრეზენტაცია გამართა. კვლევა პროექტის - „საქართველოში კონკურენტული, სამართლიანი და ინკლუზიური საარჩევნო გარემოს ხელშეწყობა 2016-2018 საარჩევნო ციკლისთვის“ ფარგლებში ხორციელდებოდა, რომელიც ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) ფინანსური მხარდაჭერით ჩატარდა. პროექტის მიზანს წარმოადგენდა საქართველოში ინკლუზიური, კონკურენტული და გამჭვირვალე საარჩევნო პროცესების ხელშეწყობა.

კვლევის ფარგლებში შესწავლილი და გაანალიზებული იქნა საქართველოს კანონმდებლობა (მათ შორის, პოლიტიკის დოკუმენტები), მიმოხილული იქნა საერთაშორისო სტანდარტები და საქართველოს მიერ ნაკისრი საერთაშორისო ვალდებულებები პოლიტიკურ-საარჩევნო პროცესებში ქალთა ჩართულობასთან დაკავშირებით. ასევე, მოხდა პრაქტიკის შესწავლა ქალთა პოლიტიკური და საარჩევნო უფლებების განხორციელების თაობაზე. კვლევა ეტაპობრივად, 2016-2018 საარჩევნო წლების ჭრილში განხორციელდა.

2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების კვლევის ფარგლებში გამოკვეთილი ძირითადი მიგნებები და გამოწვევები:

- 2017 წლის ადგილობრივმა არჩევნებმა კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ ბუნებრივი გზით ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის ზრდა საქართველოში ვერ მიიღწევა;

[203] მჭედლიშვილი ნ. გენდერული სტატისტიკა 2016 წლის არჩევნებზე, https://www.radiotavisupleba.ge/a/genderuli-statistika/28039722.html

- 2017 წლის არჩევნების შედეგად, ქალთა რაოდენობა წინა ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებთან მიმართებით დაახლოებით 1.5%-ით გაიზარდა და 13.46% შეადგინა;

- 64 არჩეული მერიდან მხოლოდ ერთი მერია ქალი (1.56%);

- 2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებმა კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ მაჟორიტარული არჩევნები ხელს არ უწყობს ქალთა მონაწილეობის ზრდას, რადგან მაჟორიტარული სისტემით არჩეული ქალების რაოდენობა (8%) პროპორციულთან (19.59%) შედარებით მნიშვნელოვნად დაბალია;

- 64 საკრებულოდან 22 საკრებულოში მაჟორიტარული წესით არჩეული ქალების რაოდენობა არის 0.

- ადგილობრივმა არჩევნებმა აჩვენა, რომ პრობლემას წარმოადგენს პარტიების მხრიდან მაჟორიტარულ არჩევნებში კანდიდატებად წარუდგენლობა და არა - ამომრჩევლის მხრიდან ქალი კანდიდატების მხარდაჭერა. თუ პარტია წარადგენს ქალ კანდიდატს, ამომრჩეველი მას მხარს უჭერს, მაგალითად, ნინოწმინდაში, ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ თვითმმართველ ერთეულში მერად არჩეული იყო ქალი.

- გენდერული დანამატი, რომელსაც პოლიტიკური პარტიები იღებენ, ხშირად არ გამოიყენება პარტიაში ქალთა გაძლიერებისთვის. სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსებული 18 პოლიტიკური პარტიიდან გენდერულ დანამატად იღებს 15 პოლიტიკური პარტია, თუმცა, ადგილობრივ თვითმმართველობებში ქალთა რაოდენობა კვლავ ძალიან დაბალია;

კვლევის განხორციელება შესაძლებელი გახდა პროექტის -„საქართველოში კონკურენტული, სამართლიანი და ინკლუზიური საარჩევნო გარემოს ხელშეწყობა 2016-2018 საარჩევნო ციკლისთვის“ ფარგლებში. პროექტი მხარდაჭერილი იყო ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მიერ. გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნოდათ საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციას და შესაძლოა არ გამოხატავდა დონორი ორგანიზაციის შეხედულებებს.

- წამახალისებელი ნორმის ხარვეზი, კერძოდ, ათეულში ქალების პოზიციონირების არარსებობა, ვერ უზრუნველყოფს ქალთა რაოდენობის ზრდას დაფინანსების პროპორციულად. ხშირად ვხვდებით ქალებს მე-8, მე-9 და მე-10 პოზიციებზე, რაც მათ შანსს არ აძლევს, მოხვდნენ გამსვლელთა რიგებში, განსაკუთრებით ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების დროს, როდესაც საკრებულოში სულ 15 ადამიანია ასარჩევი და გამსვლელ პარტიებს 5 ადამიანზე მეტი ვერ გაჰყავთ;

- რეგიონში პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები ფიქრობენ, რომ ქალთა რაოდენობა პოლიტიკაში, როგორც ქვეყნის მასშტაბით, ისე მათ რეგიონში, არის საშუალო (53.5%) ან დაბალი (31.4%), თუმცა, საკუთარ პარტიებში ისინი ამას ვერ ხედავენ და ფიქრობენ, რომ ქალთა რაოდენობა არის საშუალო ან მაღალი;

- რეგიონში პოლიტიკური პარტიების წარმომადგენელთა 73.3% მხარს უჭერს სავალდებულო გენდერული კვოტის შემოღებას ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის გაზრდის მიზნით;

- Ჯეგიონში პოლიტიკური პარტიების წარმომადგენელთა 87% ისურვებდა მეტ ქალს საკუთარი რაიონის საკრებულოში.[204]

ამგვარად, დისერტაციაში შესწავლილი თეორიული მასალის ანალიზი და ემპირიული კვლევა გვაძლევს საშუალებას გავაკეთოთ შემდეგი დასკვნები და შევიმუშაოთ რიგი რეკომენდაციები

[204] ქალთა ჩართულობა პოლიტიკაში, ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, 2017, 2017-12-21https://gyla.ge/ge/post/qalta-chartuloba-politikur-procesebshi#sthash.aB3zJhs8.dpbs

დასკვნა

დასკვნაში ჩამოყალიბებულია კვლევის ძირითადი შედეგები, პასუხები საკვლევ კითხვებზე, ჰიპოთეზის დადასტურება და კონკრეტული რეკომენდაციები საქართველოში ქალთა არასამთავრობო ორგანიზაციების როლის შესახებ სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბების პროცესში და გენდერული ბალანსის მიღწევისა და პოლიტიკურად დაბალანსებული პოლიტიკის დასამკვიდრებლად, რაც გულისხმობს შემდეგს:

• საზოგადოება - ადამიანთა ურთიერთქმედებაა გარკვეულ სოციალურ, ეკონომიკურ და სულიერ პირობებში. იგი არის სხვადასხვა სოციალური ინსტიტუტების, ორგანიზაციების და მექანიზმების სისტემა. ინგლისელი სოციოლოგის თომას ბოტომერის აზრით, ეს არის ხალხის დიდი ერთობა, რომელიც სოციალური ორგანიზაციის კომპლექსურ ნიმუშში ერთობლივად ახორციელებს სოციალურ ცხოვრებას. სამოქალაქო საზოგადოება კი ყველაზე უფრო გავრცელებული დეფინიციის თანახმად, პიროვნებების სპონტანური თვითმმართველობისა და მოქალაქეთა მიერ ნებაყოფლობით ჩამოყალიბებული ასოციაციებისა და ორგანიზაციების სფეროა, რომელიც სახელმწიფოს მხრიდან პირდაპირი ჩარევისა და თვითნებური რეგლამენტაციისაგან კანონით არის დაცულია. შესაბამისად, ჯანსაღი სამოქალაქო საზოგადოების არსებობა ქვეყნის დემოკრატიული განვითარების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მაჩვენებელია.

• სამოქალაქო საზოგადოებს და მისი სტრუქტურები უზრუნველყოფენ კოლექტიური ცხოვრების დემოკრატიული ფორმის მდგრადობას, საზოგადოების ევოლუციის, კულტურის და თვითგანვითარების, კონფლიქტების დარეგულირების და სხვ. პროცესებს.

• ამიტომაც, საქართველოში სამოქალაქო საზოგადოების არსებობის აქტუალურობას განსაზღვრავს ჩვენი ქვეყნის მისწრაფება, შექმნას სტაბილური დემოკრატია, განვითარებული სამოქალაქო საზოგადოებით, სადაც დემოკრატიული ღირებულებები

გადაიქცევა დამკვიდრებულ და გაზიარებულ წესებად და ნაკლებად იარსებებს სახელმწიფოს ავტორიტარიზმისაკენ გადახრის საფრთხე.

• საზოგადოების დემოკრატიული ტრანსფორმაციის თეორიული კონცეფციები და პრაქტიკა გულისხმობს ადამიანთა საზოგადოებრივი ცნობიერების, გარკვეული ღირებულებების, პოლიტიკისა და მართვის მოდელებს. მიიჩნევენ, რომ პოლიტიკური, მმართველობითი და სულიერი ზემოქმედების ობიექტს აქვს თვითგანვითარების ის უნარი, ამიტომ სუბიექტმა თვითრეგულირების მექანიზმზე ისეთი ზემოქმედება უნდა მოახდინოს, რომელიც მათ მაქსიმალურ თავისუფალ განვითარებას უზრუნველყოფს. როგორც საზოგადოების განვითარების ისტორიამ და პრაქტიკამ გვიჩვენა, თეორია არ პასუხობს ყოველთვის იმ კითხვებს, რომლებსაც აყენებს სოციალური სინამდვილე. მის განხორციელება დამოკიდებულია ისტორიულ, სოციალურ, კულტურულ და ბევრ სხვა ფაქტორზე, რომლის გათვალისწინება, წინასწარ გათვლა და შედეგების გამოცნობა სიძნელეს წარმოადგენს.

• ქალთა ორგანიზაციების როლი სამოქალაქო საზოგადების ჩამოყალიბების პროცესში მეტად მნიშვნელოვანია, ვინაიდან პოლიტიკური ძალაუფლების და რესურსების არათანაბარი ხელმისაწვდომობის პირობებში, ისინი უზრუნველყოფენ ქალთა მიზნებისა და ინტერესების არტიკულაციისათვის საჭირო განსხვავებული არხებს. ამასთან ქალთა არასამთავრობო ორგანიზაციები საქართველოში არის პრაქტიკულად ხელს უწყობენ ისეთი სამოქალაქო ღირებულებების დამკვიდრებას, როგორიცაა გენდერული თანასწორობა და სამართლიანობა. ქალთა ორგანიზაციები ასრულებენ კრიტიკულ როლს გენდერული დღის წესრიგის ჩამოყალიბებასა და წინ წამოწევაში სახელმწიფო დონეზე.

• თანამედროვე ეტაპზე ქალთა დისკრიმინაციის აღმოფხვრის საკითხი საზოგადოების დემოკრატიული განვითარების სულ უფრო და უფრო აქტუალური საკითხი ხდება. გაერთიანებული ერების ორგანიზაცია გენდერული უთანასწორობას მიაკუთვნებს გლობალურ პრობლემათა რიცხვს და რეკომენდაციას უწევს წევრ სახელმწიფოებს შეცვალონ არსებული გენდერული მოდელები, რომლებიც

პატრიარქალურ მიდგომებსა და ორმაგ სტანდარტებს ეყრდნობიან, შესაბამისად სამოქალაქო საზოგადოებისთვის, როგორც დემოკრატიის სადარაჯოზე მყოფი ფენომენისთვის ძალზედ მნიშვნელოვანია გენდერული თანასწორობის ღირებულებების გაზიარება, რეალიზება და ჩვენს ცხოვრებაში დამკვიდრება .

• ქალთა ორგანიზაციების მიერ გაწეული ძალისხმევის მიუხედავად, ქალთა დისკრიმინაციის პრობლემა საზოგადოებაში კვლავ აქტუალურია. "საქართველოში არსებული არასამთავრობო ორგანიზაციების, დაახლოებით 12% გენდერის თემაზე მუშაობს. შეიძლება ითქვას, რომ ეს რიცხვი არცთუ ისე მცირე, თუმცა მათ ხელთ არსებული რესურსი და გადაწყვეტილების მიღების ბერკეტი, არასაკმარისია მნიშვნელოვანი სოციალური ძვრების დასაწყებად."

• სახელმწიფო პოლიტიკასა და გადაწყვეტილების მიღების პროცესზე ზეგავლენის მოხდენის მიზნით ქალთა არასამთავრობო ორგანიზაციები ახორციელებენ ადვოკატირების კამპანიას, რომელიც თავის მხრივ მოიცავს შეხვედრებში, დებატებში მონაწილეობის მიღებას, კონფერენციების ორგანიზებას, საზოგადოების მობილიზებას, აქციების, დემონსტრაციების ორგანიზებას, კვლევების წარმოებას, კანოპროექტების შემუშავებას და ლობირებას, აქტიური ვებ-გვერდების და სოციალური მედია ანგარიშები წარმოებას, სხვადასხვა ღონისძიებების ორგანიზებას საინფორმაციო საშუალებების ყურადღების მისაპყრობად.

• ქალთა არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ განხორციელებული საქმიანობის ეფექტურობაზე ზეგავლენას ახდენს საერთაშორისო მხარდაჭერა, ხელისუფლების წარმომადგენლებთან კარგი ურთიერთობა, ქალთა არასამთავრობო ორგანიზაციების მფლობელობაში არსებული მატერიალური და არამატერიალური რესურსები.

• ძირითადი წინააღმდეგობები, რომლებსაც ქალთა არასამთავრობო ორგანიზაციები აწყდებიან მოღვაწეობის პროცესში არის: უცხოურ დონორებზე ფინანსური დამოკიდებულება, ქალების და მთლიანად საზოგადოების მხრიდან ნდობის და მხარდაჭერის ნაკლებობა, ქალთა არასამთავრობო ორგანიზაციებსა და სამთავრობო

დაწესებულებებს შორის ურთიერთობის ამბივალენტური ხასიათი. ეს უკანასკნელი გამოიხატება იმაში, რომ ერთის მხრივ მიმდინარეობს აქტიური კონსულტაციები მათ შორის, ხოლო მეორე მხრივ სუსტია "უკუკავშირი" ხელისუფლების მხრიდან. ხელისუფლება არ იღებს ქალთა ორგანიზაციებთან სრულყოფილ პოლიტიკურ დიალოგში მონაწილებას და რეალური ცვლილებების მოსახდენად არ ავლენს საკმარის პოლიტიკურ ნებას.

• ქალთა არასამთავრობო ორგანიზაციები აქტიურად ლობირებენ ქალთა ინტერესებს საკანონმდებლო დონეზე, ასევე მუშაობენ გენდერული გათვითცნობიერების კუთხით, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ ქალის როლის სათანადო გამოკვეთა პოლიტიკურ ასპარეზზე ვერ ხერხდება. „მათ წარმატებებს აქვთ ფრაგმენტული ხასიათი, ქალთა ორგანიზაციები ჯერჯერობით ვერ ახერხებენ სახელმწიფო დონეზე აქტიური ლობირება გაუწიონ ქალთა ინტერესებს, სუსტია მათი გავლენა საზოგადოებრივი აზრის ფორმირებაზე.“ ამიტომ კარგი იქნება თუ ქალთა არასამთავრობო ორგანიზაციები მეტ ყურადღებას დაუთმობენ საზოგადოებასთან და მასმედიასთან თანამშრომლობას, კიდევ უფრო გააქტიურებენ გენდერული პრობლემატიკის ადვოკატირებას სახელმწიფო დონეზე.

• მიუხედავად მცდელობის, მთელი რიგი გატარებული ღონისძიების და ამ მიმართულებით მიღწეული პროგრესისა, არასამთავრობო სექტორი საქართველოში ვერ გახდა საზოგადოებრივი და პოლიტიკური ცხოვრების მნიშვნელოვანი აქტორი. აშშ–ს განვითარების სააგენტოს (USAID) მიერ გამოქვეყნებული არასამთავრობო ორგანიზაციების მდგრადობის ყოველწლიური ინდექსის მიხედვით, "საქართველოს სამოქალაქო საზოგადოება ბოლო წლების განმავლობაში უცვლელად იმყოფება მდგრადობის კატეგორიაში, რომელიც ,,წრეზე ბრუნავს“, დადებითი თუ უარყოფითი მიმართულებით სვლის გარეშე."

საქართველოში სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერებისა და ქალთა არასამთავრობო ორგანიზაციების როლისა და ქალთა აქტივობის გაზრდისათვის, რაც დღევანდელი დემოკრატიული საზოგადოების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შემადგენელი

ნაწილია, მიზანშეწონილი იქნება შემდეგი წინადადებების გათვალისწინება:

- ფულადი სახსრების ნაკლებობა, როგორც უკვე აღინიშნა, მნიშვნელოვანი ბარიერია ქალთა აქტივობისთვის. კარგი იქნება თუ შემუშავდება სპეციალური მხარდამჭერი პროგრამები, რომლებიც გასცემენ გრანტებს. მსგავსი ფონდები არსებობენ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში. ერთ–ერთ საუკეთესო მაგალითად შეიძლება ვახსენოთ „ემილის ლისთი“, რომელიც დაარსდა ამერიკის შეერთებულ შტატებში 1985 წელს. მისი მიზანია ქალი კანდიდატების რეკრუტირება, მათთვის ფინანსური დახმარების გაწევა და და ქალი ამომრჩევლების მხარდაჭერის მობილიზება მთელი ქვეყნის მასშტაბით.

- საკანონმდებლო ბაზის ექსპერტიზა;

- სახელმწიფო ინსტიტუციური მექანიზმების ფორმირება და ყველა უწყების სამოქმედო გეგმაში ქალთა არასამთავრობო ორგანიზაციების რეკომენდაციების გაცნობა და გენდერული პარამეტრების, როგორც საინდიკატორო ფაქტორის შეტანა, საბიუჯეტო და საგადასახადო პოლიტიკის შემუშავებისას მათი გათვალისწინება

- გენდერული სტატისტიკის და მონაცემების გაუმჯობესა და დახვეწა;

- ქალთა არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ ქალთა უფრო ფართო მასების ჩართვა თავიანთ საქმიანობაში;

- ბაზის შექმნა ქალთა პროფესიული მონაცემების მიხედვით, რომელიც მისცემს საშუალებას ქალთა არასამთავრობო ორგანიზაციებს რეკომენდაცია გაუწიონ სათანადო კადრებს ვაკანსიების დასაკავებლად;

- ანალოგიური მექანიზმების შემუშავება პოლიტიკური პარტიებისთვის. პრეზიდენტის აპარატში სპეციალური კომისიის შექმნა, ქალთა არასამთავრობო ორგანიზაციების მონაწილეობით, რომელიც კონტროლს გაუწევს ქალთა დასაქმების საკითხს;

- სამშვიდობო მოლაპარაკებებში ქალთა ჩართვა;
- ქალთა სამართლებრივი განათლების დონის ამაღლების უზრუნველყოფა;
- ინფორმაციულობის ზოგადი დონის ამაღლება ქალთა სამოქალაქო აქტიობასა და პოლიტიკაში ჩართვის აუცილებლობის შესახებ და სხვადასხვა დონეზე საგანმანათლებლო პროგრამების ინიცირება;
- ქალებისთვის და გოგონებისთვის ისეთი პროგრამების განხორციელება, რომელიც ხელს შეუწყობს მათი თვითშეფასების უნარის გაძლიერებას და მათ თავდაჯერებულ და მიზანსწრაფულ ადამიანებად აქცევს;
- მასმედიის საშუალებების: პრესის, ტელევიზიის, რადიოს, პოლიტიკური პარტიების, არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ აქტიური მუშაობის ჩატარება მედია კამპანიების ჩატარება, რომელიც ხელს შეუწყობს ქალთა საზოგადოებრივ და პოლიტიკურ აქტიობას და ამ მიმართულებით ჟურნალისტთა შესაძლებლობების გაძლიერებას;
- საზოგადოებრივად და პოლიტიკურად აქტიური ქალების პოპულარიზაცია და შემდგომი ხელშეწყობა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1.არატიანი პ., საქართველოს ახალი ისტორიის ნარკვევები, თბილისი, "მეცნიერება, 1986

2. გაფრინდაშვილი ლ. ფემინიზმი და ქალის უფლებები: მოძრაობა ნაპირიდან ცენტრისაკენ, http://www.feminismboell.org/ka/2014/05/08/peminizmi-da-kalis-uplebebi-mozraoba -napiridan-centrisaken უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 17.12.2019

2. გენდერი და პოლიტიკა ქართულ სინამდვილეში, ათასწლეულის განვითარების მიზნები,

https://developmentgoals.wordpress.com/2013/04/23/gender/ უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 17.12.2019

3. გენდერული თანასწორობა და საარჩევნო ადმინისტრაცია: საუკეთესო გამოცდილების სახელმძღვანელო. (2014). საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდი, (IFES).

4. გაზეთი „დროება“ #23.1870

5. გოგებაშვილი ი. რჩეული თხზულებანი, ტ.1, გვ. 311

6. გოდერიძე ლ. „კულტურულ-საგანმანათლებლო მოძრაობა საქართველოში მე-საუკუნის მეორე ნახევარსა და მე-20 საუკუნის დასაწყისში“, თბ. 2006,

7. ევროკავშირის სტრატეგია საქართველოს სამოქალაქო საზოგადოებასთან თანამშრომლობისთვის, (2014–2017წწ.) http://eeas.europa.eu/delegations/georgia/documents/civil_society_library/roadmap_final_ka.pdf უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 17.12.2019

8. ექსპრესნიუსი, საქართველოს ქალაქებში აქცია „მეტი ქალი პარლამენტში“ იმართება. http://epn.ge/?id=2920, 2015.03.08 უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 17.12.2019

9. თევზაძე გ; (2003), მესამე სექტორის საზოგადოებრივი იმიჯი. საჯარო დისკუსიი მასალები. მშვიდობის, დემოკრატიის და განვითარების კავკასიური ინსტიტუტი.

10. კავკასიის ბარომეტრი, ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: http://www.crrc.ge/ge/caucasusbarometer/online/

უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 17.12.2019

11. კვესელავა ი. საქართველო XX საუკუნის 70-80-იან წლებში (საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობა), თბ. 1999, გვ. 172

12. კიკნაძე თ., დონაძე ნ. გენდერი-სოციალური და პოლიტიკური სწავლებანი, ღია საზოგადოება-ფონდი საქართველო, თბ.2006.

12. კოლა დომინიკ , პოლიტიკური სოციოლოგია. 1999 წ.

13. კოპალიანი ბ. სამოქალაქო საზოგადოება საქართველოში - რეალობა და პერსპექტივები, დისერტაცია სოციალურ მეცნიერებათა დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, თბ. 2016

14. ლორთქიფანიძე შ. პატარაია თ. საქართველოს სამოქალაქო ორგანიზაციების ჩართულობა საჯარო პოლიტიკის დიალოგში. Civil society Dialogue for progress 2014 წ.

15. ლოსაბერიძე დ; საქართველოს სამოქალაქო საზოგადოების შეფასება, მშვიდობის, დემოკრატიის და განვითარების კავკასიური ინსტიტუტი, 2011 წ.

16. მარგველაშვილი გ.: კარგი იქნება საქართველოს მე-5 პრეზიდენტი ქალი იყოს, (16.04.2015). *ტაბულა*, იხ. http://www.tabula.ge/ge/story/93856-margvelashvili-kargi-iqneba-saqartvelos-me-5-prezidenti-qali-ikos უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 17.12.2019

17. მაღალი დონის კონფერენცია "საკანონმდებლო ცვლილებები და ქალთა პოლიტიკური მონაწილეობა" გაიმართა. (16.04.2017). *ედიტორი*. იხ. ვებ-გვერდზე: http://editori.ge/?p=16166 უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 17.12.2019

18. მაცაბერიძე მ. დემოკრატიის ქართული მოდელის ძიება საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მაგალითზე, #1(17), 2008, http://aaf.ge/index.php?menu=2&jurn=17&rubr=0&mas=632

19. მეტრეველი ეკატერინე, დისერტაცია „პოლიტიკური კულტურის გენდერული ასპექტი (პოსტსაბჭოთა საქართველოს მაგალითზე)", 09.12.2010

20. მსხილაძე ქ; (2012). გენდერული სტერეოტიპები ქართულ მედიაში. მედიის განვითარების ფონდი. თბილისი. გვ. 9

21. მუსხელიშვილი მ, სამოქალაქო საზოგადოება შედარებითი ანალიზი, სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი, თბილისი, 2006 წ.

22. მოქალაქეთა მონაწილეობის შედარება: კავკასიის 2007 წლის მონაცემები, კავკასიის საზოგადოებრივი მეცნიერებანი. ინფორმაცია ხელმისაწვდომია: http://crrc-caucasus.blogspot.com/2008/10/ comparing-civic-participation-caucasus.html უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 17.12.2019

23. მჭედლიშვილი ნ. გენდერული სტატისტიკა 2016 წლის არჩევნებზე, https://www.radiotavisupleba.ge/a/genderuli-statistika/28039722.html უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 17.12.2019

24. ნოდია გ. „სამოქალაქო საზოგადოების განვითარება საქართველოში: მიღწევები და გამოწვევები“, თბილისი, 2005

25. ნიკოლაძე ნ. თხზულებანი, ტ. 1,. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა,

26. რადიო თავისუფლება, აქციები ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ. ინფორმაცია ხელმისაწვდომია: http://www.radiotavisupleba.ge/media/photogallery/akciebi-kalta-mimart-dzaladobis-tsinaaghmdeg/26709747.html, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 17.12.2019

27. სამოქალაქო საზოგადოება: შედარებითი ანალიზი, ღია საზოგადოება, ფონდი საქართველო, 2007

28. საჯარო პოლიტიკის, ადვოკატირებისა და სამოქალაქო საზოგადოების განვითარება საქართველოში (G-PAC), 2014 წლის ანგარიში სამოქალაქო ჩართულობის შესახებ, გვ. 11 ინფორმაცია ხელმისაწვდომია:http://www.crrc.ge/uploads/files/reports/FINAL_GPAC_2014_Civic_Engagement_Report_04.08.2014_GEO.pdf უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 17.12.2019

29. საქართველოს კანონი გენდერული თანასწორობის შესახებ, (2010 წლის 26 მარტი, http./www.parliament.ge 08.09.10

30. რადიო თავისუფლება, (25.11.2014), აქციები ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ. ინფორმაცია ხელმისაწვდომია: http://www.radiotavisupleba.ge/media/photogallery/akciebi-kalta-mimart-dzaladobis-tsinaaghmdeg/26709747.html უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 17.12.2019

31. რუსეცკი ე, გოგოლაძე თ. საქართველოში ქალთა და გენდერულ საკითხებზე მომუშავე საზოგადოებრივი ორგანიზაციების შეფასება, კვლევის ანგარიში, ქალთა საინფორმაციო ცენტრი, 2011 წ.

32. რუსო ჟან-ჟაკ საზოგადოებრივი ხელშეკრულება, მშვიდობის, დემოკრატიის განვითა. კავკ. ინს.-ტი-თბ.:CIPDD, 1997

31. საქართველოს სამოქალაქო საზოგადოების შეფასება, http://www.nplg.gov.ge/gsdl/cgi-bin/library.exe უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 17.12.2019

33. საზოგადოებრივი ორგანიზაციები საქართველოში – განვითარების დინამიკა და ტენდენციები, კვლევის ანგარიში, საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი, თბილისი. 2010.

34. საჯარო პოლიტიკის, ადვოკატირებისა და სამოქალაქო საზოგადოების განვითარება საქართველოში (G-PAC), 2014 წლის ანგარიში სამოქალაქო ჩართულობის შესახებ. ინფორმაცია ხელმისაწვდომია: http://www.crrc.ge/uploads/files/reports/FINAL_GPAC_2014_Civic_Engagement_Report_04.08.2014_GEO.pdf უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 17.12.2019

35. სერპი ლ; (2012). ქალი პოლიტიკაში, ფოკუს ჯგუფების კვლევის შედეგები, საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდი, (IFES).

36. ტოკვილი ა. დემოკრატია ამერიკაში, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2011,

37. ფონდი ტასო, (2010), გადაწყვეტილების მიღების დონეზე ქალთა წარმომადგენლობის ზრდა პოლიტიკურ პარტიებთან დიალოგის გზით, კვლევის ანგარიში, იხ. http://taso.org.ge/data/file/837/%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%92%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A8%E1%83%98.pdf უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 17.12.2019

38. ქალები პოლიტიკაში, *ტაბულა, N3* (2010).

39. ქალი და არჩევნები. გაერო, 2005

40. ქალთა პოლიტიკური მონაწილეობა საქართველოში. 2014 წლის ოქტომბრის საზოგადოებრივი აზრის კვლევის შედეგები, კვლევა ჩატარდა NDI-ის დაკვეთით CRRC-საქართველოს მიერ ttps://www.ndi.org/files/NDI%20Georgia_October%202014_Gender%20poll_Public%20GEO_Final_0.pdf უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 17.12.2019

41. ქალთა ხმა საქართველოს პარლამენტში, https://www.ge.undp.org/content/georgia/ka/home/ourperspective/ourperspectivearticles/2017/0/19/raising-women-s-voices-in-the-parliament.html უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 17.12.2019

42. ქალთა ჩართულობა პოლიტიკაში, ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, 2017, 2017-12-21https://gyla.ge/ge/post/qalta-chartuloba-politikur-procesebshi#sthash.aB3zJhs8.dpbs უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 17.12.2019

43. ჩარკვიანი ხ. PR-ის როლი პოსტ-საბჭოთა საქართველოს დემოკრატიული ინსტიტუტების ჩამოყალიბებაში (1995-2005ww.)

44. ჩიხლაძე ნინო, ქართველი მწერალი და საზოგადო მოღვაწე ქალები, თბილისი, 1990

45. ჩხეიძე თ; . სამხრეთ კავკასია პოლიტიკაში ქალთა მეტი ჩართულობისათვის მზადაა. http://netgazeti.ge/GE/32/News/3083/ უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 17.12.2019

46. წურწუმია მაია, სამოქალაქო საზოგადოება, დამხმარე სახელმძღვანელო, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, 2011
47. წურწუმია მაია, სამოქალაქო საზოგადოებასა და სახელმწიფოს შორის ურთიერთობის ფორმები და ხასიათი თანამედროვე საქართველოში", კრებული „სამოქალაქო განათლება საქართველოში: მიღწევები და პერსპექტივები", სამოქალაქო განათლების ლექტორთა კონფერენციის მასალები, თბილისი 2014

48. წურწუმია მაია, „გენდერული თანასწორობის პრობლემები და პერსპექტივები საქართველოში", სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, XI, თბილისი 2013–2014

49. ჭავჭავაძე ი. თხზულებანი, თბ.1928 ტ. YIII, „ქართული წიგნის" გამოცემა,

50. ჭანიშვილი მ;). ქალები პოლიტიკაში. კვოტით თუ მის გარეშე. Forbes Woman, თბილისი, 22.05.2015, იხ. ვებ-გვერდზე: http://forbes.ge/news/706/qalebi-politikaSi უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 17.12.2019

51. ხომერიკი ლ; (2006). გენდერი და პოლიტიკა. სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი, თბილისი.

52. ხომერიკი ი, ჯავახიშვილი მ; აბრამია თ; (2012). გენდერული თანასწორობის საკითხი საზოგადოებრივი მეცნიერებების სწავლებისას, სახელმძღვანელოების გენდერული ანალიზი, CCIIR, თბილისი

53. ჯაფარიძე ე; გენდერული თანასწორობის პოლიტიკის შეფასება საქართველოში ქალთა ორგანიზაციების მიერ. სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი, თბილისი, 2012

54. ჰაველი ვაცლავ ძალა უძალოთა; მშვიდობის, დემოკრ. დაგანვ. კავკ. ინ-ტი - თბ., 1995

55. ჰეგელი გ., ფილოსოფიის ისტორია, წიგნი II, , ღია საზოგადოება -ფონდი სქართველო, 2007, გვ. 34

56. 2016 წლის მოწვევის პარლამენტში ქალთა პოლიტიკური მონაწილეობა კვლავ დაბალი იქნება, (12.09.2016). სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება, ISFED. ვებ-გვერდზე: ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: http://www.isfed.ge/main/1132/geo/ უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 17.12.2019

57. Воронина О. Загадка или мистификация? // Фридан Б. Загадка женственности

58. Гоббс, Т. Левиафан, или материя, форма и власть государства церковного или гражданского // Гоббс, Т. Соч.: в 2 т. – М., 1991

59. Котова А. И., Денисенко В. В. Делиберативная демократия: обзор концепции Ю. Хабермаса [Текст] // Право: современные тенденции: материалы III Междунар. науч. конф. (г. Краснодар, февраль 2016 г.). — Краснодар: Новация, 2016. — С. 10-13.

60. Жиро Т, (2006 г) Политология, Гуманитарный центр, http://all-politologija.ru/knigi/politologiya-zhiro/nepravitelstvennie-organizacii უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 17.12.2019

61. Коэн Дж. Л. Арато Э. Гражданское общество и политическая теория. Пер. с англ.\ Общ. ред. И.И. Мюрберг. – М.: Издательство «Весь Мир», 2003

62. Маркс, К. Гражданская война во Франции // Там же. – Т. 2. 1989

63. Обращение к участникам Женевских консультаций, http://www.apsny.ge/order/1279759270.php უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 17.12.2019

64. Токвиль, А. Демократия в Америке. – М., 1994.

65. Хаиндрава И. Гражданское общество и миротворческий процесс. // Грузиноосетинский конфликт: в поисках мира. – Грузинский фонд стратегических и международных исследований. 2011

66. Adam D. Seligman, *The Idea of Civil Society.* NewYork: FreePress, 1992
67. Anheier, H. (2004). Civil society: Measurement, Evaluation, Policy. Taylor & Francis
68. Alvarez, Sonia E. "Women'sMovementsandGenderPoliticsintheBrazilianTransition." In The Women's Movement in Latin America: Feminism and the Transition to Democracy, Edited by Jane S. Jaquette. Winchester, MA: Unwin Hyman.1989
69. Beer, C. "Democracy and Gender Equality, Studies in Comparative International Development (SCID)", *Business and Economics*, Volume 44, Issue 3, 2009

70. Bratton, M. Civil Society and Political Transition in Africa,' IDR Reports, Vol.11, No. 6. 1994,

71.Bernard Michael. Civil Society and Democratic Transitionin East Central Europe. Political Science Quarterly, Vol. 108, No 2, 1993

72. Bedford & Rai, 2010: *1-2*; Rai & *Waylen*, 2014: 7

73. Betty Friedan, The Feminine Mystique,W.W.Norton & Company,.INC, New York, 1993

74. Caucasus Barometer 2010. Available at: http://www.crrc.ge/oda/ უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 17.12.2019

75. Chitashvili, M., Javakhishvili, N., Arutiunov, L., Tsuladze, L., Chachanidze, S. (2010), "National Research on Domestic Violence against Women in Georgia." Available at: http://www.genderbasedviolence.ge/conimages/annual-eng.pdf. უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 17.12.2019

76. Civil Society and Gender Justice, Historical and Comparative Perspectives, Edited by Karen Hagemann, Sonya Michel and Gunilla Budde,New York, oxford, 2008

77. CohenL. Jean, and Arato Adrew, Civil Society and Political Theory. USA: MassachusettsInstitute of Technology, 1992

78. Collection France de document d'information et de formation. 1997. № 27.

79. Conditions of Liberty: Civil Society and Its Rivals. By Ernest Gellner. Allen Lane (Penguin), 1994.

80. Diamond L, Developing Democracy Toward Consolidation, The John Hopkins University Press. 1999

81. Domestic Violence against Women in Georgia." Available at: http://www.genderbasedviolence.ge/conimages/annual-eng.pdf

82. Edwards M, Civil Society, polity press, 2009;

83. Ehrenberg J, Civil Society, The critical History of an Idea, New York University Press, 1999

84. Galligan, Yvonne, Sara Clavero, and Marina Calloni.Gender Politics and Democracy in Post-Socialist Europe. Germany: Barbara Budrich 2007.

85. Gaprindashvili, L.,Samnidze, Kh. (2011),"The Convention on the Elimination of All Forms of Discrimination against Women (CEDAW): Equality, Legislation and Reality". Available at: http://georgien.boellnet.de/downloads/CEDAW_final_publication.pdf. Accessed: August, 3.2012

86. Gellner Ernest, *Conditions of Liberty: Civil Society and Its Rivals.* Allen Lane (Penguin), 1994.

87. GEORGIAThird Round Monitoring Report RUS.pdf, p..11, https://www.oecd.org

88. Hegel's Philosophy of Right, Oxford University Press; First Published: byClarendon Press 1952, Translated: with Notes by T M Knox 1942.

89. Hough L. Civil Engagement in Georgia: The Challenge of Formalizing the Informal, Irex, Georgia 2011 https://www.irex.org/sites/default/files/IREX%20Final%20Report_Hough_Georgia_FINAL.pdf

უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 17.12.2019

90. Juan J. Linz, and Alfred Stepan, "TowardConsolidatedDemocracies", Journal of Democracy, 7(2) 1996,

91.Khutsishvili G. (ed.) (2008) Civil Society and the Rose Revolution in Georgia, Publication of the International centre on Conflict and Negotiation. ICCN, p.24

92. Krause w, (2008), Women in Civil Society, The State, Islamism, and Networks in the UAE, Plagrave Macmillan

93. Kutter, A. & Trappman, V. (2010). Civil society in Central and Eastern Europe: The ambivalent legacy of accession. Acta Politica

94. Lang, 2013

94. Locke John, Two Treatises of Government, from The Works of John Locke. A New Edition, Corrected. In Ten Volumes. Vol. V. London: Printed for Thomas Tegg; W. Sharpe and Son; G. Offor; G. and J. Robinson; J. Evans and Co.: Also R. Griffin and Co. Glasgow; and J. Gumming, Dublin. Prepared by Rod Hay for the McMaster University Archive of the History of EconomicThought. P.161

95. Linz Juan J., and Stepan Alfred, "Toward Consolidated Democracies", Journal of Democracy, 7(2) 1996,

96. Linz J., Stepan, A. (1996). Problems of Democratic Transition and Consolidation: Southern Europe, South America, and Post-Communist Europe. Baltimore, MD/London: John Hopkins University Press

97. Mendelson S. E, Glenn J.K editors, The power and limists of NGO, Columbia University Press, 2002~

98. Meyer, C. A step back as donors shift institutions building from the public to the private sector. World Development 20 (8): (1992). 11-15.,

99. Mathias, A. Non-Governmental Organizations and Health in Developing Countries. New York. St. Martin"s Press Inc. Reviews. (1997).

100. Mendelson S. E, Glenn J.K editors, (2002), The power and limists of NGO, Columbia University Press,

101. Moheb Zaki, Civil Society and Democratization in Egypt,Cairo: TheIbnKhaldunCenter, 1994,

102. National Platform, Georgia, http://eap-csf.eu/ru/countries/georgia/

103. Nanz, P. And Steffek, J. (2004) 'Global Governance, Participation and the Public Sphere': Government and Opposition, 39 (2)

104. Nardin, Terry. Privateand Public Rolesin Civil Society - In: Toward a GlobalCivilSociety / MichaelWalzer, Ed. Providence, Oxford:BerghahnBooks, 1995

105. Paudel, Meena. 2003. Violence Against Women (VAW) in the Bhutanese Refugee Camps in Nepal. M.A. Thesis, Sociololgy, TU

106. Poudel M; Luintel Y; (2003). Strategies and practices of advocacy: Gender advocacy against trafficking in women in Nepal. *Occasional Papers in Sociology and Anthropology* Vol.8 2003 p.59-76 retrieved from http://dx.doi.org/10.3126/opsa.v8i0.1121 უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 17.12.2019

107. Penn, Shana.Solidarity's Secret: The Women who Defeated Communism in Poland. Ann Arbor, MI: University of Michigan Press. 2005

108. Rai, Shirin. "Gender and Democratization: Ambiguity and Opportunity," In Democratization in the South: The Jagged Wave, Edited by Robin Luckham, and Gordon White. New York, NY: Manchester University Press.1996

109. Reisman J; Gienapp A; (2007). A Guide to measuring advocacy and policy retrieved from: http://www.hfrp.org/evaluation/the-evaluation-exchange/issue-archive/advocacy-and-policy-change/a-guide-to-measuring-advocacy-and-policy უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 17.12.2019

110. Salamon, L. M. Explaining Nonprofit Advocacy: An Exploratory Analysis. Center for Civil Society Studies Working Paper Series No. 21 //
Johns Hopkins University, Center for Civil Society Studies, 2002

1011. Saint Augustine of Hippo *The City of God*. Translation by William Babcock, notes by Boniface Ramsey. Hyde Park, NY: New City Press, 2012
112. Seligman Adam D. The Idea of Civil Society. NewYork: FreePress, 1992

113. Sprunk C; (2008), Understanding Civil Society - History, debates, and contemporary approaches, retrieved from file:///C:/Users/user/Downloads/Understanding Civil Society - History debates and .pdf უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 17.12.2019

1. 114. Tvedt, T. (2006), 'The International Aid System and the Non-Governmental Organizations: a New Research Agenda', Journal of International Development, 18, 677-690.
115. The Oxford Handbook of Civil Society, edited by Michael Edwards, Oxford University Press, 2011

116. The Centre for Civil Society, London School of Economics, www.lse.ac.uk/CCS/home.aspx

117. UNDP Georgia, 2013

118. World Economic Forum, Gender Gap 2014. http://reports.weforum.org/global-gender-gap-report-2014/economies/#economy=GEO უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 17.12.2019

119. Waylen G. (1998), Gender and Governance: democratic Consolidation and Economic Reform, Journal of International Development, Volume 10, Issue 7 Pages 957–967

120. Weiss T; Gordenker L; (Eds) (1996). NGOs the UN and Global Governance. Boulder.

121. Wilks T; (2012). Advocasy and Social work Practice, Open University Press

ქალთა ორგანიზაციების საქმიანობის ამსახველი საიტები: უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 17.12.2019

122. http://wicge.org; www.avng.ge;
123.www.ngomerkuri.ucoz.org;
124. www.women.ge;
125 www.lecbi.org.ge;
126. www.minority.ge;
127. ww.ngo.ge;
128.www.womancenter.org.ge;
129.www.goridc.ge;
130.www.fwe.ge;
131. www. ytpa.ge;
132. www.uteu.ge;

133.www.fundsukhumi.ge;
134.www.tanaziari.ge;
135.www.womeninpolitics.ge; w-peace.ge;
136.www.wprc.org.ge;
137. www.gmc.ge;
138.www.ginsc.net;
139.www.wicge.org; www.iccn.ge.
140.www.parliament.ge
141.https://matsne.gov.ge/ru/document/download/33208/1/ru/pdf
142. www.smr.gov.ge/docs/doc189.pdf
143. http://eap-csf.eu/ru/news-events/news/civil-society-andgovernment-set-to-work-together-on-pro-eu-reforms-in- georgia/
144. http://emilyslist.org/who/mission